

მართლმსაჯულება **4**'18
კანონი

Justice and Law Legal Journal
#4(60) 2018

N4(60)'18

მართლმსაჯულება



კანონი

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბეჰაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

სარედაქციო საბჭო:
დინან ბერეკაშვილი
ნინო გვენეტაძე
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზაზა მეიშვილი

Editorial Board:

DIANA BEREKASHVILI
NINO GVENETADZE
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZAZA MEISHVILI

Editor:

NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:

IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

7 ლევან თევზაძე
დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჰეროვანი მართლმსაჯულების
აუცილებელი შემადგენელი ნაწილი

SUBSTANTIATED JUDGEMENT AS CRUCIAL PART OF PROPER JUSTICE
LEVAN TEVZADZE

22 ლელა ნადიბაიძე
ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების
წარმოშობის დადგენის მატერიალური და პროცესუალური საკითხები

MATERIAL AND PROCEDURAL ISSUES OF IDENTIFYING ORIGINS OF CHILDREN
BORN OUT OF WEDLOCK
LELA NADIBAIDZE

38 რატი ჩანტლაძე
ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

INABILITY TO FULFIL THE OBLIGATION
RATI CHANTLADZE

66 მათე ხვედელიძე
ასოციაციის შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან
დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე

INFLUENCE OF THE ASSOCIATION AGREEMENT ON THE INVESTMENT
RELATIONS RELATED TO GEORGIA
MATE KHVEDELIDZE

88 ნათია სონგულია
აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების სტრუქტურის
საკითხისათვის

FOR THE ISSUE OF STRUCTURE OF SUBJECTIVE ELEMENTS OF SELF-DEFENSE
NATIA SONGHULIA

105 თეიმურაზ ლომიძე
ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ცნების თავისებურებანი
და მისი პრაქტიკული ასპექტების გამოვლინება

PECULIARITIES OF THE CONCEPT OF INDIVIDUAL ADMINISTRATIVE ACT AND
ITS PRACTICAL ASPECTS
TEIMURAZ LOMIDZE

- 121 **თამაზ ურთმელიძე**
სასამართლოს მიდგომები სამრეწველო საკუთრების
სამართლის განვითარებისათვის
COURT APPROACHES FOR THE DEVELOPMENT OF INDUSTRIAL PROPERTY LAW
TAMAZ URTMELIDZE
- 140 **თამარ მსხვილიძე**
უცხოური სამართლის ინტერპრეტაციის ძირითადი ასპექტები
საერთაშორისო კერძო სამართალში
MAIN ASPECTS OF INTERPRETATION OF FOREIGN LAW IN INTERNATIONAL
PRIVATE LAW
TAMAR MSKHVILIDZE
- 149 **მიხეილ გაბუნია**
კრიმინოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში
PERSPECTIVES OF THE DEVELOPMENT OF CRIMINOLOGY IN GEORGIA
MIKHEIL GABUNIA
- 162 **ხათია თანდილაშვილი**
პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის
პრეზუმფცია
PUBLIC ANNOUNCEMENT OF PROSECUTOR'S OFFICE AND PRESUMPTION
OF INNOCENCE
KHATIA TANDILASHVILI



ძვირფასო კოლეგებო,

გულითადად გილოცავთ ახალ 2019 წელს!

2018 წელს ქართულმა მართლმსაჯულებამ არაერთ წარმატებას მიაღწია, რაც თითოეული თქვენთაგანის დაუღალავ შრომასა და მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

დარწმუნებული ვარ ახალ წელს, ახალი გამოწვევების მიუხედავად, ჩვენი სასამართლო კორპუსი სულიერი თუ ფიზიკური ენერჯის მაქსიმუმს გაიღებს, რათა დასახული ამოცანები კვლავაც წარმატებით და ღირსეულად გადაიჭრას.

მჯერა, რომ 2019 წელს მრავალი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგმება ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობასა და ცხოვრებაში.

ზინა თოდუა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



ძვირფასო მოსამართლეებო,
აპარატის თანამშრომლებო,
გილოცავთ ახალ 2019 წელს!

მჯერა, 2019 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება თითოეული თქვენგანისთვის და იმ საერთო საქმისთვის, რომლის მიზანია სასამართლო სისტემის განვითარება და წინსვლა. მოსამართლეებს დიდი წვლილი შეგვაქვს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებაში. ამ მიმართულებით სასამართლო სისტემამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და მინდა მაგლობა გადაგიხადოთ პროგრესისთვის, რომელსაც 2018 წელს ერთად მივაღწიეთ.

კარგად გვესმის, რომ სასამართლო სისტემა კვლავ გამოწვევების წინაშეა. დარწმუნებული ვარ, თქვენი მონდომებით და პროფესიონალიზმით 2019 წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული იქნება

კიდევ ერთხელ, გილოცავთ ახალ წელს! გისურვებთ წარმატებებს!

გიორგი მიქაშუაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი

დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი

ლევან თევზაძე

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე,
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ეროვნული სასამართლოები განაჩენთა დადგენისას, როგორც წესი, ვალდებულნი არიან შიდა კანონმდებლობით მოახდინონ მათი დეტალური დასაბუთება. განაჩენთა დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ქართული მართლმსაჯულებისათვის, ვინაიდან დასაბუთებული განაჩენები თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. საქართველოს უახლესი ისტორიის ცვლილებების ფონზე განაჩენთა დასაბუთებამ საკმაოდ საინტერესო გზა განვლო. თუ მოვახდენთ დღეს მიღებული განაჩენების დასაბუთებულობის ხარისხის ანალიზს, უდავოა, რომ წინა წლებთან შედარებით გაცილებით დასაბუთებულია თუმცა, სასურველი სტანდარტის მისაღწევად ჯერ კიდევ, ბევრი მუშაობა მართებთ ქართველ მოსამართლეებს.

მოცემული პრობლემის მოგვარების კუთხით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეგიდით, 2014 წელს შეიქმნა კომისია, რომლის მიერ განზოგადდა ქართულ სასამართლო სისტემაში არსებული პრაქტიკა, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი წინადადებები განაჩენის ფორმის, დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. რა თქმა უნდა, გაუმჯობესება ერთ თვეში და ერთ წელიწადში ვერ მოხდება. ამისათვის მუდმივი მუშაობა და ყურადღების მიქცევაა საჭირო. უპირველესად, ეს თავად მოსამართლეზე, მის ცოდნასა და გამოცდილებაზე დამოკიდებულია. ამასთან, აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი, საქმეთა გადაჭარბებულ სიმრავლესა და მოსამართლეთა ნაკლებობას თუ არ ჩავთვლით, არაერთია.

ყველა თანხმდება, რომ ზოგადად, არ არსებობს ერთიანი სტანდარტი თუ როგორ უნდა იყოს დასაბუთებული განაჩენი თუმცა, იმისათვის, რომ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს, საჭიროა გასაგებად და ნათლად დასაბუთებული იყოს.

მოცემულ ნაშრომშიც საუბარი იქნება განაჩენთა დასაბუთების მნიშვნელობაზე, წარმოდგენილი იქნება პრაქტიკოსი იურისტის თვალთ დახაზული ის ზოგადი ასპექტები და თავისებურებები, რომლებიც მოსამართლეებს დაეხმარებათ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში. ამასთან, განხილული იქნება განაჩენთა დასაბუთების როგორც ადგილობრივი კანონმდებლობა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

1. სასამართლო განაჩენების დასაბუთების მნიშვნელობა

სასამართლოსა და მხარეებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი სახე, წერილობითი ფორმით ურთიერთობაა, რაც შინაარსობრივად გულისხმობს სასამართლოს მიერ წერილობით მომზადებული გადაწყვეტილებებით (განაჩენებით) პასუხის გაცემას მხარეთა მიერ შეტანილ შუამდგომლობებთან და წარმოდგენილ არგუმენტებთან დაკავშირებით. საკმარისი არ არის, რომ გადაწყვეტილება იყოს მხოლოდ კანონიერი. ამავდროულად, აუცილებელია იგი იყოს დასაბუთებული და გასაგები ენით დაწერილი, რათა მხარეებმა, რომელთა სასარგებლოდ/საუარესოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, გაიგონ რა არგუმენტებზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ კონკრეტული გადაწყვეტილება, მხარეთა რომელი მოსაზრებები გაითვალისწინა ან უარყო და რა გახდა დამდგარი შედეგის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი. სასამართლოს განაჩენების წერილობითი ფორმით ეფექტიანად მომზადება ემსახურება იმ მიზანს, რომ მხარეები დარწმუნდნენ მიღებული გადაწყვეტილების გონივრულობაში, კანონიერებასა და სამართლიანობაში. ის, თუ რას და როგორ ამბობს სასამართლო წერილობით მომზადებულ განაჩენებში, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას გადაწყვეტს იგი.

სასამართლოს განაჩენი მხარეებსა და საზოგადოებას აცნობს სასამართლოს დასკვნებსა და მათი მიღების დასაბუთებას. აუცილებლობის შემთხვევაში, განაჩენები კანონს განმარტავს არა მარტო მხარეებისა და მოსამართლეებისათვის, არამედ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ამასთან, მათი მომზადება მოსამართლეს აკისრებს ინ-

ტელექტუალურ პასუხისმგებლობასა და მისგან მოითხოვს, შეაფასოს და სათანადოდ დაასაბუთოს არგუმენტების საფუძვლიანობა.

გადაწყვეტილებამ სამართლიანად, ნათლად და ზუსტად უნდა წარმოადგინოს მნიშვნელოვანი ფაქტები და კანონის შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, მათი ანალიზით დაასაბუთოს დასკვნების სამართლიანობა. მნიშვნელოვანი ფაქტების არასწორად დადგენა ან უფლებამოსილების არასაკმარისად გამოყენება საფრთხეს უქმნის გადაწყვეტილების დამაჯერებლობას. ბუნდოვანი და ორაზროვანი წერა კი, ავტორის ნათელი აზროვნების ნაკლებობის შედეგია და გადაწყვეტილების მიზანს ვნებს.¹

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს #11 დასკვნის მე-3 პუნქტის თანახმად, ნათელი დასაბუთებულობა და ანალიზი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების მიმართ წარდგენილ ძირითად მოთხოვნას და სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს სასამართლოებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას ასევე, ეფექტიანი პროცესის დამკვიდრების ხელშეწყობას. ვალდებულება განხორციელებულად ითვლება, როდესაც მოსამართლეები სამართალწარმოებას ახორციელებენ სამართლიანად და სწორად, სამართალსა და ფაქტებზე დაყრდნობით, რისი საბოლოო მიზანი მოქალაქეებისათვის სარგებლის მოტანაა. სასამართლო გადაწყვეტილება მაღალი ხარისხის მქონედ ჩაითვლება თუ იგი აღწევს თავის სწორ მიზანს – იმდენად, რამდენადაც მოსამართლეთა ხელთ არსებული მატერიალური რესურსები ამის საშუალებას იძლევიან და აღწევს ამას სამართლიანად, სწრაფად, ცხადად და არაორაზროვნად. ამავე დასკვნის 34-36-ე პუნქტების თანახმად: გადაწყვეტილების ხარისხი მის დასაბუთებულობაზე დამოკიდებულია. ჩვეულებრივ, დასაბუთებულობა იმპერატიულად სავალდებულოა, და იგი არ უნდა იყოს უგულებელყოფილი სიჩქარის გამო. ჯეროვანი დასაბუთების მომზადება საჭიროებს შესაბამის დროს მოსამართლისაგან. დასაბუთებულობა აუცილებელია არამართო იმისათვის, რომ მხარეების მიერ გაგებული იყოს გადაწყვეტილება, ასევე იმისათვისაც, რომ თავიდან ავიცილოთ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღება. ეს პრინციპი პირველ ყოვლისა, ავალდებს მოსამართლეს უპასუხოს მხარეთა მოსაზრებებს და დააკონკრეტოს ის არგუმენტები, რაც ამართლებს გადაწყვეტილებას და მას კანონიერ გადაწყვეტილებად გახდის. მეორე რიგში, ეს პრინციპები ხელს უწყობენ საზოგადოებისათვის სასამართლო სისტემის ფუნქციონირების სწორად აღქმას. არგუმენტები უნდა იყოს თანმიმდევრული, ნათელი, არაორაზროვანი, არაწინააღმდეგობრივი. მკითხველს უნდა შეეძლოს მიჰყვეს იმ დასაბუთების განვითარების ჯაჭვს, რამაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.²

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ პროცედურული სამართლიანობის ორ მოდელს – ხელშეკრულებისა და სასამართლოს. ხელშეკრულების მოდელი ემყარება მხარეთა ავტონომიას, რომლებიც თანხმდებიან, თუ რა არის სამართლიანი და სავალდებულო. ეს შეთანხმება ეფუძნება კერძო ინტერესებს და არგუმენტაციას არ საჭიროებს. სასამართლოს მოდელში გადაწყვეტილებას იღებენ არა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეები, არამედ მესამე მხარე – სასამართლო, რომელმაც უნდა დაამტკიცოს თავისი სამართლიანობა და დამოუკიდებლობა. აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მოითხოვს დასაბუთებას. ტერმინში „დასაბუთება“ იგულისხმება

არსებითი და დამაჯერებელი არგუმენტების წარმოდგენა კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებისათვის. გამოყოფენ დასაბუთების ორ ტიპს – ე. წ. განმარტებით დასაბუთებას (Offenlegende Begründung) და გამამართლებელ დასაბუთებას (Vertreterbarkeits begründung). სასამართლო გადაწყვეტილების არგუმენტაციისას დასაბუთების ორივე ტიპს დასაშვებად მიიჩნევენ. განმარტებითი დასაბუთების მთავარი ამოცანა იმის დემონსტრირებაა, რომ გადაწყვეტილების მიმღები მართალია. ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთგვარი რეკონსტრუქცია. სასამართლო ასაბუთებს, რატომ მივიდა სწორედ ამ და არა სხვა დასკვნამდე. აქედან გამომდინარე, საბოლოო შედეგი უფრო გასაგებია გადაწყვეტილების ადრესატისათვის. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება სახელმწიფო საქმიანობის გამართლების პრინციპი (das Gebot der Rechtfertigung staatlichen Handelns). მისი ამოცანაა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის წონასწორობის დაცვა. ამ პრინციპის მოქმედება სასამართლოზეც ვრცელდება. დასაბუთების ვალდებულება ამ კონტექსტში ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლო ხელისუფლება არ გასცდეს თავისი კომპეტენციის ფარგლებს. გერმანიაში კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამოჰყავთ თვითნებობის აკრძალვის პრინციპი (Willkürsverbot). თუ სასამართლო არ ასაბუთებს გადაწყვეტილებას, მაშინ ის თვითნებურად და არაკონსტიტუციურად მოქმედებს. თვითნებობის ზღვარი გადალახულად მაშინ ითვლება, როდესაც სასამართლოს მიერ ნორმის განმარტებისა და გამოყენების გაგება შეუძლებელია რომელიმე რაციონალური მიდგომის გამოყენებით.³

სამართლებრივ სახელმწიფოში ნებისმიერ პირს ეძლევა თავისი უფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა. სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს ინფორმაციის მიღებას სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელოვან გარემოებებზე, მხარეთა მიერ პოზიციის გამოხატვასა და სასამართლოს მხრიდან ამ პოზიციის შეფასებას. შეფასებაში მოიაზრება შესაბამისი დასაბუთება იმისა, თუ რატომ იქნა ან არ იქნა გათვალისწინებული მხარის არგუმენტაცია. გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლო დაცვის უფლება მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში. გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა ხელს უშლის ამ შესაძლებლობის რეალიზაციას. თუ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ იარსებებს, შეუძლებელი იქნება იმის გადამოწმება, თუ რამდენად დამოუკიდებელი იყო მოსამართლე მისი მიღებისას და მოქმედებდა თუ არა ის კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. სასამართლოს დამოუკიდებლობას, მის ბოჭვას კონსტიტუციითა და კანონით და გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებენ. ამ თვალსაზრისით მიმართავენ შემდეგ არგუმენტაციას: მოსამართლე დამოუკიდებელია იმიტომ, რომ ის მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონზეა დამოკიდებული. იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლე კონსტიტუციითა და კანონითაა შებოჭილი, ის ვალდებულია დაასაბუთოს გადაწყვეტილებები.

ხშირად, ადვოკატები დაცვას იმაზე აგებენ, რომ ბრალდებამ ვერ შეძლო პირის ბრალეულობის დადასტურება გონივრულ ეჭვს მიღმა. მართალია გადაწყვეტილების დასაბუთებისას მოსამართლე მრავალ საკითხს განიხილავს, მაგრამ მტკიცებულების საკმარისობა მსჯავრდებისათვის გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით, ისეთი საკითხია, რომელზეც განმარტების წარსადგენად ყველა მოსამართლე მზად უნდა იყოს. დასაბუთება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმის განცხადებით,

რომ პირის ბრალეულობა დადასტურებულია ან უნდა დასტურდებოდეს გონივრულ ეჭვს მიღმა. აღნიშნულ საკითხზე კარგი დასაბუთების მოხერხებული მეთოდი არის მტკიცებულებებისა და სამართლებრივი საკითხების განხილვა წაყენებული ბრალის შემადგენლობის (დანაშაულის თითოეული ელემენტის) მიხედვით.⁴

შეჯიბრებითობის პრინციპის სწორად რეალიზებისა და განაჩენის გამოტანის შემდგომ წერილობითმა გადაწყვეტილებამ უნდა აჩვენოს, რომ მოსამართლემ უზრუნველყო პროცესის სამართლიანობა და ჯეროვნად გამოიყენა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მტკიცების სტანდარტი და მტკიცების ტვირთი. ეს არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მოსამართლის განაჩენის მოტივაციას. სააპელაციო სასამართლოს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და მხარეებს არ შეუძლიათ ესაუბრონ მოსამართლეს ან ჩაიხედონ მის გონებაში. მათ მხოლოდ შეუძლია წაიკითხონ ის, რაც დაწერა მოსამართლემ და როგორ ახსნა ეს დასაბუთების მეშვეობით.

შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, წარადგინონ მათი პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები, არგუმენტები და ამ გზით მოახდინონ გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე. თუმცა, ეს არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისაგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესებისა და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე.⁵

ამდენად, სასამართლოს განაჩენის დასაბუთებისას, მტკიცებულებების შეფასება უნდა მოხდეს დეტალურად, ზუსტად და იურისპრუდენციისა და შეჯიბრებითობითი პროცესის პრინციპების შესაბამისად. არ არის საკმარისი მხოლოდ მტკიცებულებების ჩამოთვლა და შემდგომ დასკვნის გაკეთება. გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს დანაშაულის ელემენტების ფორმულირება და მსჯელობა, თუ რატომ მიიჩნევა ან არ მიიჩნევა თითოეული ელემენტი დამტკიცებულად. თითოეული ელემენტის ფორმულირება და ამ ელემენტის შესაბამისი მტკიცებულების შეფასება ქმნის გადაწყვეტილების კარგ სტრუქტურას.

თითოეულ საქმეზე მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ცალკეული სადავო საკითხები. თითოეული ამ საკითხის მკაფიო იდენტიფიცირებით, ფაქტობრივ და სამართლებრივ ტერიტორიაში განხილვით, მოსამართლეს შეუძლია მიიღოს კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილება. შესაძლებელია სასარგებლო იყოს გადაწყვეტილების დასაწყისში ზოგადი საკითხების განხილვა, როგორცაა ფაქტორები, რომლებიც იქნა მიღებული მხედველობაში მტკიცებულების სარწმუნოებისა და სანდოობის შეფასებისთვის და გამოყენებული მტკიცების სტანდარტი.⁶

სასამართლოს გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით ეფექტიანად მომზადება ემსახურება იმ მიზანს, რომ მხარეები დარწმუნდნენ მიღებული გადაწყვეტილების გონივრულობაში, კანონიერებასა და სამართლიანობაში. ის, თუ რას და როგორ ამბობს სასამართლო წერილობით მომზადებულ გადაწყვეტილებაში, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას გადაწყვეტს იგი. თითოეული გადაწყვეტილების წერისას მოსამართლემ საკუთარ თავს უნდა დაუსვას რამდენიმე კითხვა: 1. ასე იმიტომ ვწერ, რომ უფრო სწორია, თუ იმიტომ, რომ ასე ვარ მიჩვეული, ხომ არ არსებობს კიდევ

უფრო უკეთესი გზა? 2. ეს გადაწყვეტილება სწორედ ასე უნდა იყოს ჩამოყალიბებული? 3. დავწერო თუ არა ამ კონკრეტული ფაქტის ან არგუმენტის შესახებ? 4. განვიხილო თუ არა ეს საკითხი ვრცლად? 5. ჩავრთო თუ არა გადაწყვეტილებაში ეს ციტატა? 6. ეს წინადადება გასაგებია? 7. მასში ყველა სიტყვა საჭიროა და ა. შ.⁷

ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ დასაბუთებულ გადაწყვეტილებასა და მის მნიშვნელობაზე, იგულისხმება, რომ მოსამართლემ უზრუნველყო პროცესის სამართლიანობა, მტკიცების სტანდარტის დაცვა და მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება. მოსამართლემ მოახდინა ფაქტების სისტემური ანალიზი, მტკიცებულებათა შეფასება და შესაბამისი კანონმდებლობის გამოყენება. მხარეებს ნათლად და გასაგებად გაეცა სათანადო პასუხი მნიშვნელოვან არგუმენტებზე სასამართლოზე გამოკვლეული სანდო, ავთენტიკური და რელევანტური მტკიცებულების სწორად შეფასების შედეგად.

2. განაჩენის დასაბუთების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს სსსკ-ის 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება: ა) რომ განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით; ბ) განაჩენის დადგენის დრო და ადგილი; გ) განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალმდებელი და ადვოკატი; დ) ბრალდებულის პერსონალური მონაცემები და მასთან დაკავშირებით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები; ე) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც ბრალდებულს ბრალი წაუყენეს. განაჩენის ამგვარი სტრუქტურა და შესავალი ნაწილის შინაარსი საერთოა, როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი განაჩენებისათვის, რაც შეეხება აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების სტრუქტურას განსხვავდება გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენების მიხედვით და დამოუკიდებლად არის მოწესრიგებული საქართველოს სსსკ-ის 273-276-ე მუხლებით. განაჩენის შესავალ ნაწილს აქვს ფაქტობრივად მხოლოდ ტექნიკური დატვირთვა – ახდენს განაჩენის გამოტანის დროისა და ადგილის, განაჩენის გამომტანი სასამართლოს (მათ შორის, მისი შემადგენლობის), მხარეთა და ბრალდებულის იდენტიფიცირებას და რაიმე სამართლებრივი სირთულე მისი შედგენის დროს არ წარმოიშობა.

საქართველოს სსსკ-ის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს: იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო. ამასთან, განაჩენში მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. განაჩენში აგრეთვე, მითითებული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე. ამასთან, აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული ან დანაშაულის კვალიფიკაცია არასწორია – ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები. ამავე

მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აგრეთვე, ვალდებულია დაასაბუთოს სასჯელის სახე და ზომა, პირობითი მსჯავრის გამოყენება, ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და ნაკლებად მკაცრ სასჯელზე გადასვლა, საპროცესო იძულების ღონისძიების გაუქმების ან შემდგომი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება.

რაც შეეხება გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის ფორმასა და შინაარსს, მას განსაზღვრავს საქართველოს სსსკ-ის 275-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: წარდგენილი ბრალდების არსი, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სასამართლოს დასკვნას ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიაჩნია სასამართლოს არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულება, რომელსაც ემყარებოდა წარდგენილი ბრალდება, ან/და რატომ მიაჩნია სასამართლოს, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა ან რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული.⁸

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სტანდარტი, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობას. მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი, რაც შინაარსობრივად გულისხმობს, რომ გარდა მტკიცებულებების ფორმალური სიმრავლისა, ეს მტკიცებულებები ასევე, უნდა იყოს უტყუარი და დამაჯერებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება მათ შორის, მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგალითად, გარემო პირობები - ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ ამ საკითხზე ქვედა ინსტანციის განაჩენში ასახული ზედაპირული მსჯელობა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობების არაარსებით ხასიათზე არაარგუმენტირებულად მიიჩნია და მიუთითა, რომ ზოგადი მსჯელობა არ პასუხობს კანონის მოთხოვნას მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასების სავალდებულობის შესახებ.⁹

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა

ერთობლიობას. სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. შესაბამისად, ნათელია კანონმდებლის ნება დასაბუთების მაღალი სტანდარტის საპროცესო კანონმდებლობაში შემოტანის შესახებ. ეროვნულ სასამართლოებს აქვთ განაჩენში ყველა არსებით და მნიშვნელოვან კომპონენტებზე მსჯელობის მოვალეობა. მთავარი გამოწვევა და პრობლემა უკავშირდება არა იმ საკითხების იდენტიფიცირებას, რაც მითითებული უნდა იქნას განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, არამედ იმას, თუ როგორ და რა ფორმით უნდა განავითაროს მოსამართლემ არგუმენტირებული მსჯელობა.

3. განაჩენთა დასაბუთების ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში

გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება წარმოადგენს სამართლიანი განხილვის უფლების (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) შემადგენელ ნაწილს. კონვენცია არ აკონკრეტებს რაიმე მოთხოვნებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული განაჩენები. ეს გასაკვირი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული სამართლებრივი კულტურა და განსხვავებული სამართლებრივი მიდგომები არსებობს. მიუხედავად აღნიშნულისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6(1) მუხლის კონტექსტში განმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება ეკისრება.

ტერმინი „დასაბუთებულობა“ მჭიდრო კავშირშია ტერმინთან – „არგუმენტირება.“ ამ სტატიის მიზნებისთვის „არგუმენტირება“ ნიშნავს სამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებას, მტკიცებულებათა შეფასებას ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობის დასადგენად. სისხლის სამართლის საქმეზე ბრალეულობის დადგენა მოიცავს მსჯელობის სამ თანმიმდევრულ ეტაპს. პირველია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის ინტერპრეტაცია, რაც არის სამართლებრივი მეთოდოლოგიის საკითხი; მეორე არის ფაქტების დადგენა მტკიცებულებათა შეფასების შედეგად. ცხადია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა იქნას გათვალისწინებული; მესამე საფეხური არის კანონის შეფარდება დადგენილ ფაქტებთან, რაც არის ყველაზე კომპლექსური პროცესი სამართლებრივი ინტერპრეტაციისა და მტკიცებულების შეფასების პრინციპების გათვალისწინებით. კონვენციის მე-6 მუხლის ტექსტში უშუალოდ არ არის ნახსენები სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის საკითხი. თუმცა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ გარკვეულწილად, განავითარა და განავრცო ტერმინი „სამართლიანი განხილვა.“ ევროპულმა სასამართლომ თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ სასამართლოს განაჩენის დასაბუთება აუცილებელია, რათა კონვენციის მოთხოვნები და სამართლიანი სასამართლოს პრინციპი იყოს დაცული. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირს აქვს თავისი განაჩენის უფრო მაღალ ინსტანციაში ხელახალი განხილვის უფლება. ეფექტიანი გასაჩივრების უფლება ასევე, გულისხმობს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის დასაბუთებას, რაც გამომდინარეობს კონვენციის

მე-6(3)(ბ) მუხლიდან, რომელიც მოითხოვს, ბრალდებულს ჰქონდეს „საკმარისი შესაძლებლობა“ დაცვის მოსამზადებლად.¹⁰ ამასთან, მეორე მხრივ, დასაბუთების ნაკლებობა საქმეში არსებული მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ ადვილად შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად.¹¹

საქმეში *Taxquet v. Belgium* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მისი პრეცედენტული საქმეების მიხედვით, სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებებში ადეკვატურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ის საფუძვლები, რომლებსაც ემყარება მათი გადაწყვეტილება. თუ რა ხარისხით უნდა იყოს წარმოდგენილი დასაბუთება, დამოკიდებულია თითოეული გადაწყვეტილების თავისებურებაზე და უნდა გადაწყდეს კონკრეტული საქმის გარემოებებზე დაყრდნობით.¹²

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოს მიერ მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულების სასარგებლო ერთ-ერთი არგუმენტი გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა. გასაჩივრების უფლების ეფექტიანი განხორციელებისთვის პირს უნდა ჰქონდეს იმ მიზეზების შესწავლის საშუალება, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს თავდაპირველ გადაწყვეტილებას. როგორც სასამართლომ განაცხადა ჰაჯიანასტასიუს (*Hadjianastassiou*) საქმეში, „ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა ...მიუთითონ საკმარისი სიცხადით ის საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღეს გადაწყვეტილება.“¹³

სამართლებრივი გადაწყვეტილების მიზეზების მოტანის აუცილებლობა მჭიდრო კავშირშია სამართლის, როგორც მეცნიერების ბუნებასთან. სამართალი უფრო ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მიეკუთვნება, ვიდრე საბუნებისმეტყველოს. სამართალში ამა თუ იმ მტკიცების სისწორის გარკვევა შეუძლებელია მეცნიერული ექსპერიმენტის მსგავსი მეთოდის გამოყენებით. აქ ჰიპოთეზის შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ მოტანილი მიზეზების საფუძველზე, რომლებიც უნდა იყოს ამომწურავი და ლოგიკური. მიზეზების გარეშე გადაწყვეტილებას ვერ ექნება პრეტენზია არა მარტო სიზუსტეზე, არამედ სამართლებრივი ხასიათის ქონაზე. შესაბამისად, არგუმენტირების გარეშე შეუძლებელი იქნება სწორი გადაწყვეტილების განსხვავება თვითნებურისაგან. სხვა სიტყვებით, გადაწყვეტილება, სადაც არ არის მოტანილი მისი მიზეზების საფუძვლები, შეიძლება არ იყოს თვითნებური თუმცა, ნამდვილად დატოვებს ასეთ შთაბეჭდილებას. აღსანიშნავია, რომ იტალიაში სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ან მასში ლოგიკის არარსებობა საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრების სპეციალური საფუძველია.¹⁴ ამასთან, დ. ჰარისი მიუთითებს, რომ თუ წარმოდგენილ მასალას, მისი დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში, ექნება საქმისთვის გამომწვევი მნიშვნელობა, იგი საჭიროებს კონკრეტულ და გამომხატულ პასუხს სასამართლოს მხრიდან.¹⁵

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს დასაბუთება უნდა მოიცავდეს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა მტკიცებულებების შეფასება და ფაქტების დადგენა, სამართლებრივი არგუმენტები და საპროცესო საკითხები. დასაბუთება შეიძლება გადმოიცეს შემოკლებული ფორმით, მაგალითად, იმ მუხლზე მითითებით, რომელიც საფუძვლად უდევს საჩივრის უარყოფას, თუ ეს საკმარისია სასამართლოს მოტივაციის გასაგებად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილებაში (განაჩენში) მხარეთა მიერ გამოთქმული ყოველი კონკრეტული არგუმენტი უნდა მიმოიხილოს და თავისი

პოზიცია გამოხატოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენცია არ მოითხოვს განაჩენის რომელიმე ერთი სტანდარტული ფორმით შემუშავებას. საკითხი, თუ რამდენად დააკმაყოფილა სასამართლომ განაჩენის დასაბუთების მოთხოვნა, ყოველ ცალკეულ საქმესთან დაკავშირებით ინდივიდუალურად განიხილება.

საქმეში *Gradinar v Moldova* სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების (განაჩენის) დასაბუთების ვალდებულება ხშირად გაგებულა, როგორც საქმის ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე მსჯელობის ვალდებულება. თუ სასამართლო სრულიად დუმს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ქვემოთ გომი ინსტანციის სასამართლოების მხრიდან სერიოზული პროცედურული დარღვევები, ეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების (კონვენციის მე-6(1) მუხლის) დარღვევას წარმოადგენს. სასამართლომ ასევე, დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა ისეთ შემთხვევაში, როდესაც შიდა სასამართლოებმა დუმილი ამჯობინეს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული კანონის მთელ რიგ სერიოზულ დარღვევებსა და რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის საკითხზე მათ შორის, იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულს ალიბი ჰქონდა მკვლელობის სავარაუდო დროსთან დაკავშირებით.¹⁶

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ავალდებულებს სასამართლოებს დაასაბუთონ თავიანთი განაჩენები, მაგრამ ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხი უნდა იქნას გაცემული. საკითხი, თუ რამდენად შეასრულა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.¹⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ექსპერტის დასკვნას, რომელიც იყო მნიშვნელოვანი მტკიცებულება დაცვის მხარისათვის, პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია. აღნიშნული დასკვნა შეიძლება გადაწყვეტი ყოფილიყო იმის დასადგენად, თუ რამდენად წარმოადგენდა ის ქმედებები სისხლის სამართლის დანაშაულს, რომლებიც პირს ბრალად ედებოდა. სააპელაციო სასამართლოს წინაშე განმცხადებლის არგუმენტი იყო ექსპერტის დასკვნა, რომელიც უკანონოდ იქნა უარყოფილი სასამართლოს მიერ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ არგუმენტზე კონკრეტული და გასაგები პასუხი უნდა გაცემულიყო. ამგვარი პასუხის არარსებობის პირობებში შეუძლებელია იმის დადგენა, სააპელაციო სასამართლომ უბრალოდ უგულებელყო განმცხადებლის მიერ წარდგენილი არგუმენტები, თუ იგი უბრალოდ არ გაიზიარეს და თუ ეს იყო მისი განზრახვა, რა მიზეზებმა განაპირობა ასეთი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს სრული დუმილი საექსპერტო დასკვნის უარყოფის კანონიერების შესახებ, არ შეესაბამება სამართლიანი სასამართლო განხილვის კონცეფციას, რამაც მე-6 მუხლის დარღვევა გამოიწვია.¹⁸

მნიშვნელოვანი მტკიცებულების უარყოფის კონტექსტში, განსაკუთრებით საინტერესო საქმეა *Vetrenko v Moldova*, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია მის კომპეტენციაში არ შედის საქმის ფაქტობრივი გარემოებების თავიდან გადასინჯვა ან „მეოთხე ინსტანციის სასამართლოს“ სახით მოქმედება და განმცხადებლის ბრალეულობის ან უდანაშაულობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუმცა, მოცემულ საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ განიხილეს განმცხადებლის ალიბი, რომელიც მას ჰქონდა მკვლელობის ღამეს. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი

ეხებოდა დაცვის ერთ-ერთ უძლიერეს არგუმენტს, იგი სათანადოდ არ შეფასდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა რაიმე მისაღები განმარტება შიდა სასამართლოების გადაწყვეტილების გასასამართლებლად. სამართალწარმოების პირველ ეტაპზე გასამართლეს განმცხადებელი და იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს განაჩენში რაიმე ახალი მტკიცებულების არსებობაზე საუბარი არ იყო, განმცხადებელს მსჯავრი დასდეს სამართალწარმოების მეორე ეტაპზე, უგულებელყვეს რა, ის გარემოებები, რომელთა გამო მანამდე ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი იქნა მიღებული.¹⁹

ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მათი განაჩენების სტილით. ზოგიერთ ქვეყანაში მაღალი ინსტანციის სასამართლოების განაჩენები საკმაოდ გრძელია (ზოგადი სამართლის სისტემები), ხოლო ზოგიერთ სხვა სისტემაში ისინი მოკლეა (საფრანგეთის მაღალი ინსტანციის სასამართლოების სტილი). ცნობილია, რომ სამართალწარმოების დროს ერთი მხრივ, მოსამართლეები არ არიან ვალდებული შემოიფარგლონ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული გადაწყვეტილებებით და მათ უფლება აქვთ გადაუხვიონ ამ მოთხოვნებიდან, თუ მათ ამისთვის ლეგიტიმური მიზეზი აქვთ. ეს მიდგომა უკვე არაერთგზის გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. თუმცა, მეორე მხრივ, მოუწოდა ფრთხილი მიდგომისკენ და აღნიშნა, რომ საჭიროა თავის შეკავება არაგანჭვრეტადი გადახვევისაგან და მოუწოდა უზენაეს სასამართლოებს დაასახელონ ის მიზეზები, თუ რატომ მოხდა გადახვევა დადგენილი პრაქტიკიდან, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შეეხო.²⁰

ამდენად, საქმის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომელის შესახებაც სასამართლო არ შეიძლება დუმდეს, ხშირად დამოკიდებულია მხარეთა მოქმედებებზე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ არის ვალდებული, მხარეების მიერ წარდგენილ ყველა არგუმენტს შეეხოს (განსაკუთრებით თუ საქმე ეხება მხარის მიერ წარდგენილ გრძელ სამართლებრივ არგუმენტაციას), ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, რომ სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში წარდგენილი ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო არგუმენტები მიმოიხილოს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სათანადოდ დაასაბუთოს საკუთარი ხედვა ამა თუ იმ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ ააშენოს თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, უნდა იზრუნოს ძლიერი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე. ამისათვის ბევრი წინაპირობაა შესასრულებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ავტორიტეტი, რომლის მთავარი საზომი ინდიკატორი ხალხის ნდობაა. ნდობის მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი კი, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სათანადოდ დასაბუთებაა.

დაუსაბუთებელი განაჩენები, გარდა იმისა, რომ უნდობლობით განმსჭვალავს საზოგადოებას სასამართლოს მიმართ, ასევე არღვევს გასაჩივრების უფლებას. დასაბუთებული განაჩენი პირს ეხმარება საჩივარი შეადგინოს წარმოდგენილი არგუმენტების გამოყენებით და საკითხები დააყენოს

კითხვის ნიშნის ქვეშ. თუ სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული არ იქნება, შეუძლებელია იმის გადამოწმება, თუ რამდენად დამოუკიდებელი იყო მოსამართლე მისი მიღებისას და მოქმედებდა თუ არა ის კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში.

სასამართლოს დასაბუთებული განაჩენი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ შეამცირებს ზემდგომ ინსტანციებში აპელაციის ფაქტებს, გასაჩივრებული გადაწყვეტილებების განხილვას კი, გაამარტივებს, რადგან ზემდგომი ინსტანციის მოსამართლეს ნათელი სურათი ექნება საქმის განმხილველი მოსამართლის არგუმენტაციის შესახებ. განაჩენთა დასაბუთების ვალდებულება ასევე, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის – სამართლიანი განხილვის უფლების შემადგენელ ნაწილს და მისი ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არა ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა.

სასამართლო არის ადგილი, სადაც ადამიანი თავისი უფლებების დაცვის მიზნით მიმართავს მას და მოელის მისგან კანონიერ, დასაბუთებულ და სამართლიან გადაწყვეტილებას. პროცესის მონაწილე მხარეებმა უნდა ირწმუნონ, რომ სასამართლომ მოისმინა მათი ყველა არგუმენტი, უარყო ან დაეთანხმა მათ. ყოველივე აღნიშნული კი, ზრდის საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ. განაჩენთა ხარისხის განმსაზღვრელი, კანონიერებასთან ერთად, მისი დასაბუთებულობაა, რომელიც უსამართლობის განცდას არ უტოვებს მოქალაქეს, მით უფრო, რომ საზოგადოების უმეტეს ნაწილს გარემოებებისა და კანონის ობიექტურად აღქმა შეუძლია. აქედან გამომდინარე, განაჩენთა დასაბუთებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსამართლეების მხრიდან, რადგან ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელება მის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

შენიშვნები:

- ¹ ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, გვ. 239.
- ² ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2008 წლის 18 დეკემბრის #11 დასკვნა.
- ³ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება, ცნება, მნიშვნელობა, ფუნქციები, მეთოდოლოგია, ეტაპები და უმნიშვნელოვანესი პრინციპები, გვ. 1-3, http://www.library.court.ge/upload/sasamarTlo_gadawyvetilebis_dasabuTeba_cneba_mniSvneloba.pdf.
- ⁴ ნეფი ს., წნორიაშვილი ნ., აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის კომენტარები, სასამართლოს გადაწყვეტილებების შედგენისას ძირითადი წესების შესახებ, 2014, გვ. 2.
- ⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება, §21.
- ⁶ გადაწყვეტილებათა დასაბუთება – ექსპერტ კევინ ჰიუს მოსაზრებები; სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, 2015, გვ. 166.
- ⁷ იხ.: სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის შესახებ, თბილისი, 2015, გვ. 239-240.
- ⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 271-276 მუხლები.
- ⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის №397აპ-14 განაჩენი.
- ¹⁰ სუნდე ლ. კ., სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კორკელია კ., თბილისი, 2010, გვ. 149-163.
- ¹¹ HIGGINS AND OTHERS v. FRANCE, ECHR, (Application no. 134/1996/753/952)), 19 February 1998.
- ¹² TAXQUET v. BELGIUM, ECHR, (Application no. 926/05), 16 November 2010.
- ¹³ HADJIANASTASSIOU v. GREECE, ECHR, (Application no. 12945/87), 16 December 1992.
- ¹⁴ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009, გვ.127.
- ¹⁵ D. Harris et.al. Law of the European Convention on Human Rights, Oxford, 2009, p. 34.
- ¹⁶ GRÄDINAR v. MOLDOVA, ECHR, (Application no. 7170/02), 8 April 2008.
- ¹⁷ KRASULYA v. RUSSIA, ECHR, (Application no. 12365/03), 22 February 2007.
- ¹⁸ KRASULYA v. RUSSIA, ECHR, (Application no. 12365/03), 22 February 2007.
- ¹⁹ VETRENKO v. MOLDOVA, ECHR, (Application no. 36552/02), 18 May 2010.
- ²⁰ ATANASOVSKI v. THE FORMER YUGOSLAV REPUBLIC OF MACEDONIA, ECHR, (Application no. 36815/03), 14 January 2010.

ბიბლიოგრაფია:

1. ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
3. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2008 წლის 18 დეკემბრის #11 დასკვნა; სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება, ცნება, მნიშვნელობა, ფუნქციები, მეთოდოლოგია, ეტაპები და უმნიშვნელოვანესი პრინციპები, http://www.library.court.ge/upload/sasamarTlo_gadawyvetilebis_dasabuTeba_cneba_mniSvneloba.pdf;

4. ნეფი ს., წნორიაშვილი ნ., აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის კომენტარები, სასამართლოს გადაწყვეტილებების შედგენისას ძირითადი წესების შესახებ, 2014;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება;
6. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის შესახებ, თბილისი, 2015.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის №397აპ-14 განაჩენი;
8. სუნდე ლ. კ., სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კორკელია კ., თბილისი, 2010;
9. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009;
10. D. Harris et.al. Law of the European Convention on Human Rights, Oxford, 2009;
11. HIGGINS AND OTHERS v. FRANCE, ECHR, (Application no. 134/1996/753/952)), 19 February 1998;
 TAXQUET v. BELGIUM, ECHR, (Application no. 926/05), 16 November 2010;
 HADJIANASTASSIOU v. GREECE, ECHR, (Application no. 12945/87), 16 December 1992;
 GRÄDINAR v. MOLDOVA, ECHR, (Application no. 7170/02), 8 April 2008;
 KRASULYA v. RUSSIA, ECHR, (Application no. 12365/03), 22 February 2007;
 VETRENKO v. MOLDOVA, ECHR, (Application no. 36552/02), 18 May 2010;
 ATANASOVSKI v. THE FORMER YUGOSLAV REPUBLIC OF MACEDONIA, ECHR, (Application no. 36815/03), 14 January 2010.

SUBSTANTIATED JUDGEMENT AS CRUCIAL PART OF PROPER JUSTICE

LEVAN TEVZADZE

Judge of Tbilisi Court of Appeals

Head of Criminal Law Case Chamber

Doctor of Ivane Javakishvili Tbilisi State University Faculty of Law

This scientific article concerns importance of substantiated judgement in implementation of criminal law. Relevant attention was given to the issue of substantiating judgements in accordance with criminal legislation of Georgia and precedential law of European Court of Human Rights. Generally, there is no unified standard what the substantiated judgement is, however, in order to earn trust of the society, received decision should be substantiated understandably and clearly. This shall serve to the aim, that the parties will be convinced that the judgement on criminal case is reasonable, legal and just. What and how the court say is as important as what the court decides.

Court is the place which the person addresses in order to protect the rights and expects legitimate, substantiated and just decision from it. Apart from the fact that the unsubstituted decisions prejudices society with mistrust towards the courts, it also violates right of appeal and just inspection, that are protected with Convention on Human Rights and Fundamental Freedoms. Substantiated judgement assists the person to conclude the appeal with arguments and question the issues presented. If the decision is not substantiated, it is impossible to revise how independent the judge was while making this decision or was he acting in the limits of Constitution and law.

Substantiation is defining quality of the judgment, together with legality, that does not leave citizen with feeling of injustice. Moreover, majority of society is able to objectively perceive events and laws. Consequently, special attention should be paid to substantiation of judgments from the judges, as implementation of proper justice is practically impossible without it.

ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების წარმოშობის დადგენის მათერიალური და კროცესუალური საკითხები

ლელა ნადიბაიძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი

აღიარებულია, რომ ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველი არის ქორწინება, მაგრამ ოჯახის შექმნა და საოჯახო ურთიერთობების წარმოშობა არ ხდება მხოლოდ ქორწინებით. ოჯახი შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ ფაქტებს, როგორც არის ბავშვის დაბადება, შვილად აყვანა, ოჯახში მინდობით აღსაზრდელად შვილობილად აყვანა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა იურიდიულ ფაქტებს. სრულყოფილი ოჯახის შექმნისათვის მნიშვნელოვანია როგორც ქორწინება, ისე საერთო შვილების ყოლა და შთამომავლობის განგრძობა. ქორწინების, როგორც ფაქტის, აღიარების მიუხედავად, ბავშვები არ ჩნდებიან მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში, ისინი იბადებიან ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობებით შექმნილ ოჯახებში ან მის გარეშე არსებული ურთიერთობების შედეგადაც, რის გამოც ბავშვების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, არცთუ იშვიათად, საჭირო ხდება ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების წარმოშობის დადგენა.

სტატიის მიზანია არარეგისტრირებულ ქორწინებაში ან მის გარეშე არსებული ურთიერთობების შედეგად დაბადებულ ბავშვებსა და მშობლებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების განხილვა და ანალიზი საერთაშორისო აქტებისა და საკანონმდებლო სიახლეების საფუძველზე.

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების, უკეთესი და ჭეშმარიტი ინტერესების დაცვისათვის უმნიშვნელოვანესია ამ ბავშვთა მიმართ მშობლების არა მხოლოდ სამართლებრივი სტატუსის, არამედ მათი უფლება-მოვალეობებისა და სახელმწიფოს ვალდებულებების განსაზღვრა საერთაშორისო აქტების მიერ აღიარებული პრინციპების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებში რომლებიც მიერთებული არიან ევროპულ კონვენციას „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ (შემდგომში ევროპული კონვენცია), გადადგმულია ან იდგმება ნაბიჯები ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესებისათვის. მათსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსებს შორის იმ განსხვავებათა შემცირებით, რომლებიც იწვევენ პირველთა სამართლებრივ თუ სოციალურ ნაკლოვანებებს. კონვენციის მიზანია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში აღიარებული პრინციპების გაზიარება და პრაქტიკის, მათ შორის ისეთი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება, რითაც ქორწინების გარეშე ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვის უფლებები იმდაგვარად იქნება დაცული, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მშობლების ბავშვის უფლებები. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას (კონვენციის მიზნებისათვის კი, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუ რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას), შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფოები, რომლებიც მიერთებულია ევროპულ კონვენციას, იღებენ ვალდებულებებს და სწამთ, რომ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული საერთო წესების ფორმულირება გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას და წვლილს შეიტანს ამ სფეროში წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების ჰარმონიზაციაში, რისთვისაც თითოეული ხელშემკვრელი მხარე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის დებულებებთან. ამ მიზნით, ქართულ კანონმდებლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც თავის მხრივ, უდავოდ ხელს შეუწყობს „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ კონვენციით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

კერძო და მათ შორის სამართლებრივ ურთიერთობებში ნების გამოხატვას ნებაყოფილობის საწყისებზე პირდაპირი მნიშვნელობა აქვს გამოხატვის სამართლებრივი შედეგების კუთხით. სწორედ იმისათვის, რომ დაცული იყოს ბიოლოგიური მშობლისა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლება—ჰყავდეს სამართლებრივი სტატუსის მქონე მშობელი, რაც ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით არის გარანტირებული, მამობა შეიძლება დადგინდეს ნებაყოფლობითი აღიარებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს უკანასკნელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მაშინ, როდესაც არარეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვის მშობლები ვერ აღწევენ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ პირი არის ბავშვის მამა.

ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია არა მხოლოდ მეუღლეთა, არამედ მათი შვილების ინტერესთა დაცვის მიზნითაც. სწორედ ამიტომ, შვილების მიმართ უფლებათა დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს მამობის პრეზუმფციის პრინციპი. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ქორწინებაში გაჩენილი ბავშვის მამა დედის ქმარია, ამიტომ უსაფუძვლოა დედას მოეთხოვოს იმის მტკიცება, რომ გაჩენილი ბავშვის მამა მასთან ქორწინებაში მყოფი პირია ან პირიქით – მამამ ამტკიცოს, რომ სწორედ ისაა ქორწინებაში გაჩენილი ბავშვის მამა. ეს არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ მნებობრივ წარმოდგენებს და შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს ბავშვის მშობლები.¹

ბავშვის დაბადება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა მეუღლეთა თანაცხოვრებაში და საერთოდ, ოჯახურ ურთიერთობებში. შვილების მშობლებისაგან წარმოშობა წარმოადგენს მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველს, რისთვისაც აუცილებელია დგინდებოდეს აღნიშნული ფაქტი – ბავშვების მშობლებისაგან წარმოშობა იმისდა მიუხედავად, მათი მშობლები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში თუ ცხოვრობენ ერთად თუ ცალ-ცალკე. ამის გათვალისწინებით, კანონმდებლობა პრაქტიკულად, ამომწურავად განსაზღვრავს როგორც ამ ურთიერთობის საფუძვლებს, ისე მისი დადგენის სამართლებრივ შესაძლებლობებს, მხედველობაში გვაქვს არარეგისტრირებულ ქორწინებაში ან მის გარეშე არსებული ურთიერთობების შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ მშობლის უფლებების დადგენა. შვილების წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება დაბადების სააქტო ჩანაწერით, რომელიც სრულდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. მამის გარდაცვალების შემთხვევაში, ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს, 10 თვისა. იმ ბავშვის დაბადების რეგისტრაცია, რომელიც ჩასახული იყო ქორწინების პერიოდში, მაგრამ დაიბადა განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შემდგომ და ამავე დროს, მის დაბადებამდე გასულია არაუმეტეს, 10 თვისა, ხორციელდება იმავე წესების დაცვით, როგორც ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვის. მამის მიერ ასეთი ჩანაწერის უარყოფას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს და იგი შეიძლება უარყოფილ იქნას მხოლოდ სასამართლოს წესით, მამობის დადგენასთან დაკავშირებული წესებისა და პირობების შესაბამისად.

როგორც წესი, დაქორწინებული მშობლებისაგან ბავშვის წარმოშობის დადგენა არ არის სადავო. სადავო და დასადასტურებელი არის სწორედ დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების წარმოშობის ფაქტი, რადგან ამ შემთხვევაში ვერ ხდება მამობის პრეზუმფციის პრინციპზე დაყრდნობით ვარაუდის დაშვება, რომ დაბადებული ბავშვის მამად მიიჩნევა პირი, ვინც მის დედასთან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. ბავშვის დაბადება იურიდიულ ფაქტად ითვლება მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს მიერ მისი დადასტურების შემთხვევაში, ამ ფაქტის სახელმწიფო რეგისტრაციის გზით. სწორედ ბავშვის წარმოშობის დადგენა ქმნის ობიექტურ წინამძღვრებს ბავშვის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვასა და მის აღზრდასთან დაკავშირებული მშობლების მოვალეობათა შესრულებისათვის.

საოჯახო სამართალში იურიდიულ ფაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა და თავისებურება ახასიათებთ, რადგან ეს ურთიერთობები განსხვავებით სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტე-

ბისაგან, წარმოიშობა არა ხელშეკრულებებისა და დელიქტების საფუძველზე, არამედ ძირითადად, იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სამართლებრივი ურთიერთობები კი, თავის მხრივ, არ არსებობს მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობათა გარეშე. ამდენად, ეს იურიდიული ფაქტებიც ყურადსაღებია იმ კუთხით, რომ ისინი არიან უფლებაწარმოშობი, უფლებააღმდგენი, უფლებაშემცვლელი ანდა უფლებაშემწყვეტი შინაარსის.² მიუხედავად იმისა, რომ მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველია ბავშვის დაბადება რეგისტრირებული ქორწინების დროს და სისხლით ნათესაობა, ის არ გამოირიცხავს ამ ურთიერთობის წარმოშობას ისეთი იურიდიული ფაქტის არსებობისას, როგორც არის ქორწინების გარეშე ბავშვების მიმართ მამობის ფაქტის დადგენა.

ბავშვის მშობლებისაგან წარმოშობის დადგენისას, დედისაგან წარმოშობა როგორც წესი, არ წარმოადგენს სიძნელეს. ბავშვს და დედას შორის უფლება-მოვალეობათა წარმოშობას საფუძველად უდევს მათ შორის სისხლით ნათესაობის ფაქტი, რაც ემყარება ბავშვის დედისაგან დაბადებას მიუხედავად იმისა, ბავშვის დედა იმყოფება თუ არა რეგისტრირებულ ქორწინებაში ბავშვის ბიოლოგიურ მამასთან. მაგრამ ბავშვსა და მის მამას შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა სისხლით ნათესაობასთან ერთად, დაკავშირებულია ქორწინების რეგისტრაციასთან. ამ უკანასკნელს არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა მაშინ, როდესაც პირი ნებაყოფლობით აღიარებს ასეთი ბავშვის მამობას ან როცა ეს ფაქტი დადასტურებულია სასამართლოს წესით. მამისაგან წარმოშობის დადგენა პრობლემური და მნიშვნელოვანია მაშინ, თუ ბავშვი იბადება ფაქტობრივ საქორწინო ან მითუმეტეს, მის გარეშე არსებული ურთიერთობის შედეგად. თუ ბავშვის მშობლები არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, ასეთი ბავშვების მიმართ მამობის შესახებ ჩანაწერი შეიძლება გაკეთდეს და შესაბამისად, მამობა დადგინდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძველებით და წესით. ერთ-ერთ ასეთ საფუძველს წარმოადგენს მამობის დადგენა ნებაყოფლობითი აღიარების წესით, როდესაც მშობლები შვილის მათგან წარმოშობას ეთანხმებიან და ამის შესახებ ერთობლივი განცხადებით მიმართავენ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, რა დროსაც ბავშვის დედად ცნობა ხდება დედის მიერ ბავშვის გაჩენის შესახებ სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული სათანადო დოკუმენტებით დამტკიცებული დაბადების ფაქტის საფუძველზე, ხოლო მამად პირის ცნობა კი, მისივე განცხადების საფუძველზე, რა თქმა უნდა, დედის მიერ ამ ფაქტის თანხობის შემთხვევაში. დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დედის შესახებ მონაცემები მიეთითება დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტისა და დედის განცხადების საფუძველზე, ხოლო მამის შესახებ მონაცემები მამის განცხადების საფუძველზე. მშობელთა ერთობლივი განცხადების წარუდგენლობის ან წარდგენის შეუძლებლობისას, მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლოს წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი აგრეთვე, თვით ბავშვის განცხადების საფუძველზე, სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ.

მამობის ნებაყოფლობით აღიარება არის ცალმხრივი ნების გამოვლენის შესაბამისი იურიდიული აქტი, რაც საფუძველად ედება ბავშვისა და მამის სამართლებრივ კავშირს ანუ მათ შორის სამართლებრივ ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ურთიერთობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მამის ნება-სურვილს, გამოხატულს განცხადებაში, დედის თანხმობაც არის გარკვეული სამართ-

ლებრივი და გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე იმისათვის, რომ კონკრეტული პირი – განმცხადებელი აღიარებულ იქნას ბავშვის მამად. თუმცა, არსებობს საგამონაკლისო რეგულაცია, როდესაც მამობის დადგენას საფუძვლად უდევს მხოლოდ მამის მიერ წარდგენილი განცხადება. თუ დაბადების რეგისტრაციის მომენტისათვის დედა გარდაცვლილია, სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, ასევე, თუ ბავშვი არასრულწლოვანია, ხოლო დედა არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და მისი ინდივიდუალური შეფასება არ მომხდარა და როდესაც არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება. ასეთ შემთხვევაში, ბავშვის დაბადების შესახებ სამოქალაქო აქტში ბავშვის მამის მონაცემები არ მიეთითება და მის შესაბამის გრაფაში ავტომატურად მიეთითება ბავშვის დედის გვარი, ბავშვის სახელი და მამის სახელი დედის მითითებით, ხოლო დავის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

მამობის აღიარება როგორც წესი, ხდება არასრულწლოვანი ბავშვის მიმართ, მაგრამ ეს აგრეთვე, შესაძლებელია სრულწლოვანი პირის მიმართაც, რისთვისაც აუცილებელია თავად სრულწლოვანი პირის თანხმობა, ხოლო თუ ეს პირი სასამართლოს მიერ ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ასეთი თანხმობა საჭირო არ არის, თუ მამობის დადგენის რეგისტრაცია ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. რაც შეეხება ნებაყოფლობით მამობის აღიარებას, ის შეიძლება განახორციელოს როგორც სრულწლოვანმა, ისე არასრულწლოვანმა პირმა. ასევე, სრულწლოვანმა, შეზღუდულქმედუნარიანმა პირმა, რომლის მიმართაც სასამართლოს მიერ დაწესებულია მზრუნველობა მის მიერ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების გამო. სსკ-ის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთი პირები შეზღუდული არიან ქონებრივ ურთიერთობებში, მაგრამ მამობის აღიარების უფლების მიმართ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება, ისე როგორც ქორწინებისას, რომელიც დაიშვება მხოლოდ მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით. თუ ბავშვის მამა ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად, მამობის დადგენის რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღიარების გზით მამობის დადგენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ეფუძნება ბავშვის დედასა და მისი ბიოლოგიური მშობლის ან იმ პირის, ვინც ასეთად აღიარებს თავს, მიერ წარდგენილ განცხადებას, რაც რეგისტრაციის ორგანოს აძლევს უფლებას, რომ განმცხადებელი მამაკაცი ჩაიწეროს ბავშვის მამად როგორც სააქტო ჩანაწერში, ისე მის საფუძველზე გაცემულ დაბადების მოწმობაში მიუხედავად იმისა, თვლიდა თუ არა ეს ადამიანი/პირი თავს ბავშვის მამად. არავითარი მნიშვნელობა მოტივს ამ განცხადების გაკეთებისათვის არა აქვს, ანუ მოქმედებდა თუ არა ის შეგნებულად თუ რაიმე ჰუმანური მოსაზრებებით თუ უბრალოდ დაიბნა. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა იმთავითვე იცოდა, რომ ის არ იყო ბავშვის მამა, განცხადებით ნების გამოხატვის შემდეგ არა აქვს უფლება გაასაჩივროს სააქტო ჩანაწერი. ამასთან, ევროპული კონვენციის მე-IV მუხლის თანახმად, მამობის ნებაყოფლობითი აღიარება არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული ან ეჭვქვეშ დაყენებული თუ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ პროცედურებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პიროვნება, რომელსაც სურს აღიაროს ან უკვე აღიარა ბავშვი – არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია სსკ-ის 1190-ე მუხლით, რომლის თანახმად, პირს, რო-

მელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე. საგულისხმოა, რომ მამობის დადგენის თაობაზე მშობელთა ერთობლივი განცხადება ჯერ კიდევ, დაუბადებელ ბავშვთან დაკავშირებითაც შესაძლებელია წარდგენილ იქნას დედის ორსულობის პერიოდში ორსულობის ვადის მიუხედავად, თუ ის თვლის, რომ ასეთი აღიარების გაკეთება ბავშვის დაბადების შემდგომ შეუძლებელი იქნება გარკვეული ობიექტური გარემოებების გამო (მაგალითად, გრძელვადიან მივლინებაში ყოფნა, სიცოცხლისათვის საშიში ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო და სხვა). ამისათვის საჭიროა აღიარების შესახებ განცხადება დამოწმებული იქნას სანოტარო წესით. ამ შემთხვევაში მამობის დადგენის რეგისტრაციისათვის საჭირო არ არის მშობელთა ახალი განცხადების წარდგენა, თუ წარდგენილი განცხადება არ იქნა გამოთხოვილი ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მიერ ან მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა სხვა სახელმწიფოს სასამართლომ და ცნობილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული დაბადებისა და მამობის დადგენის სამოქალაქო აქტების ხელახალი რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე, საქართველოს მოქალაქის არასრულწლოვანი შვილის მიმართ. ასეთი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვი უჩნდებათ თავად არასრულწლოვან მშობლებს. რაც შეეხება ბავშვის ასაკს, მის მიმართ მამობის დადგენისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, ის შესაძლებელია ნებისმიერ დროს სრულწლოვანების მიღწევამდე, სრულწლოვანების შემდეგ კი, მხოლოდ სრულწლოვანი პირის თანხმობით. ამავე დროს, პირი, რომელსაც სურს მამობის დადგენა არასრულწლოვანი შვილის მიმართ და იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, ის არ საჭიროებს მეუღლის თანხმობას. მამობის დადგენის განსაკუთრებული წესი დადგენილი იმ შემთხვევისათვის, როდესაც დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებულია პირი, რომელიც მისი ბიოლოგიური მამა არ არის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია მამობის დადგენის რეგისტრაცია განახორციელოს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მშობლებად მითითებული პირებისა და ბიოლოგიური მამის ერთობლივი მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას შედგენილი მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ბათილად ჩაითვლება. მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ბათილად ჩაითვლება მაშინაც, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებული პირი მისი მამა არ არის. მაგრამ, თუ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამის მონაცემები შეტანილია მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ან მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერის საფუძველზე, მამობის დადგენის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მამობის დადგენის რეგისტრაცია განხორციელდა ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას. დაბადების რეგისტრაციისას პირის ბავშვის მამად აღიარების შემთხვევაში, მამობის დადგენის რეგისტრაცია არ ხორციელდება. მამობის აღიარება პირს შეუძლია ასევე, ბავშვის დედასთან დაქორწინების შემთხვევაში, რა დროსაც მისი ეს გადაწყვეტი-

ლება გაცხადებული უნდა იქნას შესაბამისი განცხადებით, მაგრამ ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბავშვის დაბადების შესახებ სააქტო ჩანაწერში არ არის გაკეთებული ჩანაწერი მამის შესახებ. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა კანონით განსაზღვრული წესით ასევე, შეიძლება დაადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას. რეგისტრაციის ორგანოს მიერ მამობის აღიარებაზე უარის თქმა არ ართმევს პირს უფლებას მიმართოს სასამართლოს სარჩელით მამობის დადგენის შესახებ. სრულწლოვანი პირის მიმართ მამობის დადგენის რეგისტრაცია, აგრეთვე, მისი გვარის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ამ პირის თანხმობით, ხოლო თუ ეს პირი სასამართლოს მიერ ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ასეთი თანხმობა საჭირო არ არის, თუ მამობის დადგენის რეგისტრაცია ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარების გზით მამობის დადგენის დროს, თუ ბავშვის მამა კანონით დადგენილი წესით აღიარებულია ქმედუნაროდ, დაუშვებელია მამობის დადგენის რეგისტრაცია როგორც მისი, ასევე მისი მეურვის განცხადებით, ხოლო თუ ბავშვის მამა ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად, მამობის დადგენის რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მხარდაჭერის მიმღები ანუ „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“ – სათვის აღნიშნული სტატუსის მინიჭება ხორციელდება სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით. ვიდრე სამართლებრივ სივრცეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და „შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ კონვენციის საფუძველზე არ იქნა შემოტანილი ცნება – „მხარდაჭერის მიმღები“, სამედიცინო დასკვნის არსებობა საკმარისი იყო იმისათვის, რომ პირი სასამართლოს ელიარებინა ქმედუნაროდ და უარი ეთქვა მისთვის სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებაზე. აღნიშნული პრინციპულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო მიდგომას, რადგან კონვენცია „შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის“ მსგავს მიდგომას მიიჩნევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვად და აცხადებს, რომ: „კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილ და თანასწორ სარგებლობას და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემას.“ ამისათვის კი, მხოლოდ სამედიცინო დასკვნის არსებობა არ არის საკმარისი ფაქტობრივი გარემოება, რომ დღის წესრიგში დადგეს პირის სამოქალაქო ქმედუნარიანობის განხილვის საკითხი. შესაბამისად, კანონმდებლობა აღიარებს, რომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს (მხარდაჭერის მიმღებს) გააჩნია სამოქალაქო ქმედუნარიანობა და მისთვის ამის წართმევა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-16 მუხლს, პირი უფლებამოსილია სხვებისგან ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარე სამყაროსთან. თუმცა, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით (მყარი ფსიქიკური და ინტელექტუალური გადახრების გამო), მხარდაჭერის მიმღებმა, ისევე როგორც ქმედუნარიანმა პირმა, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების შეფასების შემდეგ, მხარდაჭერის დახმარებით თავად უნდა მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში. მხარდაჭერის მიმღების სტატუსის დასადგენად აუცილებ-

ბელია, რომ: 1) პირს ჰქონდეს მყარი ფსიქიკური ან ინტელექტუალური დარღვევა; 2) ეს დარღვევები ხელს უშლიდეს სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებაში; 3) საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი სრული მონაწილეობა იზომება სხვებთან თანაბარ პირობებში მონაწილეობის შესაძლებლობით და ის ამავდროულად უნდა იყოს 18 წელს მიღწეული. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პირის მიერ სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვასა და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, ასეთ პირს კანონმდებლობა მიიჩნევს ქმედუნარიან პირად, რომელიც თავის ნებას მხადამტერის მიერ გაწეული დახმარებით გამოხატავს, დახმარების საჭიროების სფეროსა და ფარგლებს სამედიცინო დასკვნის გათვალისწინებით განსაზღვრავს სასამართლო. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ მხარდაჭერის მიმღების სტატუსი და მის სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაცია სადავო თეორეტიკოსებს შორის, განსაკუთრებით საექსპერტო დასკვნის, როგორც უტყუარი და ჭეშმარიტი მტკიცებულების, მომზადებასთან მიმართებაში, ვინაიდან ეს სირთულეები დაკავშირებულია დაავადების (მყარი ინტელექტუალური ან ფსიქიკური დარღვევის) დინამიკურ ხასიათთან, რის გამოც შეუძლებელია სამომავლო პროგნოზების განსაზღვრა, რაც ნიშნავს, რომ ექსპერტის მიერ დღეს გაცემული დასკვნა შეიძლება ერთი კვირის შემდეგ, რეალობას აღარ შეესაბამებოდეს.³ რადგან ამ სტატუსის მიზანი არ არის ფიზიკურ პირთა სამართალსუბიექტობის განხილვა, გარდა იმ საკითხებისა, რაც ეხება მამობის დადგენას, მხარდაჭერის მიმღების სტატუსის განსაზღვრის საფუძვლებსა და მათთან მიმართებით სამართალსუბიექტობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით დეტალურ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

მამობის აღიარების უფლება აქვს არა მხოლოდ სრულწლოვან პირს, არამედ არასრულწლოვანსაც კანონიერი წარმომადგენლის – მშობლის/მზრუნველის თანხმობით. ლიტერატურაში, გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ არასრულწლოვანი პირის მიერ მამობის აღიარება საფუძვლად დაედოს ამ პირის სრულ ქმედუნარიანობას, ისე როგორც ეს იყო ქორწინებით ემანსიპაციის შემთხვევაში.⁴ ამ მოსაზრების მიზანშეწონილობას ზოგიერთი მეცნიერი ემხრობა იმ პირობით, თუ ასეთ არასრულწლოვან ემანსიპირებულ პირს სრულწლოვანების მიღწევამდე შეუნარჩუნდება მშობლებისაგან სარჩოს მიღების უფლება.⁵ თუ გავითვალისწინებთ, რომ დაქორწინების ფაქტზე არანაკლები მნიშვნელობისაა არასრულწლოვანი პირის მამად ცნობა და იმასაც, რომ კანონმდებლობამ უარყო არასრულწლოვანის ქორწინებით ემანსიპაცია, ვფიქრობთ, რომ კანონმდებლობის ასეთი მიდგომა ერთგვარი დასაბუთებაა ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ და კიდევ ერთხელ ამყარებს პოზიციას, რომ არასრულწლოვანის მიერ მამობის ფაქტის აღიარება არ უნდა გახდეს მისი ემანსიპაციის საფუძველი, რადგან ამ საფუძველით არასრულწლოვანი ექცევა კერძოსამართლებივი ურთიერთობის ისეთ სივრცეში, რომელშიც მისი სრულფასოვანი ფუნქციონირება შეუძლებელია სრული ქმედუნარიანობის სტატუსის გარეშე. სრული ქმედუნარიანობა ამ ურთიერთობის ობიექტური მოთხოვნაა. არადა, არასრულწლოვანების ასაკში პირი თავისუფლების პირობებში სრულფასოვნად ვერ ახდენს თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვებისაგან ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარე სამყაროსთან.⁶ ამასთან, ობიექტურობისათვის უნდა ითქვას,

რომ მამობის აღიარება „ფორმალურად“ უპირველესად, იმ ფაქტის აღიარებაა, რომ ბავშვი გაჩენილი/დაბადებულია ამ ორი ადამიანის – ბავშვის დედისა და მამის ფაქტობრივი თანაცხოვრების შედეგად.

მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ერთობლივი განცხადების არარსებობისას ან მისი წარდგენის შეუძლებლობისას, მამობის დადგენა კანონით შესაძლებელია სასამართლოს გზით. მამობის დადგენის საქმე სასამართლოში განიხილება სასარჩელო წარმოების წესით. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის წესით, მამობის დადგენასა და დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანას კანონი არ ითვალისწინებს. ასეთი საქმეების აღძვრა დაიშვება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ჩანაწერი შეიძლება აღდგეს მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. თუ მამობის დადგენის რეგისტრაციის ფაქტის დადგენის მიზნით, სასამართლოს მიმართა მამამ ან შვილმა, მაშინ მეორე მხარე უნდა ჩაერთოს საქმეში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებულ პირად. თუ დაინტერესებულ პირად საქმეში ჩართული პირი უარყოფს რეგისტრაციის ფაქტს, ეს ვერ დააბრკოლებს უდავო წარმოების წესით საქმის განხილვას. ეს იქნება დავა ფაქტის და არა უფლების თაობაზე, რომლის შესახებაც საუბარია სსსკ-ის 311-ე მუხლში. თუ მამობის რეგისტრაციის შესახებ დავა გადაიზრდება უფლების შესახებ დავაში, საქმე განიხილება სასარჩელო წარმოების წესით.⁷

სსსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, დგინდება მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მამობის დადგენის რეგისტრაციის ფაქტი, ისე როგორც ქორწინების, განქორწინების, სახელის ანდა გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის/შვილების ფაქტები.

სასარჩელო წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო მხედველობაში იღებს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლს, რომელიც გარდა სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველებისა, განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ მოითხოვონ ბავშვის მამობის დადგენა. ასეთი უფლების მქონე პირი, გარდა ბავშვის მშობლებისა შეიძლება იყოს ბავშვის მეურვე (მზრუნველი) ან ის პირი, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე, თვით ბავშვი მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. რაც შეეხება კმაყოფაზე მყოფი პირების უფლებას, ასეთებს მიეკუთვნებიან პირები, ვისაც კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული მათი რჩენის ვალდებულება (მაგალითად, პაპა, ბებია, სრულწლოვანი დედმამიშვილი, დედინაცვალი ანდა მამინაცვალი), რომელიც მათ აძლევს უფლებას გამოვიდნენ სასამართლოში მოსარჩელედ, მათ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანის მიმართ მამობის დადგენის მოთხოვნით. რაც შეეხება სრულწლოვანი პირის მიერ სარჩელის წარდგენას, ის სრულად დამოკიდებულია თვით ამ პირის ნებაზე, რაც არის მისი ღრმად პირადი საქმე, ხოლო თუ სარჩელი სრულწლოვანი პირის ქმედუუნარობის/მხარდაჭერის მიმღებად აღიარების გამო წარდგენილია მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილება მისი კანონიერი წარმომადგენლად ან მხარდამჭერად დანიშვნის შესახებ.

მამობის დადგენის შესახებ საქმის განხილვისას, 2012 წლის 01 თებერვლამდე, სასამართლო ხელმძღვანელობდა სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმად, სასამართლო მხედველობაში იღებდა ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/

და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს ან სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებდა განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას. თუ რა იგულისხმება ამ საბუთში ან გარემოებაში, განსაზღვრული არ არის და მას სასამართლო დაადგენს. შესაძლოა, ეს იყოს წერილი ან მოპასუხის განცხადებები, სადაც დამაჯერებლად იქნება გამოხატული ბავშვის მამის/მოპასუხის ნება, რითაც ის გარკვეულ დროს აღიარებდა ბავშვის მამობას. 2011 წლის 9 დეკემბერს, სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით (რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 01 თებერვლიდან), ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც ეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს. მაგრამ, სასამართლო 2012 წლის 01 თებერვლიდან 1190-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს – განმცხადებლისა და განცხადებაში მითითებული პირის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს ან სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას, მხოლოდ მაშინ იღებს მხედველობაში, თუ მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით (ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგები) ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია. სხვა შემთხვევაში, აღნიშნულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობა მამობის სასამართლო წესით დადგენის საფუძველია. თუ სასამართლო მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად დაასკვნის, რომ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი ახლოსაა რეალობასთან, ანუ როდესაც მტკიცდება ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმართვა ბავშვის დაბადებამდე, ანდა ბავშვის ერთად აღზრდა და რჩენა ან სახეზეა დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მამობის აღიარებას, მაგრამ მოპასუხე უარყოფს ამ მტკიცებულებათა სინამდვილეს და საეჭვოდ ხდის მის დამაჯერებლობას, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლოს უფლება აქვს დანიშნოს ექსპერტიზა როგორც საქმის მოსამზადებელ, ისე განხილვის ეტაპზე. სასამართლო ექსპერტიზის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც არ იძლევა მამობის ფაქტის გამორიცხვის შესაძლებლობას, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მოპასუხის მამად აღიარების მტკიცებულებად. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნას სხვა მტკიცებულებათა მიმართ რაიმე უპირატესობა არ გააჩნია. 1190-ე მუხლის მე-4 ნაწილი დისპოზიციური ხასიათისაა და შეიცავს ბავშვის მამობის დადგენის რამდენიმე საფუძველს და არა სრულ ჩამონათვალს. შესაბამისად, ამ ნორმით დასახელებული საფუძველების კუმულატიურად არსებობა სავალდებულო არ არის და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებულია არა ყველა მითითებული გარემოების არსებობაზე, არამედ მოსამართლის ჩამოყალიბებულ შინაგან რწმენაზე, რომელიც ემყარება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული განხილვით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც სარწმუნოდ ადგენენ ბავშვის მამის ვინაობას. ამდენად, ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მასში გაკეთებული დათქმა სასამართლოს მიერ „მხედველობაში მიღებასთან“ დაკავშირებით შეიძლება განიმარტოს ფართოდ, რაც ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს ისეთი გარემოებები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ/ირიბად მიანიშნებენ მოთხოვნის საფუძველიანობას, ანუ მამობის დადგენისას შესაძლებელია გათვალისწინებულ

იქნას მამობის არაპირდაპირ, ირიბად დადგენი ფაქტობრივი გარემოებებიც. ამასთან, „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-V მუხლის შესაბამისად, მამობის დადგენასთან დაკავშირებულ მოქმედებაში მეცნიერული მტკიცებულებანი, რომლებსაც ძალუძთ ხელი შეუწყონ მამობის დადგენას ან უარყოფას ასევე, დაშვებული იქნება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის ბიოლოგიური მშობელი – მამა არასრულწლოვანია და მამობის დადგენა არ ხდება აღიარების გზით ბავშვის დედისა და მისი ერთობლივი განცხადების რეგისტრაციის ორგანოში წარდგენის წესით, ისმის კითხვა – რა ასაკიდან არის უფლებამოსილი არასრულწლოვანი მიმართოს სასამართლოს მამობის დადგენის მოთხოვნით. ამის პასუხი უნდა ვეძიოთ საპროცესო კანონმდებლობაში. სსსკ-ის 81¹ მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ მატერიალური კანონმდებლობით არასრულწლოვანის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების საფუძვლების შესახებ, რომელსაც განსაზღვრავს სსკ-ის 1198¹ მუხლი, რომლის თანახმად, 14 წლის ასაკიდან არასრულწლოვანს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ მშობელთა/სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, დაცვის მიზნით ასევე, არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას მათ შორის, ორივე ან ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან დგინდება, რომ 14 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვან მშობელს არა აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს მამობის დადგენის მოთხოვნით. ამასთან, 1190-ე მუხლის დანაწესის თანახმად, სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილებით არ სარგებლობენ არც არასრულწლოვანი მშობლის მშობლები (ბავშვის პაპა/ბებია), რადგან მშობლებისაგან შვილის წარმოშობა წარმოადგენს მხოლოდ მისი მშობლების პირად საქმეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი – პაპა/ბებია დანიშნული არიან ამ ბავშვის მეურვედ ან მზრუნველად. ბავშვი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი ასევე, არ არის უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს მამობის დადგენის მოთხოვნით, რადგან აღნიშნული მუხლით პირდაპირ არის განსაზღვრული მის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ.

ბავშვის ბიოლოგიური მამა ყოველთვის როდი ახერხებს სიცოცხლეშივე აღიაროს მამობა, არცთუ იშვიათად ხდება ისე, რომ სურვილის მიუხედავად, ეს ვერ ხერხდება და ისე გარდაიცვლება აღნიშნული პირი. ამის გამო ლოგიკურად ჩნდება კითხვა, მის გარეშე მამობის დადგენის შესაძლებლობის და იმ წესების შესახებ, თუ რა წესით უნდა მოხდეს ფაქტის დადგენა – უდავო თუ სასარჩელო წარმოების წესით. ეს საკითხი მნიშვნელოვანია როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური კუთხით. თუ გავითვალისწინებთ სსსკ-ის მიერ 312-ე მუხლით განსაზღვრულ ჩამონათვალს უდავო წესით იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურების შესაძლებლობის შესახებ, ბავშვის სავარაუდო მამის გარდაცვალებისას, მამობის დადგენა უნდა მოხდეს სასარჩელო წარმოების წესით და მოპასუხედ დასახელებული უნდა იყოს ყველა ის პირი, ვის კანონიერ ინტერესებსაც შეეხება მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება.

საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობები მართალია, განეკუთვნება კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროს, მაგრამ მისი განვითარებისა და სიმტკიცის მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლოს მინიჭებული აქვს ფართო უფლებამოსილება თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად, რაც გულისხმობს სასამართლოს უფლებას თვითონ განსაზღვროს მტკიცების საგანი, ანუ იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა და თვითონ თავისი ინიციატივით გამოითხოვოს არა მარტო ის მტკიცებულებები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები, არამედ რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ მნიშვნელობა აქვთ სადავო (დასადგენ) გარემოებათა დასამტკიცებლად. მათ შორის, მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით შუამდგომლობათა დაკმაყოფილების შესახებ ან თვითონ დანიშნოს იგი (მაგალითად, დანიშნოს როგორც სასამართლო-სამედიცინო, ისე გინეკოლოგიური ექსპერტიზა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ბავშვის ჩასახვის ვადების დადგენა და სხვა). მამობის დადგენასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ექსპერტიზას დანიშნავს სასამართლო, სრულიად დამოკიდებულია მხარეთა დასაბუთებულ შუამდგომლობასა და საფუძვლიანობაზე, რომ არაფერი ვთქვათ თვით ექსპერტიზის დასკვნაზე. ამასთან, მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენით გაზიარებისა და სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასებით დგინდება მამობა. ბიოლოგიური (გენეტიკური) გამოკვლევის მიზნით, დნმ ტესტირება სამედიცინო ხასიათის სხვა მტკიცებულებებისაგან განსხვავებით (მაგალითად, უროლოგიური, იგივე გენიტალური ექსპერტიზა) მამობის დადგენის ყველაზე მაღალი ხარისხის, 99.99% გარანტიას იძლევა. მაგალითად, ამერიკის არაერთ შტატში, თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები მათ შორის, გენეტიკური გამოკვლევის შედეგი ამ ფაქტის დადგენის მიმართ 95%-იან ალბათობას იძლევა, ეს დავის გადასაწყვეტად საკმარისია, ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მაგალითად, ამერიკაში სასამართლო უფლებამოსილია, მხარეთა მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით დანიშნოს გენეტიკური ექსპერტიზა, მაშინ როცა მაგალითად, ბრიტანეთში, სასამართლოს არა აქვს ასეთი ინიციატივის უფლება – დანიშნოს გენეტიკური ექსპერტიზა და იძულების წესით, დაავალდებულოს პირი/სავარაუდო მამა ამ სახის ექსპერტიზის ჩატარებაზე, თუ მას ამის ნება არ გააჩნია. თუმცა, სასამართლო უფლებამოსილია განუმარტოს მხარეებს, რომ აღნიშნულ გამოკვლევას პრაქტიკულად უდიდესი მნიშვნელობა აქვს დავის ამა თუ იმ მხარის ინტერესების გათვალისწინებით გადასაწყვეტად და რომ ბავშვის მამის მიერ ასეთი გამოკვლევის ჩატარებაზე უარის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით ავტომატურად მიანიჭოს მას მშობლის სტატუსი.

მამობის დადგენასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნული რეგულაციები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი იბადება ბიოლოგიური მშობლებისაგან. მაგრამ, უკანასკნელ პერიოდში მეცნიერული მიღწევების საფუძველზე პირებს, რომლებსაც გარკვეული სამედიცინო თუ სხვა მიზეზით არ შეუძლიათ გახდნენ ბიოლოგიური მშობლები, ეძლევათ საშუალება გახდნენ მშობლები ე. წ. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მამად ცნობის საკითხი შედარებით ადვილად მოსაგვარებელი იქნებოდა, საქმე რომ მხოლოდ ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობას ეხებოდა. ასეთი გზით დაბადებული ბავშვის დაბადების შესახებ რეგისტრაციასთან

მიმართებაში, მნიშვნელოვანია სუროგატი დედის ანდა თავად დონორის სამართლებრივი სტატუსი, რომელიც უპირველეს ყოვლისა, იურიდიული კუთხით არის საინტერესო.

რადგან წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების წარმოშობის დადგენის მატერიალურ და პროცესუალურ საკითხებს, ხელოვნურ განაყოფიერებასთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, შინაარსობრივად უფრო მართებულია ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობების გარეშე ან მარტოხელა ქალის მიერ დონორის გამოყენებით გაჩენილი ბავშვის მშობლებისაგან წარმოშობის საკითხის განხილვა. თუმცა, ამ თემასთან დაკავშირებით არანაკლებ საინტერესოა და მნიშვნელოვანია ქორწინებაში მყოფი პირებისაგან ამ გზით დაბადებული ბავშვების მშობლებისაგან წარმოშობის საკითხის განხილვაც.

ხელოვნური განაყოფიერების გზით ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით დედად ან მამად ცნობის საკითხი მოიცავს პირობითად ორ ასპექტს – სამედიცინოს და სამართლებრივს. სტატიის შინაარსის გათვალისწინებით, ამ გზით დაბადებული ბავშვების მიმართ მამობის დადგენის საკითხებზე მსჯელობისას, უნდა განვიხილოთ როგორც სამედიცინო, ისე სამართლებრივი კუთხით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სამი შემთხვევა: 1) როდესაც ბავშვს აჩენს ქალი, რომელიც გადანერგვის გზით ატარებს ქორწინებაში მყოფი ქალის (რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა გარემოებათა გამო თავს არიდებს ორსულობას) ქმრის სპერმით უკვე განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან განვითარებულ ემბრიონს; 2) როდესაც ცოლის კვერცხუჯრედის განაყოფიერების შეუძლებლობის გამო ხდება დონორი ქალის კვერცხუჯრედის განაყოფიერება ამ ქალის ქმრის სპერმით და შესაბამისად, ბავშვს აჩენს დონორი ქალი; 3) როდესაც ცოლის კვერცხუჯრედის ქმრის მიერ განაყოფიერების შეუძლებლობის გამო ქმრის თანხმობით, ხდება ქალის/ცოლის კვერცხუჯრედის განაყოფიერება სხვა დონორი მამაკაცის სპერმით.

პირველ შემთხვევაში, ქალს – სუროგატ დედას (რომელიც არ არის დონორი და გენეტიკურ კავშირში არ იმყოფება ემბრიონთან), რომლის ვინაობა ცნობილია და მეუღლეები ურთიერთშეთანხმებით მასთან აფორმებენ ხელშეკრულებას – ემბრიონის გადანერგვის გზით ნაყოფის მუცლით ტარებისა და ბავშვის მათთვის გადაცემის შესახებ, ხელშეკრულების პირობების მნიშვნელოვანი დარღვევებისას შესაძლებელია გაუჩნდეს მის მიერ გაჩენილი ბავშვის მშობლად ჩაწერის პრეტენზია, რომლის დაკმაყოფილების არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობს, რადგან არსებული სამედიცინო და სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, ბავშვი არის გენეტიკური მშობლებისაგან წარმოშობილი. სწორედ ამით არის განპირობებული ამ გზით გაჩენილი ბავშვის მიმართ დაბადების სააქტო ჩანაწერის გასაკეთებლად სუროგატ დედასა და გენეტიკურ მშობლებს შორის დადებული ხელშეკრულების წარდგენის აუცილებლობა. შესაბამისად, სუროგატ დედას უფლება არა აქვს სადავო გახადოს მისი სამართლებრივი კავშირი მის მიერ გაჩენილ ბავშვთან და მოითხოვოს ბავშვის დედად მისი ჩაწერა და გაჩენილი ბავშვის მისთვის მიკუთვნება. მეორე და მესამე შემთხვევაში, კი, ეს შეუძლებელია იმის გამო, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბავშვის დაბადების შემთხვევაში, უშვილო წყვილი ან მარტოხელა ქალი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით. დონორს არა აქვს განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება; ასევე, დონორს ან სუროგატ დედას არა

აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება და „ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით“ (მუხლი 141, 143). აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ამდაგვარადვე იყო გადაწყვეტილი 1997 წლის სამოქალაქო კოდექსისა და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე მოქმედი 1970 წლის საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსით, რომლის 52-ე მუხლის თანახმად: „ქმარი, რომელიც თანახმა იყო დონორის მეშვეობით თავისი ცოლის ხელოვნურ განაყოფიერებაზე, იწერებოდა ამ ქალის მიერ დაბადებული ბავშვის მამად და უფლება არ ჰქონდა სადავო გაეხადა ჩანაწერი.“ ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვების მიმართ დაბადების სააქტო ჩანაწერის გაკეთების შემდგომ, მათ მშობლებად ჩაწერილ პირებთან მიმართებაში აქვთ ზუსტად ისეთივე უფლება-მოვალეობანი, როგორც ბუნებრივად, ბიოლოგიური მშობლებისაგან დაბადებულ ბავშვებს. მარტოხელა ქალის მიერ გაჩენილი ბავშვის მიმართ დაბადების სააქტო ჩანაწერი დედის მიმართ კეთდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთის საფუძველზე, მამის შესახებ კი, თუ მამობა არ არის დადგენილი, მამის გვარად მიეთითება დედის გვარი, ხოლო ბავშვის და მამის სახელი დედის მითითებით. თუ მარტოხელა ქალის მიერ ბავშვის გაჩენა ხდება დონორის გამოყენებით, აღნიშნული კანონით ასეთ პირებს არც ქალს და არც დონორ მამაკაცს, მათ მიერ ამ ინფორმაციის შეტყობის მიუხედავად, არა აქვთ დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება.

განხილული საკითხების ბოლოს, უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, ვერ შეცვლის ამ ორგანოს მიერ გასაცემ დოკუმენტებს. შესაბამისად, სასამართლო თავის გადაწყვეტილებას მამობის დადგენის შესახებ მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით, რის საფუძველზეც რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს მამობის დადგენის რეგისტრაციას და შესაბამისი ცვლილება შეაქვს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში. ამასთან, მამობის აღიარების/დადგენის ფაქტს უკუქცევითი ძალა აქვს და სამართლებრივი ურთიერთობა მამისა და მისი ნათესავების მიმართ წარმოშობილად ითვლება ბავშვის დაბადების მომენტიდან, რაც სრულად უზრუნველყოფს ასეთი ბავშვებისა და მათი მშობლების იმდაგვარ სამართლებრივ ურთიერთობას, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვებისა და მათი მშობლების ურთიერთობას.


შენიშვნები:

- ¹ იხ.: შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბ., 2009, გვ. 202.
- ² იხ.: შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბ., 2017, გვ. 37-41.
- ³ იხ.: სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., 2016, გვ. 55.
- ⁴ Антaкoлbская М.В., Семейное право, М., 1991, с. 220-222.
- ⁵ იხ.: შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2017, გვ. 157.
- ⁶ იხ.: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2017, გვ. 71-74.
- ⁷ იხ.: შალვა ქურდძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2015, გვ. 483.

MATERIAL AND PROCEDURAL ISSUES OF IDENTIFYING ORIGINS OF CHILDREN BORN OUT OF WEDLOCK

LELA NADIBAIDZE
Doctor of law, Professor

Defining legal status of the parents and their rights and obligations as well as obligations of the state is important in order to protect rights, better and true interests of the children born out of wedlock. These issues are discussed and analyzed in this article on the basis of international acts and legislative news including the principles recognized by European Convention on the Legal Status of Children Born out of Wedlock. Right of the child to have parent with legal status is guaranteed with mentioned convention and with the legislation that is adopted on the basis of convention. According to them, paternity can be established with voluntary acknowledgement or with decision of court. Latest can be used when the parents of child born under unregistered marriage cannot agree that this person is the father of the child. Amendments introduced to the Civil Code on December 9, 2011 on this issue (entered into force since February 1, 2012) made procedure on implementation of this right more available and effective. Together with other changes it was expressed in, e.g. possibility to present biological (genetic) or anthropological inspection results (evidences) in court as evidence. In accordance to the legislation before this amendments, in order to determine paternity, court considered fact of living together of the mother of child and person who applied on being the father



(person indicated in the application) and conducting mutual economy together before birth of the child and/or mutual upbringing of the child and/or facts of sustaining, and/or other documents and/or events that fully confirmed acknowledgment of fatherhood by the person indicated in the application. According to the amendments, the court considers one of the events mentioned above only if determination of fatherhood is impossible with biological (genetic) or anthropological inspection results. Moreover, if the defendant argues authenticity of this evidences and doubts its credibility, court, considering facts of the case, is entitled to appoint expertise on the preparatory and main stage of hearing. Opinion prepared by court expertise, that does not give opportunity to exclude fact of fatherhood, may not be considered as evidence for acknowledgment of fatherhood. Furthermore, opinion of the expert does not have any superiority over other evidences.

This article also discusses issues of determining paternity towards the children born as the result of artificial insemination considering legislation existing on this topic. According to regulations, after the recording on the birth certificate is completed, children have precisely the same rights and obligations to the persons indicated as parents as the children born from biological parents.

კალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით

რატი ჩანთლაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ ვითარდება და მრავალფეროვანი ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობები. ასეთ პირობებში უკიდურესად მნიშვნელოვანია, მაღალი გამართულობის სტანდარტის მქონე სამოქალაქო სამართლის ნორმების დადგენა და იმგვარი ჩამოყალიბება, რომ მათ შეძლონ სამოქალაქო ბრუნვის სამართლებრივი და სამართლიანი მოწესრიგება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნორმათა გამოყენება სამართალწარმოების ფარგლებში და ზოგადად, იურიდიულ პრაქტიკაში. დღევანდელი კერძოსამართლებრივ ნორმათა სისტემისა და უპირველესად, სამოქალაქო კოდექსის ამოცანაა სისტემების და განსაზღვრული ნორმების დადგენა.

სამოქალაქო სამართლის ევროპული სისტემები მათ შორის, ქართული და გერმანული კანონმდებლობა მიმართულია სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი და კანონისმიერი ვალდებულების შესრულებისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი პირობების შექმნისაკენ. კერძო სამართალი დაფუძნებულია მხარეთა თანასწორობისა და ნების ავტონომიის პრინციპზე, რაც გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებას, ნების

თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე გადაწყვიტონ ხელშეკრულების დადება, განსაზღვრონ მისი ფორმა და შინაარსი.¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, პრიორიტულია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის.² სამოქალაქო სამართლის მოწესრიგება ქმნის ხელშეკრულების შენარჩუნებისა და მოვალის ინტერესების დაცვისათვის დამატებით სამართლებრივ მექანიზმებს.³ ამ თვალსაზრისით, სამართლის სისტემები იცნობენ ვალდებულების ნატურით შესრულების პრიორიტეტს, რომელიც ეფუძნება სამოქალაქო სამართალში მოქმედ *pacta sunt servanda* („ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“) პრინციპს.⁴ ხელშეკრულების მხარეებმა უნდა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები. ევროპული სამართლის სისტემები და მათ შორის, საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობა ადგენს საგამონაკლისო შემთხვევებს, რა დროსაც მოვალე თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. შესრულების შეუძლებლობა დროში მისი მოქმედების თვალსაზრისით, დროებით აჩერებს ან სრულად წყვეტს ვალდებულებას.

მეორე მხრივ, გარემოებები, რომლებიც ხშირად მსგავსი ან იდენტური შესრულების შეუძლებლობისა, თავიანთი მნიშვნელობით, იმდენად მასშტაბურია, რომ ურთიერთობის ყველა მხარის ინტერესზე ახდენს გავლენას. თუმცა, მბოჭავი კავშირების დარჩენის სურვილის კვლავ არსებობისას, სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, ნაკისრი ვალდებულების მოდიფიცირების სამართლებრივი შედეგი უფრო მისაღები უნდა იყოს, ვიდრე შესრულებისგან მოვალის გათავსუფლება. ამ ინსტიტუტს ლათინური ფრაზით – *clausula rebus sic stantibus* („გარემოებათა ძირეული შეცვლა“) მოიხსენიებენ.

ნაშრომი მიზნად ისახავს შესრულების შეუძლებლობის საფუძვლიან კვლევას და, ცხადია, ანალიზი არასრული იქნებოდა სხვა ინსტიტუტებისაგან მისი გამიჯვნის გარეშე; ამდენად, „გარიგების საფუძვლების რღვევა,⁴⁵“ რაც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების სახელითაა ცნობილი⁶ ასევე, ყურადღების ქვეშ ექცევა ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

სამართლის სისტემით და რეგულაციების სპეციფიკით ქართული კანონმდებლობა და ვალდებულებითი სამართალი ყველაზე მეტად გერმანულ კანონმდებლობას მიესადაგება. სწორედ ამითაა განპირობებული ნაშრომში წარმოდგენილი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის კვლევის დაგეგმვა შედარებითი და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტის კვლევას ქართული და გერმანული მოწესრიგებების შესაბამისად. ნაშრომში განხილულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესები ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტთან დაკავშირებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არსებულ ნორმებს და მათ განმარტებებს.

I. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ცნება

ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს პირებს შორის ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიქმნება ხელშეკრულების, დელიქტის, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა

საფუძვლით. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოიშობა უფლებები, რომელიც შეიძლება სადავო გახდეს მხოლოდ გარკვეულ პირთა მიმართ. შესრულების მოთხოვნა, ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისკენაა მიმართული, რომელიც მიმართულია კონკრეტული პირისადმი.⁷ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (სსკ) განსაზღვრავს ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს, ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით ან კანონისმიერი საფუძვლით. იმავე შინაარსის მოწესრიგებაა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (გსკ), 241-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება.“⁹

ვალდებულების შესრულება შეიძლება გამოიხატოს შეთანხმებულ მოქმედებაში და მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. თუ არ არსებობს ვალდებულება, მაშინ არც შესრულება იქნება სახეზე. ყოველი მოქმედება არ იწვევს ვალდებულების შესრულებას და, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგის დადგომას. ვალდებულების შესრულება ნიშნავს იმ მოქმედების შესრულებას (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს.¹⁰ ვალდებულებას, რომლის შესრულება ხდება მოქმედებით, უწოდებენ ვალდებულებას დადებითი შინაარსით. ვალდებულებას, რომლის შესრულება ხდება მოქმედებისაგან თავის შეკავებით, უწოდებენ ვალდებულებას უარყოფითი შინაარსით. ასეთი ვალდებულება შესრულებულად ითვლება, თუ დადგენილი ვადის განმავლობაში მოვალე არ შეასრულებს მოქმედებას, რომლისაგან თავის შეკავება ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.¹¹

ხელშეკრულების დადებით მხარეები გამოხატავენ ნებას შეასრულონ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, მოქმედი *pacta sunt servanda* („ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“) პრინციპის შესაბამისად.¹² ევროპული სამართლის სისტემები და მათ შორის, საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობა იცნობს საგამონაკლისო შემთხვევებს, რა დროსაც მოვალე თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებიდან. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ, რომის სამართლიდან იღებს სათავეს. ამასთან, რომის სამართალი არ ითვალისწინებდა ვალდებულების შესრულების შემდგომი შეუძლებლობის ინსტიტუტს და განსაზღვრავდა მხოლოდ საწყისი შეუძლებლობის შემთხვევებს, როდესაც ვალდებულება ხელშეკრულების დადებისთანავე კარგავდა აზრს. ამრიგად, ცელსუსის ცნობილ გამონათქვამს: *impossibilium nulla obligatio est* („არ არსებობს ვალდებულება განუხორციელებლის შესრულებისა“) დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.¹³

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა არის თანამედროვე ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ხშირად ხდება დავის საგანი და მას ფართო გამოყენება აქვს სამართალწარმოების ფარგლებში. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ცნებაში მოიაზრება მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც მოვალეს, გარკვეული მიზეზებისა და გარემოებების გამო, არა აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა შეასრულოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულება.¹⁴

ვალდებული მხარის შესრულებისაგან გათავისუფლება გამოწვეული არ არის მხარეთა სახელშეკრულებო თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის ან მოვალის დაცვის იდეით, არამედ ესაა მხარის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ლეგიტიმაცია განპირობებული თავად შესრულების შეუძლებლობის არსით. *impossibilium nulla obligatio est* („არ არსებობს ვალდებულება განუხორციელებლის შესრულებისა“) პრინციპის შესაბამისად, მხარეს არ შეიძლება დაევალოს იმის შესრულება, რაც არ შეუძლია.¹⁵

სამოქალაქო კოდექსი ფრაგმენტულად განსაზღვრავს შეუძლებლობის შემთხვევების მოწესრიგებას. სსკ-ის 91-ე მუხლი აწესებს გარიგების შეუძლებელი პირობის ბათილობას გარიგების დადებისას. სსკ-ის 394-ე მუხლი ადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალის არაბრალეული ზიანის ანაზღაურების გამორიცხვას. სსკ-ის 401-ე მუხლი ადგენს მოვალის მიერ ვადის გადაცილების ფარგლებში მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში შეუძლებლობა მოწესრიგებულია სსკ-ის 669-ე მუხლში, გადამზიდველის არაბრალეული ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის დანაწესში.

სსკ ადგენს ვალდებულების ერთიანი ცნების კონცეფციას. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის დანაწესები ვრცელდება ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმებზე – სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.¹⁶ ამ პრინციპის შესაბამისად, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის სახელშეკრულებოსამართლებრივი დანაწესები ვრცელდება კანონისმიერ ურთიერთობებზე. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია სსკ-ის 326-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ ასევე, გამოიყენება სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუ ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.¹⁷ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ძირითადი დანაწესები მოცემულია სწორედ ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, რაც განაპირობებს მათი გამოყენების შესაძლებლობას კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, ვალდებულების არსის და მასზე მოქმედი სპეციალური დანაწესების გათვალისწინებით. გსკ-ში არ მოიძებნება ანალოგიური შინაარსის მქონე მუხლი¹⁸ თუმცა, კანონის სისტემური განმარტების გამოყენების გზით, შესაძლებელია ზემოხსენებული პრინციპის გამოყენება გერმანულ სამართალში.

1.2 შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება და შესრულების შეუძლებლობა

როგორც ქართული ასევე, გერმანული მართლწესრიგი განასხვავებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტს შეცვლილ გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტისაგან.

სსკ-ის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნას ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალის-

წინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.¹⁹

სსკ-ის 398-ე მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება. ასეთ გარემოებათა შეცვლას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სრულიად გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ, შეცვლილი გარემოებების განჭვრეტა აბსოლუტურად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო მხარისათვის ხელშეკრულების დადების დროს. ასეთი მხარისაგან ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნა და ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება წინააღმდეგობაში მოვიდოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან.²⁰

ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა. ხოლო მესამე ნაწილი განსაზღვრავს მხარეთა მიერ დისპოზიციური ხასიათის მოქმედებებს. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.²¹

398-ე მუხლის ფარგლებში დაზარალებულმა მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მოვლენის დადგომამ ვალდებულების შესრულება გახადა უკიდურესად მძიმე (განუხორციელებელი); ხელშეკრულება დაიდო იმ ძირითადი ვარაუდით, რომ მოვლენა არ დადგებოდა და, რომ ხელშეკრულებით ვალდებულ პირს არ ჰქონდა გათვალისწინებული მოვლენის დადგომის რისკი. ამასთან, განუხორციელებლობა არ უნდა იყოს გამოწვეული მოვალის ბრალით. ნორმა არ ითვალისწინებს პერიოდს, თუ რა დროის განმავლობაში უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მხარემ შეცვლილი გარემოების შესაბამისი პირობების ხელშეკრულებაში ასახვა, მაგრამ მითითებული ნორმის არსიდან იკვეთება, რომ ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, შეცვლილი გარემოების დადგომისთანავე. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ შეცვლილი გარემოების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება მოთხოვნა გარემოების წარმოშობის მომენტიდან მოგვიანებითაც წარმოიშვას. აღნიშნულს განაპირობებს ის რეალობა, რომ ზოგ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლა ხდება თანდათან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც.²²

საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს 398-ე მუხლის გამოყენების, ამავე მუხლით გათვალისწინებულ, შემდეგ აუცილებელ წინაპირობებს: 1. შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება; 2. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; 3. გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში; 4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია; 5. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ნორმა განსაზღვრავს შესრულების გართულების შედეგების თავიდან აცილების მიზნით, კონტრაგენტთა ხელახალ შეთანხმებას ხელშეკრულების შექმნილი ვითარებისადმი მისადაგებული პირობებით. ამგვარი მოწესრიგება მიმართულია

სახელშეკრულებო ურთიერთობის გადარჩენისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეთა ამგვარი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დაბარალებული მხარის უფლების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო წესით. ამდენად, დავის განმხილველმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამორიცხოს, კრედიტორის მიერ ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით შესრულების მოთხოვნა, შექმნილი ვითარების ფონზე ხომ არ გამოიწვევს მოვალის მძიმე მდგომარეობით ბოროტად სარგებლობას. ამავდროულად, ახალი სახელშეკრულებო პირობების შემუშავებისას (რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება ხდება), გათვალისწინებულ უნდა იქნას ორივე მხარის ის ინტერესები, რომელიც მათ ჰქონდათ ამჟამად მოქმედი ხელშეკრულების დადებისას. აღნიშნული გულისხმობს, იმ ინტერესის გათვალისწინებას, რაც კრედიტორს აქვს ხელშეკრულების დადებისას (მოგება, სარგებელი და სხვა), მაგრამ ინტერესი გაითვალისწინება შეცვლილი გარემოების შესაბამისად. ნორმით აღწერილ ვითარებაში სამართლებრივი შედეგი ცალსახაა – მხარეებმა ხელშეკრულება უნდა მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს ან უარი უნდა თქვან ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ნორმის შესაბამისად ნაწილობრივ მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუ შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დგება. შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგებაზე კრედიტორის უარი არ ათავისუფლებს მოვალეს მიღებული შესრულების (სესხის) დაბრუნებისაგან. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას 398-ე პირველი ნაწილის დათქმა, რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მიუსადაგებლობის შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. მხარე არ შეიძლება იყოს ყოველგვარი რისკის მატარებელი. ხელშეკრულება არ წარმოადგენს მხოლოდ მხარეთა ინტერესების ურთიერთგადაკვეთის „წერტილს“, იგი გარკვეულწილად, განხილულ უნდა იქნას, როგორც „საერთო პროექტი“, სადაც თითოეული მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს.²³

სამოქალაქო კოდექსი ადგენს სახელშეკრულებო შესრულების ვადის გადაცილებისას მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ და შემზღუდავ გარემოებებს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა. კერძოდ, შესრულების შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება მთლიანად გამორიცხულია, ანუ ამ შემთხვევაში ისეთ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან გვაქვს საქმე, რომელიც გამომრიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, ხოლო შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში, შესრულების შესაძლებლობა მაინც არსებობს თუმცა, შესრულება გართულებულია, რადგან ხელშეკრულების დადების პერიოდში არსებული გარემოებანი მნიშვნელოვნად შეცვლილია. შეცვლილი გარემოება იმდენად ართულებს შესრულებას, რომ მისი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მოთხოვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. შეცვლილი გარემოებების საწყისი, წარმომშობი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ფორსმაჟორი, ისე სხვა გარემოებები, რომელიც რეალურად ართულებს შესრულებას.²⁴

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებები-სადმი მისადაგების ინსტიტუტს, რომელსაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსი უწოდებს „გარიგების საფუძვლის ცვლილებას“ (Störung der Geschäftsgrundlage).²⁵ გსკ-ის 316-ე პარაგრაფის შესაბამისად, „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გათვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნას ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი იმ ფარგლებში, რომლებშიც ცალკეული შემთხვევის გარემოებათა გათვალისწინებით, კერძოდ კი, სახელშეკრულებო ან კანონისმიერი რისკის განაწილება, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების დაცვა.“²⁶

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ინსტიტუტს. შეცვლილი გარემოებების საფუძველზე მოვალეს შეუძლია სახელშეკრულებო პირობების შეცვლა თუ, კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, არაგონივრულია მხარისათვის ვალდებულების თავდაპირველი, უცვლელი სახით შესრულების მოთხოვნა. ხელშეკრულების მბოჭავი ძალის საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას სახელშეკრულებო რისკი და ფაქტობრივი გარემოებები. კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის უზოგადეს პრინციპს, რომელიც გამოიყენება ინდივიდუალური შემთხვევების გადასაწყვეტად. ასეთად მოიაზრება შემთხვევები, რომლებშიც მოთხოვნა ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ სამართალს, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა. შესაბამისად, „კეთილსინდისიერების დათქმა“ წინ აღუდგება მოთხოვნის განხორციელებას ისეთი უფლებიდან გამომდინარე, „რომელსაც მოცემულ შემთხვევაში უფლების მხოლოდ ფორმა აქვს და არა შინაარსი.“ ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის კონცეფციაში მნიშვნელოვანია სამი ელემენტი: (1) ფაქტობრივი, რომელიც გულისხმობს, რომ არსებითი, შეთანხმების საფუძველად მიჩნეული გარემოებები კონტრაგენტთა ან ერთ-ერთი მათგანის მიერ იმთავითვე, ხელშეკრულების დადების ეტაპზე, არის გაცნობიერებული, ნაგულისხმევი. ეს პირობები რომ არ ყოფილიყო მხარეთა (ან მხარის) მიერ ნავარაუდევი, ხელშეკრულება არ დაიდებოდა ან გაფორმდებოდა იგი სრულიად განსხვავებული შინაარსით. (2) ჰიპოთეტური ელემენტი – ხელშეკრულების საფუძველად მიჩნეული მხარის/მხარეთა ნაგულისხმევი პირობები აუცილებლად გახდებოდა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ერთ-ერთი მხარის შესაბამისი სურვილის შემთხვევაში. (3) ნორმატიული ელემენტი – მეორე მხარე აუცილებლად დაეთანხმებოდა ხსენებული პირობების ხელშეკრულებაში ჩართვას. ნორმატიული ელემენტი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, რადგან ის ქმნის ხელშეკრულების საფუძველს ორივე მხარისათვის.²⁷

სასამართლო პრაქტიკაში განვითარებული ორტმანის თეორია კოდიფიცირებულ იქნა გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდგომ და მოდერნიზების აქტით განმტკიცებულ გსკ-ის ახალ, 313-ე პარაგრაფში ჩამოყალიბდა, როგორც „გარიგების საფუძვლის რღვევა“ (Störung der Geschäftsgrundlage) (interference with the basis of the transaction). აღნიშნული დოქტრინა შესრულების გართულების უზოგადესი კონცეფციის გერმანული შესატყვისია. ახალი ნორმატიული დებულებით გან-

მტკიცებული კონცეფცია გულისხმობს ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოცენებულ ცვლილებას ხელშეკრულების ობიექტურ საფუძვლებში, ვალდებულების შესრულების უკიდურეს გართულებას, რომელიც იწვევს სახელშეკრულებო ვალდებულებების თანაფარდობის, ეკვივალენტურობისა და სახელშეკრულებო წინასწორობის რღვევას. ცვლილება იმდენად არსებითი უნდა იყოს, რომ მისი წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულებას არ დადებდნენ ან გააფორმებდნენ მას სრულიად განსხვავებული შინაარსით.²⁸

1.3. შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის მოწესრიგება გერმანულ და ქართულ სამართალში

სსკ არ იძლევა „ფორსმაჟორისა“ და შესრულების გართულების ლეგალურ დეფინიციას და არ იცნობს აღნიშნულ ინსტიტუტებს შესაბამისი საკანონმდებლო დასახელებით თუმცა, კანონმდებლობა არსობრივად მსგავსი სამართლებრივი კონცეფციების რეგულირებას ითვალისწინებს დაუძლეველი ძალის, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობისა და შეცვლილი გარემოებების სახელწოდებით.

ასევე, გერმანულ სამართალშიც არ არსებობს „ფორსმაჟორის“ სახელწოდების შესატყვისი იდენტური ცნება.

„ფორსმაჟორი“ ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და სწორედ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს, მას როგორც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ გამოვლინებას. გსკ ადგენს ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვით ვალდებულების დარღვევისათვის მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა ბრალეული შეუსრულებლობისათვის, რისთვისაც აუცილებელია სახეზე იყოს სულ მცირე, მოვალის მიერ გაუფრთხილებლობა, თუ მკაცრი პასუხისმგებლობა არ არის შეთანხმებული ან არ გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან. აქედან გამომდინარე, გსკ-ის შესაბამისად, ამგვარი სამართლებრივი კონსტრუქციით ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როდესაც მოვალეს არა აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა განახორციელოს შესრულება და მას ვალდებულების დარღვევისადმი გაუფრთხილებლობაც კი, არ შეერაცხება.

პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი „ფორსმაჟორის“ სამართლებრივ შედეგებს შეესაბამება. ამრიგად, მართალია, გერმანული სამართალი არ იცნობს „ფორსმაჟორის“ კონცეფციას, მაგრამ იდენტური სამართლებრივი შედეგი სხვა სახელწოდების ინსტიტუტით მიიღწევა. კერძოდ, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა აფუძნებს „ფორსმაჟორის“ სამართლებრივ შედეგებს – შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამორიცხვით. რაც შეეხება შესრულების გართულების კონცეფციას, მას გსკ იცნობს ეკონომიკური შეუძლებლობის ცნებით.²⁹

II. შესრულების შეუძლებლობის სახეები

ქართული სამართლის დოქტრინა იცნობს შესრულების შეუძლებლობის განსხვავებულ კატეგორიებს.³⁰ შეუძლებლობის სახეებად დაყოფა ხორციელდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: პირთა

წრისა და შესრულების საგნის მიხედვით შესაძლებელია სახეზე იყოს ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობა; შესრულების ხელშემშლელი გარემოების ხანგრძლივობის მიხედვით – ხანგრძლივი და დროებითი შეუძლებლობა; შესრულების ხელშემშლელი გარემოების მოცულობის მიხედვით – სრული და ნაწილობრივი შეუძლებლობა; შესრულების ხელშემშლელი გარემოების წარმოშობის მიზეზების მიხედვით – ბუნებრივი და იურიდიული შეუძლებლობა; კონტრაჰენტის პასუხისმგებლობის მიხედვით – ბრალეული და არაბრალეული შეუძლებლობა; შესრულების ხელშემშლელი გარემოების წარმოშობის მომენტის მიხედვით – საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა; ამას გარდა, გამოყოფენ შეუძლებლობის ცალკე სახეებს ეკონომიკური და ეთიკური შეუძლებლობის სახით.³¹ ვალდებულების შესრულების სახეებად დაყოფა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამეცნიერო კატეგორიზაციისათვის, არამედ იგი აუცილებელია თითოეული შეუძლებლობის შემთხვევის იურიდიული კვალიფიკაციისათვის და მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის.

2.1. ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შესრულების საგნის მიხედვით შეიძლება არსებობდეს ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური შეუძლებლობა გულისხმობს შეუძლებლობის ვითარების დადგომას მოვალისა და კრედიტორისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ასეთ შეუძლებლობაში მოიაზრება შემთხვევები, როდესაც მხარეებს არ შეეძლოთ ევარაუდათ ან თავიდან ემართათ პროცესები, რამაც გამოიწვია შეუძლებლობის მდგომარეობის დადგომა. შესრულების ობიექტურ შეუძლებლობის ცნებაში ასევე, უნდა მოვიანროთ „ფორსმაჟორული“ შემთხვევით დამდგარი შესრულების შეუძლებლობა. „ფორსმაჟორი“ წარმოადგენს დაუძლეველ ძალას, რაც შეუძლებელს ხდის ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის სათანადო მოქმედების განხორციელებას.³² შეუძლებლობის ობიექტურად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია შესრულება შეუძლებელი იყოს, როგორც უშუალოდ მოვალისთვის, ასევე სხვა ნებისმიერი, მოვალის პირობებში მყოფი პირისათვის. ობიექტური შეუძლებლობის გამოწვევი პირობები შესაძლებელია იყოს ბუნების ფიზიკური კანონები, ადამიანის მიერ დღემდე დაგროვილი ტექნიკური ცოდნა და უნარი. მაგალითად, შეუძლებელია „პერპერტუმ მობილეს“ შექმნა.³³ ასევე ნიშანდობლივია, სხვა პირის დახმარებით ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, რაც გამორიცხავს ობიექტურ შეუძლებლობას.

შემთხვევის ობიექტურ შეუძლებლობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია მოვალეს ყველა კანონიერი გზა ჰქონდეს მოჭრილი შესრულებისათვის. გერმანული სამართალი იცნობს „ნამდვილი შეუძლებლობის“ (echte unmöglichkeit) ცნებას, „ნამდვილი შეუძლებლობის“ ცნების ქვეშ მოიაზრება შეუძლებლობის შემთხვევები, რომელთა შესრულება თეორიულადაც გამორიცხულია.³⁴

სუბიექტურია შეუძლებლობა, როდესაც შესრულების შეუძლებლობა გამოწვეულია მოვალის ან კრედიტორის სუბიექტური მიზეზებით, ამ შემთხვევაში მოიაზრება ვალდებულების მხარის მიერ განხორციელებული მოქმედებები და უმოქმედობა, რამაც საბოლოოდ, შეუძლებელი გახადა ვალდებულების შესრულება, ამ შემთხვევაში ასევე, მოიაზრება გაუფრთხილებლობის ნორმების დარღვევის შედეგად წარმოშობილი შეუძლებლობა. ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობის ურთიერთ-

გამიჯვნას გარდა თეორიული მნიშვნელობისა, აქვს განსაკუთრებული პრაქტიკული დანიშნულებაც, ვინაიდან შესრულების შეუძლებლობის წარმომქმნელი მიზეზი არის ბრალეული თუ არაბრალეული შეუძლებლობის კვალიფიკაციისათვის უმთავრესი კომპონენტი. შემდგომში თავის მხრივ, მოვალის ბრალეულობის ხარისხი განსაზღვრავს მისი პასუხისმგებლობის ზომას და ფარგლებს.

ობიექტური შეუძლებლობით შემოსაზღვრულ შემთხვევათა წრე გაცილებით მცირეა, ვიდრე სუბიექტური შეუძლებლობით. იგულისხმება, რომ თითოეული შეუძლებლობის შემთხვევა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ობიექტური შეუძლებლობის კვალიფიკაციისათვის საჭირო წინაპირობებს, გადადის სუბიექტური შეუძლებლობის კატეგორიაში.³⁵

2.2. ფაქტობრივი (პრაქტიკული) და იურიდიული შეუძლებლობა

ფაქტობრივ შეუძლებლობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულება დაკავშირებულია გადაუღებავ წინაღობებთან ან განსაკუთრებულ სიძნელეებთან, რაც ობიექტური განსჯის შედეგად აღიქმება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობად. ფაქტობრივი შეუძლებლობის საილუსტრაციოდ გამოდგება კლასიკური მაგალითი, როდესაც მოვალეს ტბაში ჩაუვარდება კრედიტორისთვის გადასაცემი ნასყიდობის საგანი – ბეჭედი.³⁶ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები იძლევა ზღვის ფსკერზე ბეჭდის მსგავსი მცირე ზომის ნივთის მოძებნის შესაძლებლობას თუმცა, ამგვარი ძალისხმევის გაწევის დავალდებულება ცდება ობიექტური დასაბუთებულობის ფარგლებს. ფაქტობრივი შეუძლებლობისას შესრულების წინაღობები დაკავშირებულია ბუნების ფიზიკურ კანონებთან და მოვალეს არა აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა შეასრულოს ვალდებულება.

იურიდიული შეუძლებლობა გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც მოვალის მიერ შესასრულებელი ქმედება აკრძალულია საკანონმდებლო აქტით და მოვალის მიერ ქმედების განხორციელება გამოიწვევს კანონდარღვევას. საკანონმდებლო აქტში მოიაზრება სახელმწიფოს მიერ გამოცემული ყველა იერარქიის აქტი მათ შორის, ორგანული და მიმდინარე კანონები, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ნორმატიული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტები. ამგვარი შემთხვევები საკმაოდ ხშირია საერთაშორისო კერძო ურთიერთობაში. მაგალითად, სახელმწიფო კრძალავს ამა თუ იმ სახეობის საქონლის იმპორტს, სახელმწიფოში, სადაც მოვალემ უნდა შეიტანოს პროდუქცია წესდება ემბარგო და ა. შ.³⁷ როგორც ფაქტობრივი, ასევე იურიდიული შეუძლებლობა შეიძლება იყოს დროებითი ან ხანგრძლივი შეუძლებლობა, მისი წარმომშობი მიზეზის შესაბამისად. მაგალითად, აღიკვეთა დაუძლეველი ძალით გამოწვეული წინაღობები ან გაუქმდა კონკრეტული საქონლის იმპორტის ამკრძალველი ქმედება.

2.3. ბრალეული და არაბრალეული შეუძლებლობა

შეუძლებლობის შემთხვევები შეიძლება დაიყოს ბრალეულ და არაბრალეულ შეუძლებლობად კონტრაქტის პასუხისმგებლობის ნიშნის მიხედვით. საქართველოსა და გერმანიის სამართლის სისტემები იცნობს საგამონაკლისო ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას თუმცა, მოვალის პასუხისმ-

გებლობა ძირითად შემთხვევებში, დაკავშირებულია მოვალის ბრალთან. მოვალემ შესაძლებელია ბრალეული ქმედებით გამოიწვიოს შესრულების შეუძლებლობის დადგომა. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არ მიუთითებს თუ კონკრეტულად ბრალის რა ფორმაზეა აქ საუბარი. აქედან გამომდინარე, ბრალის ცნებაში მოიაზრება როგორც განზრახვა, ისე გაუფრთხილებლობა, ხოლო მტკიცების ტვირთი, რომ დარღვევა მოვალის ბრალით არ ყოფილა გამოწვეული, აწევს მთლიანად მოვალეს.³⁸

მტკიცების ტვირთის თვალსაზრისით, მოვალემ უნდა ამტკიცოს შეუძლებლობის არსებობა და მისი არაბრალეულობა იმ გარემოების დადგომაში, რითაც შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება. ამით იგი უნდა შეეწინააღმდეგოს იმ პრეზუმფციას, რომელიც შესრულების შეუძლებლობას მის ბრალეულობას უკავშირებს.³⁹

2.4. სრული და ნაწილობრივი შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შეიძლება დადგეს მოვალის მიერ ნაკისრი მთლიანი ვალდებულების მიმართ ან ვალდებულების ნაწილის მიმართ. ვალდებულების შესრულების სრული შეუძლებლობა სახეზეა, როდესაც ვალდებულების არსი გულისხმობს მის შესრულებას ერთიანი ქმედებით, მაგალითად, შეთანხმებული ნივთის მფლობელობაში გადაცემა.

ნაწილობრივი შეუძლებლობის დადგომა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შინაარსი მოიცავს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, გამოყოფად ქმედებების ერთობლიობას. მაგალითად, დისტრიბუციის ხელშეკრულება, რაც თავის არსში მოიაზრებს ნასყიდობას. მიმწოდებელმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს შემკვეთის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული რაოდენობისა და სახეობის პროდუქციის მიწოდება, რაც მას ევალებოდა გენერალური ხელშეკრულების თანახმად. ამ შემთხვევაში სახეზეა ვალდებულების შესრულების ნაწილობრივი შეუძლებლობა. იმისთვის, რომ დადგინდეს ვალდებულების ნაწილობრივი შეუძლებლობა ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, დაკარგა თუ არა კრედიტორმა ინტერესი ნაწილობრივი შესრულების მიმართ.⁴⁰

2.5. საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობა შეიძლება დადგეს ვალდებულების წარმოშობის ეტაპზე – „საწყისი შეუძლებლობა“ ან შემდგომ პერიოდში. „საწყისი შეუძლებლობის“ შემთხვევაში, პირი კისრულობს იმგვარი ვალდებულების შესრულებას, რომელიც თავიდანვე შეუძლებელია. ვალდებულების მხარეთა ბრალეულობის ხარისხის გადანაწილების მიხედვით, განსხვავებული შეიძლება იყოს „საწყისი შეუძლებლობის“ სამართლებრივი მოწესრიგება.

2002 წლის ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდელ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის, „საწყისი შეუძლებლობის“ პირობებში დადებული ხელშეკრულება ბათილად მიიჩნეოდა,⁴¹ კერძოდ გსკ-ის 306-ე პარაგრაფის ძველი რედაქციის მიხედვით, ბათილია ობიექტურად შეუძლებელ შესრულებაზე მიმართული ხელშეკრულება. აღნიშნულ მიდგომას აქვს არგუმენტირებული დოქტ-

რინალური დასაბუთება. *impossibilium nulla obligatio est* („არ არსებობს ვალდებულება განუხორციელებლის შესრულებისა“) პრინციპის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც მიმართული არ არის მისი შესრულებისკენ, ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას ოდესმე მაინც უნდა ჰქონოდა საფუძვლად შესრულებადი ვალდებულება.⁴² ამგვარი მოწესრიგება მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს კრედიტორს კონტრაჰენტის არჩევისა და მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების მოლოდინის ფარგლებში. კრედიტორს სწორად უნდა შეეფასებინა ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა და შეემჩნია შესრულების შეუძლებლობა. სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ხელშეკრულების ბათილობა გამორიცხავდა კრედიტორის მეორად უფლებებსა და ნაკლებად იცავდა კრედიტორის ინტერესს. მნიშვნელოვანია, რომ 306-ე მუხლის რეგულაცია ეხებოდა ობიექტურად შეუძლებლობას, როდესაც ობიექტური პირობების გამო ბათილი იყო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ვალდებულების შესრულება შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი პირისათვის ვალდებულების წარმოშობის ეტაპზე. ცხადია, გამოირიცხებოდა სუბიექტური შეუძლებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების ბათილობა, როდესაც შესრულების შეუძლებლობა გამოწვეულია მოვალის ბრალეულობით.

III. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად

3.1. ზოგადი მიმოხილვა

სსკ არ ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტის სისტემატიზირებულ მოწესრიგებას. შესრულების შეუძლებლობასთან დაკავშირებული რეგულაციები მოცემულია სსკ-ის სხვადასხვა მუხლების სახით კოდექსის ზოგადი დებულებების, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილისა და ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის თავებში, ნორმათა არსებული განლაგება განაპირობებს შესრულების შეუძლებლობის ერთიანი ცნების არარსებობას.⁴³ საკანონმდებლო ნორმების განმარტება უნდა განხორციელდეს ცალკეული ნორმების შემადგენლობის შინაარსის შესაბამისად. ნიშანდობლივია, კერძო სამართალში აღიარებული კანონის ანალოგიის წესის გამოყენების შესაძლებლობა, რაც გამტკიცებულია სსკ-ის მე-5 მუხლით.⁴⁴ ანალოგიის წესის გამოყენებით შესაძლებელია ნორმის რეგულაციის მისადაგება ანალოგიურ შემთხვევასთან, კანონის ანალოგიად მიიჩნევა „კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში“ ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმის გამოყენება,⁴⁵ კანონის ანალოგიის წესის გამოყენებით მეტადაა შესაძლებელი შესრულების შეუძლებლობის ნორმების განმარტება.

შესრულების შეუძლებლობის საკითხი გვხვდება სსკ-ის სხვადასხვა ნაწილში. სსკ-ის 91-ე მუხლში (მართლსაწინააღმდეგო და ამორალური პირობის ბათილობა), სსკ-ის 394-ე მუხლის შემადგენლობაში და სსკ-ის 401-ე მუხლით გათვალისწინებულ მოვალის მიერ ვადის გადაცილების რეგულაციაში; სსკ-ის 669-ე მუხლში გადამზიდველის არაბრალეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის დანაწესში.

3.2. გარიგების ბათილობა საწყისი შეუძლებლობისას

სსკ-ის 91-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების პირობა ბათილია, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება, რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზე და მოკიდებული, მთლიანად ბათილია⁴⁶. ნორმის სათაური („მართლმსაჯუნააღმდეგო ან/და ამორალური გარიგების პირობის ბათილობა“) სრულად არ შეესაბამება მის შინაარსს. კერძოდ, სათაური აქცენტს აკეთებს გარიგების პირობის ბათილობას მისი მართლმსაჯუნააღმდეგო და ამორალური შინაარსის საფუძვლით, მაშინ როდესაც ნორმის შემადგენლობა ადგენს გარიგების პირობის მესამე საფუძველსაც, მისი შესრულების შეუძლებლობის სახით. ამრიგად, სსკ-ის 91-ე მუხლი პირობის ბათილობის სამ საფუძველს ასახელებს: კანონსაწინააღმდეგობა, ამორალურობა და შესრულების შეუძლებლობა. ჩვენთვის საინტერესოა, რა სახის შეუძლებლობაზე საუბარი ნორმაში და რა პირობის არსებობისას უნდა მივიჩნიოთ გარიგება ბათილად. მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ გარიგება და მოკიდებულია ისეთ პირობაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება, მთლიანად ბათილია. პირობის შესრულების შეუძლებლობა იწვევს გარიგების ბათილობას, რადგან პირობის ნამდვილობისათვის მას (შეუძლებელ პირობას) აკლია „ობიექტურობისა“ და მოლოდინის მომენტი, რადგან თავიდანვე ცნობილია, რომ პირობა არ დადგება.⁴⁷

ქართული კანონმდებლობა გერმანული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არ მიჯნავს საწყისი (Anfängliche Unmöglichkeit) და შემდგომი (Nachträgliche Unmöglichkeit) შეუძლებლობის ცნებებს.⁴⁸ მოცემულ შემთხვევაში, საკანონმდებლო ჩანაწერი ცალსახად მოიაზრებს საწყისი და ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევებს. კანონმდებლის ნება მიმართულია თავიდანვე აღკვეთოს კრედიტორის მხრიდან მოვალის შეუძლებელი შესრულების დავალებულება. ცხადია, დაუშვებელია გარიგების დადების შემდგომ დამდგარი შეუძლებლობის გამო გარიგების ბათილობის მოთხოვნა. ამ თვალსაზრისით კანონმდებლის მიდგომა, სამართლებრივი შედეგის მიმართ მკაცრი და უალტერნატივოა. კერძოდ, გარიგება მთლიანად ბათილად ცხადდება. ამგვარი მიდგომა თავისთავად გამორიცხავს კრედიტორის მიერ მეორადი მოთხოვნების წარმოშობას. ზოგიერთი მართლმსაჯუნრივი უშვებს გარიგების ნაწილობრივი ბათილობის ან პირობის გაუქმებისა და გარიგების შენარჩუნების შესაძლებლობას.⁴⁹

ნიშანდობლივია, რომ ნორმა უთითებს გარიგების პირობის და არა მთლიანი გარიგების ბათილობაზე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია შეუძლებელი დათქმის ბათილობამ არ გამოიწვიოს გარიგების ბათილობა, რადგან ასეთ დაშვებას აკეთებს სსკ-ის 62-ე მუხლი, რომლის თანახმად, „გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე.“⁵⁰ ხელშეკრულების შენარჩუნება შესაძლებელია თუ მხარეები გარიგებას დადებდნენ ბათილი პირობის გარეშე ან ბათილი პირობის ჩანაცვლება შესაძლებელია კანონის იმპერატიული დანაწესით.⁵¹

სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, გარიგების ბათილობა იწვევს შეუძლებელი შესრულების მიმდების კრედიტორის მოთხოვნის უფლების გაუქმებას, ასევე უქმდება მისი საპასუხო შესრულების ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს უკვე განხორციელებული აქვს შესრულება,

იქმნება შესრულების კონდიციის სამართლებრივი მდგომარეობა. კრედიტორმა უნდა მოითხოვოს განხორციელებული შესრულების შედეგად უკან დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი საფუძვლით. სსკ-ის 976-ე მუხლის შესაბამისად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.⁵²

არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღებმა საგანი უნდა დაუბრუნოს გამცემს შესრულების კონდიციით. კონდიცია წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება ქონების უსაფუძვლო მოძრაობის უკუქცევას.⁵³

3.3. მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება არაბრალეული ზიანისთვის

სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.⁵⁴ ნორმის შემადგენლობა განსაზღვრავს მისი გამოყენებისთვის კუმულატიური წინაპირობების არსებობის სა-ვალდებულობას. კერძოდ გარდა ზიანის შემადგენლობისა, რაც თავის თავში მოიცავს ვალდებულების დარღვევას, ზიანის არსებობას და მათ შორის მიზეზობრივ კავშირს, ასევე აუცილებელია, მოვალის ბრალეულობა ვალდებულების დარღვევისათვის. ცხადია, ვალდებულების არაბრალეულ დარღვევაში უნდა მოვიაზროთ „ფორსმაჟორული“ და შესრულების შეუძლებლობის სხვა შემთხვევები. მოვალეს ეძლევა შესაძლებლობა იდავოს შეუძლებლობით გამოწვეული შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე. პრაქტიკული თვალსაზრისით, მას ევალება შეუძლებლობის შესახებ ნება გამოავლინოს კრედიტორის წინაშე, ხოლო სასამართლო დავის შემთხვევაში, შესაგებლის ფარგ-ლებში წარადგინოს ბრალის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებები.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსები არ განსაზღვრავს დაუძლეველი ძალის ზუსტ დეფინიციას. ცივილისტური დოქტრინა იცნობს დაუძლეველი ძალის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრებას, სადაც ორი მიმართულება გამოიკვეთა: პირველისათვის მთავარია ამ მოვლენის ობიექტური ხასიათი, მეორესათვის კი – სუბიექტური,⁵⁵ ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობის სახით. დაუძლეველ ძალას, შეუძლებლობის ობიექტური ხასიათით ქართული დოქტრინა მოიაზრებს ისეთ მოვლენებს, რომელთა თავის არიდება მოვალეს არ შეუძლია. ასეთ მოვლენებს მისთვის გარეგანი ხასიათი აქვს. მაგალითად: სტიქიური უბედურებები – მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი; სოციალური მოვლენები – ომი, რევოლუცია, აჯანყება; აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტები – იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა და ა. შ.⁵⁶ მოვალეს არ ძალუძს წინ აღუდგეს ომით თუ სტიქიური უბედურებით წარმოქმნილ გარემოებას და მისთვის ეს მოვლენა გარდაუვალი და აუცდენელი უნდა იყოს. ობიექტური შეუძლებლობის გამომწვევ, დაუძლეველი ძალის უმთავრეს ნიშანს კიდევ ერთი ნიშანი, გაუთვალისწინებლობა წარმოადგენს.

ვალდებულების წარმოშობის მომენტში შეუძლებლობელი უნდა იყოს შეუძლებლობის მდგომარეობის დადგომის წინასწარ განსაზღვრა.⁵⁷ შემთხვევის სუბიექტური შეუძლებლობის დაკვალიფიცირება მოითხოვს შეუძლებლობის მდგომარეობის დადგომას მოვალის სუბიექტური მიზეზებით, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია უშუალოდ მოვალისათვის. სუბიექტური შეუძლებლობა დაკავშირებულია მოვალის პიროვნებასთან, მის ფიზიკურ, ფინანსურ, ინტელექტუალურ, ემოციურ თუ სხვა უნარობასთან. მაგალითად, თუ პიანისტი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დასახირდება და დაკარგავს ხელს, რის გამოც ვერ გამართავს შეთანხმებულ კონცერტს, ეს იქნება შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა, ვინაიდან იგივე კონცერტი შეიძლება სხვამ გამართოს.⁵⁸

სსკ-ის 394-ე მუხლის შემადგენლობა ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლებას უკავშირებს მოვალის არაბრალეულობას. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არ მიუთითებს თუ კონკრეტულად ბრალის რა ფორმაზეა აქ საუბარი. აქედან გამომდინარე, ბრალის ცნებაში მოიაზრება როგორც განზრახვა, ისე გაუფრთხილებლობა.⁵⁹ სსკ არ იცნობს ბრალის ლეგალურ დეფინიციას. ცივილისტური დოქტრინა ბრალის კონცეფციაში მოიაზრებს სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნის დაცვას, შესაბამისად, ამგვარი ყურადღებიანობის დაუცველობა მიჩნეულია სამართალდარღვევად.⁶⁰

3.4. შეუძლებლობით გამოწვეული ვადის გადაცილება

სსკ-ის 401-ე მუხლის შესაბამისად, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუ ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.⁶¹ მიუხედავად მუხლის სათაურისა – „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა,“ ნათლად ჩანს, რომ ნორმის შინაარსი სრულად არ შეესაბამება მის შინაარსს. მოცემული ნორმა არეგულირებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მხოლოდ ცალკეულ შემთხვევას. კერძოდ, საუბარია მოვალის მიერ ვალდებულების დროულად შესრულების შეუძლებლობის შედეგად ვადის გადაცილების შემთხვევაზე. ასევე, კანონმდებელი ხაზს უსვამს მოვალის არაბრალეულობას, აქედან გამომდინარე, მოვალეს შეუძლია წარადგინოს შესაგებელი იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შემდგომი და ობიექტური შეუძლებლობა, რამაც გამოიწვია ვალდებულების დროულად შესრულების შეუძლებლობა.

სსკ-ის 401-ე მუხლით ხელშეკრულების დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა საპატიოდ, თუ ადგილი აქვს შესრულების ვადის გადაცილებას პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით. მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი განსაკუთრებული მოვლენები შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ მისი არსებობის პერიოდში კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო გარემოებად, რამაც შესაძლებელია, გამორიცხოს ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო კანონით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულების წარმოშობა.⁶² ასეთ გარემოებად 401-ე მუხლის ფარგლებში მოიაზრება საზოგადო, მის პიროვნებასთან ან/და კრედიტორის მოქმედებასთან დაკავშირებული მიზეზები, რაც განაპირობებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას დროის გარკვეულ მონაკვეთში. ნორმის სისტემური და ტელეოლოგიური განმარტების გზით შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელი გულისხმობს დროებითი შეუძლებ-

ლობის არსებობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მოვალე ვერასდროს შეასრულებს ვალდებულებას, ნორმა მას ველარ დაიცავს პასუხისმგებლობისგან. ნორმის ამგვარი განმარტება განპირობებულია იმით, რომ ქართული ვალდებულებითი სამართლის მიხედვით, მოვალის მიერ ვადის გადაცილება მიიჩნევა ვალდებულების დარღვევად.⁶³ მოვალე არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად თუ იგი არაბრალეულად ცდება ფაქტობრივ და სამართლებრივ სინამდვილეში. ეს შეცდომა მისთვის საპატიო იქნება, თუ მან გამოიჩინა ბრუნვისთვის ჩვეული ყურადღება. იგი გაუფრთხილებლად და შესაბამისად, ბრალეულად იქცევა როდესაც არ ამოწმებს სინამდვილეს, ემყარება ყალბ მონაცემებს და დროულად არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.⁶⁴

სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ნორმის მიზანია გამორიცხოს მოვალის მიერ ვადის გადაცილების, როგორც ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი მდგომარეობის დადგომა, რითაც დაიცავს მოვალეს არაბრალეული შეუძლებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან.

3.5. გადამზიდველის პასუხისმგებლობა არაბრალეული ზიანისათვის

სსკ-ის 669-ე მუხლი ადგენს გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულების ფარგლებში გადამზიდველის პასუხისმგებლობას.

„გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის ასევე, მისი ბარგის და-ზიანების ან დაკარგვისათვის. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის მიერ, ანდა მისი ბარგით.“⁶⁵

ნორმის პირველი ნაწილი ადგენს გადამზიდველის პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძვლებს, რომელიც შესაძლებელია დადგეს მის მიერ მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის. მეორე ნაწილი ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რა შემთხვევაშიც გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ასეთი შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც ზიანი გამოწვეულია მგზავრის ან მისი ბარგის მიერ ან ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით. ნორმის შემადგენლობა ჩამოთვლის ალტერნატიულ წინაპირობებს, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობა საკმარისია გადამზიდველის პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად. დაუძლეველი ძალის ცნებაში მოიაზრება საგანგებო, ობიექტურად აუცდენელი გარემოებით ან მოვლენით.⁶⁶ „ფორსმაჟორი“, ანუ დაუძლეველი ძალა შეუძლებელს ხდის ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას. ამდენად, „ფორსმაჟორული“ სიტუაცია ნიშნავს მხარეთა დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობა გამორიცხავს მოვალის ბრალს.⁶⁷ ნორმის მესამე ნაწილი ადგენს იმპერატიულ დანაწესს მხარეთა შეთანხმებით ზიანის მიყენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის გამორიცხვის აკრძალვის თაობაზე.

ამრიგად, სსკ ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებულ ნაწილშიც გვთავაზობს შესრულების შეუძლებლობის მოწესრიგებას. გადამზიდველი მტკიცების ტვირთის მატარებელია და ენიჭება უფლება იდავოს ზიანის თავიდან არიდების, როგორც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაზე. შეუძლებლობის კატეგორიზაციის თვალსაზრისით, მოცემული ნორმა გულისხმობს არაბრალეულ და შემდგომში წარმოშობილ შეუძლებლობას, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა მოვალისათვის.

IV. შესრულების შეუძლებლობა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად

4.1. შესრულების შეუძლებლობის რეგულირების ზოგადი მიმოხილვა

2001 წლის 31 დეკემბრამდე, გსკ განსხვავებულად აწესრიგებდა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებს. გათვალისწინებული არ იყო საწყისი შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმა ასევე, განსაზღვრული არ იყო თუ რა წინაპირობების არსებობა იყო აუცილებელი შემთხვევის შეუძლებლობად დასაკვალიფიცირებად.⁶⁸ 2002 წლის ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად აღმოიფხვრა საკანონმდებლო ხარვეზები, გსკ-ის ამჟამინდელი რედაქცია სისტემატიზირებულად აწესრიგებს შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებს. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მიჩნეულია ვალდებულების შეუსრულებლობის ცალკე შემთხვევად. ახალი კოდექსი იძლევა შესრულების შეუძლებლობის ზოგად ლეგალურ დეფინიციას და განმარტავს ცალკეული შეუძლებლობის ცნებებს.⁶⁹ გერმანული სამართალი შესრულების შეუძლებლობის ცნებას მოიაზრებს ვალდებულების შესრულების გართულების – „Leistungsstörungen“ ერთიანი ცნების ქვეშ, რომელიც აერთიანებს გარკვეულ გარემოებებს, დაბრკოლებებს, რაც ხელს უშლის ვალდებულების (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) ჯეროვან შესრულებას. ვალდებულების შესრულების გართულებასთან დაკავშირებული ცნებაა ვალდებულების დარღვევა. იგი ქმნის ვალდებულების შესრულების გართულებების ტიპური ფორმებისათვის ზოგად გამაერთიანებელ ცნებას, მას მიეკუთვნება: 1. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება; 2. ვადის გადაცილება და 3. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რომელიც წარმოადგენს ვალდებულების შესრულების გართულების იშვიათ შემთხვევას.⁷⁰

სისტემური თვალსაზრისით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოცემულია გსკ-ის 275-ე პარაგრაფში, ვალდებულებითი სამართლის წიგნში (II). ნორმა მოიცავს ოთხ ნაწილს და მასში სტრუქტურირებულია შესრულების შეუძლებლობის სხვადასხვა შემთხვევები.

4.2. მოვალის უფლება უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე

გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მეორე და მესამე ნაწილები განსაზღვრავს მოვალის უფლებას უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე შეუძლებლობის შემთხვევაში.⁷¹

275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი ადგენს მოვალის ზოგად უფლებას უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე. ნორმის გრამატიკული შინაარსი მიუთითებს შესრულების შეუძლებლობის „ნამდვილ“ (ობიექტურ და სუბიექტურ) შემთხვევაზე. ვალდებულების შესრულება შეუძლებელი უნდა იყოს „მოვალისთვის“ ან „ნებისმიერი პირისათვის“ და არა ფაქტობრივ (პრაქტიკულ) შეუძლებლობაზე, რაც გულისხმობს შესრულების შეუძლებლობის დადგენას ობიექტური განსჯის შედეგად. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შესაძლებელია ობიექტური (ფაქტობრივი) ან იურიდიული გარემოებებით იყოს გამოწვეული. მუდმივი (განგრძობადი) შეუძლებლობის წინაპირობა მოცემულია მაშინ (რომელთანაც შემდგომ დროებითი შეუძლებლობის გათანაბრება ხდება, ანუ დროებითი შეუძლებლობა მუდმივში გადადის), როდესაც იგი გარიგების მიზნის მიღწევას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მეორე

მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ბოჭვაში დარჩენა ვალდებულების შესრულების დაბრკოლების აღმოფხვრამდე. სუბიექტური შეუძლებლობის (უუნარობის) წინაპირობაა ის, რომ მოვალეს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება და ამას ვერც ნივთის შოვნით, სხვაგან ყიდვით ან აღდგენით შეძლებს. გვაროვნული ნივთით შესასრულებელი ვალდებულების დროს მას ეკისრება დალუბული ნივთის მსგავსი გვაროვნული ნივთის შეძენის ვალდებულება.⁷² პირის ფინანსური გადახდისუუნარობა, ზოგადი შეხედულების თანახმად, არ იწვევს ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. გერმანულ სამართალში დამკვიდრებული ზოგადი პრინციპის თანახმად, „პირს ფული უნდა ჰქონდეს,“ 275-ე პარაგრაფის შემადგენლობა არ მოიცავს ფულადი ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლებას მისი არქონის გამო.⁷³ ნორმის შინაარსი ასევე, აქცენტს აკეთებს ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაზე, როდესაც საუბარია გარკვეულ ფარგლებში ვალდებულების შეუსრულებლობაზე.⁷⁴

ნორმის მე-2 ნაწილი ეხება ფაქტობრივ (პრაქტიკულ) შეუძლებლობას. ეს ცნება ეხება ეკონომიკური შეუძლებლობის თავში განხილულ შემთხვევებს, როდესაც ვალდებულების შესრულების წინააღმდეგობის გადალახვა თეორიულად შესაძლებელია თუმცა, არცერთი კრედიტორი ვალდებულების შესრულებას სერიოზულად არ დაელოდება. უპირველესად, ცნება დანახარჯი მოიცავს როგორც პიროვნულ გარჯას, ასევე ფულად ხარჯს. კრედიტორის ინტერესის მოვალის ინტერესზე პრიორიტეტულობის ფარგლებშიც კი, მიზანშეწონელია ამგვარი შესრულების დავალდებულება. დანახარჯებისა და ინტერესთა ურთიერთშეფარდების ფარგლებში მესამე პირის კრედიტორისადმი შესაძლო მოთხოვნებიც უნდა იქნას გათვალისწინებული. შესრულების ინტერესის განსაზღვრისას ასევე, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, თუ მოთხოვნის წარმდგენი (კრედიტორი) სხვა პირის მიმართ ანაზღაურებაზე ვალდებულია.⁷⁵

გსკ-ის 275-ე I პარაგრაფი აწესრიგებს შესრულების აბსოლუტურ შეუძლებლობას, II და III ნაწილები ეთმობა ფარდობითი შეუძლებლობის რეგულირებას, რომელიც აერთიანებს პრაქტიკული შეუძლებლობისა (§275 II) და მორალური, ეთიკური, პირადი შეუძლებლობის (§275 III) სახეებს. ფარდობითი შეუძლებლობა არ გამორიცხავს შესრულების შესაძლებლობას, ის მხოლოდ უფლებას ანიჭებს მოვალეს უარი თქვას შესრულებაზე გსკ-ის 275-ე II პარაგრაფი განამტკიცებს შესრულების პრაქტიკულ შეუძლებლობას (faktische ან praktische Unmöglichkeit, practical impossibility), რომლის დროსაც ვალდებულება მართალია, ობიექტურად განხორციელებადია, მაგრამ მისი შესრულება არაგონივრულია, რამდენადაც კრედიტორის შესრულების ინტერესთან შეფარდებით შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს უკავშირდება. ხელშეკრულების მბოჭავი ძალის განსაზღვრისას, შესრულების ხარჯების სიდიდე და დაბრკოლების გადალახვის სირთულე არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობით განიმარტოს. იგი შეიძლება შეფასებულ იქნას მხოლოდ კრედიტორის შესრულების ინტერესის გათვალისწინებით.⁷⁶

თუ ვალდებულების შესრულების ხელშეშლა მოვალის ბრალით არის გამოწვეული, მას მოეთხოვება ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით განსაზღვრული წინააღმდეგობის გადალახვისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მაგალითად, თუ მოვალე, მისი ბრალით გამოწვეული შეცდომით ან სამართლებრივი მდგომარეობის სრულად გააზრებით, ხელშეკრულების ნივთს მესამე პირს მიჰყიდის, მას გამოსყიდვისთვის ყველა შემთხვევაში საბაზრო ფასზე მეტის გადახდა მოუწევს, რათა ძირითადი ვალდებულებისაგან გათავისუფლება შეძლოს. საპირისპირო დასკვნის თანახმად, ნორმის

მე-2 ნაწილი არ ითვალისწინებს იმას, რომ მოვალეს, თუ მისი ბრალეულობით არ არის გამოწვეული ვალდებულების შესრულების წინაღობა, საერთოდ არ უნდა მოეთხოვოს ამ წინაღობის გადალახვა. აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს „ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის“ გათვალისწინებით. მოტანილი მაგალითის თანახმად, მოვალე მაშინაც ვალდებულია გაისარჯოს და ხელშეკრულების საგანი მესამე პირისაგან გამოისყიდოს და ამ უკანასკნელს საბაზრო ფასზე მეტი შესთავაზოს, როდესაც ვალდებულების შესრულების წინაღობები მისი ბრალით არაა გამოწვეული. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას ბრალეულობა არ ეხება, ობიექტური თვალსაზრისით, იგი ვალდებულებას მაინც ვერ ასრულებს. ასე, რომ ვალდებულების შესრულების წინაღობა მისი საქმიანობის სფეროში არსებული ნაკლიდან გამომდინარეობს.⁷⁷

4.3. პერსონალურად შესასრულებელი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად, „გარდა ამისა, მოვალეს შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მან ვალდებულება უნდა შეასრულოს პირადად და შესრულება მას არ შეიძლება მოეთხოვოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ხელშეშლის ხარისხისა და შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესის ურთიერთშეწონის შედეგად.“⁷⁸

ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებად შეიძლება მოვიხსნათ ისეთი შემთხვევები, როდესაც ობიექტური განსჯის შედეგად კრედიტორის ინტერესის შელახვის ხარისხი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ვალდებულების შესრულების შემთხვევაში გასაღებ მსხვერპლს. მე-3 ნაწილი არის პირადად შესასრულებელი ვალდებულების სპეციალური რეგულირება. იგი ეხება, უპირველეს ყოვლისა, შრომით და მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებს. გარკვეულ შემთხვევებში, ნარდობისა და სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულებებს. ნორმის მე-2 ნაწილისაგან განსხვავებით, ვინაიდან ვალდებულება მოვალის მიერ პირადად არის შესასრულებელი და მის პიროვნებაზე დამოკიდებული, გათვალისწინებულ უნდა იქნას შესრულებასთან დაკავშირებული მოვალის პიროვნული ასპექტები და გარემოებები და შეჯერდეს კრედიტორის შესრულების ინტერესთან.⁷⁹ თუ ამ ურთიერთშეფარდების შედეგად მოვალისათვის მიუღებელია შესრულება, მაშინ მოცემულია შეუძლებლობის შემთხვევა, მე-3 ნაწილის შესაბამისად (მაგალითად, ე. წ. ფსიქიკური შეუძლებლობა). ამის ნათელი მაგალითია მომღერლის შემთხვევა, რომელიც უარს ამბობს კონცერტის ჩატარებაზე, რადგან მისი შვილი სიცოცხლისთვის საშიში სენითაა დაავადებული. სამსახურის გაცდენა სამუშაო დროის პერიოდში ექიმთან სავალდებულო ვიზიტის გამო; მძიმედ ავადმყოფი ოჯახის წევრისათვის აუცილებლად გასაწევი მზრუნველობა; სახელმწიფო ორგანოში ან სასამართლოში სავალდებულო ვიზიტი და ა.შ.⁸⁰

4.4. შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგები გერმანულ სამართლაში

275-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილი ადგენს კრედიტორის უფლებებს შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში.

კრედიტორის უფლებები განისაზღვრება § 280-ის, 283-285-ის, 311ა-სა და 326-ის მიხედვით.⁸¹

275-ე პარაგრაფით დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ვალდებულება წყდება თუმცა, სამართლებრივი შედეგები დამოკიდებულია ვალდებულების არსზე და სპეციფიკაზე, მაგალითად სახეზე არ გვექნება შესრულების შეუძლებლობა, როდესაც მოვალე ვალდებულია კრედიტორს გადასცეს გვაროვნული ნივთი.⁸² შესრულების შეუძლებლობა ან ავტომატურად ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან ან უფლებას ანიჭებს მას, უარი თქვას შესრულებაზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოვალე ყველანაირი ვალდებულებისაგან თავისუფლდება. კრედიტორს მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელება შეუძლია. როგორც ვხედავთ, §275 ბლანკეტური ნორმაა და შესრულების შეუძლებლობისას კრედიტორის უფლებების ჩამონათვალს სხვა ნორმებზე მითითებით გვთავაზობს.

4.4.1. ზიანის ანაზღაურება

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა 280-ე პარაგრაფის საფუძველზე, რომელიც ადგენს ზიანის ანაზღაურების ზოგად დანაწესს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წინაპირობას მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევა წარმოადგენს. ნორმის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება მოცემულია ნეგატიური ფორმულირებით:

„თუ მოვალე არღვევს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე თავის ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მოვალეს არ ეკისრება“⁸³ მოვალის მიმართ ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, დაკისრებისთვის კანონი ადგენს მისი ბრალეულობის წინაპირობას. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა, თუ მოვალეს ვალდებულების დარღვევაში ბრალი არ მიუძღვის. ნეგატიური ფორმულირება ძირითადად, ნიშნავს, რომ ვალდებულების ბრალეული დარღვევის მტკიცების ტვირთი კრედიტორს ეკისრება. თუმცა, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მოვალეს აწევს, რადგან კრედიტორს არ შეიძლება მოეთხოვოს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზების მტკიცება.⁸⁴

შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იკავებს პირველადი შესრულების ადგილს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების სახეს ყველა შემთხვევაში, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს.

4.4.2. გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაცვლად კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ უშედეგოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. მოვალეს აუნაზღაურდება ხარჯები, რომელიც მან ხელშეკრულების დასადებად ან ნივთით შემდგომი სარგებლობისათვის გაიღო. აღნიშნულ ხარჯებს კრედიტორი ვალდებულების შესრულების შემთხვევაშიც გაიღებდა.⁸⁵ შესაბამისად, აღნიშნული ხარჯები ვერ იქნება მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელებისას. ამასთან, კრედიტორისათვის დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების

მინიჭებით, მას მინიმუმ გაღებული დანახარჯების ანაზღაურების უფლება აქვს გარანტირებული. დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელება დასაშვებია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაცვლად. შესაბამისად, კრედიტორს უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ანუ ადგილი უნდა ჰქონდეს მოვალის მხრიდან ვალდებულების ბრალეულ დარღვევას.

4.4.3. შესრულების შეუძლებლობის სანაცვლოდ მიღებული მოთხოვნის უფლება

გსკ-ის 285-ე პარაგრაფის თანახმად, თუ მოვალემ იმ გარემოების შედეგად, რომლის საფუძველზეც შესრულება შეუძლებელია ან მას შესრულებაზე უარის თქმის უფლება ენიჭება, რაიმე მიიღო – კრედიტორს შეუძლია სანაცვლოდ მიღებულის მისთვის გადაცემა მოითხოვოს.

ზიანის ანაზღაურებისა და დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების განხორციელების აუცილებელ წინაპირობას მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევა წარმოადგენს.

285-ე პარაგრაფი კი, აწესებს ბრალისაგან დამოუკიდებელ სამართლებრივ შედეგს – მოვალემ კრედიტორს უნდა მისცეს შესრულების საგნის სუროგატი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული უფლება ძირითადად, ვრცელდება სადამზღვევო კომპანიების წინააღმდეგ მოვალის მოთხოვნის უფლებებზე ან სადამზღვევო კომპანიებისაგან შეუძლებელის შესრულების საგნის სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურებაზე ასევე, მოთხოვნებზე მესამე პირთა მიმართ.⁸⁶

4.4.4. საპასუხო შესრულების ბედი შესრულების შეუძლებლობისას

ორმხრივ ხელშეკრულებებში მოვალისა და კრედიტორის ვალდებულებები ერთმანეთთანაა დაკავშირებული – ერთი მხარე მხოლოდ იმიტომ კისრულობს ვალდებულებას, რადგან მეორე მხარესაც გარკვეული ვალდებულება აკისრია. შესაბამისად, თუ მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, კრედიტორსაც აღარ უნდა დაეკისროს საპასუხო შესრულების განხორციელება.⁸⁷

326-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, თუ მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, კრედიტორის საპასუხო შესრულების ვალდებულებაც აღარ არსებობს. კრედიტორი საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან ავტომატურად თავისუფლდება.

საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან კრედიტორის გათავისუფლებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, შესრულების შეუძლებლობა მოვალის ბრალით არის გამოწვეული თუ მისგან დამოუკიდებლად.

საპასუხო შესრულების რისკის მატარებელი როგორც წესი, მოვალეა. თუმცა, თუ შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი გარემოება კრედიტორის ბრალით დადგა ან თუ შესრულების შეუძლებლობას ადგილი ჰქონდა კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილებისას, 326-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, მოვალე ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, კრედიტორს აწევს საპასუხო შესრულების რისკი.

326-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილი კრედიტორს მოვალის მიერ შესრულების შეუძლებლობისას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ანიჭებს. ამ შემთხვევაში, დამატებითი შესრულებისათვის ვადის

დაწესება აუცილებელი არ არის. თუმცა, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას შეუძლებლობის შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, რამდენადაც საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან კრედიტორი ისედაც ავტომატურად თავისუფლდება.⁸⁸ ხელშეკრულებიდან გასვლას მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი არ თავისუფლდება საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან ან როდესაც შესრულებისა და საპასუხო შესრულების ვალდებულებები ნაწილობრივ გამოირიცხება. ასევე მაშინ, როდესაც კრედიტორისათვის უცნობია, რომ მოვალემ ვალდებულება შეუძლებლობის გამო არ შეასრულა.⁸⁹

ნების გამოვლენის თვალსაზრისით, ვალდებულების მხარეები სხვადასხვა სამართლებრივ გარემოებაში აღმოჩნდებიან, იმის მიხედვით, თუ რომელი ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევას აქვს ადგილი.

ა) ნორმის პირველი ნაწილი წარმოშობს სასამართლოს მიერ სავალდებულოდ (საკუთარი ინიციატივით – ინკვიზიციურად) გასათვალისწინებელი უფლების მომსპობ მოვალის შესაგებელს. ეს ნიშნავს, რომ მოვალე კანონის ძალით თავისუფლდება ვალდებულებისაგან. ბ) ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები კი, მოვალეს ანიჭებს მხოლოდ შესრულებაზე უარის თქმის უფლებას. მაშასადამე, მან უნდა წამოაყენოს შესაბამისი შესაგებელი. ეს შესაძლებელია კონკლუდენტურადაც მოხდეს, როდესაც მითითება ხდება ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებაზე. გ) მე-4 ნაწილში მითითებულია ის ნორმები, რომლებიც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობიდან გამომდინარე კრედიტორის უფლებებს არეგულირებენ. ცალკე მდგომ მოთხოვნის საფუძველს მე-4 ნაწილი არ შეიცავს. თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალის მიერ არის გამოწვეული, კრედიტორს, § 280-ის პირველი ნაწილისა და 283-ის შესაბამისად, შეუძლია (საწყისი შეუძლებლობის დროს, §311ა-ის თანახმად) მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. როგორც წესი, ორმხრივი ხელშეკრულების დროს, კრედიტორი თავისუფლდება საპირისპირო ვალდებულების შესრულებისაგან (§326-ის პირველი ნაწილი) და §326-ის მე-5 ნაწილის თანახმად, მას შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.⁹⁰

დასკვნა

ქართული კანონმდებლობა ადგენს ვალდებულებისა და მისი შესრულების ლეგალურ დეფინიციას, თუმცა არ გვთავაზობს ვალდებულების შეუსრულებლობისა და შესრულების შეუძლებლობის ერთიან ცნებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, გერმანული მოწესრიგებისგან განსხვავებით, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მარეგულირებელი ნორმები ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი, რაც განაპირობებს მათ ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას სამართალშემფარდებლის მიერ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევების ძირითად ნაწილს. სამოქალაქო კოდექსის მუხლები, შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობის დადგომისას, მოვალეს აძლევს შესაძლებლობას თავი დაიცვას არათანაზომიერი პასუხისმგებლობისაგან, რაც გამოხატულია გარიგების გაბათილების, არაბრალეული ვადის გადაცილებით ან შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისაგან თავის დაცვის

სამართლებრივი საფუძვლებით. კანონმდებლობა ასევე, ადგენს კრედიტორის ინტერესების დაცვის თანაბომიერ მექანიზმებს, რაც გამოიხატება ხელშეკრულების მოშლის (სათანადო საფუძვლების პირობებში) და ზიანის ანაზღურების მოთხოვნის უფლებაში. სამოქალაქო კოდექსი ღიად ტოვებს ფაქტობრივი (პრაქტიკული) შეუძლებლობის შემთხვევების მოწესრიგებას, რაც საჭიროებს საკითხის გადაჭრის გზების ძებნას საკანონმდებლო ნორმების მიღმა.

შესრულების შეუძლებლობის რეგულირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა ნაწილში გვხვდება. არსებული მოწესრიგებების ერთობლიობა გარკვეულწილად, აძლევს შესაძლებლობას კეთილსინდისიერ მხარეს იდავოს კანონიერი ინტერესის დასაცავად, თუმცა შეუძლებლობის მოწესრიგების არასისტემურობა და შეუძლებლობის ერთიანი ლეგალური ცნების არარსებობა ღიად ტოვებს შემთხვევის შეუძლებლობად დასაკვალიფიცირებლად აუცილებელი წინაპირობების საკითხს. ასევე, საკანონმდებლო დონეზე განუსაზღვრელია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის განსხვავება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებისადმი. არსებული სამართლებრივი ბაზა ფართო დისკრეციას აძლევს სამართლის შემფარდებელს შეუძლებლობის საქმის განხილვისას.

საკანონმდებლო ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ სამოქალაქო კოდექსის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მოწესრიგების არასისტემურობა, რაც იწვევს ძირითადი ცნებების მიმართ ლეგალური დეფინიციების არარსებობას. საბოლოოდ, არსებული საკანონმდებლო ბაზა არ იძლევა პრაქტიკის ჩამოყალიბების ერთიან მიმართულებას, როგორც სამოქალაქო ბრუნვის, ასევე სამართალწარმოების თვალსაზრისით. მიზანშეწონილი იქნება თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოწესრიგდება ერთიანი ნორმის სახით, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის კარში.

შენიშვნები

- ¹ ტანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 57.
- ² ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 400.
- ³ 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 352-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- ⁴ ტანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 44-45.
- ⁵ Markesinis B., Unberath H., Johnson A., The German Law of Contracts, 2006, p. 322.
- ⁶ 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 398-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- ⁷ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, გვ. 8.
- ⁸ 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 317-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- ⁹ ტეჭელაშვილი ზ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2010, გვ. 44.
- ¹⁰ მესხიშვილი ქ., სკ-ის 370-ე მუხლის კომენტარი, მე-6 ველი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH) და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების (JILEP) ასევე, კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტების (LoG) ერთობლივი პროექტი, ხელმისაწვდომია <http://www.gccc.ge>
- ¹¹ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, გვ. 37.
- ¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 44-45.
- ¹³ ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნ. 2011, გვ. 10.
- ¹⁴ Eisenberg M. A., Impossibility, Impracticability and Frustration, Cambridge, 2009, p. 208.
- ¹⁵ Zimmerman R. The Law of Obligations, Cape Town, 1992, p. 686-687.
- ¹⁶ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 81.
- ¹⁷ 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 326-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.
- ¹⁸ კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანია და ზ. ტეჭელაშვილის თარგმანი, 2014, გვ. 865.
- ¹⁹ 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 398-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- ²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე № ას-466-707-08, 25 ნოემბერი, 2008, გვ. 6.
- ²¹ 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 398-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- ²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე № ას-7-6-2010, 7 ივნისი, 2010, გვ. 5-6.
- ²³ შეად. Сарбаш С.В., Исполнение договорного Обязательства, Москва, 2005, с. 114. ციტირებული ნაშრომიდან: ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნ. 2011, 12.
- ²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-7-6-2010, 7 ივნისი, 2010, გვ. 5-6.
- ²⁵ ტეჭელაშვილი ზ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2010, გვ. 63.
- ²⁶ იქვე.
- ²⁷ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, სამართლის ჟურნ. N2,2011, გვ. 145-146.
- ²⁸ იქვე, გვ. 143.
- ²⁹ იქვე, გვ. 133.
- ³⁰ შაკიაშვილი ბ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, 1997, გვ. 12-13.
- ³¹ იქვე, გვ. 13-17.
- ³² უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის განჩინება, საქმის #ას-30-367-09, გვ. 3.

- 33 შაკიაშვილი ბ., სახელმწიკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, 1997, გვ. 20.
- 34 მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამართალში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი №2(37), 2013, გვ. 43.
- 35 შაკიაშვილი ბ., სახელმწიკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, 1997, გვ. 15.
- 36 მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამართალში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი №2(37), 2013, გვ. 44.
- 37 შაკიაშვილი ბ., სახელმწიკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, 1997, გვ. 21.
- 38 ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნ. 2011, გვ. 11-12.
- 39 შაკიაშვილი ბ., სახელმწიკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, 1997, გვ. 23.
- 40 იქვე, გვ. 22.
- 41 მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამართალში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი №2(37), 2013, გვ. 46.
- 42 იქვე.
- 43 იქვე, გვ. 10.
- 44 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-5 მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- 45 ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017, გვ. 534.
- 46 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 91-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- 47 ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 416.
- 48 ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნ. 2011, გვ. 11.
- 49 ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი 2017, გვ. 534.
- 50 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 62-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- 51 კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, გვ. 269.
- 52 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 976-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- 53 რუსიაშვილი გ., ვინდიკაციისა და შესრულების კონდიციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, სამართლის ჟურნ. N1, 2013.
- 54 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 394-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- 55 ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 372.
- 56 იქვე.
- 57 შაკიაშვილი ბ., სახელმწიკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, თბ., 1997, გვ. 22.
- 58 ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 377.
- 59 ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნ. 2011, გვ. 12.
- 60 ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 371.
- 61 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 401-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- 62 თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №2ბ/3490-1122, 7 დეკემბერი, გვ. 6.
- 63 ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 417.
- 64 ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 423.

- ⁶⁵ 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 669-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- ⁶⁶ ზამბახიძე ტ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, 2001, გვ. 319.
- ⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის განჩინება, საქმის #ას-30-367-09, 3.
- ⁶⁸ ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნ. 2011, გვ. 17.
- ⁶⁹ Krajewski, M., New German Law of Obligations, *The European Business Law Review*, Vol. 14, Issue 2, 2003, p. 205.
- ⁷⁰ კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014, გვ. 149.
- ⁷¹ ჭეჭელაშვილი ზ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010, გვ. 48-49.
- ⁷² Barrigan Marcantonio J., *Unifying the Law of Impossibility*, Georgetown, 1948-85, p. 43.
- ⁷³ Markesinis B, Unberath H, Johnson A., *The German Law of Contracts*, Oxford, 2006, გვ. 410.
- ⁷⁴ კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014, გვ. 150.
- ⁷⁵ იქვე.
- ⁷⁶ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, 2011, გვ. 152-153.
- ⁷⁷ კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014, გვ. 150.
- ⁷⁸ ჭეჭელაშვილი ზ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010, გვ. 49.
- ⁷⁹ Ridder P., Weller M-P., *Unforeseen Circumstances, Hardship, Impossibility and Force Majeure under German Contract Law*, *European Review of Private Law*, Vol. 22, Issue 3 (2014), გვ. 381.
- ⁸⁰ კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014, გვ. 152.
- ⁸¹ ჭეჭელაშვილი ზ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი; 2010, გვ. 49.
- ⁸² Markesinis B, Unberath H, Johnson A, *The German Law of Contracts*, 2006, p. 410.
- ⁸³ ჭეჭელაშვილი ზ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი; თბ., 2010, გვ. 49.
- ⁸⁴ მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი N2, 2013, გვ. 48.
- ⁸⁵ Krajewski, M., New German Law of Obligations, *The European Business Law Review*, Vol. 14, Issue 2, 2003, p. 209.
- ⁸⁶ მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი N 2, 2013, გვ. 51-52.
- ⁸⁷ Krajewski, M., New German Law of Obligations, *The European Business Law Review*, Vol. 14, Issue 2, 2003, 2011.
- ⁸⁸ Ridder P., Weller M-P., *Unforeseen Circumstances, Hardship, Impossibility and Force Majeure under German Contract Law*, *European Review of Private Law*, Vol. 22, Issue 3 (2014), p. 389.
- ⁸⁹ მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი N2, 2013, გვ. 54-55.
- ⁹⁰ კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბ., 2014, გვ. 153.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, თბილისი, 2001;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, 2001, ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, თბილისი, 2001;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ზოგადი ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2017;
4. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 2017 gccc.ge.
5. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, ბესარიონ ზოიძე, თბილისი 2005;
6. სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, ბესიკ შაკიაშვილი, თბილისი, 1997;
7. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, დავით კერესელიძე, თბილისი, 2009;
8. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, ლადო ჭანტურია, თბილისი, 2011;
9. ვალდებულებითი სამართალი, ზურაბ ახვლედიანი, თბილისი, 1999;
10. ვალდებულებითი სამართალი, მზია თოდუა, ჰუბ ვილეშნი, თბილისი, 2006;
11. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, იან კროპჰოლერი, თორნიკე დარჯანიას და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014;
12. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი; ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი; 2010;
13. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებითი სამართლებრივი ანალიზი), ნინო ბეგიაშვილი, სამართლის ჟურნალი, 2011;
14. შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, ნათია ჩიტაშვილი, სამართლის ჟურნალი, 2012;
15. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამართალში, ანა მასისურაძე, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №2(37), 2013;
16. ვინდიკაციისა და შესრულების კონდიციის კონკურენცია არა ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, გიორგი რუსიაშვილი, სამართლის ჟურნალი, 2013;
17. The Law of Obligations, Reinhard Zimmermann, Cape Town, 1992;
18. The German Law of Contracts - Sir Basil Markesinis, HannesUnberath, Angus Johnson, Oxford and Portland, 2006;
19. An Introduction to a Comperative Law, Konrad Zweigert and Hein Kötz, translated by Tony Weir, Oxford, 1998;
20. Unifying the Law of Impossibility, J. Barrigan Marcantonio, Georgetown, 1948-1985;
21. Unforeseen Circumstances, Hardship, Impossibility and Force Majeure under German Contract Law, Philip Ridder, Marc-Philippe Weller, European Review of Private Law, Vol. 22, Issue 3 (2014);
22. Impossibility, Impracticability and Frustration, Melvin A. Eisenberg, Winter 2009: Volume 1, Number1— Journal of Legal Analysis;
23. New German Law of Obligations, Krajewski, Markus, TheEuropean Business Law Review, Vol. 14, Issue 2, 2003;
24. Исполнение договорного Обязательства, Сарбаш С.В., Москва, 2005.

ბიბლიოგრაფია:

ნორმატიული აქტები/სასამართლო გადაწყვეტილებები

1. 1997 წლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-7-6-2010, 7 ივნისი, 2010;
3. უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმის №ას-30-367-09, 23 ივლისი, 2009;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-466-707-08 25 ნოემბერი, 2008;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №2ბ/3490-11 22 დეკემბერი, 2011 წელი.

INABILITY TO FULFIL THE OBLIGATION

UNDER GEORGIAN AND GERMAN LAW

RATI CHANTLADZE

Doctoral student

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Faculty of Law

Georgian legislation sets forth legal definition of obligation and its' fulfilment, however it does not offer entire terms for unfulfillment and inability to fulfil the obligations. Apart from German regulation (paragraph 275), Civil Code of Georgia fragmentally introduces articles regulating inability of fulfilment the obligation, that conditions possibility of wide interpretation.

Regulations in regard of inability of fulfilment the obligation are found in different parts of Georgian Civil Code. Unity of the existing regulations gives an opportunity to the good faith party to litigate for protection of legal interests to some extent, however, non-systematicity and nonexistence of entire legal term of inability of fulfilment the obligations lives open the issue of what are the necessary prerequisites to qualify event as an inability. Existing legislation provides law adjustor with wide discretion while reviewing inability case.

Civil Code of Georgia regulates essential part of inability to fulfil the obligation. In the event of the occurrence of inability to fulfil the obligation, articles of the Civil Code provide the debtor with the possibility to protect itself from disproportionate liability, that are expressed in voidance of agreement, delay of term without intention or legal ground to avoid remuneration of the damages caused by inability. Moreover, legislation sets forth proportionate mechanisms for protection of creditors' interests, that are – termination of the agreement (with condition of relevant grounds) and right to demand remuneration for the damages. Civil Code leaves open regulation of factual (practical) inability, that requires research for finding ways of solutions beyond legislative norms.

ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამარ- თლებრივ ურთიერთობებზე

მათე ხვედელიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და მზარდი გლობალიზაციის პირობებში, ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარებისათვის, განუზომლად დიდია. სახელმწიფოები მაქსიმალურად ცდილობენ, ლიბერალური, გამჭვირვალე და ბიზნესზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზის შექმნით, შეინარჩუნონ ადგილობრივი ინვესტორები და მოიზიდონ უცხოელ ინვესტორთა კაპიტალი. უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით, სახელმწიფოებს შორის სულ უფრო ხშირად იდება ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები.

2014 წლის 27 ივნისს, ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ღრმა

და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ასოცირების შესახებ შეთანხმება წარმოადგენს კომპლექსურ ხელშეკრულებას და სხვა მრავალ სფეროსთან ერთად, არეგულირებს უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებსაც.¹ საინვესტიციო ხელშეკრულებები საერთაშორისო ხელშეკრულებებს წარმოადგენენ და შეთანხმების მხარეებიც აუცილებლად უნდა იყვნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები.² ლისაბონის 2009 წლის ხელშეკრულების³ ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკავშირის სამართალსუბიექტობა საერთაშორისო სამართალში აღიარებულია და ეჭვს არ იწვევს.⁴ შესაბამისად, ევროკავშირს აქვს უფლება, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, სხვა ქვეყნებთან დადოს ცალკეული ხელშეკრულებები და შეთანხმებები მათ შორის, ინვესტიციების დაცვის შესახებ ხელშეკრულებები. ასოცირების შესახებ შეთანხმება ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებათა ნახევარზე მეტი, ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებზე მოდის.⁵ ასოცირების შესახებ შეთანხმება შეიცავს უცხოური ინვესტიციების რეგულირებასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს. შესაბამისად, აუცილებელია შესწავლილ იქნას, რა უპირატესობებს აძლევს ეს დანაწესები მხარეთა ინვესტორებს და ზოგადად, რა გავლენას ახდენს ასოცირების შესახებ შეთანხმება საინვესტიციო ურთიერთობებზე. უცხოური ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების არსებობა ასოცირების შესახებ შეთანხმებაში აქტუალურია და საინტერესოა იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ ევროკავშირმა შეიმუშავა ახალი ერთიანი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ამოქმედდა და რომლის მიხედვითაც, ევროკავშირს როგორც საინვესტიციო სამართლის სუბიექტს გადაეცა ექსკლუზიური კომპეტენცია, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები მოაწესრიგოს ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების დადების გზით. გამომდინარე აქედან, ლისაბონის ხელშეკრულების შესაბამისად, მხოლოდ ევროკავშირია უფლებამოსილი, დაარეგულიროს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები, რაც ნიშნავს, რომ წევრ სახელმწიფოებს შეეზღუდათ უფლებამოსილება, ინდივიდუალურად განახორციელონ დამოუკიდებელი საინვესტიციო პოლიტიკა ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან მიმართებით.⁶

როგორც აღინიშნა, ასოცირების შესახებ შეთანხმებით რეგულირდება უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხებიც. ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, საქართველოს ევროკავშირის წევრ თითქმის ყველა ქვეყანასთან ჰქონდა დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებები. შესაბამისად, გასარკვევია, ეწინააღმდეგება თუ არა ასოცირების შეთანხმებისა და ევროკავშირის ცალკეულ სახელმწიფოებთან დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებების ნორმები ერთმანეთს და კოლიზიის შემთხვევაში, რომელ რეგულირებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ასოცირების შეთანხმება დაიდო ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ და იგი უცხოური ინვესტიციების რეგულირების კუთხით, ერთგვარი უნიფიცირებული აქტია, უნდა დადგინდეს, აქვთ თუ არა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უფლება, ცვლილებები შეიტანონ საქართველოსთან უკვე არსებულ საინვესტიციო ხელშეკრულებებში ან/და ახალი საინვესტიციო ხელშეკრულებების დადების გზით მოაწესრიგონ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები.

მსგავსად ასოცირების შესახებ შეთანხმებისა, საინვესტიციო ხელშეკრულებებში ფართოდ არის გავრცელებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმა. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმა საინვესტიციო ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოს ინვესტორს საშუალებას აძლევს, მიუთითოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელ რეგულირებაზე, რომელიც შესაძლოა არსებობს ან მომავალში იქნება გათვალისწინებული ინვესტიციის ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოებთან დადებულ საინვესტიციო ხელშეკრულებებში. პრინციპის უნივერსალურობიდან გამომდინარე, მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული საინვესტიციო შეთანხმებით და იგი ავტომატურად ხდება იმ საინვესტიციო ხელშეკრულებათა ნაწილი, რომლებიც მხარეებმა დადეს ან მომავალში დადებენ. გამომდინარე აქედან, ცალკე კვლევის საგანია, უნდა გავრცელდეს თუ არა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ინვესტორებზე უცხოური ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებული ის ბენეფიტები, რომლებიც გათვალისწინებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებით და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში წარმოდგენილ ქართველ ინვესტორებს აქვთ თუ არა უფლება, მიუთითონ ევროკავშირსა ან/და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და მესამე ქვეყნებს შორის დადებულ საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ, მისთვის ხელსაყრელ რეგულირებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია დადგინდეს, ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმა ვრცელდება მხოლოდ მატერიალურსამართლებრივ საკითხებზე, თუ ასევე, მოიცავს პროცესულ საკითხებსაც, როგორცაა დავის განმხილველი ტრიბუნალების შესახებ შეთანხმება და დავის განხილვის წესების დადგენა ბენეფიციარ სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის.

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება, როგორც ლისაბონის 2009 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკავშირის მონაწილეობით დადებული ინვესტიციების დაცვის ხელშეკრულება

1.1. ზოგადი მიმოხილვა

ხშირია შემთხვევები, როდესაც ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა მიზნით და ფორმატით შექმნილ საერთაშორისო ხელშეკრულებებშია ინკორპორირებული.⁷ ამის კარგი მაგალითია კანადასა და ევროპის კავშირს შორის დადებული ყოვლისმომცველი სავაჭრო და ეკონომიკური შეთანხმება⁸ (Comprehensive Economic and Trade Agreement (CETA)), რომელიც ძირითად ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, არეგულირებს ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებსაც და აგრეთვე, წარმოადგენს ორმხრივ საინვესტიციო დაცვის ხელშეკრულებას კანადასა და ევროპის კავშირს შორის. იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოეთ ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან⁹ (NAFTA) მიმართებით. საინვესტიციო სამართლის პრაქტიკა და დოქტრინა გამოყოფს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც ორმხრივ ან მრავალმხრივ ინვესტიციების დაცვის შეთანხმებებშია მოწესრიგებული. ესენია: თანასწორი და სამართლიანი მოპყრობის უფლება, დისკრიმინაციული მოპყრობის დაუშვებლობა, ინვესტიციების სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი, და-

უსაბუთებელი ექსპროპრიაციის აკრძალვა, ეროვნული მოპყრობისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმები, ქოლგა კლაუზულა, დივიდენდის თავისუფალი ტრანსფერის უფლება.¹⁰ შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ინვესტიციების დაცვის შესახებ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ დასახელებული საკითხები ამ ხელშეკრულებით რეგულირდებოდეს.

ინვესტიციების დაცვის ხელშეკრულების ელემენტებს შეიცავს ევროკავშირის მიერ დადებული სხვა ასოცირების შესახებ შეთანხმებებიც. მაგალითისათვის, ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ბალკანეთის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმებებითაც.¹¹ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება აგრეთვე, ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამიდან მომდინარე ასოცირების შესახებ შეთანხმებებშიც, რომლის შესახებაც პირველად, 2009 წლის 7 მაისს გაცხადდა და რომლის მონაწილე ერთ-ერთ სახელმწიფოს საქართველო წარმოადგენს.¹²

საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან არსებული ასოცირების შესახებ შეთანხმება წარმოადგენს თვისებრივად ახალ სახეს ასოცირების შესახებ სხვა შეთანხმებებთან მიმართებით, რადგან მისი დადება მოხდა ლისაბონის 2009 წლის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება სხვა ასოცირების შესახებ შეთანხმებებშიც გვხვდებოდა.

ასოცირების შესახებ შეთანხმების პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ წინამდებარე შეთანხმებით მხარეები მიზნად ისახავენ ერთმანეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისათვის ახალი გარემოს შექმნას. ასოცირების შესახებ შეთანხმებით რეგულირდება საინვესტიციო დაცვის ხელშეკრულებებისთვის დამახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: ინვესტიციების დაშვება, ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, თავისუფალი ტრანსფერის უფლება, გამჭვირვალობის ვალდებულება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა.¹³

სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ერთიანი ევროპული საინვესტიციო და სავაჭრო პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, ცალკეული საკითხების მოწესრიგება შეიძლება მოხდეს ევროკავშირის მონაწილეობით ისე, რომ ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფო, როგორც ერთი მხარე, ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოსთან დადებენ „შერეულ“ ხელშეკრულებას.¹⁴ შერეული ხელშეკრულების დადების დროს, ევროკავშირი მართალია წარმოადგენს მხარეს თუმცა, ის არ სარგებლობს საკითხის მოწესრიგების ექსკლუზიური უფლებით და ასეთი ხელშეკრულების ძალაში შესვლას სჭირდება იმ სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან რატიფიცირება, რომელ სახელმწიფოსთან ერთადაც ევროკავშირი დებს „შერეულ“ ხელშეკრულებას ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოსთან.¹⁵ სწორედ ამიტომ, იმის გამო, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება, უცხოური ინვესტიციების დაცვის გარდა, არეგულირებს სხვა არაერთ საკითხს, ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლას დასჭირდა ყველა ხელმომწერი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს თანხმობა (რატიფიცირება). საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების გარდა, შერეული ხელშეკრულების თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ერთი

მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის და მეორე მხრივ, კანადას შორის 2014 წელს დადებული ყოვლისმომცველი სავაჭრო და ეკონომიკური შეთანხმება(CETA).¹⁶

1.2. ლისაბონის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის არსებული საინვესტიციო ხელშეკრულებების მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები

ლისაბონის ხელშეკრულებით, ერთიანი ევროპული საინვესტიციო და სავაჭრო პოლიტიკის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, მართალია ევროკავშირს გადაეცა ექსკლუზიური კომპეტენცია უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით თუმცა, ლისაბონის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ზუსტ გარდამავალ დებულებებს იმ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებათა მიმართ, რომელთა ერთი მხარე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა და რომლებიც დადებულია ლისაბონის 2009 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.

2012 წელს, ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გარდამავალი დებულებები იმ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებათა მიმართ, რომლებიც დადებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და მესამე არაწევრ სახელმწიფოს შორის და რომლებიც ძალაში შევიდა ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.¹⁷ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, გაჩნდა მნიშვნელოვანი კითხვა, თუ რა ბედი ეწეოდა იმ უამრავ ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებს, რომელთა ხელშემკვრელი ერთ-ერთი მხარე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი დადებითად უნდა გადაწყდეს. როგორც აღინიშნა, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ვენის კონვენციის შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებებს წარმოადგენენ და მათზე ვრცელდება *pacta sunt servanda*-ს პრინციპი და უცვლელად განაგრძობენ არსებობას, დამოუკიდებლად ევროკავშირის სამართალში შესული ცვლილებებისა. ამ ხელშეკრულებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მხოლოდ ევროკომისიის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ევროკომისია პრინციპულია ისეთ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან მიმართებითაც, რომლებიც დადებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის და რომელთა მიერ მოწესრიგებული საკითხები ექცევა ევროკავშირის სამართლის რეგულირების სფეროში და შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მას, რამაც შესაძლოა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა გამოიწვიოს. მსგავს სიტუაციებში გამოსავალია ასეთი საინვესტიციო ხელშეკრულების კორექტირება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში – შეწყვეტა.¹⁸

1.3. ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ, ევროკავშირის წევრ ქვეყანასა და საქართველოს შორის არსებული საინვესტიციო ხელშეკრულების მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები

იმის გათვალისწინებით, რომ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გაჩნდა კითხვები, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მონაწილეობით უკვე არსებული BIT-ების მოქმედებასთან

დაკავშირებით, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რა გავლენა აქვს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ, უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ნორმებს, საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უკვე დადებულ BIT-ებთან მიმართებით. ეს კითხვა აქტუალურია მით უფრო, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება დაიდო სწორედ იმ მოცემულობაში, როდესაც ევროკავშირს უკვე გადაცემული ჰქონდა ექსკლუზიური კომპეტენცია, დაერეგულირებინა უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არ შეიცავს რაიმე ნორმას, რომელიც ირიბად მაინც გვაფიქრებინებდა, რომ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მოქმედებასთან მიმართებით, ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში სრულად შესვლის შემდეგ რაიმე კითხვის ნიშანი იარსებებს. ასოცირების შესახებ შეთანხმების 81-ე მუხლი შეიცავს დათქმას, რომლის თანახმადაც, ასოცირების შესახებ შეთანხმების კარი IV, თავი მე-5 გავლენას არ ახდენს მხარეების მეწარმეების უფლებებზე, რომლებიც მათ აქვთ ინვესტიციებთან დაკავშირებული ნებისმიერი არსებული ან მომავალი საერთაშორისო შეთანხმებიდან, რომლის მხარესაც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო და საქართველო.¹⁹ დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ის ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, რომლებიც ასოცირების შესახებ შეთანხმებამდე დაიდო, უცვლელად განაგრძობენ არსებობას.²⁰

იმ შემთხვევაში, თუ ასოცირების შესახებ შეთანხმების ინვესტიციებთან დაკავშირებული დებულებები წინააღმდეგობაში მოვა იმ ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან, რომლის წევრებსაც საქართველო და ევროკავშირის წევრი ქვეყანა წარმოადგენენ, უძობესი იქნება გამოიყენებული იქნას ის ნორმები, რომლებიც უფრო უკეთესია ინვესტორისათვის, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმიდან გამომდინარე. ამის თქმის საფუძველს იძლევა ასოცირების შესახებ შეთანხმების ის დებულებები, რომლებიც არეგულირებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.²¹ რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული წესებისა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეგულირებებს შორის კოლიზიის საკითხი დღის წესრიგში დადგება (რისკი არსებობს მით უფრო, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიძლება შევიდეს საქართველოსგან დამოუკიდებლად), ასეთ დროს მხოლოდ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ექნება ექსკლუზიური კომპეტენცია, რადგან საქმე ევროპის კავშირის სამართლის ნორმების განმარტებას ეხება. ზემოთქმული პირდაპირ გამომდინარეობს ასოცირების შესახებ შეთანხმების 267-ე მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან, რომლის თანახმადაც, ევროპის კავშირის სამართლის დებულებების ინტერპრეტირების საკითხის გადაწყვეტა არ შედის საარბიტრაჟო პანელის კომპეტენციაში და საკითხის გადაწყვეტის ნაცვლად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა მიმართოს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთ შემთხვევაში, საარბიტრაჟო პანელის²² გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგენილი ვადების მოქმედება ჩერდება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო პანელისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს.

2. უცხოური ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად

2.1. მხარის საწარმოს ცნება ასოცირების შესახებ შეთანხმებაში

იმის გასარკვევად, თუ რომელ ინვესტორებზე ვრცელდება საინვესტიციო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სიკეთეები, საჭიროა დადგინდეს თუ რომელი ინვესტორი ითვლება მხარის ინვესტორად. როგორც წესი, ასეთ განმარტებებს თავად ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები შეიცავენ.²³ საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში მთავარი კრიტერიუმი ფიზიკური პირების სახელმწიფოსადმი კუთვნილებისათვის, არის თვით ამ პირის მოქალაქეობა.²⁴ პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც ფიზიკური პირის მოქალაქეობასთან ერთად, დამატებით კრიტერიუმად მოთხოვნილია ამ პირთა საცხოვრებელი ადგილი, რითაც იგი კონკრეტულ სახელმწიფოს სამართლებრივად უკავშირდება.²⁵ მსგავს დანაწესს შეიცავს ასოცირების შესახებ შეთანხმების 77-ე მუხლის „ც“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, „მხარის ფიზიკური პირი“ გულისხმობს ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქეს, მათი შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე.

იურიდიულ პირებთან მიმართებით მათი კონკრეტული სახელმწიფოსადმი კუთვნილების დასადგენად მთავარ კრიტერიუმებად მიჩნეულია იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილი და იურიდიული პირის მაკონტროლებელ პირთა წარმოშობის ადგილი.²⁶ ასოცირების შესახებ შეთანხმების 77-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, „მხარის იურიდიული პირი“ გულისხმობს ევროკავშირის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს იურიდიული მისამართი, ცენტრალური მართვის ან ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ან საქართველოს ტერიტორიაზე.²⁷

იურიდიული პირის კონკრეტული მხარის მიკუთვნებისათვის გათვალისწინებულია დამატებითი კრიტერიუმი რეალური და უწყვეტი ეკონომიკური კავშირის სახით, იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ამ იურიდიულ პირს აქვს მხოლოდ იურიდიული მისამართი ან ცენტრალური ადმინისტრაცია საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე. 77-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ასეთი იურიდიული პირი არ განიხილება როგორც ევროკავშირის ან საქართველოს იურიდიული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის საქმიანობას აქვს რეალური და უწყვეტი კავშირი ევროკავშირის ან საქართველოს ეკონომიკასთან.²⁸

„მხარის საწარმოს“ ცნების განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკისათვის. ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში კონკრეტული კრიტერიუმების დასახელება მინიმუმამდე ამცირებს ინტერპრეტირების რისკს და გამორიცხავს შესაძლებლობას არაკეთილსინდისიერი ინვესტორებისათვის, რომ მათ იურიდიული მაქინაციების საშუალებით დაუმსახურებლად მიიღონ საინვესტიციო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სიკეთეები.²⁹

2.2. დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა ასოცირების შესახებ შეთანხმებით

დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრინციპია.³⁰ ასოცირების შესახებ შეთანხმების 416-ე

მუხლი კრძალავს დისკრიმინაციულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მიერ ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიმართ გამოყენებულმა ღონისძიებებმა და ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველოს მიმართ გამოყენებულმა ღონისძიებებმა არ უნდა წარმოშვას რაიმე სახის დისკრიმინაცია მხარეთა მოქალაქეებს, კომპანიებსა თუ ფირმებს შორის.³¹

დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვის დათქმებს შეიცავს ასოცირების შესახებ შეთანხმების 79-ე მუხლიც. კერძოდ, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელშემკვრელმა მხარეებმა არ უნდა შემოიღონ ახალი რეგულაციები ან ზომები, რომლებიც მათ საკუთარ იურიდიულ პირებთან შედარებით გამოიწვევენ დისკრიმინაციას საქართველოს ევროკავშირის იურიდიული პირების დაფუძნებასთან მიმართებაში, მათ ტერიტორიაზე ან მათ საქმიანობასთან მიმართებაში – დაფუძნების შემდეგ.³²

ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ ინვესტორებისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის ცალკე შემთხვევას წარმოადგენს ზარალის არათანაბარი ანაზღაურების საკითხი, ისეთი ფორსმაჟორული სიტუაციების შემდეგ, როგორცაა ომის ან სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტი, რევოლუციები და აჯანყებები ან/და სტიქიური უბედურებები. ასეთ სიტუაციებში დისკრიმინაციული მიდგომა ვლინდება ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ უცხო ქვეყნის ინვესტორებისადმი ისეთი დისკრიმინაციული რეჟიმის შექმნაში, რომლის დროსაც ადგილობრივ ინვესტორებს უცხოელ ინვესტორებთან მიმართებით ენიჭებათ დაუსაბუთებელი უპირატესობა ზარალის აღდგენისას ან კომპენსირების სხვა საშუალებების მიღებისას. ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები კრძალავს ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ მსგავს მიდგომას.³³ მაგალითისთვის, ზარალის ანაზღაურებისას დისკრიმინაციული მიდგომას კრძალავს და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს აწესებს 1995 წლის 19 ივნისის „შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ“ მე-4 მუხლი, რომლის შესაბამისადაც, ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ უცხოელი ინვესტორებისთვის ზარალის ანაზღაურებისას უნდა დაწესდეს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ის, რომელსაც იგი ანიჭებს თავის საკუთარ ინვესტორებს ან ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს ინვესტორებს, ანუ ისეთ რეჟიმს, რომელიც უფრო ხელსაყრელია ინვესტორისათვის.

ფორსმაჟორული სიტუაციებიდან მომდინარე ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები მართალია, პირდაპირ არ წესრიგდება ასოცირების შესახებ შეთანხმებით თუმცა, ევროკავშირის სახელმწიფოთა და საქართველოს რეზიდენტი ინვესტორების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა მსგავს სიტუაციებში აკრძალულია. აღნიშნული გამომდინარეობს ასოცირების შესახებ შეთანხმებით, დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვისა და უპირატესი ხელშეწყობისა და ეროვნული რეჟიმების დათქმებიდან გამომდინარე.

დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები შეიცავენ დათქმას ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ, დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვის, როგორც დამოუკიდებელი პრინციპის მნიშვნელობა უფერულდება.³⁴

2.3. თავისუფალი ტრანსფერის უფლება

სახელმწიფოს სუვერენიტეტიდან გამომდინარე, სახელმწიფო უფლებამოსილია საკუთარი ვალუტისა და მონეტარული სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად შეზღუდოს კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა.³⁵ ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებით სახელმწიფოები ცდილობენ მაქსიმალურად შეზღუდონ სახელმწიფოს უფლებამოსილება, შეზღუდოს ინვესტორს უფლება საკუთარი კაპიტალისა და მოგების თავისუფალი ტრანსფერის შესახებ.³⁶ ასოცირების შესახებ შეთანხმების 138-ე მუხლის შესაბამისად, ამ შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ საგადასახდელო ბალანსის კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშთან მიმართებაში კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა პირდაპირ ინვესტიციებთან. მათ შორის, უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება მიმღები მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, იმ ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-ნ თავის (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა ელექტრონული კომერცია) დებულებების შესაბამისად და მიზნად ისახავს ინვესტირებული კაპიტალის და მისგან გამომდინარე ნებისმიერი მოგების განაღდებას ან რეპატრიაციას.³⁷ 138-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თავისუფალი ტრანსფერის უფლება აგრეთვე, ვრცელდება ისეთი კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე, რომელიც დაკავშირებულია მხარის ინვესტორების პორტფელურ ინვესტიციებთან, ფინანსურ სესხებსა და კრედიტებთან.

კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის უფლებას (რომელიც აგრეთვე, მოიცავს თავისუფალი ტრანსფერის უფლებასაც) ასევე, განამტკიცებს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების ნ3-ე მუხლი,³⁸ რომლის თანახმადაც, აკრძალულია ისეთი რეგულაციების შემოღება, რომელიც აკრძალავს ან/და შეზღუდავს კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს შორის. კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შეზღუდვის დაუშვებლობა ცალსახადაა აღიარებული ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მიმართებით.³⁹ თუმცა, არც სამართლებრივ ლიტერატურაში და არც სასამართლო პრაქტიკაში ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების ნ3-ე მუხლის დანაწესების მესამე სახელმწიფოებზე გავრცელების შესაძლებლობაზე ერთიანი პოზიცია არ არსებობს.⁴⁰ ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის უფლების გავრცელება ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებზე მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და მისი რეალური ამოქმედება შემდგომ პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული.⁴¹ ზოგიერთი შეხედულების თანახმად კი, ზემოხსენებული ჩანაწერი მესამე ქვეყნებთან მიმართებით, შეცდომითი ხასიათისაა.⁴² ფაქტი ერთია, ამ მოსაზრებებს საქართველოსთან მიმართებით, კავშირი ნაკლებად აქვთ, რადგან ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კაპიტალისა და ტრანსფერის თავისუფალი მოძრაობის უფლებას მხარეთა რეზიდენტი პირებისათვის ცალსახად აღიარებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების 139-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას შეზღუდოს კაპიტალის თავისუფალი ტრანსფერის უფლება ისეთ ფორსმაჟორულ სიტუაციებში, როდესაც გადახდები ან კაპიტალის მოძრაობა იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ევროკავშირის ერთ ან მეტ

წევრ სახელმწიფოში ან საქართველოში გაცვლითი კურსის პოლიტიკის ან მონეტარული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული სერიოზული სირთულეები, მათ შორის, სერიოზული სირთულეები საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებით. შეზღუდვების დამწესებელ სახელმწიფოს არა აქვს უფლება შემოიღოს ასეთი დაცვის ზომები ნ თვეზე მეტი ვადით. სახელმწიფო ვალდებულია შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადაში გააუქმოს შეზღუდვები თავისუფალ ტრანსფერთან მიმართებით.⁴³

2.4. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებისა და ინვესტიციების ურთიერთმიმართება ასოცირების შესახებ შეთანხმებაში

ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ცალსახად უთითებენ ხელშემკვრელი სახელმწიფოების ვალდებულებას, არ შექმნას ინვესტირებისათვის ხელსაყრელი გარემო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესუსტების ხარჯზე.⁴⁴ ინვესტორის მიერ გარემოსდაცვითი რეგულაციების დარღვევა გახდა ერთ-ერთ საქმეზე მისი ქონების ექსპროპრიაციის საფუძველი.⁴⁵ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნებულმა კომპანია TECMED-მა ინვესტირება განახორციელა მექსიკაში და მიიღო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია განუსაზღვრელი ვადით. ლიცენზიის შესაბამისად, მას გადაეცა ნაგავსაყრელის მართვის უფლებამოსილება. აღნიშნული ნაგავსაყრელი მდებარეობდა დასახლებულ პუნქტთან ახლოს და მის ტერიტორიაზე ხდებოდა სიცოცხლისათვის საშიში ნარჩენების გადამუშავება. კომპანია TECMED-ს მექსიკის ხელისუფლებამ ლიცენზია 1998 წლის ნოემბერში მას შემდეგ შეუჩერა, რაც კომპანია TECMED მხილებულ იქნა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევაში. მექსიკის ხელისუფლების მიერ არ მომხდარა ექსპროპრიაციის დროს ჩამორთმეული ქონების კომპენსაცია, რის გამოც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მექსიკას დააკისრა 5 მილიონი აშშ დოლარის გადახდა ინვესტორის სასარგებლოდ, თუმცა ლიცენზიის განახლება არ მომხდარა.

ასოცირების შესახებ შეთანხმების 231-ე მუხლი ადგენს მხარეთა ვალდებულებას, ხელი შეუწყონ ინვესტიციების განხორციელებას გარემოსდაცვით სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ ინვესტიციების წახალისებასთან დაკავშირებით, რომელიც ხორციელდება გარემოსდაცვით სფეროში და მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებების შერბილებას და ხელს უწყობს განახლებადი და ენერგოეფექტური პროდუქტებისა და მომსახურების შექმნას. შეთანხმების 235-ე მუხლის შესაბამისად, ბენეფიციარ სახელმწიფოს არა აქვს უფლება ვაჭრობის თუ ინვესტიციების წახალისების მიზნით, შეასუსტოს ის დაცვის დონეები, რომლებიც გათვალისწინებულია ადგილობრივი გარემოსდაცვითი კანონმდებლობით.⁴⁶

2.5. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, როგორც ინვესტიციების ერთ-ერთი სახის დაცვის ვალდებულება ასოცირების შესახებ შეთანხმებაში

საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის პრაქტიკაში აღიარებულია, რომ უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში აგრეთვე, წარმოადგენენ ინვესტიციებს.⁴⁷ საქართველოს მთავრობასა

და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების 1-ლი მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, ტერმინი „ინვესტიცია“-ს მნიშვნელობა აგრეთვე, მოიცავს საავტორო უფლებას, კომერციულ სავაჭრო ნიშნებს, პატენტებს, სამრეწველო დიზაინსა და სხვა ინტელექტუალურ და სამრეწველო საკუთრების უფლებებს, ნოუ-ჰაუს, სავაჭრო საიდუმლოებებს, სავაჭრო სახელებსა და გუდვილს. ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, როგორც უცხოური ინვესტიციის ერთ-ერთ სახეს აღიარებს გერმანიის მოდელური საინვესტიციო ხელშეკრულებაც.⁴⁸

საინვესტიციო სამართლის პრაქტიკაში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით თუ უშუალოდ ინვესტორთან დადებული საინვესტიციო კონტრაქტით⁴⁹ გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ხელყოფას, დაზარალებული ინვესტორის მხრიდან საარბიტრაჟო ტრიბუნალებში დავის წამოწყება გამოუწვევია. 2010 წელს, Philip Morris International (PMI)-მა, რომელიც არის სიგარეტების მწარმოებელი კომპანია, საინვესტიციო დავების განმხილველ საერთაშორისო ცენტრს (ICSID) საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა ურუგვაის წინააღმდეგ. საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის მიმართვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა შვეიცარიასა და ურუგვაის შორის 1991 წელს დადებული ინვესტიციების დაცვის შესახებ შეთანხმება, რომელიც Philip Morris International-ს, როგორც შვეიცარიელ ინვესტორს, აძლევდა შესაძლებლობას, მიემართა საარბიტრაჟო სარჩელით დავის გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრისთვის (ICSID). დავის წამოწყების საფუძველს წარმოადგენდა ურუგვაის ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლითაც აიკრძალა სიგარეტების კოლოფებისათვის განსხვავებული ფერისა და ფორმის მიცემა, მიუხედავად მწარმოებელი კომპანიისა და მარკისა. საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადებით, ურუგვაის მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენდა შვეიცარიასა და ურუგვაის შორის არსებული „BIT“-ით დაცული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შელახვას და კომპანიას ართმევდა საშუალებას გამოეყენებინა საკუთარი სასაქონლო ნიშნები სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის.⁵⁰

ასოცირების შესახებ შეთანხმების 151-ე მუხლი ადგენს მხარეთა ვალდებულებას, უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დადებული იმ საერთაშორისო შეთანხმებების ადეკვატური და ეფექტიანი განხორციელება, რომლის ხელმომწერებიც თავად არიან და რომლებიც მოიცავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS შეთანხმება).⁵¹ ის დამატებითი დაცვის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ასოცირების შესახებ შეთანხმების – კარი IV, მე-9 თავით, უნდა ავსებდეს და დამატებით აკონკრეტებდეს TRIPS-ის შეთანხმებით და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრულ მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმება ცალსახად აწესებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, როგორც ინვესტიციის ერთ-ერთი სახის დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების სახელმწიფოს მხრიდან დარღვევა, შეიძლება გახდეს ინვესტორის მხრიდან საარბიტრაჟო პროცესის ინიცირების საფუძველი.

2.6. გამჭვირვალობის ვალდებულება ასოცირების შესახებ შეთანხმებით

საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის პრაქტიკაში, გამჭვირვალობის ვალდებულების ორმხრივი და მრავლმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით აღიარება იშვიათ შემთხვევებს არ წარმოადგენს.⁵² პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ გამჭვირვალობის ვალდებულების დარღვევა, ინვესტორის მხრიდან ICSID-ის წინაშე საარბიტრაჟო პროცესის ინიცირების საფუძველი გამხდარა. ერთ-ერთ საქმეზე სწორედ გამჭვირვალობის ვალდებულების დარღვევა გახდა ინვესტიციის ბენეფიციარი სახელმწიფოსათვის ფინანსური პასუხისმგებლობის საფუძველი. კერძოდ, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ მექსიკის კანონმდებლობა არ შეიცავდა ზუსტ და გამჭვირვალე რეგულირებებს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მუნიციპალური ნებართვის მიღება, უფრო მეტიც, არ არსებობდა რაიმე წესი ან/და პრაქტიკა, თუ როგორ უნდა მიემართა დაინტერესებულ პირს შესაბამისი საჯარო დაწესებულებებისათვის, რათა მიეღო საჭირო ნებართვები.⁵³ სახელმწიფოს მხრიდან გამჭვირვალობის ვალდებულების დაცვა გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას გახადოს საჯარო და ხელმისაწვდომი ინვესტირებასთან და შემდეგ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სახის ნორმატიული მასალა. ასოცირების შესახებ შეთანხმების 68-ე მუხლის შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ შესაბამისი კანონმდებლობისა და პროცედურების გამჭვირვალობა და საჯაროობა, სადაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული საშუალებებით იქონიონ მათი მიღების შესახებ დასაბუთება, გამართონ რეგულარული კონსულტაციები. ხელშემკვრელი მხარეები ასევე, იღებენ ვალდებულებას, განსაზღვრონ გონივრული დროის მონაკვეთი ახალი ან შეცვლილი დებულებების გამოქვეყნებიდან მათ ძალაში შესვლამდე.

გამჭვირვალობის შესახებ დამატებით ვალდებულებას ითვალისწინებს ასოცირების შესახებ შეთანხმების 237-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, თითოეულმა მხარემ ადგილობრივი კანონმდებლობისა და ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-12 თავის (გამჭვირვალობა) შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ღონისძიება, რომლის მიზანია გარემოსა და/ან შრომის პირობების დაცვა, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ვაჭრობასა და ინვესტიციებზე, იქნება მომზადებული, განხილული და განხორციელებული გამჭვირვალედ, წინასწარი დროული შეტყობინებითა და საჯარო განხილვებით, შესაბამისი და დროული კომუნიკაციითა და კონსულტაციებით არასამთავრობო სექტორთან.

ასოცირების შესახებ შეთანხმების 116-ე მუხლით დამატებითაა განსაზღვრული გამჭვირვალობის ვალდებულება ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. კერძოდ, მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ დაინტერესებულ პირებს წინასწარ წარუდგინონ ინფორმაცია იმ ზოგადი გამოყენების ზომების შესახებ, რომლის მიღებასაც გეგმავს მხარე, ოფიციალური გამოქვეყნების გზით ან/და სხვა წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

3. ეროვნული მოპყრობისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმები უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებით ასოცირების შესახებ შეთანხმებაში

3.1. ეროვნული მოპყრობისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

ასოცირების შესახებ შეთანხმების კარი IV, სავაჭრო და მასთან დაკავშირებული ურთიერთობის მარეგულირებელ წესებთან ერთად, ეხება უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებსაც. კერძოდ, 79-ე მუხლი წარმოშობს ვალდებულებას, მხარეთა შვილობილი კომპანიების, ფილიალების და იურიდიული პირების წარმომადგენლობების დაფუძნებისათვის იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმის დაწესებას, ვიდრე საქართველო და ევროკავშირი უწესებენ საკუთარ იურიდიულ პირებს, მათ წარმომადგენლობებსა და ფილიალებს. 79-ე მუხლის თანახმად, ეროვნული რეჟიმის დანაწესები აგრეთვე, ვრცელდება მხარეთა შვილობილი კომპანიების, ფილიალებისა და იურიდიული პირების წარმომადგენლობების საქმიანობაზე, მათი დაფუძნების შემდეგ. შესაბამისად, საქართველო და ევროკავშირი ვალდებულებას იღებენ, მიანიჭონ მხარეთა საწარმოებს საქმიანობისათვის იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ანიჭებენ საკუთარ იურიდიულ პირებს, მათ ფილიალებს და წარმომადგენლობებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების 79-ე მუხლი აგრეთვე, შეიცავს საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში ფართოდ გავრცელებულ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმას. კერძოდ, საქართველო და ევროპის კავშირი, როგორც ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას, მხარეთა იურიდიულ პირებს და მათი წარმომადგენლობებისა და ფილიალების დაფუძნებისას და შემდეგ საქმიანობისას, მიანიჭოს ისეთივე სამართლებრივი რეჟიმი, რომელსაც ანიჭებს სხვა ქვეყნის რეზიდენტ იურიდიულ პირებს და რომელიც იქნება უფრო უკეთესი. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას, მიანიჭონ ერთ-მანეთის რეზიდენტ საწარმოებს ისეთივე სამართლებრივი მოპყრობის რეჟიმი, რომელიც მოქმედებს სხვა ქვეყნის რეზიდენტი საწარმოების მიმართ და რომელიც საუკეთესოა.⁵⁴ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპის მოქმედება არ არის შეზღუდული დროში ან კონკრეტულ პირებთან მიმართებით და იგი ავტომატურად ხდება ნებისმიერი შემდგომი ან უკვე დადებული იმ ინვესტიციების დაცვის შესახებ შეთანხმებების ნაწილი, რომელიც მხარეებმა სხვა სახელმწიფოებთან დადეს ან დადებენ მომავალში.⁵⁵

3.2. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპიდან გამომდინარე, ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ინვესტიციების რეგულირებასთან ნორმების გავრცელების შესაძლებლობა მესამე ქვეყნის ინვესტორებზე

როგორც აღინიშნა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპის უნივერსალურობიდან გამომდინარე, მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული საინვესტიციო შეთანხმებით და იგი ავტომატურად ხდება იმ საინვესტიციო ხელშეკრულებათა ნაწილი, რომლებიც

მხარეებმა დადეს ან მომავალში დადებენ.⁵⁶ გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ავალდებულებს მხარეებს მიანიჭონ ინვესტორებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, შეთანხმების ხელშემკვრელ მხარის რეზიდენტ პირს ყოველთვის შეეძლება მიუთითოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელ რეგულირებაზე, რომელსაც ითვალისწინებს სხვა ქვეყანასთან დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებები. მაგალითად, 1996 წლის შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ⁵⁷ მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები შეიცავენ დათქმას უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ. შესაბამისად, აზერბაიჯანელ ინვესტორებზე ვრცელდება ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულირებები, რომლებიც უფრო უკეთესია, კონკრეტული დათქმების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი არ წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმების მხარეს.

3.3. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმის მიმართება პროცესუალურ საკითხებთან მიმართებით, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმა, ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს მითითება და ისარგებლოს ბენეფიციარი სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოს შორის არსებული თუ მომავალი ორმხრივი და მრავალმხრივი ინვესტიციების დაცვის შესახებ ხელშეკრულებებიდან მომდინარე სიკეთებით. ბოლო პერიოდის საინვესტიციო სამართლის პრაქტიკაში აქტუალურია საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმის არსებობა აღჭურავს თუ არა ინვესტორს უფლებით, აღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, მითითება გააკეთოს და აირჩიოს არა მხოლოდ მისთვის საუკეთესო მატერიალური სამართალი, არამედ მისთვის მომგებიანი საპროცესო სამართლის ნორმებიც მათ შორის, იმ საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენცია, რომელსაც ითვალისწინებს სხვა ინვესტიციების დაცვის შესახებ შეთანხმება.⁵⁸

ასოცირების შესახებ შეთანხმება არ შეიცავს ინვესტიციის ბენეფიციარი სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორს შორის წარმოშობილი დავის მოგვარების პროცედურებთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ნორმებს. თუმცა, შეთანხმების 79-ე მუხლის შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ, მიანიჭონ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მხარეთა საწარმოებს მათი დაფუძნებისას და შემდეგ საქმიანობისას. პრაქტიკაში აუცილებლად დადგებოდა შემთხვევა, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმების მხარის ინვესტორი მოითხოვდა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გავრცელებას საპროცესო საკითხებზეც, რასაც შესაძლოა გამოეწვია, ის რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს დაედგინა საკუთარი კომპეტენცია და განესაზღვრა დავის მოგვარების პროცედურები არა კონკრეტულ ინვესტორსა და ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის დადებული კონტრაქტის ან იმ საინვესტიციო ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მეორე მხარეც ინვესტორის „მშობლიური“ სახელმწიფო იქნებოდა, არამედ იმ საინვესტიციო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, რომელიც არსებობს ან იარსებებდა ინვესტიციის ბენეფიციარ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელთანაც ინვესტორს არავითარი სამართლებრივი კავშირი არ ექნებოდა. მოვლენათა არასასურველი განვითარების თავიდან

ასაცილებლად ხელშემკვრელმა მხარეებმა 79-ე მუხლით გაითვალისწინეს საგამონაკლისო დათქმა, რომელიც გამორიცხავს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გავრცელების შესაძლებლობას უცხოური ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებულ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც არეგულირებენ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების პროცედურებს და განსაზღვრულია სხვა საინვესტიციო ხელშეკრულებით. ამრიგად, ასოცირების შესახებ შეთანხმება მართალია, ავალდებულებს მხარეებს, მიანიჭონ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მხარეთა საწარმოებს თუმცა, ამ რეჟიმის მოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ ინვესტიციების დაცვის მატერიალურსამართლებრივი ღონისძიებებით და არ ვრცელდება საპროცესოსამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ პროცედურებზე.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში სრულად შესვლის შემდეგ, შეიქმნა უცხოური ინვესტიციების დაცვის უნივერსალური მოდელი საქართველოსა და ევროკავშირს და მის წევრ სახელმწიფოებს შორის. იმ არასასურველი გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველომ, როგორც ბენეფიციარმა სახელმწიფომ საარბიტრაჟო ტრიბუნალებში მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებებით მიიღო, აუცილებელია, აკადემიური კუთხით მეტი ყურადღება დაეთმოს ასოცირების შესახებ შეთანხმების უცხოური ინვესტიციების მიმართ მოქმედი ნორმების, როგორც ინვესტიციების დაცვითი ღონისძიებებისა და საქართველოსა და უცხოელ ინვესტორს შორის წარმოებული პოტენციური დავისას, როგორც გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის შესწავლის საკითხს. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი ნორმების არასაკმარისმა განხილვამ სამართლებრივ დოქტრინასა და პრაქტიკაში, შესაძლოა ინვესტიციების მზარდი განვითარების ფონზე, ფინანსურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული მრავალი პრაქტიკული პრობლემა წარმოშვას. ამ საკითხების სიღრმისეული კვლევა ერთი მხრივ, გაუადვილებს ქართველ ინვესტორებს ევროკავშირის ბაზარზე თავისუფალ ოპერირებას, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას უცხოური საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის და დაცვის მიზნით, შეიმუშაოს უფრო ეფექტიანი კანონმდებლობა და მიდგომები.

შენიშვნები:

- ¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის,“ სსმ, დოკუმენტის ნომერი: 200/42, 27.06.2014, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016275.
- ² ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, გვ. 55.
- ³ ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2009 წლის 01 დეკემბერს და იგი გარკვეულწილად, არის ევროკავშირის „კონსტიტუცია.“ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკავშირს აქვს სამართალსუბიექტობა და მიენიჭა შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება მისი კომპეტენციის ფარგლებში. იხ.: გაბრიჩიძე გ., ევროპული კავშირის სამართალი, თბილისი, 2012, გვ. 32-34.
- ⁴ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 169.
- ⁵ Calliess/Ruffert/Michael J. Hahn AEUV, München, 2011, 4.Auflage, Art. 207 Rn. 79.
- ⁶ Waldemar Hummer., Was haben TTIP, CETA und TISA gemeinsam?, Investor To-State Dispute Settlement‘ (ISDS) als umstrittenes Element der EU-Freihandelsabkommen, Journal "Integration" 1/2015, Berlin, 6.
- ⁷ ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, გვ. 62.
- ⁸ Franc C .Mayer ., Stellt das geplante Freihandelsabkommen der EU mit Kanada (Comprehensive Economic and Trade Agreement, CETA) ein gemischtes Abkommen dar?, Rechtsgutachten für das Bundesministerium für Wirtschaft und Energie, Bielefeld, 2014, 1.
- ⁹ Krajevski M., Wirtschaftsvölkerrecht , 2 Auflage, Heidelberg, München, Lansberg, Frechen, Hamburg 2009, Rn. 554.
- ¹⁰ Griebel, J., Internationales Investitionsrecht, Lehrbuch für Studium und Praxis, München, 2008, 68.
- ¹¹ von der Groeben H., Schwarze J., Hatje A., Europäisches Unionsrecht, Baden Baden , 2015, 7. Auflage, AEUV Art. 217, Rn. 119-128.
- ¹² Bungenberg M. , Griebel J., Hindelang S., Internationaler Investitionsschutz und Europarecht, Baden Baden, 2010, 159.
- ¹³ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების პრეამბულა.
- ¹⁴ Bungenberg M. , Griebel J., Hindelang S., Internationaler Investitionsschutz und Europarecht, Baden Baden, 2010, 51.
- ¹⁵ Mayer F., Stellt das geplante Freihandelsabkommen der EU mit Kanada (Comprehensive Economic and Trade Agreement, CETA) ein gemischtes Abkommen dar? Rechtsgutachten für das Bundesministerium für Wirtschaft und Energie, Bielefeld, 2014, 1.
- ¹⁶ Mayer F., Stellt das geplante Freihandelsabkommen der EU mit Kanada (Comprehensive Economic and Trade Agreement, CETA) ein gemischtes Abkommen dar? Rechtsgutachten für das Bundesministerium für Wirtschaft und Energie, Bielefeld, 2014, 1.
- ¹⁷ Verordnung (EU) Nr. 1219/2012 des Europäischen Parlaments und des Rates vom 12. Dezember 2012 zur Einführung einer Übergangsregelung für bilaterale Investitionsschutzabkommen zwischen den Mitgliedstaaten und Drittländern, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/HTML/?uri=CELEX:32012R1219&from=DE>
- ¹⁸ Paola Mariani M., The Future of BITs between EU Member States: are intra – EU BITs Compatible with the Internal Market? General Interests of Host States in International Investment Law, edited by Giorgio Sacerdoti, Pia Acconci, Mara Valenti, Anna De Luca, Cambridge, 2014, 270.

- ¹⁹ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 81-ე მუხლი.
- ²⁰ მაგ., საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს (ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმება, სსმ, დოკუმენტის მიღების თარიღი 23/06/1993, სარეგისტრაციო კოდი: 000000430.00.003.000282.
- ²¹ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 79-ე მუხლი.
- ²² იგულისხმება არა ინვესტიციის ბენეფიციარ სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დაცვის განმხილველი არბიტრაჟი, არამედ ასოცირების შესახებ შეთანხმების მხარეთა მიერ შექმნილი არბიტრაჟი, რომლის ფუნქციაც ასოცირების შესახებ შეთანხმების სადავო ნორმების განმარტება იქნება.
- ²³ მაგ., მსგავს განმარტებას შეიცავს „შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ“ 1-ლი მუხლი. სსმ, დოკუმენტის მიღების თარიღი: 18/10/2001, სარეგისტრაციო კოდი: 480160000.02.002.000488.
- ²⁴ Griebel, J., Internationales Investitionsrecht, Lehrbuch für Studium und Praxis, München, 2008, 66.
- ²⁵ ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, გვ. 125.
- ²⁶ Griebel, J., Internationales Investitionsrecht, Lehrbuch für Studium und Praxis, München, 2008, 65.
- ²⁷ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 77-ე მუხლი.
- ²⁸ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 77-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.
- ²⁹ ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, გვ. 136.
- ³⁰ Griebel, J., Internationales Investitionsrecht, Lehrbuch für Studium und Praxis, München, 2008, 73.
- ³¹ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 416-ე მუხლი.
- ³² იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 79-ე მუხლი.
- ³³ მაგ., „შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლი, სსმ, დოკუმენტის მიღების თარიღი: 18/10/2001, სარეგისტრაციო კოდი: 480160000.02.002.000488.
- ³⁴ Griebel, J., Internationales Investitionsrecht, Lehrbuch für Studium und Praxis, München, 2008, 73
- ³⁵ Griebel, J., Internationales Investitionsrecht, Lehrbuch für Studium und Praxis, München, 2008, 91
- ³⁶ Griebel, J., Internationales Investitionsrecht, Lehrbuch für Studium und Praxis, München, 2008, 91
- ³⁷ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 138-ე მუხლი.
- ³⁸ Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/PDF/?uri=CELEX:12012E/TXT&from=de>
- ³⁹ Hindelang, S., Kommentierung der Vorschriften zum Kapital- und Zahlungsverkehr im AEUV, WHI -PAPER 02/2014.R.n.29.
- ⁴⁰ Hindelang, S., Kommentierung der Vorschriften zum Kapital- und Zahlungsverkehr im AEUV, WHI -PAPER 02/2014.R.n.29.
- ⁴¹ Bungenberg M., Griebel J., Hindelang S., Internationaler Investitionsschutz und Europarecht, Baden Baden, 2010, 13.
- ⁴² Hindelang, S., Kommentierung der Vorschriften zum Kapital- und Zahlungsverkehr im AEUV, WHI -PAPER 02/2014.R.n.32.
- ⁴³ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 139-ე მუხლი.
- ⁴⁴ ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, გვ. 163.
- ⁴⁵ Tecmed SA v Unitet Mexican States (Award, 29 May 2003) ICSID Case No. ARB (AF) /00/2, 10 ICSID Rep 134; Douglas Z., The international Law of Investment Claims, Cambridge University Press, 2016, 169.

- ⁴⁶ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 235-ე მუხლი.
- ⁴⁷ უფლებებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, როგორც ინვესტიციების ერთ-ერთ სახეს აღიარებდა და იცავდა მსოფლიოში პირველი საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც გერმანიასა და პაკისტანს შორის დაიდო 1959 წელს და დასაბამი მიეცა უცხოური ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეგულირებას. Treaty for the Promotion and Protection of Investments (with Protocol and exchange of notes), Germany and Pakistan, 25 November 1959, 457 U.N.T.S. 24 (entered into force 28 November 1962). This document is available on the United Nations Treaty Collection website at: <http://treaties.un.org/Pages/showDetails.aspx?objid=0800000280132bef>
- ⁴⁸ Krajevski M., Wirtschaftsvölkerrecht, 2 Auflage, Heidelberg, München, Lansberg, Frechen, Hamburg 2009, Rn. 588.
- ⁴⁹ ერთმანეთისგან განსხვავდება საინვესტიციო ხელშეკრულების და საინვესტიციო კონტრაქტის ცნებები. საინვესტიციო ხელშეკრულება წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას და იდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მიერ (სახელმწიფო, სახელმწიფოთა გაერთიანება), ხოლო საინვესტიციო კონტრაქტი უშუალოდ ინვესტორსა და ინვესტიციის ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის. იხ.: ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, გვ. 76.
- ⁵⁰ ICSID Case No. ARB/10/7; Shmatenko L., Regulatory Measures Trough Plain Packaging of Tobacco Products in the Light of Tobacco Products in the Light of International Trade Agreements, Czech Yearbook of International Law/ Volume IV 2013, 29.
- ⁵¹ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების 151-ე მუხლი.
- ⁵² ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, გვ. 109.
- ⁵³ Metalclad Corporation v. The United Mexican States, ICSID Case No. ARB(AF)/97/1; Vandervelede j. K., Bilateral Investment Treaties, Oxford University Press 2010, 404.
- ⁵⁴ Griebel, J., Internationales Investitionsrecht, Lehrbuch für Studium und Praxis, München, 2008, 79.
- ⁵⁵ ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, გვ.187.
- ⁵⁶ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. სსმ, დოკუმენტის მიღების თარიღი: 15/05/1997, სარეგისტრაციო კოდი: 430003000.00.000.000285.
- ⁵⁷ 1996 წლის საქართველოს მთავრობასა და ამერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია დათქმა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გამოყენების შემლუდვის შესახებ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ეს გამომდინარეობს ა) ნებისმიერი საბაჟო კავშირიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან ან მსგავსი საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამშრომლობის საინვესტიციო რეჟიმზე ან რეგიონული თანამშრომლობის სხვა ფორმებზე, რომელთა მონაწილეც არის ან შეიძლება გახდეს რომელიმე მონაწილე მხარე; ბ) ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმებიდან ან ხელშეკრულებიდან, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ ეხება დაბეგვრას. სსმ, დოკუმენტის მიღების თარიღი: 08/03/1996, სარეგისტრაციო კოდი: 480210000.02.002.000479.
- ⁵⁸ ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, გვ. 193.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013;
2. გაბრიჩიძე გ., ევროპული კავშირის სამართალი, თბილისი, 2012;
3. ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010;
4. Calliess/Ruffert/Michael J. Hahn AEUV, München, 2011, 4.Auflage;
5. Waldemar Hummer, „Was haben TTIP, CETA und TISA gemeinsam?, Investor To-State Dispute Settlement“ (ISDS) als umstrittenes Element der EU-Freihandelsabkommen, Journal "Integration" 1/2015, Berlin;
6. Franc C .Mayer., „Stellt das geplante Freihandelsabkommen der EU mit Kanada (Comprehensive Economic and Trade Agreement, CETA) ein gemischtes Abkommen dar?, Rechtsgutachten für das Bundesministerium für Wirtschaft und Energie, Bielefeld, 2014;
7. Krajevski M., Wirtschaftsvölkerrecht , 2 Auflage, Heidelberg, München, Lansberg, Frechen, Hamburg 2009;
8. Griebel, J., Internationales Investitionsrecht, Lehrbuch für Studium und Praxis, München, 2008
9. von der Groeben H., Schwarze J., Hatje A., Europäisches Unionsrecht, Baden Baden , 2015, 7. Auflage, AEUV Art. 217;
10. Bungenberg M., Griebel J., Hindelang S., Internationaler Investitionsschutz und Europarecht, Baden Baden, 2010;
11. Mayer F., „Stellt das geplante Freihandelsabkommen der EU mit Kanada (Comprehensive Economic and Trade Agreement, CETA) ein gemischtes Abkommen dar? Rechtsgutachten für das Bundesministerium für Wirtschaft und Energie, Bielefeld, 2014;
12. Paola Mariani M., The Future of BITs between EU Member States: are intra – EU BITs Compatible with the Internal Market? General Interests of Host States in International Investment Law, edited by Giorgio Sacerdoti, Pia Acconci, Mara Valenti, Anna De Luca, Cambridge, 2014;
13. Hindelang, S., Kommentierung der Vorschriften zum Kapital- und Zahlungsverkehr im AEUV, WHI -PAPER 02/2014;
14. Tecmed SA v United Mexican States (Award, 29 May 2003) ICSID Case No. ARB (AF) /00/2, 10 ICSID Rep 134; Douglas Z., The international Law of Investment Claims, Cambridge University Press, 2016;
15. ICSID Case No. ARB/10/7; Shmatenko L., Regulatory Measures Trough Plain Packaging of Tobacco Products in the Light of Tobacco Products in the Light of International Trade Agreements, Czech Yearbook of International Law/ Volume IV 2013;
16. Metalclad Corporation v. The United Mexican States, ICSID Case No. ARB(AF)/97/1; Vandervelde j. K., Bilateral Investment Treaties, Oxford University Press 2010.

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება, სსმ, დოკუმენტის მიღების თარიღი 15/05/1997; სარეგისტრაციო კოდი: 430003000.00. 000. 000285;
2. „შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ,“ სსმ, დოკუმენტის მიღების თარიღი: 18/10/2001; სარეგისტრაციო კოდი: 480160000.02.002.000488;
3. საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს (ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) შორის ინვესტიციების


- ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმება, სსმ, დოკუმენტის მიღების თარიღი 23/06/1993; სარეგისტრაციო კოდი: 000000430.00.003.000282;
4. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის,“ სსმ, დოკუმენტის ნომერი: 200/42, 27.06.2014, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016275;
- Verordnung (EU) Nr. 1219/2012 des Europäischen Parlaments und des Rates vom 12. Dezember 2012 zur Einführung einer Übergangsregelung für bilaterale Investitionsschutzabkommen zwischen den Mitgliedstaaten und Drittländern, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/HTML/?uri=CELEX:32012R1219&from=DE>
- Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/PDF/?uri=CELEX:12012E/TXT&from=de>

INFLUENCE OF THE ASSOCIATION AGREEMENT ON THE INVESTMENT RELATIONS RELATED TO GEORGIA

MATE KHVEDELIDZE

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Doctoral Student at Faculty of Law*

On 27 June 2014, the Association Agreement was signed between Georgia, of the one part, and the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the other part, resulting in a deep and comprehensive free trade space between Georgia and the European Union. In the preamble of the Association Agreement we read that the Parties aim to create new climate for economic relations and, first of all, trade and investment development. The agreement regulates important aspects of investment protection agreements such as: allowance of investment, national treatment and most favored nation treatment, the right to free transfer, the obligation of transparency, the obligation to protect intellectual property rights, the prohibition of discrimination. Consequently, it is necessary to study what advantages these parties give to the investors of the parties and in general what is the influence of the Association Agreement on investment Relations. The Association Agreement contains a reservation regarding the most favored nation treatment, which allows the investor to the investment agreement of a Member State, to indicate the most favorable regulation that might exist or will be provided in



future under the agreements between the beneficiary country of the investment and other state. Besides, the issue of collision between the existing regulatory agreements and the regulations provided for by the Association Agreement is also important.

Following the entry into force of the Lisbon 2009 Agreement, the EU established a new unified investment policy, according to which, the EU has been given an exclusive competence to regulate the bilateral and multilateral agreements related to foreign investments between the non-member countries of the EU. The Association Agreement was signed after the Lisbon Treaty entered into force. Consequently, research of norms related to foreign investments is also important in this regard.

აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების სტრუქტურის საკითხისათვის

ნათია სონგულია

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

შესავალი

აუცილებელი მოგერიების სუბიექტური მხარის ელემენტებს სისხლის სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ფსიქოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში ის ერთ-ერთი ცენტრალური თუ არა, ერთ-ერთი აქტუალური და სათანადოდ დაუმუშავებელი საკითხია. სისხლისსამართლებრივი კუთხით, აღნიშნული საკითხის კვლევას თეორიულის გარდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. შესაბამისად, ის სერიოზულ შესწავლასა და გაანალიზებას საჭიროებს.

ქართულ და გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების სუბიექტური ელემენტების სტრუქტურა დღემდე პრობლემურ საკითხად არის მიჩნეული, რის გამოც ხშირია ქმედების არასწორი, მცდარი კვალიფიკაცია.

წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების – აუცილებელი მოგერი-

ების სუბიექტური ელემენტების სტრუქტურის საკითხის განხილვა. კერძოდ, წარმოადგენს თუ არა განზრახვის ელემენტების ცოდნისა და ნებელობის არსებობა აუცილებელ წინაპირობას, ქმედების აუცილებელი მოგერიებით კვალიფიკაციისათვის, თუ მათი არსებობა ამ უკანასკნელი ცნებისაგან დამოუკიდებლად უნდა იქნას გაგებული და საკმარისია მხოლოდ გამართლების ობიექტური გარემოების არსებობა, ან მხოლოდ იმის ცოდნა, რომ პიროვნება იმყოფება აუცილებელი მოგერიების ან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე სხვა გარემოების მდგომარეობაში. წარმოდგენილ სტატიაში განხილული იქნება, როგორც ცოდნისა და ნებელობის ელემენტის, ისე მოტივისა და მიზნის ადგილი გამართლების ეტაპზე და გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიცია ნებელობის ელემენტის არსებობასთან დაკავშირებით.

აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების საკითხი

გერმანულ და ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკაში გამართლების კერძოდ, აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების სტრუქტურის აგებულება დღემდე დისკუსიის საგანს წარმოადგენს.¹ საკამათოა, ქმედების სრული გამართლებისათვის აუცილებელია, – აუცილებელი მოგერიების მხოლოდ ობიექტური მდგომარეობის არსებობა, აუცილებელი მოგერიების ობიექტური მდგომარეობის ცოდნა და თავდაცვის სურვილის (მოტივის) არსებობა, თუ საკმარისია მხოლოდ კოგნიტიური ელემენტის არსებობა.²

გამომდინარე აქედან, აუცილებელი მოგერიების სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით არსებობს სამი განსხვავებული შეხედულება.³ პირველი შეხედულების თანახმად, რომელიც ობიექტურ თეორიას იზიარებს, ქმედების მართლზომიერებისათვის გადამწყვეტია ობიექტური ფაქტორი.⁴ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ობიექტურად უნდა არსებობდეს, იყოს იმწუთიერი, რეალური და არა დამნაშავის წარმოდგენაში არსებული.⁵

მეორე შეხედულების თანახმად, რომელსაც დღეს გერმანულ სისხლის სამართალში არა ერთი მომხრე ჰყავს, ქმედების გამართლებისათვის საკმარისია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების მხოლოდ ობიექტური სიტუაციის ცოდნა.⁶ ანუ პიროვნებამ, უნდა იცოდეს, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების სიტუაციაში და ისე ჩადის მოგერიებას.⁷ ამ ეტაპზე უარყოფილია ნებელობის ელემენტი.⁸ მიჩნეულია, რომ აუცილებელი მოგერიების დროს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების ცოდნა, გაცნობიერება იწვევს ქმედების უმართლობისა და შემდგომ კი, მთლიანი უმართლობის გამორიცხვას.⁹ მაგალითად, ის, ვინც თავდამსხმელს აუცილებელი მოგერიების დროს დააზიანებს, გამართლდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ მოქმედებს თავდაცვის სურვილით.¹⁰ ასევე, ის, ვინც მძიმედ დაშავებულ მსხვერპლს საავადმყოფოში წაიყვანს გადაუდებელი აუცილებელი დახმარების გაწევის მიზნის გარეშე, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი აარიდოს პოლიციას, მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.¹¹

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით ასევე, არსებობს მესამე პოზიცია, რომლის თანახმადაც, აუცილებელი მოგერიების დროს თავდასხმა უნდა არსებობდეს ობიექტურად, იყოს რეალურად საშიში და ამასთან, მომგერიებლს სუბიექტურად

უნდა ამოძრავებდეს თავდაცვის სურვილი, მიზანი.¹² ამ შემთხვევაში, პრინციპულ მოთხოვნას წარმოადგენს გამართლების ეტაპზე ორივე ელემენტის ერთდროულად არსებობა.¹³ მომგერიებლის მოტივი თავდაცვა უნდა იყოს.¹⁴

პროფესორ მერაბ ტურავას აზრით, აუცილებელი მოგერიების დროს ობიექტურად უნდა არსებობდეს ხელყოფა და პირს სუბიექტურად უნდა ამოძრავებდეს ხელყოფისაგან თავდაცვის მიზანი. ავტორის აზრით, მართლმომიერების ვითარების სუბიექტურად შეცნობის გარეშე არ არის შესრულებული გამართლებისათვის აუცილებელი წინაპირობები, რადგან პირი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების ვითარების ცოდნისა და თავდაცვის მიზნის გარეშე.¹⁵ ანალოგიურ პოზიციას აგრეთვე, გამოხატავს ქართველი მეცნიერი თამაზ შავგულიძე. მისი აზრით, აუცილებელი მოგერიების დროს მომგერიებელს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზანი.¹⁶

გერმანული სასამართლო პრაქტიკა აღნიშნული საკითხის განხილვისას, გამართლებისათვის აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს განზრახვის ვოლუნტატიური ელემენტის, თავდაცვის სურვილის არსებობას, ხოლო თავდაცვის განზრახვას განიხილავს მის სინონიმად.¹⁷

აუცილებელი მოგერიების სტრუქტურის შესახებ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, მნიშვნელოვანია სუბიექტური ნიშნების ცალ-ცალკე მიმოხილვა.

1. აუცილებელი მოგერიების ობიექტური მდგომარეობის ცოდნა

აღიარებულია, რომ განზრახვა ეს არის გარკვეული ცოდნისა და ნებელობის საფუძველზე ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების განხორციელება.¹⁸ იგი სტრუქტურულად შედგება ინტელექტუალური და ვოლუნტატიური ელემენტებისაგან.¹⁹ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, ქმედების ინტელექტუალური მომენტი გამოიხატება ქმედების შემადგენლობის ობიექტურ გარემოებათა აქტუალურ ცოდნაში.²⁰ ცოდნის კრიტერიუმი პირდაპირი გაგებით გულისხმობს გარემოებების სწორ და ზუსტ აღქმას და არა ე. წ. „შიშველ“ ცოდნას იმის შესახებ, რომ ქმედებას სავარაუდოდ, მოჰყვება შედეგი.²¹

სისხლის სამართლის მეცნიერების ზოგადი შეხედულების თანახმად, განზრახვისთვის აუცილებელია ცოდნის ელემენტის არა აბსტრაქტულად, არამედ რეალურად, კონკრეტულად არსებობა.²² ქმედების ჩამდენ პირს ფართო წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ფაქტობრივ გარემოებებზე, უნდა იცნობდეს კონკრეტული ქცევის ყველა ძირითად ნუსხას და იცოდეს თუ რა შედეგი მოჰყვება მის ქმედებას.²³

ცოდნის ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ეტაპზე. ვინაიდან, გამართლების ეტაპზე მნიშვნელოვანია, დადგინდეს ჰქონდა თუ არა ქმედების ჩამდენ პირს გაცნობიერებული ქმედების ფაქტობრივი გარემოებები.²⁴ ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია, მომგერიებელს ჰქონდეს არა პოტენციური, არამედ აქტუალური ცოდნა ქმედების შემადგენლობის ნიშნების შესახებ.²⁵

აუცილებელი მოგერიების ეტაპზე ცოდნის ელემენტი განსაზღვრავს იმ ფაქტს, თუ როგორ მოქმედებს მომგერიებელი – ამოძრავებს მას თავდაცვა, თუ ის იყენებს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას და ახორციელებს განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.²⁶

მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამართლებისათვის საკმარისი არაა ქმედების ობიექტური მდგომარეობის არსებობა, პიროვნება აგრეთვე, უნდა მოქმედებდეს აუცილებელი მოგერიების ობიექტური მდგომარეობის ცოდნით, ანუ გაცნობიერებული ჰქონდეს ქმედების მართლწინააღმდეგობა და იცოდეს, რომ იმყოფება გამართლების მდგომარეობაში და ისე განახორციელოს თავდაცვა.²⁷ ის, ვინც შემთხვევით დააზიანებს თავმდამსხმელს ისე, რომ არა აქვს გააზრებული მისი მდგომარეობა, მისი ქმედება არ ჩაითვლება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობად და ვერ გამართლდება.²⁸ მაგალითისათვის: ა.-მ შემთხვევით შენიშნა ბანკიდან ნაქურდალი ფულით გამოსული ბ., რომელთანაც წარსულში გარკვეული უთანხმოება აკავშირებდა. ბ.-მ ასევე, შენიშნა იქვე მდგომი ძველი ნაცნობი, რომელთანაც ასევე, მტრული დამოკიდებულება ამოძრავებდა და მოკვლის განზრახვით მიუახლოვდა მას. ა.-მ ამის შესახებ არაფერი იცოდა. თავის მხრივ, ა.-მ გადაწყვიტა შური ეძია მასზე. მან მოკვლის განზრახვით, რამდენჯერმე ესროლა იარაღი ბ.-ს და მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ქმედების განხორციელების ეტაპზე ა.-ს წარმოადგენდა არ ჰქონდა იმაზე, რომ იგერიებდა მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას.²⁹ ჩაითვლება თუ არა მის მიერ განხორციელებული ქმედება აუცილებელ მოგერიებად? ქმედების აუცილებელი მოგერიებით კვალიფიკაციისათვის, ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ხელყოფა იმშუთიერი და რეალური.³⁰ მოცემულ ეტაპზე საკითხი პრობლემურია, ვინაიდან თავდასხმა უშუალოდ არ არსებობდა. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედ პირს უფლება აქვს განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელიც უშუალოდაა მიმართული მხოლოდ მის წინააღმდეგ.³¹ რაც შეეხება აუცილებელი მოგერიების სუბიექტურ მხარეს, სახეზე არ არის აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ნიშანი, ცოდნის ელემენტი, მან არ იცოდა თავიდანვე ის ფაქტი, რომ ბ.-ს ბანკიდან გამოჰქონდა ნაქურდალი თანხა და აპირებდა მასზე თავდასხმას, ანუ მას არ ჰქონდა გაცნობიერებული და არ იცოდა, რომ იმყოფებოდა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ეტაპზე. ცოდნის ელემენტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მთავარ კომპონენტს წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ეტაპზე. მისი მეშვეობით შესაძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლზომიერისაგან.³² იმ ავტორთა შეხედულების თანახმად, რომლებიც თვლიან, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამართლებისათვის საკმარისი პირობას წარმოადგენს განზრახვის კოგნიტიური ელემენტის არსებობა, ასაბუთებენ იმით, რომ მნიშვნელოვანია ქმედება ობიექტურად არსებობდეს და მომგერიებელმა იცოდეს, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და ახორციელებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, იცავს მის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს. თავდაცვის მოტივს ამ ეტაპზე არანაირი გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. აუცილებელი მოგერიების დროს ქმედების მოტივისა და მიზნის არსებობა შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სასჯელის დანიშვნის დროს.³³

გერმანელი მეცნიერი კლაუს როქსინი აღნიშნავს, რომ კოგნიტიურ ელემენტთან ერთად, ვოლუნტატიური ნიშნის ხსენება არ წარმოადგენს საჭიროებას, ვინაიდან ცოდნის ელემენტის არსებობა სავსებით საკმარისია ქმედების გამართლებისათვის.³⁴

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების (ცოდნის) საკითხთან დაკავშირებით. განმარტების თანახმად, ის ვინც იგერიებს მომგერიებელს, რომელიც

ზიზღით და შურისძიების მიზნით ესხმის თავს უდანაშაულო ადამიანს, მისი ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილ ქმედებად, თუ მან მართლსაწინააღმდეგო ქმედების მოგერიების ეტაპზე იცოდა, რომ იგერიებდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ანუ მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში მითითებულია მხოლოდ განზრახვის კოგნიტიური ელემენტის არსებობის აუცილებლობაზე.³⁵

გამართლების სუბიექტური ელემენტის აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ თავად უმართლობის ცნება შედგება ქმედების შედეგის უმართლობის ცნებისაგან.³⁶ შედეგის უმართლობისათვის მნიშვნელოვანია გამართლების მდგომარეობა ობიექტურად არსებობდეს, ხოლო ქმედების უმართლობისათვის მთავარია, მომგერიებელს გაცნობიერებული ჰქონდეს ქმედების მართლსაწინააღმდეგობა და იცოდეს, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.³⁷

თავდაცვის სურვილის არსებობა არ წარმოადგენს სავალდებულო ხასიათს, შეიძლება ითქვას, რომ ვოლუნტატიური ელემენტი გამოირიცხება მას შემდეგ, რაც მომგერიებელი შეიცნობს არსებულ მართლსაწინააღმდეგო მდგომარეობას.³⁸

ცოდნის ელემენტის განხილვის შემდგომ ასევე, მნიშვნელოვანია ვოლუნტატიური კომპონენტის განხილვა და გამართლების ეტაპზე მისი მნიშვნელობის განსაზღვრა.

2. ხელყოფისაგან თავდაცვის სურვილი აუცილებელი მოგერიების დროს

კოგნიტიური ელემენტის განხილვის შემდგომ, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვან განსახილველ კომპონენტს წარმოადგენს ნებელობის ელემენტი. გაბატონებული შეხედულებით, პიროვნებამ ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედების განხორციელებისას უნდა იცოდეს, რომ სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ამასთან, უნდა სურდეს კიდევ მისი ჩადენა.³⁹

როგორც ქართულ ისე გერმანულ სისხლის სამართალში ნებელობის ელემენტი შეიძლება გაგებული იქნას ორი მნიშვნელობით: დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური (აღწერილობით) და ნორმატიულ-შერაცხვითი (შეფასებითი).⁴⁰

ნებელობის დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური გაგება ნიშნავს, რომ დამნაშავეს სურს შედეგის დადგომა და წინასწარ აქვს გამიზნული, დაგეგმილი ქმედების განხორციელება ე. ი. ნებელობა აქ მიზნის იდენტურია და შესაბამისად, ის ფსიქოლოგიურად არის გაგებული.⁴¹ ხოლო ნორმატიულ-შერაცხვითი, ანუ შეფასებითი მნიშვნელობით, დამნაშავეს შედეგის დადგომა ფსიქოლოგიური გაგებით არ სურს, ანუ არა აქვს მიზანი და სურვილი, რომ შედეგი დადგეს, მაგრამ მის დადგომას გარდაუვლად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ასპექტი შემოდის, ანუ უნდა განხორციელდეს დამნაშავეს ფსიქოლოგიური დამოკიდებულების შეფასება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი. შეიძლება დამნაშავეს არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ რთული დასამტკიცებელია, რომ პირს მხოლოდ ფსიქოლოგიურად არ სურდა შედეგის დადგომა და შედეგის დადგომის არანაირი მიზანი არ ამოძრავებს, როცა შედეგი სახეზეა. მაშასადამე, მხოლოდ ფსიქოლოგიური ასპექტის არსებობა არაა საკმარისი პირობა, ვინაიდან ის წარმოშობს დიდ პრობლემას ქმედების კვალიფიკაციის დროს. სწორედ ამიტომ აუცილებელია ნებელობის ელემენტის დასაბუთება მოხდეს ნორმატიულად.⁴²

ნებელობის ელემენტთან დაკავშირებით, გერმანელი მეცნიერი ჰ. ოტო მიუთითებს, რომ ინტელექტუალური და ვოლუნტატიური მხარე წარმოადგენს განზრახვის ერთი და იგივე კომპლექსურ-ფსიქოლოგიური ფაქტორივი ვითარების სხვადასხვა ელემენტს, სოციალურად საშიში და საზიანო მოვლენათა განვითარების მხოლოდ ცოდნა განზრახვის დასადგენად ირელევანტურია თუ მას არ ახლავს ნებელობა.⁴³ სისხლის სამართალში ნებელობა გულისხმობს არა რაიმეს ქონის სურვილს, არამედ რალაცის განხორციელების სურვილს.⁴⁴

როგორც ეს განხილულ თავში აღინიშნა, კოგნიტიურ ელემენტთან ერთად, აუცილებელია განხილულ იქნას ნებელობის ელემენტის ადგილი აუცილებელი მოგერიების ეტაპზე.

როგორც ცნობილია, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად ე. ი. კანონი უფლებას აძლევს ნებისმიერ პირს მოიგერიოს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა. საკამათოა, აუცილებელი მოგერიების დროს უნდა ამოძრავებდეს თუ არა მომგერიებელს თავდაცვის სურვილი.⁴⁵

მართალია საკამათოა მისი არსებობის აუცილებლობა, მაგრამ გაბატონებული შეხედულების თანახმად, რომელსაც არა ერთი გერმანელი, ქართველი მეცნიერი და სასამართლო პრაქტიკაც უჭერს მხარს, აღიარებულია, რომ აუცილებელი მოგერიების ეტაპზე განხორციელებული თავდაცვის დროს, სავალდებულოა მომგერიებელმა იცოდეს, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და ცოდნასთან ერთად, სუბიექტურად ამოძრავებდეს თავდაცვის მიზანი.⁴⁶

ამ შეხედულებით, ცოდნა და ნებელობა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნიშნებია და ნებისმიერი არასწორი წარმოდგენა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებზე და ვოლუნტატიური ელემენტის არარსებობა ავტომატურად გამორიცხავს გამართლებას.⁴⁷

გერმანელი მეცნიერი ტომას რონაუ ვოლუნტატიური ელემენტის არსებობასთან დაკავშირებით აყალიბებს საინტერესო პოზიციას და განმარტავს, ის ვინც ქმედების შემადგენლობის ნიშნებს ახორციელებს, მაგრამ არ იმყოფება გამართლების მდგომარეობაში და მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მიზნით მოქმედებს, ჩადის სისხლისსამართლებრივ უმართლობას და მისი ქმედება ვერცერთ შემთხვევაში ვერ გამართლდება, ვინაიდან გამართლების მდგომარეობა სინამდვილეში არ არსებობს,⁴⁸ ხოლო განზრახვის ელემენტების არსებობა არ გულისხმობს ნებისმიერ ეტაპზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამართლებას. მეცნიერის შეხედულებით, განზრახვის ელემენტებს სწორი მიმართულება უნდა მიეცეს, რათა არ მოხდეს განზრახ ქმედებისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში ჩადენილი ქმედების ერთმანეთში არევა.⁴⁹ აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ არსებულ სიტუაციაზე მხოლოდ ზოგადი ან მცდარი წარმოდგენა არაა საკმარისი, მომგერიებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ აუცილებელი მოგერიების დროს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა ობიექტურად არსებობს და შემდგომ განახორციელოს მოგერიება, თავდაცვის მიზანით. ვინაიდან, თუ მიზანი დანაშაულებრივია, მაშინ რასაკვირველია, გამოირიცხება აუცილებელი მოგერიება. მცდარი შეფასება გამორიცხავს გამართლების გარემოებას და შესაძლოა სულ სხვა შედეგი დადგეს.⁵⁰

კითხვა იმის შესახებ, გამართლების ეტაპზე „სურვილის“ არსებობა ავტომატურად ხომ არ მიუთითებს განზრახვის არსებობაზე, ანუ სხვისი დაზიანების სურვილზე და მოტივზე, ამ შემთხვევაში, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, მომგერიებელს უნდა ამოძრავებდეს არა მართლსაწინააღმდეგო

ქმედების ჩადენის მიზანი, არსებული სიტუაციით სარგებლობის სურვილი, არამედ მხოლოდ მოგერიების, ქმედება უნდა განხორციელდეს მხოლოდ თავდაცვის მიზნით და არ უნდა გასცდეს აუცილებელი მოგერიების მიზანს.⁵¹

გამართლების მდგომარეობას აგრეთვე, არ გამოირიცხავს ისეთი შემთხვევა, როდესაც მომგერიებელს, გაცნობიერებული აქვს, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ახორციელებს თავდაცვას, მაგრამ თავდაცვის სურვილთან ერთად, წარმოეშობა დანაშაულის ისეთი მოტივები როგორცაა: გაბრაზება, ზიზღი, შურისძიება, აღელვება, ჩხუბისა და კონფლიქტის სურვილი. ქმედების განხორციელების ზემოთ ჩამოვლილი მოტივები არ გამოირიცხავენ აუცილებელ მოგერიებას, ვიდრე ისინი არ გასცდებიან თავდაცვის მიზანს.⁵² აღნიშნულ შემთხვევაში, მომგერიებელი შესაძლოა დაისაჯოს მხოლოდ ფიქრის უმართლობისთვის და არა ქმედების უმართლობისთვის, ფიქრის ან აზრის უმართლობა კი, სამართლებრივ სახელმწიფოში დასჯის საფუძველს არ წარმოადგენს.⁵³

ოდნავ განსხვავებულ პოზიციას აყალიბებს გერმანელი მეცნიერი ჰაინერ ალვარტი გამართლების ეტაპზე ვოლუნტარული ელემენტების არსებობასთან დაკავშირებით.

გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში სწორედ ჰაინერ ალვარტი გახლდათ ის მეცნიერი, რომელმაც გამართლების უმთავრეს საფუძველად მოტივი განსაზღვრა. მისი მოსაზრებით, პიროვნება მხოლოდ მაშინ უნდა გამართლდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების გამო, როდესაც ქმედებას წინ უსწრებს კონკრეტული მოტივი და მიზანი.⁵⁴

„ადამიანის ნებელობითი მოქმედება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ადამიანის შეგნებული მიზანსწრაფული ზემოქმედება მის გარემომცველ ობიექტურ სამყაროზე.“⁵⁵ ადამიანს შეუძლია გააცნობიეროს ქმედების მართლწინააღმდეგობა და აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, მაგრამ მთავარია შემდგომი მისი მოქმედება, სწორედ ამ შემთხვევაში აქვს მოტივის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ნებისმიერი ქცევის უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს განხორციელებული ქმედების გაცნობიერება. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღება და მისი შესრულება შეუძლებელია იმის გარეშე, რომ ადამიანმა არ გააცნობიეროს განხორციელებული ქცევის სოციალური საზრისი და ის შედეგები, რომლებიც შეიძლება დადგეს ამის გამო. ნებელობითი შეიძლება იყოს მხოლოდ გაცნობიერებული ქცევა.⁵⁶

მაგალითისათვის: ჯიბის ქურდს სურს მილიონერ მ.-ს ჩანთიდან ამოუღოს ყელსაბამი. მ.-მ შეამჩნია ქურდი და მთელი ძალით ჩაარტყა ბლაგვი საგანი. საყურადღებოა, რომ მისთვის ყელსაბამი დიდ ფასეულ ნივთს არ წარმოადგენდა, მას სურდა მხოლოდ ჭკუა ესწავლებინა ქურდისთვის.⁵⁷

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მ. დამნაშავედ ცნო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის.⁵⁸ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ მართალია, სახეზეა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, იმწუთიერი და მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა და მომგერიებელმაც იცოდა ამის შესახებ, მაგრამ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მას მოგერიების ეტაპზე არ ამოძრავებდა თავდაცვის სურვილი.⁵⁹

მაშასადამე, როგორც აღმოჩნდა, ნებელობის ელემენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქმედების გამართლების ეტაპზე. მომგერიებელი მოგერიების გადაწყვეტილებას შინაგანი რწმენიდან გამომდინარე იღებს, იაზრებს რა არის მისთვის უკეთესი მოცემულ დროს და მისი „განზრახვაც“ ნებელობითია.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ნებელობითი ქცევა მოტივის საფუძველზე ხორციელდება.⁶⁰ მიზანმა შესაძლოა სისხლის სამართლისათვის არათუ ირელევანტურად აქციოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არამედ მართლზომიერად ცნოს იგი.⁶¹ მოცემულ ეტაპზე გამოიკვეთა, რომ მოტივი და მიზანი აუცილებელი მოგერიების ეტაპზე ნებელობის კომპონენტთან ერთად, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას მოტივისა და მიზნის ბუნება, მათი ურთიერთმიმართება და მნიშვნელობა გამართლების ეტაპზე.

3. მოტივი და მიზანი, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ელემენტები

ქმედების სამართლებრივი შეფასება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქცევის ფსიქოლოგიურ მხარეზე, განსაკუთრებით მოტივზე და მიზანზე.⁶² აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საფუძველს მოტივს უწოდებენ. ადამიანი ვიდრე რამეს გადაწყვეტდეს, მან სათანადო მოტივის ძებნა უნდა დაიწყოს, გადაწყვეტის აქტს კი, მოტივაციის პროცესი უძღვის წინ. მოტივაციის შედეგად კი, ყალიბდება მოტივი.⁶³ ტერმინი „მოტივი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „movere,“ რაც აღნიშნავს ამოძრავებას, მოქმედებაში მოყვანას, აღძვრას. თავდაპირველად, იგი მოაზრებული იყო ნებისყოფის „მამოძრავებელ საფუძველად.“⁶⁴

მოტივი არის მოტივაციის შედეგად რაიმეს შესახებ ჩამოყალიბებული აზრის ტერმინების შინაგანი განცდა, რწმენა და შესაბამისი პრაქტიკული დამოკიდებულება, მოქმედების განწყობა, რაც შედეგად რეალიზაციას განიცდის მოქმედებაში. ყოველი ქცევა პრობლემურ ვითარებაში ხორციელდება მოტივაციის საფუძველზე, მოტივაცია ადამიანის ყოველგვარი მოქმედებისა და ქცევის საიდუმლოთა გასაღებია. ის, როგორც სუბიექტის შინაგანი იდეალური მოქმედება მსჯელობებისა და დასკვნების საფუძველზე ხორციელდება, მისი მთავარი შედეგი მდგომარეობს საგნებისა და მოვლენების შესახებ გარკვეული აზრისა და მისი რწმენის ჩამოყალიბებაში.⁶⁵

განასხვავებენ მოტივის ორ სახეს, ზოგადსა და კონკრეტულს. ზოგადი მოტივი საფუძველად უდევს მრავალ სხვადასხვა მოქმედებას, ქცევას და გადამწყვეტ როლს ასრულებს ყოველი კონკრეტული მოქმედების მოტივაციაში.⁶⁶

რაც შეეხება კონკრეტულ მოტივს, ის საფუძველად უდევს მხოლოდ ერთ რომელიმე მოქმედებას კონკრეტულ სიტუაციაში.⁶⁷

მოტივი არის ინდივიდის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამა თუ იმ მოქმედების სუბიექტურ აუცილებლობად ქცევა, გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. რაც შეეხება მიზანს, ეს არის მოთხოვნილებისა და ინტერესის დაკმაყოფილების მოქმედებისა და მისი განხორციელების შედეგის წინასწარი იდეალური ასახვა, მოქმედების შედეგი.⁶⁸

ტრადიციული ცნობიერების ფსიქოლოგიაში მოტივის ფუნქცია მიწერილი აქვს ფსიქიკური ფენომენის ფართო წრეს, ესენია: ნებელობა, მისწრაფება, გრძნობა, ინტერესი, აფექტი, მოთხოვნილება, სურვილი, საშიშროება, იმედი და სხვა. ფსიქოლოგები ადრეული პერიოდიდან მოყოლებული ცდილობდნენ მოტივის ცნებაში ნაგულისხმევი ვრცელი სფეროს რამდენადმე შეზღუდვას. ამიტომ იყო ცდა,

მოტივისა და მოტივაციის ცნების მოცულობა შემოეფარგლათ მხოლოდ ნებელობის პროცესებთან დაკავშირებით და მოტივაციის პრობლემა განხილულიყო, როგორც ნებელობის პრობლემის შემადგენელი ნაწილი. მოტივი გააზრებულ იქნა მხოლოდ „ნებისყოფის მამოძრავებლად“, „ნებისყოფის გადაწყვეტილების აქტად.“⁶⁹ უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ დიმიტრი უზნაძე განწყობის ფსიქოლოგიაში მოტივს და მიზანს ნებელობის სფეროში მოიაზრებს.

აღსანიშნავია, რომ მოტივისა და მიზნის ცნებებს არა მარტო ფსიქოლოგიაში, არამედ სისხლის სამართალშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დანაშაული არის არა ქცევა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ქცევის, ანუ მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხი. მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მიზნის განხორციელების ფარული ხერხი.⁷⁰ ქცევა მოტივსა და მიზანში ვლინდება. გადაწყვეტილების მისაღებად სუბიექტი ითვალისწინებს სხვადასხვა გარემოებას, მაგრამ გადაწყვეტილების საფუძველში მაინც ერთი მოტივი დევს, რადგან ქცევას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ერთი ფსიქოლოგიური საზრისი აქვს.⁷¹

მოტივი სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მოთხოვნილებითა და ინტერესით განპირობებული მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზი ხდება.⁷² გარდა ამისა, მოტივის საშუალებით შესაძლებელია დახასიათდეს დამნაშავეს ფსიქიკური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენისას, ბრალის ფორმები და დამნაშავეს საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი.⁷³

არსებობს მოტივის ორნაირი გაგება: ფსიქოლოგიური და სისხლისსამართლებრივი.

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, მოტივები სამ ჯგუფად იყოფა:

1. მოტივები, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობაში შედიან; 2. მოტივები, როგორც მაკვალ-იფიცირებელი ნიშნები და 3. პასუხისმგებლობაზე გავლენის მქონე მოტივები.⁷⁴

სისხლის სამართალში ნებისმიერი ქმედება გარკვეული მოტივითა და მიზნით ხორციელდება. ქმედების მხოლოდ ობიექტური შეფასება არ წარმოადგენს საკმარის პირობას იმისათვის, რომ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან დანაშაულებრივი ქმედება არადანაშაულებრივისაგან. შესაბამისად, ქმედების შეფასების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მოტივისა და მიზნის დადგენა.

მოტივმა და მიზანმა შესაძლოა დააფუძნოს უმართლობა, „შემოსამღვროს“ პასუხისმგებლობის ფარგლები ასევე, მიზანმა შესაძლოა განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლ-ზომიერადაც აქციოს და ბოლოს მოტივი და მიზანი უმართლობის ტიპების ერთმანეთისაგან გამიჯვნის საშუალებას იძლევა.⁷⁵

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოტივისა და მიზნის დადგენა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების კერძოდ, აუცილებელი მოგერიების დროს. თავდაცვითი მოქმედების განხორციელების დროს, მოტივი იძლევა საშუალებას სწორად განისაზღვროს ის ფაქტი – მომგერიებელი მოქმედებდა თუ არა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.⁷⁶

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა აუცილებელი მოგერიების დროს, მომგერიებელმა მკვლელობის შემადგენლობა განახორციელა თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება? თუ დადგინდა, რომ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის დროს მომგერიებელს ამოძრავებდა მხოლოდ თავდაცვის მიზანი, მაგრამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი განაპირობა შიშმა, დაბნეულობამ ან მღელვარებამ –

პირი შესაძლებელია გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ბრალის არარსებობის გამო. სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი უკიდურესი აუცილებლობის ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, როგორც დამნაშავეს შეპყრობისას შეპყრობის მიზანი.⁷⁷

თამაზ შავგულიძის აზრით, აუცილებელი მოგერიების ვითარებისათვის ობიექტურ მომენტთან ერთად აუცილებელია სუბიექტური მომენტიც, რომელიც მომგერიებელს უნდა ახასიათებდეს და სამართლებრივი ინტერესის დაცვის მისწრაფებას გულისხმობს. სუბიექტური მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს მომგერიებლის მოქმედების მოტივსა და მიზანს. გარდა ამისა, თამაზ შავგულიძე მიუთითებს იმ ფაქტზეც, რომ მოქალაქეს, რომელიც ახორციელებს აუცილებელი მოგერიების უფლებას, ყოველთვის შეიძლება არ ამოძრავებდეს და არ მოქმედებდეს მაღალზნეობრივი მოტივით, მან შეიძლება დაიცვას სხვისი სამართლებრივი სიკეთე, შეგნებული ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, მაგრამ ქმედების მოტივი სრულებითაც არ იყოს ზნეობრივი მოვალეობის შეგნება, არამედ პირიქით, მას ამოძრავებდეს ეგოისტური მოტივი, მაგალითად, გადარჩენილი ადამიანისაგან გასამრჯელოს მიღების სურვილი, პატივმოყვარეობა და ა. შ. ავტორის აზრით, ასეთმა მოტივებმა არ უნდა გააქარწყლოს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერება, ვინაიდან კანონისათვის საკმარის პირობას წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი და აუცილებელი არაა მომგერიებელი მუდამ მაღალზნეობრივი მოტივით მოქმედებდეს.⁷⁸

ისმის კითხვა, შესაძლებელია თუ არა აუცილებელი მოგერიება განხორციელდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნის გარეშე?

როდესაც პიროვნებას შეგნებული არა აქვს, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება და დანაშაულებრივი მიზნის გარეშე ისე მოქმედებს, რომ ობიექტურად აუცილებელ მოგერიებას ახორციელებს, მისი ქმედება აუცილებელ მოგერიებად არ დაკვალიფიცირდება. მაგრამ შესაძლოა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგეს თუ სუბიექტის მოქმედებას ბრალი არ ახლავს. მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია პიროვნებას შეგნებული არა აქვს ის გარემოება, რომ აუცილებელი მოგერიების ვითარებაში იმყოფება, ახორციელებს მის დანაშაულებრივ განზრახვას და ამ დროს, ობიექტურად იცავს სამართლებრივ სიკეთეს. მოცემულ შემთხვევაშიც გამოირიცხება აუცილებელი მოგერიება, ვინაიდან სახეზეა განზრახი დანაშაული.⁷⁹ ამრიგად, გამართლების ეტაპზე მოტივისა და მიზნის სწორ განსაზღვრას შეიძლება ითქვას, ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნისა და ნებელობის ელემენტების შემდგომ.

4. გერმანიის უზენაესი სასამართლოს კომისიის გამართლების ეტაპზე ნაბეჭდობის ელემენტის არსებობასთან დაკავშირებით

აუცილებელი მოგერიების ეტაპზე განზრახვის ელემენტების – ნებისა და სურვილის საკითხის გარკვევას შეეცადა გერმანიის უზენაესი სასამართლო ერთ-ერთი გახმაურებული საქმის განხილვის დროს.⁸⁰ საქმის არსი ასეთია: გ. სალამოს თავს დაესხა ბ.-ს, რომელიც სახლში აცილებდა საცოლეს. ის გატეხილი ბოთლით შეეცადა მიეყენებინა მისთვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და გაეტაცა მისი საფულე და მობილური ტელეფონი. ბ.-მ მოიგერია იმწუთიერი, მართლსაწინააღმდეგო

თავდასხმა, ხელიდან გააგდებინა ბოთლი და გააფრთხილა, დაეტოვებინა აღნიშნული ტერიტორია. როგორც კი ბ.-მ შეწყვიტა მოგერიება, გ. მოულოდნელად თავს დაესხა იქვე მდგომ ბ.-ს საცოლეს, რათა იგი ჩაეგდო უგონო მდგომარეობაში და გაეტაცებინა მისი ძვირადღირებული ჩანთა, ამ ფაქტით აღშფოთებულმა ბ.-მ საცოლის გადარჩენის მიზნით, გ.-ს თავში სამჯერ ჩაარტყა რკინის ჯოხი, რის შემდგომ, გ.-მ გონება დაკარგა და მიიღო თავის ტვინის მძიმე დაზიანება.⁸¹

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობა არის თუ აუცილებელი მოგერიება, ერთი შეხედვით, შესაძლებელია სადავო გახდეს.⁸² კერძოდ, აღნიშნულ მაგალითში აუცილებელი მოგერიების დასაბუთების არგუმენტია, რომ ბრალდებულს თავდამსხმელის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობა არ სურდა. მას საერთოდ არ ამოძრავებდა მოცემულ ეტაპზე აღნიშნული განზრახვა. ხოლო განზრახვის არსებობის დასაბუთების საფუძველი გახლავთ, რომ იგი განრისხებული, შურისძიების მიზნით, დაესხა თავს თავდამსხმელს და დაიხსნა საცოლე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თავდაპირველად ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამო-რიცხა აუცილებელი მოგერიება კერძოდ, უარყო თავდაცვის სურვილის არსებობის ფაქტი. მსაჯუ-ლებმა ამ შემთხვევაში ჩათვალეს, რომ ბ.-მ მხოლოდ იმიტომ განახორციელა აღნიშნული ქმედება, რომ სამაგიერო გადაეხადა მისი საცოლის შეურაცხყოფისათვის, ანუ მას იმ დროს ამოძრავებდა მხოლოდ შურისძიების მიზანი. ვერ აიტანა მისი საცოლის შეურაცხყოფა და სამაგიერო გადაუხადა თავდამსხმელს. მსაჯულების აზრით, მომგერიებელი მოგერიებაზე და თავდაცვაზე საერთოდ არ იყო ორიენტირებული, მას მხოლოდ შურისძიების სურვილი ამოძრავებდა.⁸³ ამ შემთხვევაში, სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიჭირა გერმანიის უზენაესმა სასამართლომ, მან მოცემულ მაგალითში უარყო შურისძიების ნიადაგზე ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტი. განმარტა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არაა საკმარისად დასაბუთებული. მართალია, იმ წუთს ბ.-ს ამოძრავებდა სიძულვილი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საფუძველი იმისა, რომ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა და გამოირიცხოს მართლწინააღმდეგობის გამოძრევი გარემოებები. უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა აუცილებელი მოგერიების ფაქტს და გან-მარტა, რომ მომგერიებლის მოქმედება უნდა გამართლდეს, ვინაიდან მას ამოძრავებდა მხოლოდ თავდაცვის მოტივი, სურვილი, რომ გადაერჩინა მისი საცოლის სიცოცხლე. ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ თავდამსხმელი, რომელიც პირველად მას დაესხა თავს, ყველა შემთხვევაში ქალბატონს ზიანს მიაყენებდა.

გარდა ამისა, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ განაჩენში მითითება გააკეთა: „აუცილებელი მოგერიება არ გამოირიცხება მაშინაც კი, როდესაც მომგერიებელს მართლსაწინააღმდეგო ქმე-დების მოგერიებისას თავდაცვის სურვილთან ერთად, ამოძრავებს სიძულვილი, სიბრაზე და სხვა მოტივი. ამით სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილად ჩაითვლება მაშინაც კი, როცა მომგერიებელი მოქმედებს თავდაცვის სურვილით, გარკვეული მიზნით და მოტივით, ვიდრე თავდაცვის მოტივი სხვა მიზანში არ გადაიბრდება.“⁸⁴ აღნიშული განაჩენით სასამართლომ გაამყარა ნებელობის ელემენტის არსებობის აუცილებლობა გამართლების ეტაპზე. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ჩამოაყალიბა ერთგვა-რი სასამართლო პრაქტიკა მსგავს საქმებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც ნებელობის

ელემენტის შემოწმება აუცილებელი მოგერიების ეტაპზე მნიშვნელოვანი და სავალდებულო გახდა.⁸⁵ მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ცოდნა და ნებელობა წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების მთავარ კომპონენტებს, ურომლისოდაც ფაქტობრივად, შეუძლებელია არსებობდეს პასუხისმგებლობის გამომირცხველი გარემოებები.

დასკვნა

ამრიგად, გამოიკვეთა, რომ აუცილებელი მოგერიების სტრუქტურის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქმედების გამართლების ეტაპზე. ნათელი გახდა, რომ სწორედ აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების არსებობაზეა დამოკიდებული მომგერიებლის მიერ განხორციელებული ქმედების გამართლება.

მას შემდეგ, რაც განხილულ იქნა ორივე ელემენტის შინაარსობრივი მხარე და მათი მნიშვნელობა აუცილებელი მოგერიების ეტაპზე, აშკარა გახდა, რომ აუცილებელი მოგერიების დამაფუძნებელი გარემოების ცოდნას, თავდაცვის სურვილსა და მოტივს, მიზანს ერთდროულად თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება გამართლების ეტაპზე. რთულია დაეთანხმო იმ ავტორთა შეხედულებას, რომლებიც გამართლების ეტაპზე მხოლოდ ცოდნის ელემენტის არსებობას ემხრობიან და გამორიცხავენ ნებელობის ელემენტის, თავდაცვის მოტივისა და მიზნის არსებობის აუცილებლობას. სწორედ მოტივისა და მიზნის სწორი განსაზღვრა იძლევა საშუალებას, მოხდეს ქმედების სწორი კვალიფიკაცია და აცილებულ იქნას მთელი რიგი შეცდომები.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დამაფუძნებელი გარემოების ცოდნა და თავდაცვის სურვილი, მოტივი წარმოადგენს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კომპონენტებს, შესაბამისად, ქმედება რომ ჩაითვალოს გამართლებულად, მნიშვნელოვანია სახეზე იყოს თითოეული კომპონენტი ერთდროულად.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: Loos, F., Zum Inhalt der subjektiven Rechtfertigungselemente, FS für Dietrich Oehler zum 70. Geburtstag, 1985, p. 227; Rengier, R., Strafrecht, AT, 10. Aufl., 2018, p. 139, 171; Kaspar, J., Strafrecht AT, 2. Aufl., 2017, p. 90. BGH, NStZ 2016, p. 245-247; Heinrich, B., Strafrecht AT, Rn. 326-390ff; Hirsch, H.J., LK-StGB, 12. Aufl. 2006, Vor §32 Rn. 59ff, p. 142.
- ² იხ.: Rönau, T., subjektive Rechtfertigungselemente, Jus, 2009; p. 87; Fischer, T., Strafgesetzbuch: StGB, 65. Aufl., 2018, p. 315; Kindhäuser, U., Strafrecht, AT, 8. Aufl., 2017, p. 19; Dölling, D., Duttge, G., Rössner, D., 2013, p. 362.
- ³ იხ.: ტურავა, მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 179.
- ⁴ იხ.: Spindel, G., Strafgesetzbuch, Lk, Band II, 2003, 11. Aufl., p. 77; Rohrer, über die Nichtexistenz subjektiver Rechtfertigungselemente, JA, 1986, p. 364.
- ⁵ იხ.: Schmitt, R., Subjektive Rechtfertigungselemente bei Fahrlässigkeitsdelikten? Jus, 1963, p. 65; Prittwitz, C., Der Verteidigungswille als subjektives Merkmal der Notwehr, Jura, 1984, p. 74; OLG, NJW, 1962, p. 1169.
- ⁶ იხ.: Puppe, I., Strafrecht AT, 2011, 2. Aufl., გვ. 314; Rudolph, H.-J., Inhalt und Funktion des Handlungsunwerts im Rahmen der Personalen Unrechtslehre, FS für Reinhart Maurach zum 70. Geburtstag 1972, p. 51-57; Streng, F., Das subjektive Rechtfertigungselement und sein Stellenwert, FS für Harro Otto zum 70. Geburtstag, 2007, p. 469-470; Rengier, R., Strafrecht AT, 10. Aufl., 2018, p. 140; Stratenwerth, G., Kuhl, L., Strafrecht AT, 5. Aufl., 2010, p. 154.
- ⁷ იხ.: Kuhl, C., Strafrecht, AT, 8. Aufl., 2017, p. 129.
- ⁸ იხ.: Kühl, K., Angriff und Verteidigung bei der Notwehr, 1993, Jura, p. 118; Gropp, W., Strafrecht, AT, 4. Aufl., 2014, p. 181-182; Roxin, C., Strafrecht AT, Band I, 4. Aufl., 2006, p. 641.
- ⁹ იხ.: Roxin, C., Strafrecht AT, Band I, 4. Aufl., 2006, გვ. 94, 641.
- ¹⁰ იხ.: იქვე, p. 639.
- ¹¹ იხ.: Herzberg, R., Handeln in Unkenntnis einer Rechtfertigungslage, JA, 1986, p. 190.
- ¹² იხ.: Bandemer, R. Rechtfertigungselement bei der Notwehr, JA, 1994, p. 187; Britz, G., Der praktische Fall- Strafrecht: errare humanum est? JuS, 2002, p. 468; Dreher, E. Der Irrtum über Rechtfertigungsgründe, FS für Ernst Heinz zum 70. Geburtstag 2005, p. 792; Geppert, K., Die subjektiven Rechtfertigungselemente, Jura, 1995, p. 104; Schönemann, B., Die deutschsprachige Strafrechtswissenschaft nach der Strafrechtsreform im Spiegel des LK und des WK, GA, 1985, p. 371.
- ¹³ იხ.: Kudlich, Jus, 1999, p. 88.
- ¹⁴ იხ.: Hillenkamp, C., 32 Probleme aus dem Strafrecht, AT, 15. Aufl., 2017, p. 33; Heinrich, B., Strafrecht AT, 5. Aufl., 2016, p. 161; Ronnau, T., Hohn, K., StGB LK, 12. Aufl., p. 542.
- ¹⁵ იხ.: ტურავა, მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 179.
- ¹⁶ იხ.: შავგულიძე, თ., სურგულაძე, ლ., საზოგადოებრივი სამიშროების გამოძიების ვალდებულება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 1988, გვ. 102.
- ¹⁷ იხ.: BGHSt 2, გვ. 111 (114); BGHSt 56, p. 11-25.
- ¹⁸ იხ.: Gropp, W., Strafrecht AT, 4. Aufl. 2014, p. 151; Schroth, U., Strafrecht AT, 1998, p. 4; Roxin, C., Strafrecht AT, Band I, 4. Aufl., 2006, p. 437; Sternberg-Lieben, D., Vorsatz im Strafrecht, Jus, 2014, p. 976.
- ¹⁹ იხ.: მალაქელიძე, ლ., განზრახვის ცნების პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებული: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 291.

- ²⁰ იხ.: ტურავა, მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 130.
- ²¹ იხ.: Frisch, Strafrecht, 1983, p. 496; Jäger, C., Examens-Repetitorium Strafrecht AT, 8.Aufl. 2017, p. 51; Sternberg-Lieben, D., Vorsatz im Strafrecht, Jus, 2014, p. 979.
- ²² იხ.: Stratenwerth, G., Kuhlen, L., Strafrecht AT, 5.Aufl., 2010, p. 110.
- ²³ იხ.: Murmann, U., Grundkurs Strafrecht, 3.Aufl., გვ. 207-209; Wessels/Beulke/Satzger, Strafrecht AT, 48.Aufl., 2018, p. 104; Streunsee, JZ 1990, გვ. 102; Hilgendorf, E., Valerius, B., Strafrecht AT, 2.Aufl. 2015, გვ. 55; Rengier, R., Strafrecht AT, 10.Aufl., 2018, p. 110; BGHSt 19, p. 295, 298.
- ²⁴ იხ.: Satzger, H., Der Vorsatz – einmal näher betrachtet, Jura 2008, p. 112.
- ²⁵ იხ.: Bloy, R., Funktion und Elemente des subjektiven Tatbestands im Deliktsaufbau, JuS, 1989, p. L3; BGHStV 2004, 79; Roxin, C., Strafrecht AT, Band I, 4.Auf., 2006, გვ. 97; kühl, C., Strafrecht, AT, 8.Aufl., 2017, გვ. 123.
- ²⁶ იხ.: Hillenkamp, C., 32 Probleme aus dem Strafrecht, AT, 15.Aufl., 2017, გვ. 30; Paefgen, U., Zabel, B., Strafgesetzbuch, NK, 2017, p. 91.
- ²⁷ იხ.: Burgstaller, 1974, p. 175; Schünemann, B., Die deutschsprachige Strafrechtswissenschaft nach der Strafrechtsreform im Spiegel des Leipziger Kommentars und des Wiener Kommentars, GA, 1985, p. 371; Jecheck, H.H., Weigend, T., Strafrecht AT, 1996, p. 328.
- ²⁸ იხ.: kühl, C., Strafrecht, AT, 8.Aufl., 2017, p. 127; OLG Naumburg, NStZ, 2013, p. 718.
- ²⁹ იხ.: Graul, JuS, 2000, p. L41.
- ³⁰ იხ.: Alwart, H., Zum Begriff der Notwehr, JuS, 1996, p. 953.
- ³¹ იხ.: Krey, V., Esser, R., Deutsche Strafrecht AT, 6.Aufl., 2016, p. 202; kühl, C., Strafrecht, AT, 8.Aufl., 2017, p. 136; Heinrich, B., Strafrecht AT, I, 3.Aufl., 2016, p. 131; Hoffmann-Holland, Strafrecht AT, 2.Aufl., 2011, p. 85.
- ³² იხ.: Stemler, P., Die Notwehr, ZJS, 2010, p. 356.
- ³³ იხ.: Puppe, I., Strafrecht AT, 3.Aufl., 2016, p. 186; Roxin, C., Strafrecht AT, Band I, 4.Aufl., 2006, p. 641; Zielinski, გვ. 233, 252; Kindhäuser, U., Strafrecht AT, 7.Aufl., 2015, p. 167.
- ³⁴ იხ.: Roxin, C., Strafrecht AT, Band I, 4.Aufl., 2006, p. 641.
- ³⁵ იხ.: BGHSt 3, p. 194; OLG Karlsruhe JZ 1984, p. 240, 241.
- ³⁶ იხ.: Jescheck, Weigend, T., Strafrecht AT, 1996, p. 328.
- ³⁷ იხ.: Hillenkamp, C., 32 Probleme aus dem Strafrecht, AT, 15.Aufl., 2017, p. 34.
- ³⁸ იხ.: Kühl, K., Angriff und Verteidigung bei der Notwehr, Jura, 1993, p. 233.
- ³⁹ იხ.: მაღლაკელიძე, ლ., განზრახვის ცნების პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებული: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, p. 303; Frister, H., Strafrecht AT, 7.Aufl., 2015, p. 145; Stratenwerth, G., Kuhlen, L., Strafrecht AT, 6.Aufl., 2011, p. 107.
- ⁴⁰ იხ.: ტურავა, მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, p. 130; Otto H., Der Vorsatz, Jura 1996, p. 471; Stuckenberg, C., Provozierte Notwehraage und Actio illicita in causa: Der Meiningsstand im Strifttum, JA, 2001, p. 211; Krey, V., Esser, K., Deutsches Strafrecht AT, 2016, p. 176; Kindhäuser, U., Strafrecht, AT, 8.Aufl., 2017, p. 132.
- ⁴¹ იხ.: მაღლაკელიძე, ლ., 2013, p. 305; Puppe, I., Strafrecht AT, 2016, 3.Aufl., 2016, p. 655; Otto, H., Der Vorsatz, Jura 1996, p. 470; kühl, C., Strafrecht, AT, 8.Aufl., 2017, p. 91; Roxin, C., Strafrecht AT, Band I, 4.Aufl., 2006, p. 57.
- ⁴² იხ.: Otto, H., Der Vorsatz, Jura 1996, p. 470; Jäger, C., Examens-Repetitorium Strafrecht AT, 8.Aufl., 2017, p. 58; Hilgendorf, E., Valerius, B., Strafrecht, AT, 2.Aufl., 2015, p. 55.
- ⁴³ იხ.: მაღლაკელიძე, ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, 2012, p. 63; Otto, H., Der Vorsatz, Jura, 1996, p. 741.

- ⁴⁴ იხ.: Heinrch, B., Strafrecht AT I. 3. Aufl., 2016, p. 106; Stratenwerth, G., Kühlen, L., Strafrecht AT, 6. Aufl., 2011, p. 109; Krey, V., Esser, R., Deutsche Strafrecht AT, 6. Aufl., 2016, p. 162.
- ⁴⁵ იხ.: Rönnau, T., 2009, p. 596; Otto, 2007, p. 471; Baumann, J., Webber, Mitsch, W., Eisele, J., Strafrecht, AT. 12. Aufl., 2016, p. 360; Schlehofer, H., Strafrecht, 8. Aufl., 2017, p. 1460; Jahn, M., Rechtfertigender Notstand, JuS, 2013, p. 1042; Streng, F., Das subjektive Rechtfertigungselement und sein Stellenwert, FS für Harro Otto, zum 70. Geburtstag, 2007, p. 10.
- ⁴⁶ იხ.: Heinrch, B., Strafrecht AT I. 2. Auflage, p. 127-161; Braun, 1998, p. 941; Grosse-Wilde, Handlungsgründe und Rechtfertigungsgründe, zis 2011, p. 84; BGHSt 3, გვ. 194, 198; BGH 43, p. 237; BGH NJW, 2003, p. 1955-1957; BGHSt 5, 245-247; Scheffler, U., Der Erlaubnistatbestands irrtum und sein umkehrung, das Fehlen subjektiver Rechtfertigungselemente bei den Vorsatzlichen Erfolgsdelikten, Jura, 1993, p. 617; Günther, K., Strafrecht AT, 9. Aufl., 2013, p. 56; Meyer, M., Opfer des Angriffs strafbar durch Verteidigung? Zu den subjektiven Voraussetzungen der Verteidigung bei der Notwehr, GA 2003, p. 813. Eisele/Heinrich, Strafrecht, p. 101; BGHSt 2, p. 111, 114.
- ⁴⁷ იხ.: BGH JZ 1978, p. 762; BGH, NJW 1951, p. 412; Dalinger, 1972, p. 16; Rogal, Jus 1992, p. 551-555.
- ⁴⁸ იხ.: Rönnau, T., Subjektive Rechtfertigungselemente, Jus, 2009, p. 595.
- ⁴⁹ იხ.: Rönnau, LK-StGB, 2009, გვ. 81; Rönnau/Honn, LK-StGB, 2006, p. 545.
- ⁵⁰ იხ.: Günther, K., Strafrecht AT, 9. Aufl., 2013, p. 134; BGH VRS 40, 1971, p. 104-107; Rönnau, T., Hohn, K., StGB LK 2006, 12. Aufl., 2006, p. 265; Geilen, G., Notwehr und Notwehrexzess, Jura, 1981, p. 308.
- ⁵¹ იხ.: Baumann/Webber/Mitsch/Eisele, Strafrecht, AT. 12. Aufl., 2016, p. 359; BGH, NStZ, 1996, p. 29-30; BGH, GA 1980, p. 67-68; BGH, NStZ 1983, გვ. 117; LG, NJW 1990, გვ. 2263; BayObLG, JZ, 1991, p. 936.
- ⁵² იხ.: Rengier, R., Strafrecht AT, 10. Aufl. 2018, p. 171.
- ⁵³ იხ.: OLG Koblenz, p. 171, 2011; BayObLG, p. 143, 1998; OLG Stuttgart p. 333, 1991; OLG Koblenz, p. 234, 2011; BGH p. 325, 2007. Hillenkamp, C., 32 Probleme aus dem Strafrecht, AT. 15. Aufl., 2017, p. 36; Roxin, C., Die provozierte Notwehrlage, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft, 1963, p. 563; Frister, H., Strafrecht AT, 7. Aufl., 2015, p. 187-189.
- ⁵⁴ იხ.: Alwart, H., Der Begriff des Motivbündels im Strafrecht, GA, 1983, p. 433.
- ⁵⁵ იხ.: წერეთელი, თ., დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი, 1966, გვ. 12.
- ⁵⁶ იხ.: დვალაძე, ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 25.
- ⁵⁷ იხ.: Hillenkamp, C., 32 Probleme aus dem Strafrecht, AT. 15. Aufl., 2017, p. 90
- ⁵⁸ იხ.: BGH, NStZ 2007, p. 325; GA 1980, p. 67-68.
- ⁵⁹ იხ.: BGH, NStZ 2007, p. 325.
- ⁶⁰ იხ.: დვალაძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 25.
- ⁶¹ იხ.: იქვე, გვ. 72.
- ⁶² იხ.: ნატყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, 2010, გვ. 190.
- ⁶³ იხ.: უზნაძე, დ., ზოგადი ფსიქოლოგია, 1998, გვ. 203, ნატყებია, გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, 2010, გვ. 191.
- ⁶⁴ იხ.: კაკაბაძე, ვ., მოთხოვნის ფსიქოლოგია, 1988, გვ. 82.
- ⁶⁵ იხ.: კიკნაძე, დ., დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები, აღმანახი 2000, გვ. 123-124; Нозлов А. П., Понятие преступления, 2004, с. 174.
- ⁶⁶ იხ.: Барышников, А.С., Роль мотива совершения преступления в уголовном праве, 2014, с. 37.

- ⁶⁷ იხ.: კიკნაძე, დ., ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, „საბჭოთა საქართველო“, 1971, გვ. 138-144.
- ⁶⁸ იხ.: კიკნაძე, დ., ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, „საბჭოთა საქართველო“, 1971, გვ. 148-153; კიკნაძე, დ., მოტივაცია როგორც ადამიანის შინაგანი მოქმედება, 1998, გვ. 88.
- ⁶⁹ იხ.: კაკაბაძე, ვ., მოთხოვნების ფსიქოლოგია, 1988, გვ. 84.
- ⁷⁰ იხ.: ნაჭყებია, გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 286-287.
- ⁷¹ იხ.: იქვე, გვ. 286-287.
- ⁷² იხ.: Игнатов, А.Н., Костарева Т.А. Уголовная ответственность и состав преступления, 1996, с. 26.
- ⁷³ იხ.: დვალიძე, ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 78; Волков Б. С. Мотивы преступлений, 1982, с. 54.
- ⁷⁴ იხ.: დვალიძე, ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 69.
- ⁷⁵ იხ.: დვალიძე, ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 72.
- ⁷⁶ იხ.: Волков Б. С., Мотивы преступлений 1982, с. 89.
- ⁷⁷ იხ.: დვალიძე, ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 76.
- ⁷⁸ იხ.: შავგულიძე, თ., სურგულაძე, ლ., საზოგადოებრივი სამიწროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 1988, გვ. 102-104.
- ⁷⁹ იქვე, გვ. 105.
- ⁸⁰ იხ.: BGH, GA, 1980, გვ. 67.
- ⁸¹ იხ.: იქვე, გვ. 67.
- ⁸² იხ.: Dallinger, MDR 1969, გვ. 16.
- ⁸³ იხ.: RG, GA 45, 1897, p. 273.
- ⁸⁴ იხ.: BGH, NJW, 1990, p. 2263, NStZ 1996, p. 29-30; BGH, NStZ, 2000, p. 365-366; BGH, NStZ, 2005, p. 332-334; Lampe, 1978, p. 7.
- ⁸⁵ იხ.: BGH, NStZ 1983, p. 117.

FOR THE ISSUE OF STRUCTURE OF SUBJECTIVE ELEMENTS OF SELF- DEFENSE

NATIA SONGHULIA

*Doctoral student of School of Law
The University of Georgia*

During the last years, the issue of structure of self-defense is formed both in Georgian and German criminal dogmatics and practice. However, it should be noted that despite the work done the issue of its composition remains a problematic issue till today. Accordingly, the main focus in the present work is on the content of structure. In the presented article, the subjective elements of self-defense are set out as far as possible; the scientists' different opinions about presented issue, the contents of knowledge of circumstances arising self-defense and will of defense, the importance of motives and goals and a decision of Federal Court of Justice of Germany about presented problem are analyzed. It is known that there is no uniform approach to this issue in the dogmatic and practice of German Criminal Law. In most of the cases the Court supports the necessity of existence of a will, motive of defense, however, there are cases when the different approach is used, which makes it pretty much difficult to establish a uniform position. In spite of the different opinions existing today, I think that existence of each element is decisive.

ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ცნების თავისებურებანი და მისი პრაქტიკული ასპექტების გამოვლინება

თეიმურაზ ლომიძე

იურისტი

შესავალი

ქართული ადმინისტრაციული სამართალი, ისე როგორც სამართლის სხვა დარგები, კონტინენტური ევროპული სამართლის ნაწილია. იგი ძირითადად, გერმანული ადმინისტრაციული სამართლის მოდელზე იქნა აგებული. მაშასადამე, ქართული ადმინისტრაციული სამართლის არსებობის ხანგძლივობა და ამ სფეროს პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილება სულ რაღაც, 2 ათწლეულს მოიცავს, რაც ძალიან მოკლე დროა იმისთვის, რომ სტაბილური და უხარვეზო სისტემა ჩამოყალიბებულიყო. სრულყოფილი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებას პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება უზრუნველყოფს, რაც საკმაოდ დიდი და ხანგრძლივი პროცესია. თუმცა, არსებობს უფრო მარტივი გზაც, რაც პირველ ვარიანტს არ გამოირიცხავს, ეს გახლავთ ევროპული გამოცდილების რეცეფცია და ჩვენს სამართლებრივ სისტემაზე მორგება, რამაც მრავალგზის გამოყენება ჰპოვა ქართული სამართლის სხვადასხვა დარგში. ეს ნაშრომიც სხვა არაფერია, თუ არა გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის ქართული სამართლისადმი მისადაგება და ქართულ სამართალში არსებული ვაკუუმის შევსების მცდელობა.

ძირითადად, სტატიაში საუბარია ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ცნებაზე და მისთვის დამახასიათებელ დამატებით ერთ ელემენტზე, რომლის შესახებ თეორიაში მწირი ინფორმაცია მოიძებნება, თუმცა კი, სწორი პრაქტიკის წარმართვისთვის უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ასევე, საუბარი იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის და ნორმატიული აქტის გამიჯვნის მნიშვნელობასა და მექანიზმზე. საბოლოოდ კი, გერმანული ადმინისტრაციული სამართლის თეორიასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, შევხებით ამჟამად ქართულ რეალობაში სადისკუსიო საკითხს, სატრანსპორტო საგზაო ნიშნების შესახებ – ადმინისტრაციულსამართლებრივ ჭრილში.

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ცნება და მისი შემადგენელი ელემენტები

ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ცნება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდეგში ზაკ) მე-2 მუხლის 1 ნაწილის დ) პუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი განმარტებულია როგორც „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.“

უპირველესად, ვიდრე თავად ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის შესახებ მსჯელობას დავიწყებდეთ, ერთი სიტყვით თავად ამ აქტის ნორმატიულ განმარტებაზე გავაკეთებთ კომენტარს: ზოგადად, საკანონმდებლო ნორმის შინაარსი არა მხოლოდ სამართლებრივად და ლოგიკურად, არამედ გრამატიკულადაც უნდა იყოს გამართული. ზაკ-ის მე-2 მუხლის 1 ნაწილის დ) ქვეპუნქტში არსებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის განმარტებაში კანონმდებელს სემანტიკური¹ ხარვეზი გაეპარა. კერძოდ, მოხდა სიტყვის იგივე სიტყვით განმარტება *circulus vitiosus*,² რაც ყოვლად დაუშვებელია და ეწინააღმდეგება სამართალში და არა მხოლოდ სამართალში მოქმედი ლეგალური განმარტების და ზოგადად, განმარტების სპეციფიკურ წესებს.

დაუშვებელია სიტყვა „აქტის“ როგორც დასახელებაში, ასევე დასახელების განმარტებაში გამოყენება ან თუ სიტყვა „ინდივიდუალური“ დასახელების ნაწილად ითვლება განმარტებიდან უნდა ამოვიღოთ.

მაშასადამე, სწორი ფორმულირება იქნებოდა შემდეგნაირად: „ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს...“

ბ. ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის შემადგენელი ელემენტები ქართულ და გერმანულ სამართალში

ზოგადად, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქალაქეებთან სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს. იმისთვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ღონისძიება ინდივიდუალურ

ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვალოს, აუცილებელია იგი ბაკ-ის მე-2 მუხლის I ნაწილის დ) ქვეპუნქტში კუმულაციურად ჩამოთვლილი ელემენტებისაგან შედგებოდეს. ქართულ ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში გავრცელებულია სწავლება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის შემადგენელი ოთხი ელემენტის შესახებ,³ კერძოდ: ადმინისტრაციული ორგანოსაგან, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე უნდა იქნას ისეთი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი გამოცემული, რომელიც ინდივიდუალურად და კონკრეტული პირის ან პირთა წრის უფლებებს ადგენს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს.

ეს სწავლება, ისე როგორც ადმინისტრაციული სამართლის სხვა საკითხები ძირითადად, გერმანული ადმინისტრაციული სამართლის მოდელზე იქნა აგებული. თავად გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში კი, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი, ქართული სწავლებისაგან განსხვავებით, დამატებით ორ ელემენტს მოიცავს⁴ და არც თუ უსაფუძვლოდ. იმისათვის, რომ დავადგინოთ, საჭიროა თუ არა ქართულ რეალობაში ამ ორი ელემენტის გათვალისწინება, თავად მათი შინაარსიდან უნდა ვიმსჯელოთ:

აა) *Hoheitliche Maßnahme*⁵

ამ ელემენტის არსებობით გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში დამატებით ხაზგასმულია, რომ ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება, აუცილებლად ადმინისტრაციული სახის უნდა იყოს, რადგან მოგეხსენებათ, ასევე, შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდებოდეს თუმცა, კერძოსამართლებრივ ხასიათს ატარებდეს.⁶

გამომდინარე იქიდან, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ქართულ განმარტებაში სიტყვა „ღონისძიების“ ნაცვლად, უშუალოდ „ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი“ ნახსენები, მითითება იმის შესახებ, რომ ეს აქტი ადმინისტრაციულსამართლებრივი ხასიათისაა, აუცილებელი აღარ არის. შესაბამისად, ვიდრე ქართულ ადმინისტრაციულ კოდექსში ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის განმარტების გრამატიკულად შესწორება არ მოხდება,⁷ გერმანულ სამართალში არსებული ამ ელემენტის ქართულ რეალობაში გამოყენების საჭიროება არ იარსებებს.

ბბ) *Außenwirkung*⁸

ეს ელემენტი აქტის მოქმედების მიმართულებას განსაზღვრავს. შესაბამისად, ამ ელემენტის გათვალისწინებით, მხოლოდ ის აქტი ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად, რომლის ადრესატიც ადმინისტრაციული ორგანოს ფარგლებს გარეთ ხვდება.⁹ ამ ელემენტის შესატყვისი სიტყვა ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის განმარტების ქართულ ვარიანტშიც არის, მაგრამ თავად ამ სიტყვის ორმხრივი შინაარსიდან და ჟღერადობიდან გამომდინარე, მისი როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ელემენტის სტატუსი ირადილება. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ღონისძიების შეფასებისას, მისი გათვალისწინება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ადმინისტრაციული ორგანოს სხვა მმართველობითი ღონისძიებებისაგან გასამიჯნად.

მხედველობაში გვაქვს ზაკ-ის მე-2 მუხლის I ნაწილის დ) ქვეპუნქტში არსებული სიტყვა „გა“- მოცემული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სიტყვა ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის შექმნას მოიაზრებს, ხოლო მეორე მხრივ, აქტის მიმართულებას განსაზღვრავს. კერძოდ, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად, თუ იგი უშუალო სამართლებრივ ზემოქმედებას ადმინისტრაციული ორგანოს გარეთ განავითარებს,¹⁰ კერძო ან იურიდიული პირისკენ იქნება მიმართული.¹¹

ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ კერძო სამართლის სუბიექტი დელეგირებული უფლებამოსილებით არის აღჭურვილი ადმინისტრაციული ორგანოსაგან, ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოცემული მმართველობითი ღონისძიებაც ვერ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად, რადგან კერძო სუბიექტი, მასზე გადაცემული დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამ ადმინისტრაციულ ორგანოს დაქვემდებარებულ ერთეულად შეირაცხება და მის მიმართ გამოცემული მმართველობითი აქტიც შიდაუწყებრივი ხასიათის იქნება.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში არ ხვდება, მაშინ გამოცემული აქტი ადმინისტრაციულ ორგანოს ფარგლებს გარეთ გამოცემულად და მაშასადამე, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვლება, თუ იგი დამატებით, ზემოთ ხსენებულ ოთხ ელემენტსაც მოიცავს. შესაბამისად, კერძო პირი, მიუხედავად მისი მხრიდან სახელმწიფო ძალაუფლების პყრობისა, ასეთ შემთხვევაში შეძლებს ყველა იმ დამცავი საშუალებებით სარგებლობას, რასაც ზოგადად, კანონი კერძო პირებს ანიჭებს ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტისაგან თავდასაცავად.

მაგალითად, „სი-ტი პარკი“¹² კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელსაც თვითმმართველის მხრიდან გადაცემული აქვს უფლებამოსილება დაარეგულიროს ქალაქში სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების წესები, ამ სფეროში იგი ექვემდებარება თვითმმართველს და ვალდებულია, როგორც მას დაქვემდებარებული ორგანო, შეასრულოს მისი მითითებები და ეს მითითებები ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად ვერ ჩაითვლება. ხოლო თუ მერიის ზედამხედველობის სამსახური აღმოაჩინს, რომ „სი-ტი პარკის“ შენობა პროექტის დარღვევით არის აშენებული მისი მითითება დარღვევის გამოსასწორებლად, „გა“-მოცემულად ჩაითვლება.

ააა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის შიდა უწყებრივი ღონისძიებისაგან გამიჯვნის აუცილებლობა

სიტყვა „გა“-მოცემულის ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის მეხუთე ელემენტად შერაცხვის აუცილებლობაზე პრაქტიკული და თეორიული გარემოებები მიუთითებენ. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

1) საკრებულოს თავმჯდომარე ა-მ მოუწოდა საკრებულოს წევრ ბ-ს დატოვოს სხდომა, მას შემდეგ, რაც მან უხამსი სიტყვებით მოიხსენია თავმჯდომარე და გაფრთხილების მიუხედავად, არ შეწყვიტა ხმაურით სხდომისთვის ხელის შეშლა, დაუმორჩილებლობის გამო, მანდატურების დახმარებით ბ-ს ძალით დაატოვებინეს დარბაზი.

2) არქიტექტურის სამსახურის უფროსმა მოხელე ჭ-მ მითითება მისცა მისადმი დაქვემდებარებულ მოხელე ბ-ს უარი ეთქვა მოქალაქე გ-ს მიერ მშენებლობის შესახებ შემოტანილი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

3) პოლიციის განყოფილების უფროსმა საგანგებო მდგომარეობის გამო, საზეიმო ღონისძიება გადადო და მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ოფიცრის მობილიზაცია გამოაცხადა.

სამივე შემთხვევაში გამოცემულ აქტს, თუ მხოლოდ ოთხი ელემენტის ფარგლებში განვიხილავთ, დავადგენთ, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტისთვის დამახასიათებელი ოთხივე ელემენტი სახეზეა. როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს და არქიტექტურის სამსახურის უფროსს, ისე პოლიციის განყოფილების უფროსს აქვთ ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსი, რომლებიც აღჭურვილნი არიან კანონის საფუძველზე უფლებამოსილებით, გამოსცენ ისეთი კონკრეტულ-ინდივიდუალური მითითება მათი დაქვემდებარებული მოხელეებისადმი, რომელსაც კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებამდე მივყავართ. გამოდის, რომ ასეთი მითითება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად უნდა ჩაითვალოს, რაც ნიშნავს, რომ უმცროს მოხელეს უფლება ექნებოდა დავის ან ზოგადად, უკმაყოფილების შემთხვევაში, მისი უფროსის მითითების გასაჩივრებისა ჯერ ზემდგომ ორგანოში და შემდგომ სასამართლოში, სასკ-ის 22-ე და 23-ე მუხლების მიხედვით, რაც რა თქმა უნდა, დაუშვებელია.

მოხელე, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილი და ძალაუფლების მატარებელი, რიგითი მოქალაქესავით, იგივე დაცვითი უფლებებით ვერ ისარგებლებს, როდესაც იგი სამსახურებრივ მოვალეობას აღასრულებს.

როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულია რიგით მოქალაქესთან ურთიერთობაში მისი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები დაიცვას და შეზღუდვის შემთხვევაშიც კი, კანონით დაშვებულ საზღვრებს არ გადაცდეს.¹³

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო უკანონოდ ხელყოფს კერძო პირის უფლებას, ზოგადად, არსებობს კონსტიტუციის მე-5 თავში (89. მუხლის 1 ნაწ. ვ) ქვეპუნქტი) ან ჩვენ შემთხვევაში უფრო კონკრეტულად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავში, დაცვის სპეციალური მექანიზმები, სასკ-ის 22-ე და 23-ე მუხლის სახით, რომელიც უშუალოდ მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად არის შექმნილი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ თუ ნორმა სახელმწიფო ორგანოს უკანონო მოქმედებისგან დასაცავად არის შექმნილი, მას თავად სახელმწიფო ორგანო (და ორგანოს მესვეური) ვერ გამოიყენებს თავდაცვისათვის, რადგან შიდა მმართველობითი საქმიანობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად აღიარებით, მოხელისთვის მოქალაქის კუთვნილი თავდაცვის საშუალების გადაცემის ტოლფასი იქნებოდა.

სახელმწიფო მოხელე, თავისი მოვალეობების შესრულების დროს, თავად არის კონსტიტუციით მოწოდებული დაიცვას კერძო პირთა ინტერესები და არა თავად იყოს ამ მექანიზმის დაცვის ობიექტი.¹⁴ სწორედ ამიტომაც, ზემოთ ხსენებული მაგალითებიდან ვერც ერთში, ზემოდგომი მოხელის მიერ გამოცემული მითითება ვერ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოხელე სრულიად დაუცველია, მას შეუძლია სასკ-ის 24-ე ან 25-ე მუხლებით უზრუნველყოს თავდაცვა, თუ მის მიმართ გამოცემული შიდაუწყებრივი მითითება მისი, როგორც მოხელის, კანონიერ ინტერესებზე ახდენს ნეგატიურ ზემოქმედებას.

უფრო მეტიც, თუ გამოცემული შიდაუწყებრივი ღონისძიება მოხელის საქმიანობის მარეგულირებელ სფეროს სცდება და მის პერსონალურ და ინდივიდუალურ უფლებებში იჭრება, ანუ არა

მხოლოდ მის სამსახურებრივი საქმიანობის წარმართვის გზას ეხება, არამედ თავად სამსახურებრივი საქმიანობის ბირთვის (მაგ., ნაადრევად პენსიაზე გაშვება, სხვა განყოფილებაში გადაყვანა, ხელფასის შემცირება და ა. შ.),¹⁵ ასეთი ღონისძიება ადმინისტრაციულ ორგანოს გარეთ მიმართულად ჩაითვლება, რადგან ასეთ შემთხვევაში, აქტის ადრესატი არა მოხელე, არამედ კერძო პირია, რომლის პირადი უფლებები გამოცემული მითითებით, შელახვის საფრთხის ქვეშ დგება. მაშასადამე გამოცემული აქტი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის სახეს შეიძენს.

შესაბამისად, მოხელეც მიუხედავად მისი სტატუსისა, უფლებამოსილი შეიქმნება გამოიყენოს სამართლებრივი თავდაცვის ის საშუალება, რა საშუალებაც, რიგით მოქალაქეს აქვს, კერძოდ, ზაკ-ით დარეგულირებული ადმინისტრაციული წარმოების სახეები და სასურველი შედეგის დაუდგომლობის შემთხვევაში, უკვე, სასკ-ის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის ტიპები.

ამ მიზნით იქნა გერმანული კანონმდებლის მიერ დაყოფილი მმართველობითი ღონისძიება შიდასამსახურებრივ და გარე კატეგორიებად. შესაბამისად იმისათვის, რომ დავადგინოთ მოხელის თავდაცვის საშუალების ტიპი ამ ორ კატეგორიას შორის, მოგვიწევს საზღვრის გავლება, ხოლო ეს თავის მხრივ, გვიჩვენებს, არის თუ არა მმართველობითი ღონისძიება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი.

ამიტომაც, აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის განმარტების დროს მეხუთე ელემენტის გათვალისწინება, რომელიც შიდა ადმინისტრაციული მმართველობითი ღონისძიებებისაგან გამიჯვნაში დაგვეხმარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებებისაგან სწორად გასამიჯნად საჭიროა მეხუთე ელემენტის გათვალისწინებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეცდომების დაშვება გარდაუვალი იქნება.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ტიპები და მათი ნორმატიულ ადმინისტრაციული აქტისაგან გამიჯვნის წესი

ზაკ-ის მე-2 მუხლის I ნაწილის დ) ქვეპუნქტში ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის 2 სახეობა არის ნახსენები, რომელიც კონკრეტულ პირთა მიმართ გამოიცემა და რომელიც პირთა შეზღუდული წრისაკენ არის მიმართული.

ორივე ვარიანტს აერთიანებს ერთი გარემოება, ორივე შემთხვევაში გამოიცემა კონკრეტულ-ინდივიდუალური აქტი. თუმცა მხოლოდ პირველი ვარიანტი ითვლება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის კლასიკურ სახეობად.

ამავე მუხლის ე) ქვეპუნქტში ნორმატიული აქტის განმარტებასაც ვხვდებით. ამ ადმინისტრაციული ღონისძიებისათვის დამახასიათებელია აბსტრაქტულ-გენერალურობა.

ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის და ნორმატიული აქტის გამიჯვნა ერთმანეთისაგან მარტივია, თუ ისეთი სახით იქნა გამოცემული, რა სახითაც კანონშია დახასიათებული (კონკრეტულ-ინდივიდუალური და აბსტრაქტულ-გენერალური).

მაგრამ, როგორ გავმიჯნოთ ეს ორი ღონისძიება, როდესაც აქტი არა კონკრეტულ-ინდივიდუალურად, არამედ კონკრეტულ-გენერალურად მოქმედებს ან როდესაც არა აბსტრაქტულ-გენერალურად, არამედ აბსტრაქტულ-ინდივიდუალურად?!

ამასთანავე ისმის კითხვა, საჭიროა კი, საერთოდ ამ ორი ტიპის აქტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა?!

იმისთვის, რომ ამ უკანასკნელ და პრაქტიკული თვალსაზრისით, უპირატეს კითხვას გავცეთ პასუხი, საჭიროა დადგენა, რა სარგებელს მოგვცემს ამ ორი ტიპის აქტის გამიჯვნა. პასუხი თავად ქართულ კანონმდებლობაში უნდა ვეძებოთ.

თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტისა და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის შემოქმედებისა და გამოქვეყნების წესს შევადარებთ ერთმანეთს, აღმოვაჩინოთ, რომ ისინი ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ არ ჩავთვლით განსხვავებებს მოქმედების არეალსა და რეგულირების რაოდენობას შორის. შესაბამისად, თითოეული მათგანი მართლზომიერების შემოწმების განსხვავებულ პროცედურებს ითვალისწინებს¹⁶ არსებით განსხვავებაზე თავად ნორმატიული აქტების შესახებ კანონიც მიგვითითებს მე-2 მუხლის V ნაწილში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვამოწმებთ, არის თუ არა აქტი ფორმალურად და მატერიალურად კანონიერი, რა თქმა უნდა, საჭიროა სწორად განისაზღვროს აქტის რა სახეობასთან გვაქვს საქმე, რათა მოხდეს შესაბამისი ნორმებით აქტის კანონიერების გადამოწმება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ კანონდარღვევით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი, თუ იგი გამოცემიდან განსაზღვრულ ვადაში არ გასაჩივრდა, ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას, არარა აქტის გამონაკლისს თუ არ გავითვალისწინებთ.¹⁷

კანონდარღვევით გამოცემული ნორმატიული აქტი კი, გამოქვეყნებისთანავე ბათილად ითვლება.¹⁸

საბოლოოდ, გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი ექვემდებარება უშუალოდ აღსრულებას, ადრესატის მიერ მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში, რასაც ნორმატიულ აქტზე ვერ ვიტყვი. ასე, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტისა და ნორმატიული აქტის გამიჯვნა აუცილებლობას წარმოადგენს.

პროცესუალურად თუ შევავსებთ, ქართული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების წესს არ განასხვავებს. სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, განსჯად სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის პირველი ინსტანცია წარმოადგენს.¹⁹ გერმანული ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით, ნორმატიული აქტების სარჩელს მეორე ინსტანციის სასამართლო განიხილავს. ჩვენს შემთხვევაში, რამდენად სწორია ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის კანონიერების დასადგენად, პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის გადაცემა განსასჯელად თავად მკითხველისთვის მიგვიჩნია. ნორმატიული აქტის კომპლექსურობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ალბათ უკეთესი იქნებოდა, თუ მის კანონიერებაზე ზედა ინსტანციის სასამართლო იმსჯელებდა, რამდენიმე მოსამართლის შემადგენლობით. თუმცა, ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ აპრიორი ჩვენი კანონმდებლის გადაწყვეტილება არასწორია და პირველი ინსტანციის მოსამართლე საქმეს თავს ვერ გაართმევს.

შუალედური დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამიჯვნა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, აუცილებელია.

რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილი გარანტიების ნორმატიული აქტისაგან გამიჯვნაში შემდეგი მაგალითები დაგვეხმარება:

ა) ქუჩის მუსიკოსის მიერ შესრულებულმა ნაწარმოებმა გამვლელთა დიდი მოწონება დაიმსახურა, რასაც საფეხმავლო ბილიკის ჩაკეტვა მოჰყვა. მუსიკისადმი გულგრილი გამვლელები იძულებულნი იყვნენ, გზის გასაგრძელებლად, საავტომობილო გზაზე გადასულიყვნენ, რითაც ავტომობილებსაც ექმნებოდათ დაბრკოლება და თავად ფეხით მოსიარულეებიც საფრთხეში იგდებდნენ თავს. ამ ფაქტის დანახვისთანავე, ტროტუარზე გაჩერებულ ხალხს პოლიციელმა დაშლისკენ მოუწოდა.

ბ) ლიბერალური მოძრაობის მორიგ უმცირესობათა უფლების დაცვასთან დაკავშირებულ მსვლელობაზე ვითარება დაიძაბა. გზის მეორე მხარეს ნაციონალ-მემარჯვენეთა რიცხვი ელვისებურად იზრდებოდა. ფიზიკური დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, პოლიციამ მემარჯვენეთა ჯგუფის მიმართ დაშლის ბრძანება გამოსცა.

გ) ქალაქ ყვარელში მცხოვრებ ბ-ს საკუთრებაში მყოფი სახლის მიმდებარე ტერიტორია ისე არის დაქანებული, რომ ზამთარში მოყინვის შემთხვევაში ფეხით მოსიარულეებს წაქცევის და დაშავების საფრთხე ექმნებათ. რამდენიმე შემთხვევა მძიმე მოტეხილობებით და სხეულის სხვა დაზიანებებით დასრულდა. შედეგად მოქალაქე ბ-ს მიმართ გამოიცა გამგებლის ბრძანება, სადაც ეწერა, რომ ბ-ს ევალება ყოველ წელს თოვლიანობის პერიოდში სახლის წინა საფეხმავლო გზის თოვლისგან გაწმენდა და ნახერხის მოყრა.

ამ მაგალითებიდან პირველ ვარიანტში პოლიციის მიერ გამოცემული აქტი მიმართულია ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც ტროტუარზეა გაჩერებული და მუსიკას უსმენს. თუ შევეცდებით ამ აქტის ტიპის დადგენას, ძნელი არ იქნება მიხედვრა, რომ აქტი მიმართულია პირთა შეზღუდული წრისკენ, რადგან მათი რიცხვი განსაზღვრადია და აწესრიგებს ერთ კონკრეტულ შემთხვევას. ე. ი. სახეზეა ზაკ-ის მე-2 მუხლის 1 ნაწილის დ) პუნქტში დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის მეორე ალტერნატივა.

მეორე მაგალითში დემონსტრანტთა რიცხვის მუდმივი ცვალებადობის გამო, ადრესატთა წრის დადგენა შეუძლებელია, ამიტომ პოლიციის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი განუსაზღვრელ პირთა წრეზე იქნება მიმართული, ანუ სახეზეა გენერალური მოწესრიგება, ხოლო იმის გამო, რომ აქტი „ერთჯერადი“ ხასიათისაა, იგი კონკრეტული შემთხვევის მოსაწესრიგებლად იქნა გამოცემული. შედეგად ვიღებთ კონკრეტულ-გენერალური სახის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს.

მესამე მაგალითში გამოცემული აქტი ინდივიდუალურად ერთ პირს ეხება, რადგან საფრთხე მისი საკუთრებისაგან გამომდინარეობს, მაგრამ მოქმედება ერთჯერადი ხასიათის არ არის, არამედ ყოველ წელს შესაბამისი პირობების დადგომის შემთხვევაში, „ბ“ ვალდებულია ბრძანება შეასრულოს. ამიტომ გამგებლის მიერ გამოცემული აქტი აბსტრაქტულ-ინდივიდუალური ხასიათისა იქნება.

როგორც პირველ, ასევე დანარჩენ ორ მაგალითში გამოცემული აქტები გერმანულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში „საყოველთაო განკარგულების“ სახელით არის ცნობილი.²⁰ სამივე ვარიანტი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ქვეტიპებს წარმოადგენენ,²¹ რომლებზეც იგივე პროცესუალური წესები მოქმედებს, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის კლასიკურ ვარიანტზე. თუმცა, მათ შორის განსხვავება ადრესატთა წრისა და ზემოქმედების მასშტაბებშია.

საყურადღებოა, რომ საყოველთაო განკარგულების მეორე და მესამე ვარიანტი არც ქართულ და არც გერმანულ ადმინისტრაციულ კოდექსში ნახსენები არ არის, თუმცა ნაწილობრივ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში²² და ასევე, გერმანულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაშიც ფართოდ გამოიყენება.²³

რაც შეეხება გამოქვეყნების ფორმას, საყოველთაო განკარგულების სამივე შემთხვევაში იგივე წესები მოქმედებს. მიღებულია როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით გამოქვეყნება.

ადრესატთათვის აქტის გაცნობის წესი საყოველთაო განკარგულების სამივე შემთხვევაში ერთნაირი არ არის. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ადრესატი კონკრეტულად ერთი პირი ან პირთა შემზღვეული წრეა, მოქმედებს სტანდარტული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გაცნობის წესები.

რაც შეეხება საყოველთაო განკარგულების კონკრეტულ-გენერალურ ფორმას, მისი გაცნობა საჯარო ადგილას გამოცხადების წესით ხორციელდება, ზაკ-ის 57-ე მუხლზე დაყრდნობით. რადგან ადრესატთა წრე განუსაზღვრელია, ფიზიკურად შეუძლებელი ხდება მათთვის აქტის გადაცემა, რომ არ ჩავთვალოთ შეუსაბამოდ დიდი ხარჯები.

ზაკ-ის მე-13 მუხლის I და II ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, წინ არაფერი უდგას მას შემდეგ, რაც საჩივარი და მისი ავტორის ვინაობა ოფიციალურად დაფიქსირდება. საჩივრის ავტორს ექნება საშუალება არა მხოლოდ თავისი, არამედ სხვათა პოზიცია წარმოაჩინოს განხილვის დროს გასაჩივრებულ აქტთან მიმართებაში.

კონკრეტულ-გენერალური ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ წარმოიშვება კიდევ ერთი ვალდებულება: კერძოდ, ზაკ-ის 95-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით, აქტის გასაჩივრების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეებს.

თუ საჩივრის ავტორთა რიცხვი 50-ს არ აღემატება, მოხდება მათთვის პირადი წერილობითი შეტყობინების გაგზავნა, ხოლო თუ მათი რიცხვი 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ზაკ-ის 95-ე მუხლის IV ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად გამოაქვეყნოს.

რაც შეეხება საყოველთაო განკარგულების ბუნებას, იგი სამ კატეგორიად იყოფა, ადრესატზე მორგებული, საგანზე მორგებული და მოხმარების წესის განმსაზღვრელი.²⁴ განვმარტოთ თითოეული:

ადრესატისკენ მიმართულ საყოველთაო განკარგულებაში იგულისხმება ყველა ის აქტი, რომელთა სამართლებრივი მოქმედება მიმართულია ადრესატზე ან ადრესატთა განსაზღვრად წრეზე, როგორც ამას თავად ზაკ-ის მე-2 მუხლის I ნაწილის დ) ქვეპუნქტის 1-ელ წინადადებაში ვხვდებით.²⁵

საგანზე მორგებულ საყოველთაო განკარგულებად ჩაითვლება ყველა ის აქტი, რომელიც არა უშუალოდ კონკრეტული პირის უფლება-მოვალეობაზე ახდენს გავლენას, არამედ საგნის სამართლებრივ მდგომარეობას ცვლის, რაიმე უფლებით აღჭურავს ან აუქმებს. მაგალითად, ქუჩისთვის სახელის დარქმევა ან გადარქმევა, განაშენიანებული მიწის ფართობის (პარკები) საზოგადოებრივ მოხმარებაში გადაცემა,²⁶ შენობისთვის კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭება.²⁷

რაც შეეხება მოხმარების წესის განმსაზღვრელ საყოველთაო განკარგულებას, იგი ადგენს ქცევის წესებს საჯარო დაწესებულებებში. მაგალითად, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ საცურაო აუზებზე მოქცევის წესებს. ასევე, საგზაო ნიშნები.²⁸

	ინდივიდუალური	გენერალური
კონკრეტული	1. ინდ. აქტი (კლასიკური) 2. ინდ. აქტი – საყოველთაო განკარგულების სახით	ინდ. აქტი – საყოველთაო განკარგულების სახით
აბსტრაქტული	ინდ. აქტი – საყოველთაო განკარგულების სახით	ნორმატიული აქტი

მაშასადამე, სამივე ვარიანტში ნახსენები ადმინისტრაციული აქტი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ქვეტიპებს წარმოადგენს, ხოლო ნორმატიული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი კი, მხოლოდ აბსტრაქტულ-გენერალური სახის მოწესრიგებისას გამოიყენება.

3. საგზაო ნიშანი, როგორც საყოველთაო განკარგულება

საყოველთაო განკარგულებასთან მიმართებაში, ერთი საკამათო საკითხი არსებობს, რომელიც საგზაო ნიშნებს ეხება. პრობლემა საგზაო ნიშნების არსის განსაზღვრაში მდგომარეობს.

იურისტთა მცირედი ნაწილის აზრით, საგზაო ნიშანი ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, რომელიც გამოქვეყნებისთანავე თავის მოქმედებას ყველა საგზაო მოძრაობაში მონაწილე პირზე ავითარებს, ისე როგორც კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაშია.

უმრავლესობის აზრით კი, საგზაო ნიშანი სხვა არაფერია, თუ არა საყოველთაო განკარგულება აბსტრაქტულ-გენერალური ფორმით, რომელიც მოქმედებს მხოლოდ იმ პირებზე, რომელნიც მისი მოქმედების სფეროში მოექცევიან.

ამ საკითხზე დავა ჯერ კიდევ, გერმანული ადმინისტრაციული სამართლიდან მომდინარეობს, რასაც 1979 წელს, ფერდერაციის ადმინისტრაციულმა სასამართლომ საბოლოოდ წერტილი დაუსვა.²⁹ „სასამართლომ დაადგინა, რომ საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ნიშანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტია, რომელიც საყოველთაო განკარგულების სახით გამოიყენება, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ადგილობრივი საგზაო მიმოქცევის დასარეგულირებლად.“ დასაბუთებაში ასევე ნათქვამია, რომ ყველა საგზაო ნიშანი ჰიპოტეტურად პოლიციის რიგით მუშაკად უნდა ჩაითვალოს, რომელიც კონკრეტული ადგილის სპეციფიკისა და მოძრაობის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მაშინვე აღსრულებადი³⁰ ტიპის აქტს გამოსცემს.“ სასამართლოს ეს განმარტება მალე ზემოდგომი ინსტანციების სასამართლო პრაქტიკამაც გაიზიარა.³¹

შემდგომში სასამართლო პრაქტიკამ საგზაო ნიშნების მოქმედების არეალი გააფართოვა და საავტომობილო საგზაო ნიშნების გარდა, ტრამვაის ნიშნები, საველოსიპედო გზის მოძრაობის განსაზღვრელი ნიშნები და შუქნიშნებიც დაუქვემდებარა.³²

თუ გერმანულ გამოცდილებას ქართულ პრაქტიკაში გავითვალისწინებთ და გერმანულ პროცესუალურ ნორმებს, რომლებიც ქართულში თითქმის სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი, დავადგენთ, რომ

საგზაო ნიშანი, თუ იგი ადრესატის უფლებებს უკანონოდ ზღუდავს, სასკ-ის 22-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული სარჩელი მიესადაგება. თუ პირიქით, მოაქალაქე მოითხოვს საგზაო ნიშნის განთავსებას (მაგ.: კერძო სკოლა მოითხოვს სკოლის წინ განთავსდეს ავტომობილებისთვის სიჩქარის შენელების ნიშნები. ამ განცხადებაზე არავითარი რეაგირებისა და უშედეგო საჩივრის შემდგომ, სკოლა მიმართავს სასამართლოს), მაშინ სარჩელის სწორი ფორმა სასკ-ის 23-ე მუხლის I ნაწილით განისაზღვრება.³³

მაგრამ ასე მარტივად არ აღმოჩნდა საქმე. დროთა განმავლობაში, პრაქტიკაში გარკვეულმა დოგმატურმა საკითხებმა იჩინეს თავი, რომლის სრულფასოვნად გადაჭრა ჯერ ვერ მოხერხდა, აბრ-თა სიმრავლის გამო. განვიხილოთ ეს საკითხები:

ა) საგზაო ნიშნის გაცნობასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

როგორც მოგეხსენებათ, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ოფიციალური გაცნობა მისი არსებობის წინაპირობას წარმოადგენს. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის შესრულების მოთხოვნა მხოლოდ მაშინ იქნება ლეგიტიმური თუ იგი ადრესატისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება. ჩაბარებულად კი, იმ შემთხვევაში ჩაითვლება თუ კანონით დადგენილი ჩაბარების წესი ზედმიწევნით იქნება დაცული.

საგზაო წესების მარეგულირებელი ნიშნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩვენთვის ჩაბარების ცნობილი (ზასკ) ოთხ ვარიანტთაგან – ზაკ-ის 57-ე მუხლის II წინადადების შინაარსი ყველაზე შესაფერისი იქნება. ჩაბარების სხვა სახეობები რომლებიც ზაკ-ის 54-ე მუხლის I ნაწილის I და II ალტერნატივაში და ზაკ-ის 54-ე მუხლის III ნაწილშია ნახსენები, არ გამოდგება ადრესატთა სიმრავლისა და განუსაზღვრელობის გამო. იგივე შედეგამდე მივიდა გერმანიის ადმინისტრაციული სასამართლო, რომელმაც დაადგინა, რომ საგზაო ნიშანი შესასრულებლად სავალდებულო ძალას მისი საგზაო ტერიტორიის შესაბამის ნაწილში საჯაროდ განთავსებით იძენს.³⁴

თუმცა, საჯარო გამოცხადება მაინც ვერ ადგენს, თუ როდის მოდის საგზაო მარეგულირებელი ნიშანი ცალკეულ ადრესატთან უშუალოდ შეხებაში. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მაშინ როდესაც ადრესატი ამ ნიშნის მოქმედების ზონაში მოხვდება, დაინახავს და აღიქვამს საგზაო ნიშანს. ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა გერმანიის ფედერაციის ადმინისტრაციული სასამართლოც. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მან დაადგინა, რომ გასაჩივრების ვადა სწორედ საგზაო მოძრაობის მონაწილის მიერ უშუალოდ აქტის მოქმედების სფეროში მოხვედრით და მისი ვიზუალური აღქმით იწყება.³⁵ თუმცა მოგვიანებით, სასამართლო პრაქტიკა შეიცვალა, სასამართლომ ჩათვალა, რომ მძღოლი გერმანული საგზაო სამართლის მიხედვით (StVO) ისედაც ვალდებულია საგზაო მოძრაობის დროს ყურადღება გაამახვილოს საგზაო ნიშნებზე და თუ განთავსებული საგზაო ნიშანი, სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობის დროს „სწრაფ ვიზუალურ აღქმას ექვემდებარება“, საკმარისია, რომ საგზაო ნიშანი მგზავრისთვის გაცნობილად ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, მოახდენს თუ არა მძღოლი ფაქტობრივად საგზაო ნიშნის დაფიქსირებას.³⁶

ამ გადაწყვეტილების შედეგად ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა საგზაო ნიშნის გამოქვეყნებით იწყებოდა და არა კონკრეტული პირის აქტის მოქმედების ზონაში მოხვედრით, რასაც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა მოჰყვა.

მოსარჩელის დასაბუთებით, განთავსებულ საგზაო ნიშანს გამოქვეყნებისას, არა აქვს რა, მას თანდართული გასაჩივრების წესი, ვადა და ორგანო, ყველაზე მეტი 1 წლის ფარგლებში იქნებოდა მისი გასაჩივრება შესაძლებელი.³⁷ იმ შემთხვევაში თუ ადრესატი 1 წლის შემდგომ მოხვედებოდა საგზაო მარეგულირებელი ნიშნის ზონაში, მას ფაქტობრივად გასაჩივრების ვადა ამოწურული ექნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აქტის გაცნობა იმ მომენტში მოხდა. ამასთან, ადრესატი აქტის მოქმედების ზონაში მოხვედრამდეც ვერ დაიცავდა თავს აქტის ზემოქმედებისაგან, რადგან როგორც ცნობილია, მხარე სასარჩელო უფლებამოსილებით მხოლოდ მაშინ აღიჭურვება, როდესაც აქტი უშუალოდ მის ინტერესებს აყენებს ზიანს³⁸ ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს.³⁹

სასამართლომ მოსარჩელის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა, ადრესატის მიერ აქტის მოქმედების ზონაში მოხვედრამდე, კონსტიტუციის Art. 19 IV GG⁴⁰-ს ეწინააღმდეგებოდა, რადგან მოსარჩელეს სამართლებრივი თავდაცვის საშუალება უკანონოდ ეზღუდებოდა. შესაბამისად, ვადის ათვლა საგზაო ნიშნის გამოქვეყნებიდან ადრესატის აქტის მოქმედების ზონაში მოხვედრამდე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

საბოლოოდ, გამყარდა ახალი სასამართლო პრაქტიკა,⁴¹ რომელიც საგზაო ნიშნის გამოცემასა და ადრესატის მიერ მისი მოქმედების ტერიტორიაზე მოხვედრის მომენტს განასხვავებს. სწორედ ამ უკანასკნელი მომენტიდან იწყება გასაჩივრების ვადის ათვლა, დამოუკიდებლად იმისა, მოახდინა თუ არა მძღოლმა საგზაო ნიშნის აღქმა – ეს ნაწილი უცვლელად დარჩა.

ბ) საგზაო ნიშნის გასაჩივრების ვადა

რაც შეეხება გასაჩივრების ვადას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში ხდება. ეს წესი გერმანიაშიც და საქართველოშიც ერთნაირად არის მოწესრიგებული.⁴² შესაბამისად, ადრესატი ვალდებული იქნებოდა, თუ მას საგზაო ნიშნისაგან თავის დაცვა სურს, 1 თვის განმავლობაში გაესაჩივრებინა იგი მას შემდეგ, რაც იგი აქტის მოქმედების ზონაში მოხვედებოდა.

მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამომდინარე იქიდან, რომ საგზაო ნიშნებს არ გააჩნიათ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტისთვის სავალდებულო ინფორმაცია, თუ როგორ დაიცვას აქტის ადრესატმა თავი⁴³ (გასაჩივრების წესი, დასაბუთება, ვადა და ორგანო) გერმანიის კანონმდებლობა § 70 II და § 58 II VwGO-ის საფუძველზე, ადრესატის სასარგებლოდ გასაჩივრების 1-თვიან ვადას 1 წლამდე ზრდის. ქართულ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ასეთი ნორმა არ გვაქვს, რაც კანონის ხარვეზზე მიანიშნებს. თუმცა, გამოსავალი ნაპოვნია, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისას ზემდგომ ორგანოში, სასკ-ის მე-12 მუხლის II ნაწილს ანალოგიის სახით ვიყენებთ.⁴⁴

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საგზაო მარეგულირებელი ნორმის გასაჩივრება ადრესატს 1 წლის განმავლობაში შეუძლია, მას შემდეგ, რაც იგი მისი მოქმედების ზონაში მოხვედბა. ასეთი სასამართლო პრაქტიკა ჩამოყალიბდა გერმანიაში.⁴⁵

გ) საგზაო ნიშნის მოულოდნელი ცვლა

ასევე პრობლემურ და სადისკუსიო საკითხად ითვლება სადგომზე კანონის დაცვით განთავსებული მანქანის ევაკუატორით საჯარიმო სადგომზე გადაყვანა, თუ მანქანის მეპატრონის მიერ ავტომობილის სადგომზე გაჩერების შემდეგ, ამ ადგილზე ამკრძალავი ნიშნები განთავსდება და მეპატრონე რეაგირებას არ მოახდენს ამ ნიშანზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად მოახდინა აქტის ადრესატმა საგზაო ნიშნის ფაქტობრივად დაფიქსირება, აქტი ჩაბარებულად ითვლება თუ ადრესატი მისი მოქმედების ზონაში მოხვდა და აქტის ფაქტობრივად აღქმის შესაძლებლობა არსებობს.⁴⁶ შედეგი როგორც ვხვდებით, მანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანა იქნება.

სამართლიანობა და სამართალი რიგ შემთხვევებში არ ემთხვევა ერთმანეთს, ამას ყველა ის მძღოლიც დაადასტურებს, ვისაც ავტომობილის ყველა წესისა და ნორმის დაცვით სადგომზე გაჩერების მიუხედავად, უკან დაბრუნებისას, მანქანის ნაცვლად საჯარიმო ქვითარი შერჩებათ ხელში. აღნიშნულ საკითხზე გერმანულ სამართალმცოდნეთაგანაც მრავალი მოსაზრება გამოითქვა, რათა შეემსუბუქებინათ ან გაემართლებინათ ეს ქმედება. მაგალითად, ნაწილობრივ გავრცელებულია ასეთი მოსაზრება, რომ მანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანა კანონიერად ჩაითვალება, თუ მანქანის გადაყვანის მოთხოვნის ნიშნის განთავსებიდან 72 საათში, მანქანის პატრონი რეაგირებას არ მოახდენს გაფრთხილებაზე.⁴⁷

საბოლოოდ, სასამართლო პრაქტიკა უფრო სამართლიანი პოზიციისაკენ იხრება. გავრცელებული მოსაზრებით მანქანის მფლობელი, თუ მან კანონის დაცვით დააყენა მანქანა სადგომზე, მაგრამ რეაგირებას არ მოახდენს ადგილის გათავისუფლების მოთხოვნაზე, უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ მანქანას საჯარიმო სადგომზე გადაიყვანენ, მაგრამ იგი გათავისუფლება საჯარიმო სადგომის ხარჯის დაფარვისაგან, კანონიერი ნდობის პრინციპიდან გამომდინარე.⁴⁸

დასკვნა

საბოლოო დასკვნის სახით თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს გამოვყოფდით, რომელიც ჩვენი აზრით, ქართული ადმინისტრაციული სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ეს არის უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტისთვის დამახასიათებელი მეხუთე ელემენტი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ინდივიდუალური აქტის ზუსტი გამიჯვნა შიდაუწყებრივი მმართველობითი აქტისაგან.

ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ქვეტიპები, რომლებიც დაგვეხმარება უწყების მიერ (გარეთ) „გა“-მოცემული აქტის ნორმატიული ტიპის აქტისაგან ზუსტ გამიჯვნაში, რაც აქტის კანონიერების შემოწმებისათვის არსებით როლს შეასრულებს.

და, საგზაო ნიშნის სამართლებრივი კვალიფიკაცია, რომლის მიხედვითაც, ისინი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის კატეგორიაში ხვდებიან, რომელთა გასაჩივრებაც სტანდარტული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტისთვის განკუთვნილი წესებით არის შესაძლებელი, მცირეოდენი განსხვავებების გათვალისწინებით.

შენიშვნები:

- ¹ სემანტიკა (სინ. სემასიოლოგია) ენათმეცნიერების ერთ-ერთ დარგს განეკუთვნება, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას, მის აგებულებას და დროში ცვალებადობას შეისწავლის.
- ² Eike von Savigny (1970), Grundkurs im wissenschaftlichen Definieren, გვ. 9. <http://www.sgipt.org/wisms/gb/defin.htm>
- ³ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოცემა, გვ. 87.
- ⁴ Erbguth, Allgemeine Verwaltungsrecht, 8.Auflage, გვ. 148, ველი 3; Deterbeck, Allgemeine Verwaltungsrecht, 15.Auflage, გვ.132, ველი 425; Bull/Mehde, Allgemeine Verwaltungsrecht, 9.Auflage, გვ. 298, ველი 687; Peine, Allgemeine Verwaltungsrecht, 11. Auflage, გვ.79, ველი 327.
- ⁵ Hoheitlich – ქართულად ოფიციალურს ან სახელმწიფოს ნიშნავს, კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ადმინისტრაციულადაც ითარგმნოს, Maßnahme – ითარგმნება როგორც ღონისძიება.
- ⁶ Deterbeck, Allgemeine Verwaltungsrecht, 15.Auflage, გვ. 136, ველი 435; Kopp/Ramsauer, Kommentar,VwVfG, § 35, გვ. 560, ველი 27, 10. Auflage.
- ⁷ იხ.: ამ ნაშრომის გვ. 2, 2 ნაწილი, ა. პუნქტი.
- ⁸ Außenwirkung – ადმინისტრაციული ორგანოს ფარგლებს გარეთ მოქმედება, გარემოქმედება.
- ⁹ Kopp/Ramsauer, Kommentar,VwVfG, § 35, გვ. 586, ველი 73, 10. Auflage.
- ¹⁰ Sodan/Ziekow, Grundkurs Öffentliches Recht, 7. Auflage, გვ. 532, ველი 15; Deterbeck, Allgemeines Verwaltungsrecht, 15. Auflage, გვ. 150, ველი 484-485.
- ¹¹ Peine, Allg. Verwaltungsrecht, 11. Auflage, გვ. 90, ველი 379; ტურავა პ.,ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გვ.17.
- ¹² კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებული ადმინისტრაციულსამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე აღიჭურვა უფლებამოსილებით – მოეწესრიგებინა და კონტროლზე აეყვანა ქალაქში სატრანსპორტო საშუალებათა პარკირება.
- ¹³ ავტორთა კოლექტივი, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გვ. 36.
- ¹⁴ კონფუზიის არგუმენტი (Konfusionsargument) – Sodan/Ziekow, Grundkurs Öffentliches Recht, 7. Auflage, გვ. 197; BVerfGE 21, 362; NVwZ 2007, 1176; NVwZ 2007, 1420.
- ¹⁵ სხვა მაგალითები იხ.: Kopp/Ramsauer, Kommentar,VwVfG, § 35, გვ. 588, ველი 84, 10. Auflage.
- ¹⁶ იხ.: განსხვავება ზაკ-ის 51,52, 53 და მეორეს მხრივ, 52¹ მუხლი, უფრო ვრცლად ნორმატიული აქტების შესახებ კანონის III თავი.
- ¹⁷ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 60.
- ¹⁸ ტურავა პ.,ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გვ. 141.
- ¹⁹ სასკ-ის მე-2 და 22-ე ან მე-2 და 23-ე მუხლები.
- ²⁰ Allgemeine Verfügung – გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში გავრცელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ქვეტიპის სახელი. Allgemeine – საყოველთაო ან საჯარო მნიშვნელობით ითარგმნება, ხოლო სიტყვა Verfügung – განკარგვას ნიშნავს, ადმინისტრაციულ სამართალში განკარგულების მნიშვნელობას მიიღებს.
- ²¹ Peine, Allgemeines Verwaltungsrecht, 11. Auflage, გვ. 96, ველი 400; Deterbeck, Allgemeines Verwaltungsrecht, 15. Auflage, გვ. 143, ველი 466; Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, § 9, ველი 29.
- ²² ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გვ. 92 (გრაფა).
- ²³ Deterbeck, Allgemeines Verwaltungsrecht, 15. Auflage, გვ. 149, ველი 478; Erbguth, Allgemeines Verwaltungsrecht, 8. Auflage გვ. 159, ველი 23; Bull/Mehde, Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Auflage, გვ. 304, ველი 705.

- ²⁴ Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, 18. Auflage, გვ. 214, ველი 29.
- ²⁵ იქვე, გვ. 214, ველი 30.
- ²⁶ იქვე, გვ. 215, ველი 31.
- ²⁷ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გვ. 92.
- ²⁸ Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, 18. Auflage, გვ. 215, ველი 32.
- ²⁹ გერმანიის ფედერაციის ადმინისტრაციული სასამართლოს 13.12.1979 გადაწყვეტილება – 7 C 46/78; BVerwGE 59, 221.
- ³⁰ ზაკ-ის 184-ე მუხლის 2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის მსგავსად, გულისხმობს რომ გასაჩივრება ადმინისტრაციულ ორგანოში ან სარჩელის აღძვრა, ზაკ-ის 184-ე მუხლის 1 ნაწილით განსაზღვრულ სუსპენსიურ ეფექტს არ გამოიწვევდა.
- ³¹ VGH BW VBIBW 1994, 415; VGH NJW 1999, 1651 და 2057.
- ³² BVerwGE 92, 32= NJW 1993, 1729; BVerwG NVwZ 1994, 784; OVG NW NJW 1996, 3024; BVerwG NJW 2004, 698.
- ³³ VGH BW NVwZ-RR 1998, 682.
- ³⁴ BVerwGE 102, 316= NJW 1997, 1021; Mehilde, Neues von den Abschleppfällen, Jura 1998, 297; Hansen/Meyer, Bekanntgabe von Verkehrsschildern. Endlich Klarheit durch das BVerwG?, NJW 1998, 284.
- ³⁵ BVerwGE 59, 221.
- ³⁶ BVerwGE 102, 316; BVerwG in JZ 1997, 780; VGH Kassel in NJW 1999, 2057; OVG Hamburg in NordfR 2004, 399.
- ³⁷ § 70 I, 74 I VwGO.
- ³⁸ § 42 II VwGO; საკ-ის 22 მუხლის 2 ნაწილი.
- ³⁹ NJW 2009, 3642.
- ⁴⁰ ფაქტობრივად საქართველოს კონსტიტუციის 42 მუხლის 1 ნაწილის იდენტური შინაარსი აქვს.
- ⁴¹ გერმანული ფედერაციის სასამართლოს, 23.09.2010 წლის, გადაწყვეტილება, – 3C 37/9; BVerwG JZ 2011, 152= NJW 2011, 246.
- ⁴² § 68 I VwGO; ზაკ-ის 180. მუხლის I ნაწილი.
- ⁴³ § 37 III და § 39 VwVfG – ზაკ-ის 52. მუხლის II ნაწილი და 53. მუხლის I ნაწილი.
- ⁴⁴ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გვ.114.
- ⁴⁵ Hess, VGH NJW 1999, 2057; VGH BW JZ 2009, 753.
- ⁴⁶ VGH BW NJW 2007, 2058; BVerwGE 102, 316.
- ⁴⁷ SächsOVG NJW 2009, 2551.
- ⁴⁸ OVG Hamburg NVwZ – RR 2010, 263.

PECULIARITIES OF THE CONCEPT OF INDIVIDUAL ADMINISTRATIVE ACT AND ITS PRACTICAL ASPECTS

TEIMURAZ LOMIDZE

Lawyer

Georgian administrative law, as well as other fields of law, are part of the continental law. It was mainly built on the German administrative law model. Therefore, the duration of existence of Georgian administrative law and the experience accumulated in this sphere is only two decades, which is a short time to establish a stable and flawless system. Establishing a comprehensive legal system is guaranteed by accumulating practical experience, which is a significant and lengthy process. However, there is a simpler way that does not exclude the first option, it is the reception of European experience and adjustment to our legal system, which has been used in many fields of Georgian law. This work is nothing more than the adjustment of experience and knowledge accumulated in German administrative law to the Georgian law and an attempt to fill the gaps in Georgian law.

The article mainly speaks about the notion of individual administrative act and its additional features, on which there is scarce information in theory, though it is of utmost importance for the development of correct practice. There will also be discussion on the importance and mechanism for the distinction of the individual administrative act from the the normative act. Finally, based on the legal theory and practice of Germany, we will touch the issue of today's discussion in Georgian reality on the road signs – in the context of administrative law.

სასამართლოს მიდგომები სამრეწველო საკუთრების სამართლის განვი- თარებისათვის

თამაზ შრთმელიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტი, პროფესორ-ასისტენტი

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივა საკანონმდებლო აქტებით დაარეგულიროს ისეთი საკითხები, როგორცაა: „ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ; ო) კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების შესახებ; პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა.“⁴¹ მაგრამ, როგორც დიდი ხნის პრაქტიკა ადასტურებს, არ არსებობს სამართლის ისეთი დახვეწილი ნორმები (კანონები), რომელიც სრულყოფილად და ამომწურავად მიესადაგოს ცხოვრებაში დამდგარ ნებისმიერ პრობლემას. სამართლის ნორმები თუ ბუნდოვანია ან არასათანადოდ მიესადაგება კონკრეტულ სამართლებრივ დავას, დგება საკითხი, თუ როგორ უნდა გადაწყდეს დავა. დავის გადაწყვეტას კი, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები მოითხოვს. ამ შემთხვევაში აქტუალურია მოსამართლის მიერ კანონის ინტერპრეტაციის საკითხი. კანონის განმარტება ისე, რომ მისი

სრულყოფილი აზრი არ დამახინჯდეს, ხშირ შემთხვევაში რთული და წინააღმდეგობრივი ამოცანაა. სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია გულისხმობს, რომ კანონშემოქმედება არის მხოლოდ ხალხის არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქცია და მხოლოდ ასეთმა ორგანომ და მისმა წევრებმა უნდა ილაპარაკონ ხალხის სახელით. სასამართლოს კი, ეკისრება კონკრეტული დავებისას კანონის ნორმა მიუსადაგოს პრობლემას და მიიღოს გადაწყვეტილება.

სასამართლო გადაწყვეტილებები გამოდის სახელმწიფოს სახელით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლეები თავისი სტატუსით არიან სახელმწიფოს სახელით გადაწყვეტილებების მიმღები პირები. ამის უფლება მათ ეძლევათ მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ინტერპრეტაციისა და კანონისავე საფუძველზე, როგორც სახელმწიფოს სახელით მოქმედი ორგანოს, ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის მიერ მიღებული კანონის გამოყენების უფლებამოსილებით.

კანონები უნდა მოქმედებდეს ხანგრძლივი დროით და მათი ხშირი ცვალებადობა პოზიტიურად არ მოქმედებს სამართლის განვითარებაზე. ახალი კანონების ამოქმედება გულისხმობს საზოგადოებისათვის მის გაცნობას, სამართლებრივი ურთიერთობების მისადაგებას ახალ კანონთან, სამართლებრივი მშვიდობის დამყარებას, რაც თავისთავად საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ამასთან, კანონის ხშირი ცვლილება შეიცავს გაზრდილ რისკებს, რომ საზოგადოება, რომელიც არ გაცნობია კანონს, შესაძლოა კანონდამრღვევი გახდეს, რაც თავის მხრივ, ნიშნავს სადავო საკითხთა წრის გაზრდას, სადავო საკითხების სასამართლოში წარდგენას, ხარჯების გაზრდას და სხვა.

თანამედროვე დემოკრატიებისათვის სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა ისეთი კანონებით ცხოვრება, რომლებიც შეიძლება მიღებული ყოფილიყო რამდენიმე ათეული წლის წინათ. ამის მაგალითებია საფრანგეთისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსები. კანონთა მიღების დროს არსებული ურთიერთობები დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის, რაც მოითხოვს, რომ დავები გადაწყდეს კანონის საფუძველზე, მაგრამ თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალი ჩამორჩება დროის ცვლილებას, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს მთლიანად საზოგადოების განვითარებასა და პროგრესზე. გადაწყვეტილებები, რომლებიც პროგრესულად არ განმარტავს კანონს და საზოგადოებას არ უბიძგებს პროგრესისაკენ, შეიძლება სამოქალაქო ურთიერთობების მუხრუჭი გახდეს. თანამედროვე ინოვაციური საზოგადოებისათვის კი, მიუღებელია კანონთა ამგვარი ინტერპრეტაცია.

კანონმდებელი ხშირად ვერ გაითვალისწინებს ყველა მოსალოდნელ შემთხვევას, შესაძლო სადავო გარემოებას, რომელიც კანონმა უნდა მოაწესრიგოს. უფრო მეტიც, ერთ-ერთი თვისება, რაც კანონმდებლობას მოეთხოვება, არის მისი მოქნილობა და უნივერსალობა, რაც გულისხმობს ნორმათა ისეთ სტრუქტურას, რომ ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაზე გავრცელდეს. ყველა შესაძლო პრობლემისადმი კანონების მორგება გამოიწვევდა კანონთა ნორმების უსასრულოდ ზრდას, რომელთა საზოგადოებისათვის გაცნობა და ამოქმედება გადაუღახავი ამოცანა გახდებოდა. შესაბამისად, ნათელია, რომ ცხოვრება გვიბიძგებს სამართლებრივ ნორმათა იმგვარად ჩამოყალიბებას, რომ ისინი ერთი მხრივ, იყოს ამომწურავი და ითვალისწინებდეს ცხოვრებისეულ ყველა შემთხვევას, მეორე მხრივ კი, უნდა იყოს ისე მოქნილი, რომ ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მოერგოს ყველა ცხოვრებისეულ კაზუსს და იყოს საკმაოდ ზოგადი ხასიათის.

ამრიგად, გარდაუვალი ხდება მოსამართლის მიერ კანონის მისეული განმარტება-ინტერპრეტაცია. აღნიშნული უფლებამოსილება მინდობილი აქვს სასამართლოებს სწორედ კანონმდებლის მიერვე. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი ადგენს, რომ „1. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს ან იგი ბუნდოვანია. 2. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია.“²

ყველაზე პრიმიტიული გადაწყვეტა კანონის ხარვეზისა გადასაწყვეტი შემთხვევის ღიად დატოვებაა, – ე.ი. მისი გადაუწყვეტელობა ნორმის არარსებობის მოტივით. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა შნიტცერმა ამ მდგომარეობას სამართლიანად უწოდა მართლწესრიგის გაკოტრება.³

რაც უფრო შორდება მოსამართლის გადაწყვეტილება კანონის ზუსტად დადგენილ მოთხოვნებს და ინტერპრეტაციის უფლებას იყენებს, მით უფრო მცირდება მისი ლეგიტიმურობა – მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს სახელით. მოსამართლეები მხოლოდ მაშინ უნდა იყენებდნენ თავის უფლებამოსილებას – განმარტონ კანონი თავისი ინტერპრეტაციით, როდესაც კანონი მართლაც არასრულყოფილია და განსახილველი საკითხი ზუსტად არ რეგულირდება კანონით.

სამოსამართლო სამართალი გულისხმობს გადაწყვეტილებათა არსებით დასაბუთებულობას. აღნიშნული ვალდებულება სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით ეკისრება. როცა კონკრეტული გადაწყვეტილება ეყრდნობა კანონის ცხად ნორმას, რომლის სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეზღუდული ან გამორიცხულია, სასამართლოს არ ესაჭიროება დასაბუთება იმ მოცულობით, ვიდრე მისი გადაწყვეტილება კანონის ვრცელ ინტერპრეტაციას შეიცავს. ასეთ დროს, მხოლოდ გადაწყვეტილების დასაბუთება სასამართლო გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის ახსნა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს ვალია დასაბუთოს თავისი ინტერპრეტაცია სამართლის ერთიანობის და ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპების გათვალისწინებით. სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის პრინციპებს, რაც გადაწყვეტილებას სანდოობასა და დასაბუთებულობას შესძენს. ასეთ პრინციპებად მოიაზრება: ა) ობიექტურობის პრინციპი: განმარტებას საფუძვლად უნდა ედოს კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, სწორედ მასზე დაყრდნობით უნდა მოხდეს კანონის არსის მაქსიმალურად სწორად დადგენა და შემდგომი განვითარება; ბ) ერთიანობის პრინციპი: ყოველი ნორმა წაკითხული უნდა იყოს ტექსტთან კავშირში და არა ტექსტიდან იზოლირებულად. კონკრეტული უნდა გამომდინარეობდეს ზოგადიდან და ზოგადი – კონკრეტულიდან; გ) გენეტიკური განმარტების პრინციპი: ტექსტის განმარტებისას, გასათვალისწინებელია მისი წარმომავლობა, კანონის შექმნის ობიექტური, ენობრივი, კულტურული, საზოგადოებრივი წინაპირობები და მისი ავტორების განსაკუთრებულობა; დ) შედარებითი განმარტების პრინციპი: ამ პრინციპის მიზანია იმ კანონთა ტექსტების ურთიერთშედარება, რომლებიც ერთსა და იმავე სფეროში და ერთსა და იმავე დროს წარმოიშვა.⁴

„მართლმსაჯულება არ უნდა გასცდეს იმ საზღვრებს, რომლებიც კანონის მიზნიდან და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე არის დადგენილი, მაგრამ არსებობს თვით კანონმდებლის მიერ ღიად დატოვებული სივრცე ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და მისი ლეგიტიმური ცვლილებებისათვის.

წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავის თავზე აიღებს იმ ფუნქციას, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიხედვით, კანონმდებელს ეკუთვნის. მხოლოდ კანონმდებელია მოწოდებული მიიღოს სამართალპოლიტიკური გადაწყვეტილებები და არა სასამართლო: ასეთი გადაწყვეტილებების მისაღებად იგი ფლობს უფრო მეტ ინფორმაციულ საფუძველს, ვიდრე სასამართლო. მხოლოდ კანონმდებელი იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოებასთან ნებადართულ ჭიდილში და ამით იგი ექვემდებარება დემოკრატიული კონტროლის მექანიზმებს, რომლებიც აუცილებელია პოლიტიკური ორიენტაციის პროცესის სწორად განსაზღვრისათვის მათ შორის, სამართალპოლიტიკური მიზნების შერჩევისა და ურთიერთგამიჯვნისათვის.⁴⁵

ანალოგიურად, პრეცედენტული სამართლის ქვეყნებშიც მოსამართლეთა როლი შეესაბამება ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპს. სასამართლო ხელისუფლება თავისუფალია კანონით დადგენილ და ადრეული და ზემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული პრეცედენტების ჩარჩოებში. „ინგლისის მოსამართლეებს არ გააჩნიათ და არც ითხოვენ უფლებას სტატუტების უკუგდების შესახებ პირიქით, საპარლამენტო აქტებს შეუძლიათ გააუქმონ პრეცედენტები და მოსამართლეთა მიერ დადგენილი სხვა სამართლებრივი ნორმები. ამგვარად, მოსამართლეთა საკანონმდებლო ძალაუფლება არის დაქვემდებარებული ხელისუფლება, რომელიც ხორციელდება პარლამენტის თანხმობითა და კონტროლით.“⁴⁶

სასამართლო გადაწყვეტილებებით გაკეთებული განმარტებები უაღრესად მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის თვალსაზრისით. ბიზნესი დაუყოვნებლივ რეაგირებს ნებისმიერ არასტაბილურობაზე, რაც შეიძლება სამართლებრივი აქტების განმარტებებმა გამოიწვიოს. წინასწარ განჭვრეტადი და სასამართლო პრაქტიკით განმარტებული წესები, რომელთაც ყოველდღიურად იყენებს საქმიან ურთიერთობაში მილიონობით მოქალაქე, არის დინამიკურად განვითარებადი ბიზნესისა და მშვიდი სამოქალაქო ურთიერთობების წინაპირობა.

ნაშრომი იკვლევს ქართული სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის საკითხებზე. მასში თანმიმდევრობითაა დაჯგუფებული „საქართველოს საპატენტო კანონისა“ და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის სასამართლოსეული ინტერპრეტაციები.

ზოგიერთ შემთხვევაში, ავტორი გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, ავტორიტეტულ წყაროზე მითითებით.

საქართველოს საერთო სასამართლოებმა ინტელექტუალურსამართლებრივ დავებში ძირითადად, ჩამოაყალიბეს ერთგვაროვანი პრაქტიკა. აღნიშნული ეხება საპატენტო სამართალს, სასაქონლო ნიშნებსა და კომერციულ აღნიშვნებს ასევე, საავტორო სამართლის დებულებებს. წინამდებარე კვლევა ყურადღებას გაამახვილებს სწორედ აღნიშნულ საკითხებზე.

მასალები და მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა მოძიება შესაძლებელია, როგორც გამოცემების ასევე, ინტერნეტწყაროების მეშვეობით. სტატიაში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები ასევე, შედარებითი, ისტორიული და ანალიზური კვლევის მეთოდი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სამართლებრივი ანალიზი გამომგონებებსა და სამრეწველო ნიმუშებთან მიმართებით

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში შეინიშნება გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტების სიმცირე (აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი ბევრია და ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის მათი კვლევა). შესაბამისად, შედარებით ცოტაა სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც საპატენტო კანონთა ნორმების განმარტებას იძლევა. ჩვენ წარმოგიდგენთ ამ გადაწყვეტილებებიდან მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობის მაგალითებს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს საქმეზე⁷ Nას-1340-1358-2011 მოუხდა ემსჯელა საქართველოს საპატენტო კანონის 48-ე (განსაკუთრებული უფლებების ფარგლები) და 68¹ (საპატენტი დავა – სასამართლოსადმი მიმართვა) მუხლების შინაარსზე. საქმე ეხებოდა ფიზიკური პირის კუთვნილი პატენტის სხვა იურიდიული პირის მიერ უნებართვო გამოყენებას. პატენტმფლობელი მოითხოვდა მოპასუხეს დაკისრებოდა თანხის ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც მოსარჩელეს განსაზღვრული ჰქონდა სხვა სუბიექტთან ურთიერთობაში (სალიცენზიო ხელშეკრულებით). სასამართლომ მართებულად მიიჩნია სარჩელი, რადგან დადგინდა პატენტის უნებართვო სარგებლობა. ამასთან, პატენტის საგანი იყო ე. წ. სპეცროდუქტი, რაც გულისხმობდა ამ პატენტის გამოყენებას სპეციალიზებული საწარმოებისათვის. სასამართლომ საკმარისად ჩათვალა სხვა სუბიექტთან მოსარჩელის მიერ დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სალიცენზიო თანხის ოდენობა და ანალოგიური ოდენობით დააკისრა მოპასუხე იურიდიულ პირს პატენტის უნებართვო გამოყენების გამო ზიანის ანაზღაურება.

უზენაესმა სასამართლომ ანალოგიურად იმსჯელა გადაწყვეტილებაში საქმეზე⁸ Nას-152-146-2011, საპატენტო კანონის 48-ე მუხლის შინაარსთან დაკავშირებით. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დადგენილია პატენტით გათვალისწინებული ექსპლუატაციის წესების საწარმოში დანერგვის ფაქტი. აღნიშნული კი, თავისთავად, „საქართველოს საპატენტო კანონის“ თანახმად, მოთხოვნის დაყენების საფუძველია (იგილისხმება სარჩელის აღძვრის უფლება). მითითებული კანონის 48-ე მუხლის თანახმად, პატენტმფლობელს აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, დაამზადოს პატენტით დაცული პროდუქტი, ჩართოს ობიექტი სამოქალაქო ბრუნვაში, მისი გამოყენებით მიიღოს შემოსავალი ან აკრძალოს აღნიშნული ქმედებები. აღნიშნული ნორმის საფუძველზე თუ პატენტი კანონშესაბამისადაა ცნობილი და მას იყენებს სხვა პირი, ამ ნორმაში მითითებული ყველა უფლება წარმოეშობა პატენტმფლობელს, მიუხედავად იმისა, მითითებულია თუ არა მისი დანერგვის ადგილსამყოფელი პატენტის ტექსტში. სასამართლოებმა საკმარის მტკიცებულებად მიიჩნიეს მესამე პირის მიერ პატენტის უნებართვოდ გამოყენების ფაქტი, იმისათვის, რომ ამ პირს დაეკისროს პატენტმფლობელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება.

ერთ-ერთ ადრეულ საქმეზე⁹ Nას-604-1254-03, სასამართლომ იმსჯელა ყოფილი სსრკ-ის საავტორო მოწმობის სამართლებრივ სტატუსზე. მოსარჩელე აღნიშნული სსრკ-ის საავტორო მოწმობის საფუძველზე ითხოვდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, უნებართვო გამოყენებისათვის. სასამართლომ განმარტა კანონი და აღნიშნა, რომ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება

შესაძლებელი იქნებოდა თუ მოსარჩელე სსრ კავშირის გამოგონების სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1989 წლის 22 მარტს გაცემული პატენტის N1494899 საფუძველზე მიღებული ექნებოდა საქართველოს პატენტი. სასამართლომ მიუთითა „გამოგონების შესახებ დებულებით დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილების მე-3 პუნქტზე და დაამკვიდრა წესი, რომ თუ პირი არ მოითხოვდა საქართველოს პატენტის აღებას, მაშინ მასზე ვერ გავრცელდებოდა პატენტის დამცავი უფლებების მოქმედება.

სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე¹⁰ Nას-152-146-2011, იმსჯელა „სასარგებლო მოდელზე „საქპატენტის“ მიერ გაცემული პატენტების ჰიდროელექტროსადგურ „ვარციხისის“ მითითების ნაწილში გაუქმებაზე.“ სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დარღვევად მიიჩნია სსიპ „საქპატენტის“ მოპასუხედ მიუთითებლობა. ამით სასამართლომ ჩათვალა, რომ საპატენტო დავებში „საქპატენტის“ ჩართვა იყო აუცილებელი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპატენტო კანონის 68¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის რედაქცია ადგენს, რომ „პატენტიდან გამომდინარე უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებულ საპატენტო დავაში „საქპატენტი“, როგორც მხარე არ მონაწილეობს. „აღნიშნული მუხლი კანონმდებელმა მას შემდეგ შეიტანა კანონში, რაც გახშირდა სასამართლოების მიერ „საქპატენტის“, როგორც მხარის ჩართვა სასამართლო პროცესებში და რეალურად ამ უკანასკნელს ყოველდღიურ საქმედ ექცა სასამართლო პროცესებში მონაწილეობა, ხშირად მხოლოდ სტატისტიკის როლში. აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესი სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ საქმეში იმგვარად იქნა განმარტებული, რომ თუ პატენტში მითითებულია სუბიექტი, სადაც უნდა მოხდეს პატენტის რეალიზება, ასეთ შემთხვევაში საქპატენტიც არის მოპასუხე...

ამავე გადაწყვეტილებაში, სასამართლომ აღნიშნა: სასარგებლო მოდელის ან გამოგონების ეფექტურობა დასტურდება პატენტის მეშვეობით და არა სასამართლოს მიერ. შეუძლებელია არა-ეფექტურ და უსარგებლო მოდელზე ან გამოგონებაზე გაიცეს პატენტი. საპატენტო კანონის მე-12 მუხლის (გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმები) პირველი პუნქტის თანახმად, პატენტით შეიძლება დაცული იქნას ისეთი გამოგონება, რომელიც პატენტუნარიანია და აკმაყოფილებს სიახლის, გამოგონებისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. პატენტის არსებობა თავისთავად პრეზუმფციაა იმისა, რომ მისით დაცული სიკეთე აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. პალატამ ამ თვალსაზრისითაც არასწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ამით სასამართლომ დაამკვიდრა წესი, რომ თუ პატენტის კანონიერება არ არის სადავოდ გამხდარი და პატენტი ძალაშია, ხოლო პატენტის საფუძველზე სასარგებლო მოდელი (გამოგონება) გამოყენებაშია, ამით მტკიცდება მისი სარგებლიანობა.

ამავე კონტექსტში სასამართლომ იმსჯელა საქმეზე¹¹ Nას-626-598-2016, სადაც სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული პატენტის ბათილად ცნობა იმ საფუძველზე, რომ „ვერ აკმაყოფილებს სპეციალური კანონით დადგენილ პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს. ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღდგება საჯარო წესრიგი, მოსარჩელე გააგრძელებს თავის სამეწარმეო საქმიანობას.“ სასამართლომ განაცხადა, რომ მოსარჩელის არგუმენტი იმის შესახებ, რომ სასარგებლო მოდელი არ აკმაყოფილებს სამრეწველო გამოყენებადობის პირო-

ბას, დაუსაბუთებელია; გარდა ამისა, მხარეებს შორის არ გამხდარა სადავო, რომ პატენტით დაცული მოწყობილობები ამჟამად გამოიყენება და ხმარებაშია საზოგადოებისათვის ყავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ყოველივე აღნიშნული კი, მიუთითებს, რომ უშუალოდ პატენტის გაცემის დროისათვის სასარგებლო მოდელი განხორციელებადი იყო.“ ამით სასამართლომ განმარტა საპატენტო კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი – გამოგონება სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი დამზადება, მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში გამოყენება.

სასამართლომ საქმეზე¹² Nას-45-44-10 იმსჯელა „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ გამოყენებაზე და აღნიშნა, რომ პარიზის კონვენციის მე-4 მუხლი (პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, ნიშნები, საავტორო მოწმობები) პატენტის გაუქმების პირობებსა და საფუძვლებს მთლიანად ეროვნულ კანონმდებლობას მიანდობდა. სასამართლომ განმარტა, რომ შემოტანილი პატენტის ბათილად ცნობა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით არ ეწინააღმდეგება არც პარიზის კონვენციას და არც TRIPS-ის შეთანხმების 28-ე მუხლს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საპატენტო კანონის მე-4 და 57-ე მუხლები სრულ შესაბამისობაში იყო TRIPS-ის ხელშეკრულების მოთხოვნასთან. აღნიშნული განმარტება ნათელყოფს, რომ სასამართლოები მიიჩნევენ, რომ არ არსებობს კოლიზია საერთაშორისო ხელშეკრულებასა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის პატენტების გაუქმებასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთ საქმეზე¹³ Nას-626-598-2016 სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა, როდესაც სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული პატენტის ბათილად ცნობა. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნა ძირითადად, იმ გარემოებას ეფუძნება, რომ მოპასუხის სასარგებლო მოდელზე რეგისტრირებული პატენტი ბათილად უნდა იქნას ცნობილი, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებს სპეციალური კანონით დადგენილ პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს. ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღდგება საჯარო წესრიგი, მოსარჩელე გააგრძელებს თავის სამეწარმეო საქმიანობას.

მოსარჩელის იურიდიული ინტერესი სარჩელის განხილვისათვის სავალდებულო ნიშანია სსსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად. აღიარებითი სარჩელისა და მოსარჩელის იურიდიული ინტერესის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე¹⁴ Nას-121-117-2016 განმარტა, რომ იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს... აღიარებითი სარჩელი უნდა ემსახურებოდეს მატერიალურსამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას.“

საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე¹⁵ Nას-626-598-2016 პრეიუდიციული მნიშვნელობა მიანიჭა ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხებოდა მოსარჩელისა და მოპასუხის დავებს სსიპ „საქპატენტის“ და სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებებზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ „კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით ამავე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარსულში ადმინისტრაციული სამართალწარმოების

წესით განხილული დავის შედეგად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ (რომელიც ამ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის ავტორია) იცოდა მოპასუხის პატენტის შესახებ და ამ ცოდნის გამოყენებით, უმნიშვნელო დეტალების შეცვლით ცდილობდა, შეექმნა „ახალი“ გამოგონება, რომელზეც მოითხოვდა პატენტის გაცემას...“

საფიქრებელია, რომ საკასაციო სასამართლომ მხოლოდ იმ ნაწილში გაითვალისწინა ფაქტობრივი გარემოება, რომ „მოსარჩელემ (რომელიც ამ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის ავტორი იყო) იცოდა მოპასუხის პატენტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელია შედარდეს აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვით, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებების წარმოდგენის ტვირთისაგან მხოლოდ იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც „დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.“

სასამართლომ საქმეზე¹⁶ Nას-626-598-2016 საპატენტო კანონის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინათსარგებლობის უფლება დაუკავშირა ამავე კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ სამსახურებრივი მოვალეობის დროს შექმნილ გამოგონებას და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დაავალა გამოეკვლია რა უფლება ჰქონდა პატენტზე მოპასუხესა და მოსარჩელეს – ხომ არ არსებობდა მათ შორის სამსახურებრივი ხელშეკრულება პატენტის შექმნის თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ საპროცესო სამართლის შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, როდესაც მოპასუხე ან მოსარჩელე არ მიუთითებს სამსახურებრივი მოვალეობის დროს შექმნილ გამოგონებაზე, ამით გარკვეულად ეთანხმება მოწინააღმდეგის პოზიციას და დამატებითი გამოკვლევა საჭირო არ არის. სასამართლოები აღნიშნული კატეგორიის საქმეთა განხილვისას წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდნენ, რადგან განსხვავებით სხვა კატეგორიის საქმეთაგან (მაგალითად, საოჯახო კატეგორიის საქმეები, გამართლებული წარმოება ასევე, „რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის...“ და მსგავსი კატეგორიის საქმეები) სასამართლოები არ სარგებლობენ ინკვიზიციურობის რაიმე უფლებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სამართლებრივი ანალიზი სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით

საკასაციო სასამართლომ საქმეზე¹⁷ Nას-1285-1223-2014 იმჯელა სასაქონლო ნიშანზე უფლებათა მოპოვების პროცესზე და მიიჩნია, რომ საქართველოში სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოპოვება იწყება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის სასურველი სიმბოლოს შერჩევით, მასზე საგანაცხადო მასალების მომზადებითა და „საქპატენტში“ წარდგენით. რეგისტრაციით ხდება დაცვის ობიექტის ნამდვილი არსობრივი ფარგლების დაფიქსირება. ამასთან, რეგისტრაციით აღინუსხება საქონლის ის წრე, რომელთა მიმართ გამოსაყენებლადაც არის განკუთვნილი სასაქონლო ნიშანი. რეგისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა „საქპატენტის“ მიერ ყველა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც წარმოადგენს ნიშნის მფლობელის კონკურენ-

ტებისათვის გაფრთხილებას. „ამ ხერხით განსაკუთრებული უფლების მოპოვება დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე.“¹⁸

საქართველოს სასამართლოები ეყრდნობიან რა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების სულისკვეთებას, ადგენენ, რომ სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს. სასამართლოები განმარტავენ, რომ არათუ რეგისტრაცია, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში თავად სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ წარდგენაც კი, შეიძლება განხილული იქნას ქონებრივ უფლებად.

კონტრაფაქტია ნიშნავს სასაქონლო ნიშნის არაკანონიერ გამოყენებას კომერციული მიზნებისათვის.¹⁹ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, ამ ტერმინის გააზრების კუთხით, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე²⁰ Nას-1285-1223-2014. მან განაცხადა, რომ საქონლის კონტრაფაქციულად მიჩნევისათვის უნდა დაკმაყოფილდეს რამდენიმე პირობა: (1) საქონელი უნდა იყოს იმ საქონლის იდენტური ან მსგავსი (შედიოდეს იმ საქონლის ჩამონათვალში), რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი; (2) საქონელზე მოთავსებული უნდა იყოს ამ საქონელთან დაკავშირებით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი; (3) იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი მოთავსებული უნდა იყოს უნებართვოდ... ამასთან, ყველა ელემენტი კუმულაციურად უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ კონტრაფაქციულობის ფაქტი დადგინდეს.

ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის არ არის უცხო ევროსაბჭოს ნორმათა მოშველიება და მათი კომენტირება. საკასაციო სასამართლომ საქმეზე²¹ Nას-140-136-2016 ანალიზი გაუკეთა ევროკავშირის სამართლებრივ აქტებს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ (EC) #207/2009 ევროსაბჭოს სასაქონლო ნიშნებზე დანაწესის და ევროსაბჭოს (EC) #40/94 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნებზე დანაწესის გამოყენების შესახებ ევროკომისიის (EC) #2868/95 დანაწესის შემცვლელი და (EC) #2869/95 ევროკომისიის შიდა ბაზარზე ჰარმონიზაციის სამსახურისათვის (სასაქონლო ნიშნები და დიზაინი) გადასახდელი საფასურების შესახებ დანაწესის გამაუქმებელი 2015 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს (EU) 2015/2424 დანაწესები განამტკიცებს სასაქონლო ნიშნის კეთილსინდისიერ გამოყენებას და მის იმგვარად აღქმას, რომ მესამე პირებს აქვთ უფლება თავიანთი ბიზნეს საქმიანობის სფეროში თვითნებურად, უნებართვოდ გამოიყენონ სხვისი სასაქონლო ნიშანი და ამ გზით მიიღონ მოგება, არ გამომდინარეობს რეგულაციების შინაარსიდან.

სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის გამოყენება მოპასუხის მიერ სარეკლამო ვიდეორგოლებსა და სხვა სარეკლამო მასალებში. მაგალითად, როდესაც მოპასუხემ (რომელიც სთავაზობდა მყიდველებს სხვადასხვა პროდუქციას) სარეკლამო ვიდეორგოლებში გამოიყენა ერთ-ერთი ცნობილი ბრენდის სახელი, ისე რომ არ მიუღია ნებართვა სასაქონლო ნიშნის მფლობელისაგან. სასამართლომ განმარტა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-მ მუხლი და მიუთითა, რომ სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქლებზე. ასევე, სასაქონლო ნიშნის

გამოყენება ეწინააღმდეგება საქმიან ურთიერთობებში კეთილსინდისიერების კანონით დადგენილ სტანდარტებს და მისი აკრძალვა ლოგიკურ კავშირშია ამ უფლების რეგისტრაციის მიზნებთანაც. შესაბამისად, მესამე პირებს უფლება არა აქვთ თავისი საწარმოს ან ბიზნესის რეკლამაში გამოიყენოს სხვისი სასაქონლო ნიშანი მესამე პირის მხრიდან სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

სასამართლოს საქმეზე²² Nას-62-56-2015 მოუხდა ემსჯელა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ბათილობაზე. საქმე ეხებოდა შემთხვევას, როდესაც ბაზარზე წლების განმავლობაში არსებობდა მოსარჩელის კუთვნილი არარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, რომელიც მოპასუხემ თავის სახელზე დაირეგისტრირა. მოპასუხე და მოსარჩელე წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ და მოპასუხე დისტრიბუციას უწევდა მოსარჩელის პროდუქციას. საკასაციო სასამართლო დაეთანხმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებას, რომლებმაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გააუქმეს არაკეთილსინდისიერ განზრახვაზე მითითებით. სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის მიერ დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები მომხმარებლის თვალში დაკავშირებული იყო მოსარჩელის – მწარმოებლის პროდუქტთან, მის გემოვნურ თვისებებთან. სასამართლომ ხაზი გაუსვა საჯარო ინტერესს და განაცხადა, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენებისას, განმსაზღვრელი ფაქტორია პროდუქციის ინდივიდუალიზაცია, ანუ უკავშირებს თუ არა მომხმარებელი წარმოებულ პროდუქციას კონკრეტულ საწარმოს. მომხმარებელს აქვს საშუალება, თავად აირჩიოს სასურველი პროდუქცია, რომელსაც იცნობს და ენდობა. ამდენად, სასაქონლო ნიშნის გამოყენების მიზანი სწორედ ისაა, რომ მომხმარებელს ჰქონდეს უტყუარი ინფორმაცია კონკრეტული პროდუქციის წარმოშობის, მისი მწარმოებლისა და სხვა სპეციფიკური ნიშან-თვისებების შესახებ, რის გამოც ირჩევს პროდუქტს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიზანი არა მხოლოდ კერძო პირთა საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფაში გამოიხატება, არამედ საჯარო ინტერესშიც, რომ მომხმარებელთა არა მხოლოდ კონკრეტული წრე, არამედ პოტენციური მომხმარებელიც დაცული იყოს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ შეცდომაში შემყვანი, არასწორი ინფორმაციისაგან.

ანალოგიურად, სასამართლომ საქმეზე²³ Nას-471-445-2011 განმარტა სასაქონლო ნიშნის არსი და მიუთითა „სასაქონლო ნიშნის ძირითადი დანიშნულება პროდუქციის იდენტიფიცირება და ერთი მწარმოებლის მეორესაგან განსხვავებაა. ამ გარემოების გათვალისწინებით, ერთი მწარმოებლის მიერ თავისი სასაქონლო ნიშნის მიმსგავსება უკვე ცნობილ ნიშანთან, მომხმარებლის თვალში საკუთარი პროდუქციის ამ მწარმოებელთან დაკავშირების ან იგივე პროდუქციად გასაღების მცდელობაა.“

სასამართლომ მხარის კეთილსინდისიერი განზრახვის თაობაზე სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 28-ე მუხლის კონტექსტში – სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა, იმსჯელა საქმეზე²⁴ Nას-541-513-2015. სასამართლომ ჩამოაყალიბა კონკრეტული საკითხები, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს მხარის არაკეთილსინდისიერი განზრახვის დასადგენად. ასეთ გარემოებებად სასამართლომ მიიჩნია: 1. განმცხადებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ მესამე პირი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის წევრ ერთ ქვეყანაში მაინც იყენებს სასაქონლო ნიშნის იდენტურ ან მსგავს ნიშანს იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის; 2. განმცხადებლის

განზრახვა, აუკრძალოს მესამე პირს თავისი ნიშნის გამოყენება; 3. განმცხადებელის და მესამე პირის სასაქონლო ნიშნის დაცვის ხარისხი.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს როგორც მატერიალურ, ასევე პროცედურულ (პროცესუალურ) დებულებებს. სასამართლოს უხდება მთლიანად კანონის განმარტებების გაკეთება, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მოდავე მხარეებისათვის. სამოქალაქო საპროცესო პრინციპებიდან გამომდინარე, როგორცაა პროცესის შეჯიბრებითობა, დისპოზიციურობა, განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა პრეზუმფციების გამოყენებას. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასამართლოს შეხედულებები კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებაში. სასამართლომ განმარტა საქმეზე²⁵ Nას-1285-1223-2014, რომ მოსარჩელის მიერ სადავო სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების არსებობისა და მოწინააღმდეგე მხარის მიერ იდენტურ ან მსგავს საქონელზე იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენების ფაქტების დადასტურება იწვევს მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის უნებართვოდ გამოყენების (მოპასუხის საქონლის კონტრაფაქციულობის) პრეზუმფციის ამოქმედებას. ამ პრეზუმფციის გაქარწყლება ეკისრება იმ მხარეს, ვის საწინააღმდეგოდაც ის მოქმედებს ე. ი. მოპასუხეს.

სასამართლომ განმარტება გააკეთა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 (განსაკუთრებული უფლება) და 45-ე (სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვა) მუხლებზე საქმეზე²⁶ Nას-718-686-2016. სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების სტანდარტი განსაზღვრულია მატერიალური კანონმდებლობით. სპეციალური კანონის მე-6 და 45-ე მუხლების ერთობლივი განმარტებით, სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებით სარგებლობის ფაქტის დამტკიცების ტვირთი ეკისრება პირს, რომელსაც სამოქალაქო ბრუნვაში გააქვს იმგვარი საქონელი, რომელზედაც დატანილია განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ დადგენილი წესით დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი. შესაბამისად, მან უნდა დაუდასტუროს სასამართლოს, რომ კანონიერად იყენებს ამ ნიშანს.

მეწარმის კარგ რეპუტაციას „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. რეპუტაციაზე დაყრდნობით შესაძლოა ისეთი კარდინალური საკითხები გადაწყდეს, როგორცაა მესამე პირისათვის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-5 მუხლი), სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა (მე-6 მუხლი) და სხვა. საწარმოს ან პიროვნების კარგი რეპუტაცია ბაზარზე შეფასების საკითხია და იგი შესაძლოა სუბიექტურ ფაქტორებზე იყოს დამოკიდებული. ამასთან, სასამართლოებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სუბიექტის საქმიან რეპუტაციას მოწინააღმდეგის კეთილსინდისიერების დადგენის კუთხით. ამიტომ მნიშვნელოვანია სასამართლოების თვალსაზრისი, თუ რა კრიტერიუმებით ისაზღვრება საწარმოს კარგი რეპუტაცია. სასამართლომ საქმეზე²⁷ Nას-42-41-2014 მიუთითა, რომ საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც ადასტურებს საწარმოს კარგ რეპუტაციას მომხმარებლებში, შესაძლოა მიჩნეული იქნას საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე [ამ საწარმოს] მოპოვებული აქვს კარგი რეპუტაცია და იაფი აფთიაქის სახელი.“ მით უფრო, თუ ამ ფაქტების მიმართ პროცესუალურ მოწინააღმდეგეს არა აქვს კვალიფიციური შედავება

განხორციელებული. საწარმოს კარგი საქმიანი რეპუტაცია უბიძგებს მოწინააღმდეგეს, რომ საკუთარი ბიზნესის წარმატებისათვის მიითვისოს ასეთი რეპუტაციის საწარმოს სახელი.

პრაქტიკაში პრობლემატურია სასაქონლო ნიშნების განმასხვავებელუნარიანობის დაკარგვისა და გვარეობით ნიშნად გადაქცევის საკითხის შეფასება. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სასამართლო ბათილად ცნობს მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშანი იქცა გვარეობით ცნებად იმ საქონლისათვის, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია. სასამართლო ასეთ დროს ეყრდნობა კვლევის შედეგებს, რაც ადასტურებს სასაქონლო ნიშნის განმასხვავებლობის გაქრობას. კერძოდ, სასამართლომ საქმეზე²⁸ Nას-568-536-2012 გაითვალისწინა სპეციალიზებული კერძო კომპანიის მიერ ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციალური ინსტიტუტის მიერ არაპროფესიონალ რესპონდენტებთან ჩატარებული სოციალური კვლევის შედეგები, სადაც მომხმარებლის უმეტესმა ნაწილმა ვერ დაასახელა ფართოდ გავრცელებული ორი სახის სამედიცინო პრეპარატის მწარმოებელი. „სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტების 90%-მა საერთოდ ვერ დაასახელა სამედიცინო პრეპარატების... მწარმოებელი, ხოლო დანარჩენმა რესპონდენტებმა მწარმოებლად დაასახელეს სხვადასხვა იურიდიული პირები.“ სასამართლომ განმარტა კანონის ნორმა („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) და აღნიშნა, რომ „კონკრეტული სიმბოლოს ან სიმბოლოთა ერთობლიობით ხორციელდებოდა პროდუქციის ინდივიდუალიზაცია და მისი დაკავშირება კონკრეტულ მწარმოებელთან, მაგრამ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ გარკვეული პერიოდისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგომის შემდეგ მან დაკარგა აღნიშნული თვისება და იქცა გვარეობით ცნებად.“

სასაქონლო ნიშნების მსგავსებაზე მსჯელობისას, სასამართლომ მიუთითა, რომ იდენტურობისაგან განსხვავებით, როდესაც სასაქონლო ნიშნის ყველა მახასიათებელი მეორდება, მიმსგავსების შემთხვევაში, უნდა შეფასდეს ის საერთო ეფექტი, რასაც კონკრეტული ნიშანი მთლიანობაში ახდენს მომხმარებელზე. საშუალო მომხმარებელი პროდუქციის შეძენისას საერთო შთაბეჭდილებით ხელმძღვანელობს და უმნიშვნელო, არაგამოკვეთილ განმასხვავებელ დეტალებს ყურადღებას არ აქცევს სუსტ საქმეზე²⁹ Nას-471-445-2011. სასამართლომ მიუთითა ნიშანთა მსგავსებისას სასამართლოს მთავარ როლზე და აღნიშნა, რომ სასაქონლო ნიშნების მსგავსება ყოველი დავის გადაწყვეტისას, სასამართლოს შესაფასებელია და ამ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილ ვერც ერთ მტკიცებულებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება. მსგავსება არ არის ობიექტური ერთეული, რომლის განსაზღვრაც სპეციალური ცოდნის გამოყენებით (ექსპერტიზის დასკვნით) იქნებოდა შესაძლებელი.“ ამ კონტექსტში სასამართლომ არ გაიზიარა წარმოდგენილი მტკიცებულებები – სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები და იგი მიიჩნია „დამატებითი არგუმენტის მნიშვნელობის მქონედ“, მაგრამ არა იმგვარ მტკიცებულებად, რომელზე დაყრდნობითაც იურიდიული ფაქტის დადგენა იქნებოდა შესაძლებელი. ამის შემდეგ სასამართლომ თავად იმსჯელა სასაქონლო ნიშანთა მსგავსებაზე დეტალურად და მიიღო გადაწყვეტილება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი, ისევე როგორც „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ მე-^{septies} მუხლი ადგენს, რომ სასაქონლო ნიშანი უნდა გაუქმდეს მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა პარიზის კონვენციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმომადგენლის ან აგენტის მიერ თავის სახელზე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასამართლოს მიერ განმარტება, თუ ვინ ჩაითვლება სასაქონლო ნიშნის მფლობელის აგენტად. სასამართლომ (საქმე Nას-227-212-2011) აღნიშნა, რომ მიუხედავად მოდავე მხარეებს შორის დადებული პროდუქციის ნასყიდობის ხელშეკრულებისა, იგი არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც მხარეებს შორის წარმომადგენლობითი ურთიერთობის ან მხარის აგენტის უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველი. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მოპასუხეს ხელშეკრულებით არ ევალებოდა არც მოსარჩელის სახელით მოქმედება, არც მისი ინტერესების დაცვა საქართველოში და არც მისი საქონლის საქართველოში რეალიზაცია. „ეს ხელშეკრულება შეიცავს ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს. ამგვარი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა კი არ ნიშნავს იმას, რომ მყიდველი გამყიდველი ორგანიზაციის აგენტია.“

სასამართლოს მიხედვით „აგენტი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს სხვა პირის (პრინციპალის) დავალებით და მესამე პირებთან დებს გარიგებებს პრინციპალის სასარგებლოდ, რა დროსაც არ იმყოფება პრინციპალის დაქვემდებარებაში. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, საწარმოს ურთიერთობები სავაჭრო წარმომადგენელთან, დამოუკიდებელ მოვაჭრესთან და კომისიონერთან რეგულირდება მათთან დადებული ხელშეკრულებით. სავაჭრო წარმომადგენელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან დებს გარიგებებს, სხვა საწარმოს სახელით და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში. სავაჭრო წარმომადგენლის უფლებამოსილება წარმოიშობა მინდობილობის საფუძველზე. აგენტის საქმიანობა ატარებს მუდმივ სახელშეკრულებო ხასიათს. პრინციპალი, გადასცემს რა აგენტს გარკვეულ უფლებამოსილებას იმავდროულად, აძლევს მას უფლებას, ამ უფლებამოსილების ფარგლებში დადოს გარიგებები. აგენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობას.“

სასამართლოებს ხშირად უხდებათ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებები, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს. სასამართლომ საქმეზე Nას-58-54-2017 განმარტება გააკეთა იმ კუთხით, საბაჟო საწყობში განთავსებულ ტვირთზე თუ რა შემთხვევაში ვრცელდებოდა კანონის ნორმები. მან აღნიშნა, რომ „საბაჟო საწყობში განთავსებული სადავო ტვირთი ექვემდებარებოდა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონის მოქმედებას იმ შემთხვევაშიც, თუ ის იმპორტის სასაქონლო ოპერაციით იყო შემოტანილი და იმ შემთხვევაშიც, თუ იგი საწყობში განთავსებული იყო სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის გარეშე (რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის მოლოდინში).“

ნაშრომში გაანალიზებული მასალა ადასტურებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოსამართლო პრაქტიკა ძირითადად, ვითარდება დინამიკურად, პროგრესულად და ერთგვაროვნად. სასამართლოების ბოლო წლების გადაწყვეტილებები გამოირჩევა სამართლებრივი საკითხების სიღრმისეული ანალიზით, უცხოური პრაქტიკის გათვალისწინებით. სასამართლოები, თითქმის ყველა შემთხვევაში გამოხატავენ ადრეული სასამართლო პრაქტიკის პატივისცემას და ითვალისწინებენ მას. არის ერთეული შემთხვევები, როცა სასამართლო გადაწყვეტილებები შესაძლოა არ მისდევდეს ადრეულ გადაწყვეტილებათა დებულებებს თუმცა, თავად ინტელექტუალური საკუთრების სამართლის დავების რაოდენობის სიმცირიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა მაინც შეიძლება ჩაითვალოს ერთგვაროვნად.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, საკანონმდებლო მაცნე, 2018, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346> (24.06.2018).
- ² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (2017 წლის 10 ოქტომბრის მდგომარეობით) საკანონმდებლო მაცნე, 1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> (24.06.2018).
- ³ გოგიაშვილი გ., სამართლებრივი ტენდენციები როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005, გვ. 46.
- ⁴ პაპუაშვილი შ., სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-4, გვ. 456-466.
- ⁵ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, ბეკის გამომცემლობა, 2006, გვ. 63.
- ⁶ Blackstone W., Commentaries on the Laws of England, Oxford, Clarendon Press, 1765, p. 407.
- ⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-1340-1358-2011, 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx>
- ⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-152-146-2011, 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-604-1254-2003, 2003, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-152-146-2011, 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-626-598-2016, 2017, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ¹² საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-45-44-2010, 2010, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-626-598-2016, 2017, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

ბიბლიოგრაფია:

1. გოგიაშვილი გ., სამართლებრივი ტენდენციები როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005;
2. პაპუაშვილი შ., სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-4;
3. ციბელიუჩი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, ბეკის გამომცემლობა, 2006;
4. ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012;
5. ძამუკაშვილი დ., პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2000;
6. ძამუკაშვილი დ., სამრეწველო საკუთრება (კომერციული აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 1998;
7. ჯორბენაძე ს., ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1998;
8. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი, ა(ა)პ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013;
9. Blackstone W., Commentaries on the Laws of England, Oxford, Clarendon Press, 1765;
10. Tritton G., Davis R., Edengborough M., Graham J., Roughton A., Intellectual Property in Europe, Sweet & Maxwell, 2002;
11. Philips J., Trade Mark Law, a Practical Anatomy, Oxford University Press, 2003;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე 2017;
13. საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, საკანონმდებლო მაცნე, 2018, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346> (24.06.2018);
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (2017 წლის 10 ოქტომბრის მდგომარეობით) საკანონმდებლო მაცნე, 1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> (24.06.2018);
15. საქართველოს საპატენტო კანონი, საკანონმდებლო მაცნე, 1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11470> (24.06.2018);
16. სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონი, საკანონმდებლო მაცნე, 1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11482> (24.06.2018);
17. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კანონი, საკანონმდებლო მაცნე, 2017, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3936688> (24.06.2018);
18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, 1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962> (24.06.2018);
19. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი, საკანონმდებლო მაცნე, 2010, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/92140> (24.06.2018);
20. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-1340-1358-2011, 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx>
21. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-152-146-2011, 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
22. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-604-1254-2003, 2003, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

23. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-626-598-2016, 2017, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
24. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-45-44-2010, 2010, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-121-117-2016, 2017, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
26. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-1285-1223-2014, 2015, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
27. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-140-136-2016, 2016, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
28. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-62-56-2015, 2016, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
29. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-471-445-2011, 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
30. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-541-513-2015, 2015, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
31. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-718-686-2016, 2016, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
32. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-568-536-2012, 2012, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
33. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება/განჩინება, ას-42-41-2014, 2014, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
34. სამარეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, საკანონმდებლო მაცნე, 1993, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2446385>

COURT APPROACHES FOR THE DEVELOPMENT OF INDUSTRIAL PROPERTY LAW

TAMAZ URTMELIDZE


Grigol Robakidze University

Doctor of Law, Professor-Assistant

This article is based on analysis of cases adjudicated in the Georgian courts. The industrial property law is one of the foundations, on which an industrial and successful society is built. Although, nowadays patent law can not develop due to the objective circumstances (the number of inventions is very small in the country), common courts make decisions and offer interpretation of the law that acts as a source of justice.

The Georgian Procedural Law took into account the norms that directly oblige the courts to share and rely on the decisions of the higher court. (Specifically, under Article 391 of the Civil Procedure Code: A cassation appeal in property and non-property disputes may be admitted, if: d) the decision of the court of appeals differs from previous practice of the Supreme Court of Georgia with regard to the analogous cases; E) ... F) The decision of the appeals court contradicts the European Convention on Human Rights and precedent decisions of the European Court of Human Rights ...” The principles of admissibility of cassation is regulated with almost the same norms under the Administrative Procedural Code as well.

This confirms that court decisions, besides its theoretical importance, have a significant practical functions, which is the main condition of legal disputes.



Conducting research on judicial decisions is also valuable in the sense that young democracies have a lot of problems in establishing the rule of law in a real life. Among them are: lack of awareness of the society in legal issues, non-existence of uniform approach of administrative bodies to similar problems, weak administration and others. At this time, the judicial authorities must be able to play a decisive role as they shall, based on the procedural norms, interpret the will of the legislator in a comprehensive and firm way, establish a uniform judicial practice and ensure the strengthening of democracy. Court decisions should be consistent, justified and homogeneous. Therefore, analyzing uniform judicial decisions, different approaches to analogous problems are the subject of consideration of the scientific society, which contribute to the development of justice.

In the present article the judicial practice of industrial property objects has been analyzed since the 2000s.

The work has demonstrated that judicial practice is dynamic and consistent with respect to Intellectual Property Law. However, there are many issues that are not regulated by the Court practice, which can be rectified by only the time and daily development of court practice.

უცხოური სამართლის ინტერპრეტაციის ძირითადი ასპექტები საერთაშორისო კერძო სამართალში

თამარ მსხვილიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

„მოსამართლე, რომელიც იყენებს თავისი ქვეყნის კანონს – ჰგავს
არქიტექტორს, ხოლო როცა იყენებს უცხო ქვეყნის კანონს – ფოტოგრაფს.“⁴¹

შესავალი

ქართულ სამართლებრივ სივრცეში გახშირდა ისეთი საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებების დადება, რომელიც მხოლოდ ქართული სამართლით აღარ რეგულირდება და იკვეთება განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებსა და კანონებთან კონტაქტის დამყარების შემთხვევები. შესაბამისად, აქტუალურია როგორ მოწესრიგდეს და დაიხვეწოს სხვადასხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ეფექტიანად უზასუხებს კერძო სამართლის სუბიექტთა მოთხოვნებს.

საერთაშორისო კერძო სამართალი რთულ, სპეციფიკურ ურთიერთობებს აწესრიგებს, რომლის დროსაც სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები უპირისპირდება ერთმანეთს. მისი ფუნქცია დაიყვანება კოლიზიური პრობლემის გამოვლენასა და სამართლის სისტემათა შორის კონკურენციის თავიდან აცილებაში. კოლიზიური ნორმები არ უზრუნველყოფენ დავის პირდაპირ გადაწყვეტას. ამდენად, ამბობენ რომ სამართლის ეს დარგი მოგვაგონებს რკინიგზის

სადგურის საინფორმაციო ბიუროს, სადაც მგზავრს შეუძლია გაიგოს რომელი პლატფორმიდან გადის მისი მატარებელი.²

საერთაშორისო კერძო სამართლის მთავარ მიღწევად მიიჩნევენ, რომ კოლიზიურ ნორმათა დახმარებით სახელმწიფოებმა შეძლეს „იურიდიული ნაციონალიზმისა“ და ეროვნული სამართლებრივი სისტემის ჩაკეტილობის გადალახვა. ასე, რომ სავსებით ლოგიკურია მოსაზრება, რომ „როგორც ყველა სხვა მეცნიერებას, ეროვნული კარჩაკეტილობა მუდამ ვნებდა იურიდიულ მეცნიერებასაც. იგი უაზრობად იქცა და ფაქტობრივად, წარმოუდგენელი გახდა მსოფლიოში, სადაც მანძილი არ არსებობს და საზღვრებმა მნიშვნელოვანწილად აზრი დაკარგა.“³

თანამედროვე პირობებში ღია საზოგადოებად ჩამოყალიბებამ მკვეთრად გაზარდა უცხოური ელემენტის შემცველი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების რიცხვი. ამის მიზეზად სამოქალაქო პროცესების ინტერნაციონალიზაცია სახელდება, რომელიც თავის მხრივ, ტრანსნაციონალური ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდის, ასევე ახალი შესაძლებლობებისა და შორეული დისტანციების გადალახვის შედეგია.⁴ დასახელებულმა ფაქტორებმა, ბუნებრივია განაპირობა სასამართლო პრაქტიკაში უცხოური სამართლის გამოყენების შემთხვევების ზრდა, რაც განსაკუთრებით, ბიზნესსაქმიანობის სფეროში შეიმჩნევა.

1. უცხოური სამართლის ნორმის გამოყენების სირთულეები

როცა კოლიზიური ნორმა კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტისათვის უთითებს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის გამოყენების აუცილებლობას, მაშინ სასამართლომ უნდა გამოიყენოს ეს ნორმა. ამასთან, მან უნდა იცოდეს მისი შინაარსი წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლის ნორმის გამოყენება შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ უცხოური სამართლის ნორმის გამოყენება მოსამართლის მიერ ვერ მოხდება ისეთი სისრულით, როგორც ადგილობრივი სამართლის ნორმის გამოყენება. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ უცხო ქვეყნის ნორმის შინაარსი ისე უნდა იყოს აღქმული, როგორც მის დამდგენ ქვეყანაში და გამოყენებული, როგორც ადგილობრივი ნორმა. ეს კი, რასაკვირველია, პრაქტიკულად შეუძლებელია.⁵ მოსამართლემ იცის სამართალი, რომელიც ბუნებრივია გულისხმობს თავისი ქვეყნის სამართლის ცოდნას. თუმცა, მოსამართლეს არ მოეთხოვება და ვერც მოეთხოვთ, იცოდეს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები, მათი არსი.

უცხოური სამართლის არსის დადგენის წესი არსებითად განსხვავდება იმისაგან, თუ როგორ ადგენს სასამართლო თავის ეროვნულ სამართალს, რომელთან მიმართებით მოქმედებს პრინციპი: სასამართლომ იცის კანონი – *iura novit curia*.⁶ რაც შეეხება უცხოურ ნორმას, მოსამართლეს არ შეუძლია და არც მოეთხოვება მისი ცოდნა იმ დონეზე, რომ გადაწყვიტოს დავა. შესაბამისად, უცხო სამართლის გამოყენების პროცესი არასახარბილოდ ვითარდება იმ რიგი სიძნეელების გამო, რაც მის დადგენას ახლავს. უპირველეს ყოვლისა, სხვა სახელმწიფოს ნორმის გამოყენება თავისთავად წარმოშობს დამატებით უხერხულობას, ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის შესაძლებლობას, გაიგოს იგი სწორად, რადგან მისთვის უცნობია სამართლებრივი კულტურა, პრინციპები და ჩვეულებები, რომელსაც ნორმა ეფუძნება. ეს გასაკვირი არაა – თავის ეროვნულ სამართალში მოსამართლე

ორიენტირებულია, როგორც გამოცდილი იურისტი, უცხოურ სამართალს კი, მიმართავს როგორც დამწყები.⁷

მთელ ამ პროცესს პრაქტიკული სირთულეც ახლავს. საკმარისი არაა მხოლოდ კანონის შესახებ ინფორმაციის ფლობა, ასევე გასათვალისწინებელია, სასამართლოს მიერ გაკეთებული ინტერპრეტაცია და მეცნიერული მსჯელობა. ანუ სასამართლომ გარკვეულწილად, თავი უნდა წარმოიდგინოს უცხო ქვეყნის მოსამართლის მანტიაში და ნორმის ინტერპრეტაცია გამოსაყენებელი სამართლებრივი სისტემის შესაბამისად მოახდინოს.⁸

ერთ-ერთ საქმეში ბელგიის საკასაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ფრანგული და ბელგიური სამოქალაქო კოდექსების 1645-ე მუხლის, ორივე კოდექსის აბსოლუტურად მსგავსი ნორმა გამყიდველის პასუხისმგებლობის შესახებ, როცა გაყიდულ ნივთს აქვს დამახასიათებელი ნაკლი, განმარტება უნდა მომხდარიყო ფრანგული და არა ბელგიური ინტერპრეტაციის შესაბამისად. სასამართლომ დაასაბუთა, რომ გამოყენებას ექვემდებარებოდა ფრანგული სამართალი „მოძრავი მატერიალური ნივთების საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ ჰააგის 1955 წლის კონვენციის მითითებით, რომლის თანახმადაც, როცა გამყიდველი იღებს შეკვეთას, იმ სახელმწიფოს სამართალი გამოიყენება, სადაც იგი ცხოვრობს.⁹

როგორც ბატიფოლი ამბობს, თუ გამოსაყენებელი უცხოური სამართალი არ არის წარმოშობილი მკაფიო სამართლებრივი სისტემისაგან და სათავეს იღებს პრეცედენტული სამართლისაგან, მოსამართლემ უნდა დაადგინოს, რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა თავად ეს უცხოური სასამართლო. იგი აქცენტს აკეთებს მნიშვნელოვან სხვაობაზე მოსამართლის როლებს შორის, რომლებიც იყენებენ ეროვნულ ან უცხოურ სამართალს. პირველ შემთხვევაში, მოსამართლე თავისუფალია, შეცვალოს ან შექმნას ახალი ინტერპრეტაცია, თუ მიიჩნევს, რომ ეს გამოიწვევს უკეთეს შედეგს სამართლიანობის თვალსაზრისით. მეორე შემთხვევაში, მას არ გააჩნია კომპეტენცია, განსაჯოს უცხოური სამართლის ღირებულება და გამოიჩინოს ინიციატივა მისი განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის.¹⁰

2. როგორ განვმარტოთ გამოსაყენებელი უცხო ქვეყნის სამართალი?

გაბატონებული შეხედულება კონტინენტური სამართლის მეცნიერებს შორის არის ის, რომ უცხოური სამართალი უნდა იქნას გამოყენებული ზუსტად ისე, როგორც არის ინტერპრეტირებული იმ სამართლის სისტემაში, რომელმაც შექმნა.

იტალიელმა კოლიზიონისტებმა განავითარეს ე. წ. „უცხოური კანონის რეცეფციის“ თეორია (მატერიალური და ფორმალური), რომლის მიხედვითაც ისინი ცდილობდნენ აეხსნათ ერთი ქვეყნის სასამართლოს მიერ მეორე სახელმწიფოს სამართლის გამოყენების შესაძლებლობები. მატერიალური რეცეფციის თეორიის თანახმად, როცა გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალი, ის კარგავს თავის უცხოურ ხასიათს და ერთიანდება სასამართლო ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში. შესაბამისად, აღნიშნული სამართალი განიცდის ნაციონალიზმებს და ხდება საქმის განმხილველი სასამართლოს სამართლის შემადგენელი ნაწილი. ეს ნიშნავს, რომ უცხოური სამართლებრივი ნორმა ინტერპრეტირებული იქნება ისე, თითქოს ის იყოს ლოკალური.¹¹ ფორმალური რეცეფციის თეორიის მიხედვით,

უცხო სახელმწიფოს სამართალი ერთიანდება სასამართლო ქვეყნის სამართლის სისტემაში თუმცა, იმ მნიშვნელობისა და არსის დაკარგვის გარეშე, რომელიც უცხოურმა სამართლებრივმა სისტემამ მიანიჭა მას.

იტალიელ ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს თეორია უბრალო ფიქციაა. მათი აზრით, უცხოური ნორმების ინკორპორაციის შედეგად მივიღებთ, რომ თითოეული ადგილობრივი სამართლის სისტემა შთანთქმავს მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებს. კოლიზიური ნორმის ექსკლუზიური ფუნქციაა, მიუთითოს რომელი სამართლის სისტემა არის გამოსაყენებელი, მაგრამ მას არც უცხოური ნორმების ნატურალიზება და არც თავისი ქვეყნის იურიდიულ სისტემაში უცხოს მსგავსი, მატერიალური სამართლის შექმნა შეუძლია. რეცეფციის თეორია (rinvio ricettizio) წინააღმდეგობაშია საერთაშორისო კერძო სამართლის ფუნდამენტურ მიზანთან, რაც სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის სამართლებრივი სისტემის ურთიერთალიარებაში მდგომარეობს.¹²

ფრანგული დოქტრინა არ აღიარებს „უცხოური კანონის რეცეფციის“ თეორიას, რადგან ის არაბუნებრივია, უცხო ნორმის მსგავსი ნაციონალიზაციითა და ინტერპრეტაციით იარსებებს მისი დამახინჯების რისკი. საფრანგეთის პოზიციის არსი გამოთქმულია ზოგიერთი ფრანგი ავტორის ნაშრომში: „ცხადია უცხოური სამართალი შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენი სასამართლოების მიერ მხოლოდ ფრანგული სამართლის მითითებით, რომელსაც ერთადერთს აქვს გადაწყვეტილების გამოტანისა და აღსრულების ძალა საფრანგეთის ტერიტორიაზე. ამის გამო უნდა კარგავდეს უცხოური სამართალი თავის ხასიათს? განსხვავებით იტალიელი ავტორებისაგან, ჩვენ ვპასუხობთ – არა. უცხო სამართლის ნორმა განაგრძობს მოქმედებას უცხოური სამართლებრივი სისტემის განკარგულებით და არ ტრანსფორმირდება ფრანგულ სამართლად.“ ეს არის ფრანგული იურისპრუდენციის დადგენილი პრინციპი. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, ფრანგულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მხარეებმა თავად უნდა მოითხოვონ უცხოური სამართლის გამოყენება და ამტკიცონ მისი შინაარსი.¹³

რაც შეეხება გერმანიას, მისი უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „გერმანელ მოსამართლეთა ამოცანაა გერმანიის სასამართლოებისათვის უცნობი უცხო ქვეყნის სამართლის დანაწესი გაიგონ მისი შინაარსისა და მიზნის მიხედვით, მისი მნიშვნელობა დაადგინონ იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას უცხო სამართალში და შეადარონ ის გერმანიის მართლწესრიგის დანაწესთან.“¹⁴

ინგლისური დოქტრინის თანახმად, მოსამართლე უნდა ეცადოს უცხო ქვეყნის კანონი ისე გამოიყენოს, როგორც ამას გადაწყვეტდა უცხო ქვეყნის სასამართლო თავისი შიდა სამართლის ნორმების გამოყენებით.¹⁵ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები საუკუნეების განმავლობაში იყენებენ უცხოურ სამართალს. ფედერალური და საშტატო სისტემა ითვალისწინებს სხვადასხვა მეთოდებსა და საშუალებებს, რათა გადალახოს დაბრკოლებები, ზუსტად განსაზღვროს და გამოიყენოს უცხოური სამართალი.¹⁶ ამერიკულ სასამართლოს უცხო ქვეყნის სამართლის საკუთარი შეხედულებით ინტერპრეტირების დისკრეცია აქვს.¹⁷ თუმცა, როცა სასამართლო განმარტავს ორმხრივ ხელშეკრულებებს, მან მხედველობაში უნდა მიიღოს უცხოური გადაწყვეტილებები. ხელშეკრულების ეფექტიანი გამოყენება ბუნებრივია, მოითხოვს ხელმომწერ მხარეთა შორის ერთგვაროვან ინტერპრეტაციას.¹⁸ ამ კონტექსტში, ამერიკული სასამართლოებისათვის სასარგებლო შეიძლება იყოს იმის

შესწავლა, თუ როგორ მიდგომას მიმართავს სხვა ხელმომწერი სახელმწიფოები განმარტებისა და გამოყენების კუთხით. უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება ძვირფასი რესურსი აღმოჩნდეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ინტერპრეტაციისათვის.¹⁹

ავსტრალიელ მოსამართლეს არა აქვს უფლებამოსილება გამოიყენოს უცხოური სამართალი ისე, თითქოს ის იყოს უცხოელი მოსამართლე. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ აღნიშნა: „მოსამართლის ძირითადი მოვალეობა არ იყო ჩაცვდა უცხოელი მოსამართლის მანტია, ასეთი მოსამართლის ძალაუფლების გამოყენებით, თითქოსდა იგი იმყოფება უცხოურ სასამართლოში. ნაცვლად ამისა, დასადგენია მტკიცებულებების ან სხვა ხელმისაწვდომი წყაროების შესაბამისად, თუ როგორ მოახდენს უცხოური სასამართლო მხარეების ძირითად უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.“²⁰

3. უცხო ქვეყნის სამართალი ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება. შესაბამისად, ქართულ კანონს წლების განმავლობაში ცვლილებები არ განუცდია და ამ მიმართულებით, დოქტრინაც ნაკლებად არის განვითარებული. პროცესის მხარეები და მოსამართლეთა უმეტესობა უცხო ქვეყნის სამართლის არცოდნის გამო, მაქსიმალურად გაურბიან კოლიზიური ნორმების გამოყენებით სხვა ქვეყნის სამართალზე მითითებას. თუმცა, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების გამოყენებისაგან თავის შეკავება მხოლოდ ქართული სინამდვილე არ არის. პოსტსაბჭოური ქვეყნების უმრავლესობა მსგავსი პრობლემის წინაშე დგას. მათი იურიდიული განათლების სისტემა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ფართო ინტერპრეტაციები განახორციელონ უცხო ქვეყნის ნორმების არჩევასა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით.²¹

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს მისი ნორმების არსის დასადგენად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით. ყველა საჭირო ზომის განხორციელება გულისხმობს ექსპერტის მოწვევას, რომელიც მისცემს სასამართლოს ამომწურავ ინფორმაციას უცხოური სამართლის შინაარსის, მისი გამოყენების ოფიციალური თუ არაოფიციალური განმარტების შესახებ. სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს დასკვნა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან ან მიმართოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით შესაბამისი უცხო ქვეყნის წარმომადგენლობას დახმარებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, უცხოური სამართლის ნორმის შინაარსის დადგენისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შესაბამის უცხო სახელმწიფოში მათი ოფიციალური განმარტება, გამოყენების პრაქტიკა და დოქტრინა (მეცნიერული განმარტება, რაც შეიძლება არსებობდეს კომენტარების სახით). ამდენად, უცხოური კანონის ტექსტის უბრალო წაკითხვა და აზრის გარკვევა საკმარისი არ არის. ამიტომ ყოველ ჯერზე, როდესაც უცხოური სამართლის შინაარსი განისაზღვრება სასამართლოს მიერ დამოუკიდებლად, იარსებებს ობიექტური წინაპირობა იმისა, რომ ეჭვი იქნას შეტანილი უცხო

სამართლის შინაარსის სწორ დადგენაში. მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება დავუშვათ შინაარსის არასათანადოდ დადგენის პრეზუმფცია. რაც თავის მხრივ, სასამართლოს მხრიდან უარყოფილი იქნება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას ინფორმაციის მიღების წყაროებზე, სამართლებრივი ნორმების ოფიციალურ განმარტებაზე, მათი გამოყენების პრაქტიკასა და უცხო სახელმწიფოს იურიდიულ დოქტრინაზე.²²

ქართული სასამართლოები უცხო ელემენტის მონაწილეობით განხილულ საქმეებში უცხოური სამართლის ნაცვლად, უმეტესად თავიანთ სამართალს მიმართავენ. შესაბამისად, ყურადღების მიღმა რჩება ის გარემოება, რომ კონკრეტული სამართალურთიერთობა დატვირთული იყო უცხო ელემენტით ან ხელშეკრულება მხარეთა მიერ არჩეულ უცხოურ სამართალს ექვემდებარებოდა.²³

გამონაკლისი შემთხვევაა სასამართლოს მიერ უცხოური მატერიალური სამართლის – ბელორუსის სამოქალაქო კოდექსის გამოყენება. ბელორუსის იურიდიულ პირსა და ქართულ კომპანიას შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე მინსკის სამოქალაქო ავიაციის ქარხანამ აღძრა სარჩელი ქართული ავიაკომპანიის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ ქართული კანონის 36.1 მუხლის თანახმად, რადგან მხარეებს არ ჰქონდათ რომელიმე ქვეყნის სამართალი არჩეული, მათ შორის დადებული ხელშეკრულება დაექვემდებარა მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. ხელშეკრულება დაიდო მინსკში რუსულ ენაზე და გადახდა უნდა მომხდარიყო იქვე. ამდენად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას ეხელმძღვანელა ბელორუსის სამოქალაქო კოდექსით (288.3, 290, 204 მუხლები).²⁴

დასკვნა

საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი მიზანი ეფექტიანად განხორციელება, თუ გამო-საყენებელი უცხოური სამართალი ადეკვატურად დამტკიცდება, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი სამართლებრივი კონფლიქტის ჭეშმარიტად გადაწყვეტა. მიუხედავად ამისა, უცხოური სამართლის ინტერპრეტაციის საკითხი ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად მიიჩნევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საკოლიზიო კანონმდებლობებში. ეს მაშინ, როცა უცხოური სამართლის სწორი და ეფექტიანი განსაზღვრება კოლიზიური ნორმის გამოყენების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად განიხილება.

შენიშვნები:

- ¹ სამხრეთამერიკელი იურისტი ვერნერ გოლდშმიდტი (1910-1987). მან განავითარა სამართლებრივი გამოყენების დოქტრინა (uso juridico), რაც გულისხმობს, რომ ადგილობრივი სასამართლოსათვის უცხო სამართალი არის ფაქტი და არა სამართალი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ სამართლებრივი კონსმოპოლიტიზმის სულისკვეთების გათვალისწინებით, უცხოური სამართალი გამოყენებული იქნას ისე, როგორც საზღვარგარეთ იყენებენ მას. უცხოელებს პატივი უნდა ვცეთ და მათი სამართალი ისეთივე პირობებით გამოვიყენოთ, როგორც ეროვნული, რომელსაც არ უნდა მიეცეს უპირატესობა შოვინიზმის წყალობით. International Encyclopedia of Comparative Law, Vol III, Private International Law Chapter 3, Gerhard Kegel Fundamental Approaches, 1986, p.16.
- ² North P., Fawcett I. Chesire and North's Private International Law, Twelfth edition, 1992, p.8.
- ³ დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ., 1999, გვ. 23.
- ⁴ Clark D. S., The Use of Comparative law by American Courts-In: The Use of Comparative Law by Courts, 1999, p. 297.
- ⁵ გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, თბ., 2016, გვ. 99.
- ⁶ Gregory S. Alexander., The Application and Avoidance of Foreign Law in the Law of Conflicts: Variations on a Theme of Alexander Nekam, 1975, p. 603,604. <http://scholarship.law.cornell.edu/facpub> Rainer H., Pleading and Proof of Foreign Law – a Comparative Analysis, 2008, p.2. www.european-legal-forum.com
- ⁷ მსხვილიძე თ., უცხოური სამართლის განსაზღვრისა და გამოყენების პრობლემა (საერთო და კონტინენტური სამართლის რამდენიმე ქვეყნის მიხედვით), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, №1(3), 2015, გვ. 45. www.library.court.ge
- ⁸ International Encyclopedia of Comparative law, vol III, Private International Law, Imre Zajtay Chapter 14, The Application of foreign law 1972, p. 27. მოსამართლემ უნდა გამოიყენოს უცხოური მატერიალური სამართალი, ისე თითქოს იგი იყოს მოსამართლე უცხო სახელმწიფოში. Zitelmann E., Internationales Privatrecht, Leipzig, 1897, S.287. <https://archive.org/details/internationales00zitegoog>
- ⁹ Judgment of Oct. 9, 1980, Cass. civ. 1re (Belg.) „არ არსებობს სხვა ინტერპრეტაცია, რომელიც მიეცემა უცხოურ სამართალს გარდა იმისა, რომელსაც თავისი საკუთარი პრეცედენტული სამართალი ანიჭებს მას.“ The Permanent International Court of Justice 1929 July 12 Dolinger J., Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, Spring 1995, p. 9.
- ¹⁰ Dolinger J., Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, Spring 1995, p. 8, 9. იხ.: ციტირება; Batiffol H., Legarde P., Droit International Prive, 1981, 387. არსებობს მოსაზრება, რომ თუ გამოსაყენებელი ნორმის განმარტება სადავო არ არის უცხო ქვეყანაში, ამ შემთხვევაშიც კი, ადგილობრივი სასამართლო არ არის ვალდებული გაითვალისწინოს იგი. მაგ.: 1906 წელს გერმანიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლო არ არის ვალდებული გაითვალისწინოს უცხოურ გადაწყვეტილებებში ასახული ინტერპრეტაცია, რომლებიც იზოლირებული დარჩა. 1957 წელს, შტუტგარტის სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ ადგილობრივ სასამართლოს უფლება აქვს შეამოწმოს ძალიან ძველი უცხოური ინტერპრეტაციის სისწორე, რომელიც გაკეთდა სრულიად განსხვავებულ გარემოებებში და არ შეიძლება მიღებულ იქნას აშუამად. International Encyclopedia of Comparative Law, Vol III, Private International Law, Chapter 14, Imre Zajtay, The Application of Foreign Law, 1972, p. 28.

- ¹¹ International Encyclopedia of Comparative Law. Vol III, Private International Law, Chapter 3, Gerhard Kegel Fundamental Approaches, 1986, p.11.
- ¹² International Encyclopedia of Comparative Law. Vol III, Private International Law, Chapter 14, Imre Zajtay The Application of Foreign Law, 1972, p.4.
- ¹³ Dolinger J., Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, Spring 1995, p.5,6.
- ¹⁴ ხვედელიანი დ., კვალიფიკაციის პრობლემები საერთაშორისო კერძო სამართალში, აკადემიური მაცნე N2, 2013, გვ. 9.
- ¹⁵ გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადაამუშავებული და დამატებული გამოცემა, 2016, გვ. 92.
- ¹⁶ Wilson J. M., Improving the Process: Transnational Litigation and the Application of Private Foreign Law in U.S. Courts, New York University Journal of International Law and Politics (JILP), Vol. 45, 2013, p.10. <https://ssrn.com/abstract=2186254>
- ¹⁷ Wood & Selick Inc. v. Compagnie Generale Transatlantique (2d Cir. 1930) საქმეში მოსამართლემ აღნიშნა: „სირთულე ისაა, რომ ჩვენ უნდა განვმარტოთ სამართლის სხვა სისტემა იმ ცნებების მიხედვით, რომლებიც სრულიად უცხოა მისთვის.“ <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/F2/43/941/476278/>
- ¹⁸ საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიტანოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ (1980). კონვენცია არსებობს იმისთვის, რომ უზრუნველყოს ერთგვაროვანი და სამართლიანი სისტემა საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მოსაწესრიგებლად. ხელშეკრულების განსხვავებული ინტერპრეტაციის რისკის შესამცირებლად, ქვეყნებს შორის გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოებმა ერთგვაროვანი განმარტება გამოიყენონ. ამდენად, აღნიშნული კონვენციის განმარტების დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნას მისი საერთაშორისო ხასიათი, მის გამოყენებაში ერთგვაროვნების მიღწევისათვის.
- ¹⁹ Wilson J. M., Improving the Process: Transnational Litigation and the Application of Private Foreign Law in U.S. Courts, New York University Journal of International Law and Politics (JILP), Vol. 45, 2013, p.8. <https://ssrn.com/abstract=2186254>
- ²⁰ Neilson v Overseas Project Corporation of Victoria Ltd Mccomish J., Pleading and proving foreign law in Australia, Melbourne University Law Review, 2007, p.421, ასევე; GRAY A., Choice of Law: The Presumption in the Proof of Foreign Law, UNSW Law Journal 2008, 31(1) <http://www.austlii.edu.au/au/journals/UNSWLawJl/2008/5.pdf>
- ²¹ გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადაამუშავებული და დამატებული გამოცემა, თბილისი, 2016, გვ.15.
- ²² Тимохов Ю. А., Иностранное право в судебное практике, М, Волтерс Клувер, 2004, ст. 39.
- ²³ მწიერი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მოსამართლეები უბრალოდ თავიანთი ქვეყნის მატერიალურ სამართალს იყენებენ. თუ ისინი ამას ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, ავტომატურად აკეთებენ, თითქოს მხარეებს სულაც არ ჰქონდეთ დათქმული უცხო ქვეყნის სამართლის არჩევის შესახებ, მათგან განსხვავებით გერმანელი მოსამართლეები თავინთ გადაწყვეტილებას lex fori-ს გამოყენების სასარგებლოდ ასაბუთებენ მხარეთა შიპოთეზურ ნებაზე დაყრდნობით. იოსელიანი ა., არჩეული სამართლის სხვა სამართლებრივი სისტემით შეცვლა საერთაშორისო კერძო სამართალში, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბ, 2004, გვ. 45.
- ²⁴ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია 2004 წ. 8 ნომბერი 2/ა-25-2004.

MAIN ASPECTS OF INTERPRETATION OF FOREIGN LAW IN INTERNATIONAL PRIVATE LAW

TAMAR MSKHVILIDZE

Eastern European University

Doctoral student at Law Faculty

In modern conditions, the formation of an open society has significantly increased the number of civil relations involving the foreign elements. The reason for this is the internationalization of civil processes, which in turn is the result of transnational trade and investment growth, as well as the ability to overcome new opportunities and far distances.

The Law of Georgia on International Private Law is rarely used in practice. Consequently, Georgian law has not changed for years and the doctrine is less developed in this direction. Because of a lack of awareness, parties of the proceedings and most of the judges are avoiding to refer to the law of other country by using collisional norms.

International private contracts, which is not regulated only by Georgian legislation, become increasingly frequent and cases of establishing contact with different legal systems and laws are revealed. Consequently, how to regulate and improve the various interrelated relationships that effectively respond to the requirements of private law entities becomes a topical issue.

The function of international private law is brought down to the problem of revealing collisional problems and avoidance of competition among legal systems. The correct and effective definition of foreign law is considered to be the most important prerequisite for the use of collisional norms. The main purpose of international private law will be effectively implemented if an applicable foreign law is adequately proven, since it is the only case a genuine solution to the legal conflict is possible.

კრიმინოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მიხეილ გაბუნია

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთერთობათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ევროპის კრიმინოლოგთა საზოგადოების წევრი

შესავალი

ძნელად თუ მოიძებნება იურისპრუდენციისა და კრიმინოლოგიის ისტორიაში ისეთი პერიოდი, რომელიც თავისი მნიშვნელობით შეედრება იტალიური აღორძინების ეპოქას. ამ ეპოქის კარიბჭესთან დგას ჩეზარე ბეკარიას (1738-1794) დიადი ფიგურა, ვისი შემოქმედება აგვირგვინებს შუა საუკუნეების სამართლისა და კრიმინოლოგიის განვითარებას და, იმავდროულად, ახალი დროის მაუწყებლადაც გვევლინება. საკუთრივ კრიმინოლოგიის აღორძინება კი, უკავშირდება ჩეზარე ლომბროზოს (1835-1909) და კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა მთელ პლეადას, რომელთა გრანდიოზულმა სამეცნიერო საქმიანობამ მოკლე ხანში შეძლო შუასაუკუნეების ფასეულობათა მთელი სისტემის გადაფასება და ახალი გეზი მისცა ევროპული კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის შემდგომ განვითარებას.

ძველი რომაელები ამბობდნენ, რომ აღმზრდელობის დასაწყისი – სახელთა გამოგონებაა. ჩვენც უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ არსებითი სახელი „კრიმინოლოგია.“ კრიმინოლოგია შედგება ბერძნულ-ლათინური სიტყვებისაგან. ლათინურად – Crimen, ხოლო ძველბერძნულად „krino“, „κρίνω“ – ბრალდებას, ხოლო Logos (λογία, -logy) – სწავლებას, მოძღვრებას, აზრს, ცნებას, გონებას

ნიშნავს.¹ აქედან კეთდება დასკვნა, რომ „კრიმინოლოგია“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოძღვრებას დანაშაულის შესახებ,“ ასევე, იგი შეიძლება განვმარტოთ როგორც „სწავლება ბრალდების შესახებ.“ კრიმინოლოგიური აზროვნება სათავეს ანტიკური ხანიდან იღებს. ამის ნათელი მაგალითია დიდი ბერძენი ფილოსოფოსების – პლატონის, არისტოტელეს, დემოკრიტეს, ასევე, ისტორიკოსების – ჰეროდოტეს, თუკიდიდეს შრომები. მაგალითად, არისტოტელე დანაშაულის პრევენციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად განიხილავდა სამართლიანი სახელმწიფოს მოწყობას, კანონების სტაბილურობას; ხოლო კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირს არ შეიძლება ერთდროულად დაეკავებინა ორი თანამდებობა; იგი უარყოფდა დაბადებით დამნაშავეს იდეას (ეს იდეა ჩემბროზოს სწავლების მიხედვით, დომინანტი იყო მე-19 საუკუნის კრიმინოლოგიაში). არისტოტელე თვლიდა, რომ თავად ადამიანზე დამოკიდებული იქნება ის კეთილისმყოფელი თუ ბოროტისმქნელი. თუკიდიდე დანაშაულად მიიჩნევდა მხოლოდ ისეთ დარღვევას, რომელიც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე იყო ჩადენილი, მისი ეს მსჯელობა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ადამიანის ბუნება ყოველთვის მზად არის კანონის დასარღვევად. სახელმწიფო საქმეებში აღიარებდა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო თანამდებობებზე უნდა დანიშნულიყვნენ მხოლოდ პირადი ღირსებებით გამორჩეული ადამიანები და არა მაღალი წოდებისადმი კუთვნილების გამო. „თუ კაცს ქვეყნის სამსახური შეუძლია, მას ამაში ხელი არ უნდა შეუშალოს სიღარიბემ, მდაბიო წარმოშობამ ან დაბალმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვიცავთ კანონებს მათ მიმართ პატივისცემის გამო, ვემორჩილებით ხელისუფლებას და კანონს, განსაკუთრებით, ჩაგრულთა დასაცავად და დღევნის და დაუწერელ წესებს, რომელთა დარღვევაც სათაკილოდ ითვლება.“²

კაცობრიობის ისტორია დანაშაულისა და სასჯელის გარეშე არ არსებობს. ყოველთვის აქტუალური იყო თემა თუ რატომ სჩადის ადამიანი დანაშაულს და რას წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირი. სოკრატეს აზრით, ფერმკრთალი და შავგვრემანი ადამიანები მიდრეკილები არიან კანონდარღვევებისაკენ. იგი თვლიდა, რომ ადამიანი იქცევა უღირსად იმიტომ, რომ მან არ იცის რაში მდგომარეობს მისი კეთილდღეობა, ხოლო დანაშაულს სჩადის თავისი ნების საწინააღმდეგოდ, გაუცნობიერებლად. პლატონის აზრით, დანაშაულს სჩადიან ადამიანები, რომელთა სულშიც ჩასახლდა დანაშაულის აზრი. მთავარი მიზეზი, რაც დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს არის ნებივრობა და უსაქმურობა, რაც ფუფუნებას მოაქვს ასევე, სულმდაბლობა და ბოროტის კეთების სურვილი, რასაც ხელს უწყობს უპოვრობა, სიღარიბე. ამასთან, გონებას შეუძლია არჩევანი გააკეთოს კეთილსა და ბოროტს შორის. ხოლო ადამიანის ბედი გარდაუვლად არის წინასწარ განსაზღვრული სულის თვისებებით. საყურადღებოა დიდი რომაელი ექიმის – გალენის (ძვ. წ. II ს.) იდეებიც, რომელმაც დაასაბუთა ალკოჰოლის ბორტად მოხმარების გავლენა დანაშაულის ჩადენაზე. გალენი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო გენეტიკურად თანდაყოლილ დამნაშავეთა ლიკვიდაცია, მაგრამ არა შურისძიების მოტივით, არამედ იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ანადგურებენ მორიელებსა და შხამიან ქვეწარმავლებს.³

დანაშაულობისა და მის პრევენციასთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერულმა გააზრებამ სისტემატური ხასიათი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო და უკავშირდება სისხლის სამართლის კლასიკურ სკოლას.⁴

კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებაში გამოიყოფა სამი მთავარი პერიოდი: კლასიკური სკოლა – მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-19 საუკუნის ბოლო მესამედამდე; პოზიტივისტური – მე-19 საუკუნის ბოლო მესამედიდან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე; სოციოლოგიური – მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე. კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლის უდიდესი წარმომადგენლები არიან: ჩეზარე ბეკარია – იტალიელი განმანათლებელი, იურისტი და პუბლიცისტი, რომელმაც 22 წლის ასაკში პავიის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სამართალში. მისი სწავლების მთავარი დებულებები მოცემულია მონოგრაფიაში „დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ“, რომელიც 1764 წელს გამოქვეყნდა. იერემია ბენტამი (Jeremy Bentham, 1748–1832, ლონდონი) – ინგლისელი სამართლისმცოდნე, სოციოლოგი, ფილოსოფოსი, უტილიტარიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ბენტამის აზრით, ადამიანის მორალური შეფასების საზომია ამ მოქმედების სარგებლიანობა, ხოლო სასარგებლოა ის, რაც ზრდის ცალკეული ადამიანების ბედნიერებას და ამცირებს ტანჯვას; ცხოვრების უმაღლესი პრინციპი უნდა იყოს „რაც შეიძლება მეტი ბედნიერება, რაც შეიძლება მეტი ადამიანისათვის“.⁵ კლასიკურმა სკოლამ უარყო დანაშაულობის თეოლოგიური განსაზღვრა, რომლის მიხედვით ცოდვა და დანაშაული ერთმანეთისაგან გამიჯნული არ იყო და დანაშაული განსაზღვრა, როგორც ადამიანის ნების სრულ თავისუფლებაზე დაფუძნებული გაცნობიერებული არჩევანის შედეგი. თავის მხრივ, არჩევანი დანაშაულის ჩადენასა და უდანაშაულობას შორის განსაზღვრება ადამიანთა ზნეობრივი აღზრდით. სასჯელი მოწოდებული უნდა იყოს იმისათვის, რომ შეაკავოს ადამიანები დანაშაულის ჩადენისაგან. მთავარი არა სასჯელთა სიმკაცრეა, არამედ მათი გარდაუვალობა და სამართლიანობა. კლასიკური სკოლის იდეები საკმაოდ აქტუალური იყო იმ პერიოდისათვის და დიდი როლი შეასრულეს კრიმინოლოგიის განვითარებაში. კლასიკური სკოლის ორი მთავარი პრინციპი – უმჯობესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასაჯო ჩადენილი დანაშაულისათვის და სასჯელი უნდა იყოს დანაშაულის პროპორციული – დღესაც ასახვას პოულობს ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში. სისხლის სამართლის კლასიკურმა სკოლამ დასაბამი მისცა ე. წ. სისხლის სამართლის ნეოკლასიკური სკოლის ჩამოყალიბებას, რომლის წარმომადგენელი იყო გამოჩენილი ავსტრიელი იურისტი ფონ ლისტი. მან შეიმუშავა დანაშაულის ზოგადი და სპეციალური პრევენციის კონცეფცია, რომლის მთავარი იდეა დაფუძნებული იყო დამნაშავეთა დაშინებაზე, გამოსწორებასა და ნეიტრალიზებაზე. ლისტი დამნაშავეთა რესოციალიზაციის მთავარ ასპექტად სახელმწიფოს მხრიდან აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებას ასახელებდა.⁶

მთლიანობაში, კლასიკური სკოლისათვის დამახასიათებელია იდეალისტური რაციონალიზმი. კლასიკური სკოლა მწირ ყურადღებას უთმობდა დამნაშავეს პიროვნებასა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზების მეცნიერულ შესწავლას, რამაც განაპირობა კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლის წარმოშობა, სადაც უკვე ძირითადი ყურადღება სწორედ დამნაშავეს პიროვნების შესწავლას ეთმობა.

დამნაშავეს პიროვნების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. მეცნიერული კვლევების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ დამნაშავეები განსხვავდებიან ნორმალური ადამიანებისაგან ანატომიური თავისებურებებით. კერძოდ, 1846 წელს, ინგლისელმა მეცნიერებმა კლაპგამმა და კლარკმა აღმოაჩინეს, რომ დამნაშავეს თავის ქალის მოცულობა უფრო პატარა აქვს, ვიდრე სხვა ადამიანებს. 1854 წელს, კასპერმა განაცხადა, რომ მკვლელები გამოირჩევიან

ფართო თავის ქალით, ცივი, უმოძრაო მხერით და ჩაცვნილი თვალებით; ვილსონი შენიშნავდა, რომ ქურდებს თავი (განსაკუთრებით წინა ნაწილში) პატარა აქვთ, ვიდრე პატიოსან ადამიანებს. ბროკამ, ვინსლოუმ, მაუდსლიმ და ტომსონმა დაადგინეს, რომ დამნაშავე ხშირად გამოირჩევა სხეულის პატარა წონით, პატარა სიმაღლით, სულიერი ავადმყოფობისადმი მიდრეკილებით, იდიოტიზმითა და ებილფისისადმი მიდრეკილებით. ამ პერიოდის ზოგიერთი მკვლევარი შეეცადა დაედგინა სრული ანალოგია ფსიქიკურ აშლილობასა და დანაშაულს შორის თუმცა, მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა.⁷

კრიმინალური ანთროპოლოგიის აღორძინება დაკავშირებულია დიდი იტალიელი მეცნიერის, იურისტის, ანთროპოლოგისა და ფსიქიატრის – ჩემარე ლომბროზოს სახელთან (1836-1909). ლომბროზომ გამოიკვლია 26 886 დამნაშავე, თავისი დასკვნები და შეხედულებანი გადმოსცა წიგნში „დამნაშავე ადამიანი,“ აღნიშნული შრომა გამოქვეყნდა პამფლეტის სახით,⁸ „ლომბარდიის იურიდიულ მაცნეში“ 1871-1876 წლებში. ლომბროზოს თეორიის თანახმად, დამნაშავე განსაკუთრებული, სხვა ადამიანებისაგან განსხვავებული არსებაა, თავისებური ანთროპოლოგიური ტიპია, რომელიც ჩადის დანაშაულს თავისი ფიზიკური აგებულების გარკვეული მახასიათებლებიდან გამომდინარე. ლომბროზო თვლიდა, რომ დანაშაული ისევე ბუნებრივია ადამიანისათვის, როგორც ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს წარმომადგენელთათვის ერთმანეთის მოკვლა და შეჭმა. ლომბროზო მიიჩნევდა, რომ არც გარემოს, არც აღზრდას და ახლო გარემოცვას არ შეუძლიათ შეაკავონ ადამიანი დანაშაულის ჩადენისაგან იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი ადამიანი თავისი ბუნებით არის დამნაშავე, რაც ვლინდება მის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებში. ჩემარე ლომბროზოს მთავარი იდეა იყო, რომ დამნაშავე არის ადამიანთა მოდგმის განსაკუთრებული ტიპი, რომლებიც იბადებიან, ხოლო დამნაშავედ გახდომა კი, შეუძლებელია. დანაშაულის მიზეზი დევს თვითონ დამნაშავეში და არა საზოგადოებაში. დაბადებით დამნაშავისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი – პირველყოფილი ადამიანის ატავისტური თვისებები,⁹ ებილფისია და სულიერი აშლილობანი. დამნაშავეთა ცალკეული ტიპისათვის დამახასიათებელია მხოლოდ მათთვის განკუთვნილი და სხვა დამნაშავე პიროვნებისათვის განსხვავებული ფსიქიკური და ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებანი. მკვლევლებს ახასიათებთ: დიდი ღაწვები (ლოყები), წინწამოწეული ოთხკუთხა ნიკაპი, ვიწრო სახე, ცივი, უსიცოცხლო (სარკისებური) მხერა, თხელი ტუჩები. ხშირად შეიმჩნევა ბრაქიცეფალიის მაღალი ხარისხი.¹⁰ სქესობრივ მოძალადეებს: ძალიან დიდი ტუჩები და წამწამები, ბრტყელი ცხვირი; ქურდებს: წაგრძელებული თავი, სწორი, ხშირად შეზნექილი ცხვირი, მორბენალი თვალები და ასევე, ახასიათებთ დოლიქოცეფალია.¹¹ ლომბროზოს შეხედულებები დროსთან ერთად იცვლებოდა და ევოლუციას განიცდიდა. კვლევების შედეგად იგი მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობენ არა მხოლოდ დაბადებით დამნაშავეები, არამედ შემთხვევითი – ვნებას, ჟინს აყლილი დამნაშავეები. დანაშაულზე გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორცაა: ცივილიზაციისა და ეკონომიკური განვითარების დონე, მოსახლეობის მიგრაცია, მოუსავლიანობა, ალკოჰოლიზმი, უსახლკარობა და ა. შ. ფაქტობრივად, მისი თეორია დაბადებით დამნაშავის შესახებ გადაიზარდა ბიოსოციალურ თეორიაში, რაც მკაფიოდ გამოიხატა მისი მიმდევრების შრომებში. შეიცვალა ლომბროზოს იდეები დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებთან მიმართებით. კერძოდ, ადრეულ შრომებში ის მიუთი-

თეზა არასამართლებრივ პროცედურებზე დაბადებით დამნაშავეთა გამოსავლენად და მათზე ზემოქმედების სამედიცინო საშუალებებზე, უპირველეს ყოვლისა, ფსიქიატრთა კომისიის მიერ. წლების შემდგომ კი, იგი სულ უფრო მეტად აღიარებდა სისხლის სამართლის იუსტიციისა და სასამართლოს როლს დამნაშავეებთან ბრძოლის საქმეში, ხოლო ანთროპოლოგებისა და ფსიქიატრების დანიშნულებას ხედავდა როგორც ექსპერტებისას, რომელთა ამოცანა სასამართლოს დახმარება უნდა ყოფილიყო. უდავოდ დიდია ჩეხარე ლომბროზოს მოღვაწეობა კრიმინალური ანთროპოლოგიისა და ზოგადად, კრიმინოლოგიის განვითარების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ 1892 წელს, ბრიუსელის სისხლის სამართლის ანთროპოლოგიის კონგრესის მიერ უარყოფილი იქნა ლომბროზოს სწავლება დამნაშავე პიროვნების შესახებ, მისი მიღწევები გამოყენებულ იქნა სხვა მეცნიერებებისა და მკვლევარების მიერ. კერძოდ, ცნობილი ფრანგი კრიმინალისტიკის ბერტილიონის მიერ შეიქმნა დამნაშავეთა იდენტიფიკაციის ანთროპოლოგიური მეთოდი. ლომბროზოს კვლევები გამოყენებულ იქნა სიცრუის დეტექტორის შემუშავებაში. დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ლომბროზოს შეხედულებებს დამნაშავეთა ტატუირებისა და მათი დანაშაულებრივი ჟარგონების ანალიზისას. ჩეხარე ლომბროზოს ბიოლოგიური და ბიოსოციალური თეორიების ფარგლებში წარმოიშვა კლინიკური კრიმინოლოგიის თეორია, რომლის წარმომადგენელია დიდი ფრანგი სწავლული ჟან პინატელი. მან ჩამოაყალიბა კრიმინალურ შესაძლებლობათა ცნება. პინატელის მთავარი იდეა იყო, თუ რამდენად თავსდება დანაშაული ადამიანის ზნეობრივ პრინციპებთან და არის თუ არა სასჯელი მისთვის შემაკავებელი ფაქტორი. კრიმინალური შესაძლებლობანი დგინდება კითხვარებით, ტესტებით, ასევე, წარსული (რეტროსპექტული) პროფესიათა ანალიზის, ცხოვრების წესის მიხედვით, ჩვევებითა და ინდივიდის მიდრეკილებებით. ფსიქოანალიზთან ერთად, კლინიკური კრიმინოლოგია პოტენციურ და რეალურ დამნაშავეთა საქციელის კორექციისთვის გვთავაზობს ისეთ საშუალებებს, როგორცაა ელექტროშოკი, ქირურგიული ჩარევა კასტრაციის ჩათვლით, სტერილიზაცია, ლობოტომია (სამედიცინო ტერმინია და ნიშნავს ტვინის სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთისაგან გათიშვას), სხვადასხვა მედიკამენტურ ზემოქმედებას იმ მიზნით, რომ შევამციროთ დამნაშავეთა აგრესია ძალადობრივი დანაშაულისადმი.¹² აქედან გამომდინარე, ჩეხარე ლომბროზოს ბიოლოგიური და ბიოსოციალური თეორიები, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულ იქნა კლინიკური კრიმინოლოგიის თეორია დღემდე არ კარგავენ თავის მნიშვნელობას და აქტუალურია დღესაც. მაგალითად, ესტონეთში, რუსეთსა და ყაზახეთში მოქმედებს კანონი ქიმიური კასტრაციის შესახებ იმ პირებისა, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით მძიმე სექსუალური დანაშაულებისა და პედოფილიისათვის. ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში შექმნილია ისეთი პირობები, რომლის ფარგლებშიც, დამნაშავე თვითონ თანხმდება ქიმიურ კასტრაციას. მაგალითად, საფრანგეთში არის სპეციალური დაწესებულება, სადაც მსჯავრდებულებს აქვთ ორი ალტერნატივა: 1. დათანხმდნენ პრეპარატის მიღებას ან 2. სამუდამოდ დარჩნენ კლინიკაში. ამ მხრივ, საინტერესოა გერმანიაში არსებული სტატისტიკა, სადაც ნებაყოფლობით კასტრაციას წელიწადში 6 მოძალადე თანხმდება. სასჯელმთხვეობილი პედოფილებისა და სექსუალურ მოძალადეთა 84 პროცენტი თავისუფლებაზე ისევ აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას. ხოლო ქიმიური კასტრაციის შემთხვევაში, მხოლოდ 3 პროცენტი. ასევე საყურადღებოა, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმად, იმ

ქვეყნებში, სადაც ქიმიურ კასტარციას გამოიყენებენ ბავშვთა მიმართ დანაშაული განახევრდა. აშშ-ში ქიმიური კასტრაცია, როგორც სასჯელის სახე, მოქმედებს რამდენიმე შტატში. ამასთან, სექსუალურ დანაშაულებში გასამართლებული პირები შეჰყავთ საერთო ნაციონალურ სიაში და აღრიცხვაზე აჰყავთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.¹³

ქართულ კრიმინოლოგიაში დანაშაულის ახსნა-განმარტების სოციოლოგიური თეორიები ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ავტორიტეტული მიმართულებაა. სოციოლოგიურ თეორიათა მთავარი თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეებად კი არ იბადებიან, არამედ ხდებიან (დანაშაულობის ახსნის სოციოლოგიური თეორიები სრულად ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ განხილულ კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლის იდეებს). ამ მიმართულების ფარგლებში შემუშავებულ იქნა დებულებანი, რომელთა თანახმად, დანაშაულობა დამოკიდებულია სოციალურ გარემოზე. სოციოლოგიური სკოლის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ცნობილი ბელგიელი სწავლულის, სოციოლოგ-პოზიტივისტის, მეცნიერული სტატისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის – ლამბერ ადოლფ ჟაკ კეტლეს (1796-1874 წწ.) სახელთან და მის ცნობილ ფორმულასთან – თავად საზოგადოებაში არსებობს ყველა დანაშაულის ჩანასახი და თავად საზოგადოება შეიცავს პირობებს, რაც ხელს უწყობს დანაშაულის წარმოშობასა და განვითარებას.¹⁴

სოციოლოგიური თეორიებიდან აღსანიშნავია: ეკონომიკური თეორია (ვ. ბოგნერი), რომელიც თავის მხრივ, არაერთგვაროვანია და დანაშაულობის წარმოქმნას აკავშირებს საკუთრებასთან არსებულ ურთიერთობებთან, შრომისა და კაპიტალის განაწილებასთან, დაბალ ქონებრივ სტატუსთან და სიღარიბესთან. ანომიის თეორია (ე. დიურკჰეიმი), რომლის თანახმად, დანაშაულობა არის ყველა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნორმალური და გარდაუვალი მდგომარეობა. დანაშაულობის პრობლემა მდგომარეობს არა თავად დანაშაულობაში, არამედ იმაში, რომ ზოგიერთ შემთხვევებში, მისი დონე და მოცულობა ხდება დაუშვებლად საშიში, სახიფათო. ასეთი ვითარებები დაკავშირებულია საზოგადოების კრიზისულ, გარდამავალ მდგომარეობასთან, როდესაც ყოფილი სოციალური ნორმები და წესები აღარ მუშაობს, ხოლო ახლები ჯერ კიდევ, არ არის შემუშავებული და მიღებული. დაძაბულობის თეორია (რ. მერტონი), რომლის თანახმად, მიზეზები დანაშაულობისა არის იმ წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში, რომელიც არსებობს საზოგადოებაში მიღებულ მიზნებსა და ამ მიზნების მისაღწევად დაშვებულ საშუალებებს შორის. უფრო კონკრეტულად, დაძაბულობის თეორიის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ცალსახად დაკავშირებულია იმ კონფლიქტურ დამოკიდებულებასთან, რომელიც არსებობს კულტურულად აღიარებულ მიზნებსა და მათი მიღწევის ინსტიტუციურად დადგენილ საშუალებებს შორის. ინოვაცია და ამბოხი, როგორც უკიდურესი რეაქცია ამ კონფლიქტზე, დანაშაულის საფუძველი ხდება. კულტურათა კონფლიქტის თეორია (ტ. სელინი), რომლის თანახმად, ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე იცვლის კუთვნილებას სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისადმი, რომელთათვის დამახასიათებელია განსაზღვრული შეხედულებების სისტემა, წარმოდგენები, ქცევის ნორმები. თითოეული გადასვლა კულტურათა ერთი სისტემიდან მეორეში, იწვევს კულტურათა კონფლიქტს – დაპირისპირებას, რაც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას. ამასთან, ხაზგასმულია, რომ კონკრეტული სახის დანაშაულებრივი საქციელი ერთ კულტურაში შესაძლოა აბსოლუტურად ლეგალური იყოს, სხვა კულტურაში – არა. დიფერენციული კავშირის თეორია (ედვინ

სატერლენდი), რომლის თანახმად, დანაშაული შედეგია ინდივიდზე იმ სოციალური ჯგუფების გავლენისა, რომლებთანაც მას ურთიერთობა აქვს. ამ ურთიერთობის დროს არსებით მნიშვნელობას იძენს წაბაძვის ელემენტი, რომლის შედეგადაც ინდივიდს გამოუმუშავდება დანაშაულის ჩადენის იმპულსი. ის სწავლობს დანაშაულებრივი საქციელის ტექნიკას, უძლიერდება კანონის მიმართ უპატივცემულობა. სტიგმატიზაციის ანუ სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიით (ფ. ბაკი), დანაშაულებრივი საქციელი დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანი, რომელსაც ოფიციალურად მიკერებული აქვს დელიქტენტის იარლიყი (სტიგმა), იწყებს თავისი თავის ასოცირებას შესაბამის სოციალურ ჯგუფთან და ამ აღნიშვნის შესაბამისად მოქმედებს. ამ თეორიის თანახმად, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ არ შეიძლება დანაშაულის დრამატიზება, ამას გარდა დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ოფიციალური სტიგმატიზირების საკითხებს.¹⁵ სტიგმატიზაციის თეორია მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ამტკიცებს, თითქოს არც ერთი ქმედება, თავისი ბუნებით, არ არის კრიმინალური. თეორიის კრიტიკოსები ამბობენ, რომ არსებობს გარკვეული ქმედებები, რომლებიც სინამდვილეში, ყველა კულტურაში მკაცრად არის აკრძალული, როგორცაა მკვლელობა, გაუპატიურება და ყაჩაღობა. თუმცა, ეს შეხედულება არ არის სწორი. ზოგადად კი, მოკვლას ყოველთვის არ განიხილავენ, როგორც მკვლელობას, დანაშაულს. ომის დროს მტრის მოკვლა დადებითად აღიქმება.¹⁶ ამ თეორიის მიხედვით, იგივე შეიძლება ითქვას თითქმის ყველა დანაშაულის მიმართ.

კრიმინოლოგიურ თეორიებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ დანაშაულობის პრევენციის საქმეში. ეს თეორიები დღესაც არ კარგავენ თავიანთ აქტუალობას. კრიმინოლოგიის ამოცანებისა და მიზნების მიღწევა აღნიშნული თეორიების პრაქტიკულ საქმიანობაში, ეფექტიან გამოყენებაზე გადის.

კრიმინოლოგია დღეს, მსოფლიო მასშტაბით განკუთვნილი არის იმ სტუდენტებისათვის, ვინც მომავალში სამართალდამცავ და სასჯელაღსრულების ორგანოებში, გამოსასწორებელ დაწესებულებებში, სასამართლოში, უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადვოკატურაში დასაქმებას აპირებენ. კრიმინოლოგიის სამაგისტრო პროგრამები წარმატებით ხორციელდება ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის უნივერსიტეტებში. 2017 წელს, ლიტვის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აკრედიტაცია მიანიჭა ვილნიუსის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის საბაკალავრო პროგრამას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს არის კრიმინოლოგიის პირველი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში განხორციელდება.

კრიმინოლოგია საერთო სამართლის ქვეყნებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთში კრიმინოლოგია ცნობილია, როგორც „სასამართლო კრიმინოლოგია“ და იგი უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის გამოძიების, მტკიცებულებათა გამოკვლევის, დანაშაულის დროულად გახსნისა და დანაშაულის აღკვეთის ამოცანებს ემსახურება. კრიმინოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა 1936 წელს, როდესაც დიდმა იურისტმა და კრიმინოლოგმა ლუკა მაიმ გამოაქვეყნა ნაშრომი – „დანაშაულის აღკვეთა.“ ამერიკელი კრიმინოლოგი ო. ვოლმერი კრიმინოლოგიის დარგად განიხილავდა კრიმინალისტიკას. ამიტომ გაუგებარია, თუ რას ეყრდნო-

ბა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამერიკული კრიმინოლოგია სოციოლოგიის დარგია. ამერიკულ კრიმინოლოგიაში ხაზგასმულია, რომ კრიმინოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა არის დანაშაულის შესწავლა, მისი ინტერპრეტაცია და ახსნა. ამავე დროს, ამერიკული კრიმინოლოგია განსხვავებით, ევროპული, რუსული და ქართული კრიმინოლოგიისაგან, თავის ამოცანად, კონკრეტულ დანაშაულთა გამოძიებასაც ასახელებს. აღნიშნული ქვეყნების მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტთა წრეებში მიჩნეულია, რომ კრიმინოლოგია ეხება კანონის სოციალურ და ფუნქციურ წარმოშობას, ეტიმოლოგიასა და კრიმინალური ქცევის მაგალითებს, საზოგადოების რეაგირებას დანაშაულზე და ქცევის კონტროლს. სხვა სიტყვებით, კრიმინოლოგია არის კანონების შექმნის, კანონის დარღვევის პრევენციისა და კანონდამრღვევთა კონტროლის მეცნიერული შესწავლა. კრიმინოლოგია პრაქტიკული საქმიანობაა, რასაც ამტკიცებს კანონმდებლის, სამართალდამცავების, პროკურორების, ადვოკატების, სასამართლოს, გამოსასწორებელი დაწესებულებების თანამშრომელთა ყოველდღიური საქმიანობა. აქედან გამომდინარე, კრიმინოლოგიის არსი დიდია. ის შეიცავს ნებისმიერ სფეროს, რომელიც გულისხმობს დანაშაულისა და დანაშაულობის შესწავლას, იგი განიხილავს ამ საკითხებს ნებისმიერი ხელმისაწვდომი კუთხიდან. კრიმინოლოგია არის გამოყენებითი მეცნიერება, სადაც შედის დანაშაულობისა და დამნაშავის სამეცნიერო შესწავლა საგამომძიებო და სამართლებრივი საკითხების მოგვარების მიზნით.¹⁷

კრიმინოლოგია კონტინენტური ევროპის სამართლის ძველებში

ისტორიულად, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში კრიმინოლოგია ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერება დანაშაულობის შესახებ და განისაზღვრა როგორც „მოძღვრება დანაშაულობის შესახებ.“ ტერმინი „კრიმინოლოგია“ ევროპაში პირველად, 1879 წელს ხმარებაში შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა, პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების გენერალურმა მდივანმა – პაოლო ტოპინარმა და იტალიელმა იურისტმა და კრიმინოლოგმა, კრიმინოლოგიის ბიოლოგიური სკოლის წარმომადგენელმა – რაფაელო გაროფალომ, რომელმაც 1885 წელს, გამოსცა მონოგრაფია სახელწოდებით „კრიმინოლოგია.“ კრიმინოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით XVI–XX საუკუნის იტალიელ, გერმანელ, ინგლისელ, რუს და ქართველ მეცნიერებს: ჩეზარე ბეკარიას, ჩეზარე ლომბროზოს, ენრიკო ფერის, იოჰან ანსელმ ფოიერბახს, იერემია ბენტამს, მიხეილ გერნეტს, ბორის ფურცხვანიძეს და სხვ. მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრიმინოლოგია მხოლოდ სოციოლოგიიდან ან სისხლის სამართლიდან იღებს სათავეს არ იქნება მართებული. კრიმინოლოგიის მეცნიერებად ჩამოყალიბებასა და განვითარებაში წვლილი შეიტანეს ისეთმა სამეცნიერო დარგებმა როგორცაა: თეოლოგია, ფილოსოფია, ისტორია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, მედიცინა, ბიოლოგია, გენეტიკა, ენდოკრინოლოგია, ნეიროქიმია, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები, იურისპრუდენცია, გეოგრაფია, ურბანული დაგეგმარება, არქიტექტურა და სტატისტიკა.¹⁸ კრიმინოლოგიური კვლევების დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალური პროცესების გარდაქმნაში. კრიმინოლოგიის ამოცანაა განსაზღვროს ისეთი ნეგატიური მოვლენა, როგორცაა დანაშაულობა და შესთავაზოს სახელმწიფოსა

და საზოგადოებას მისი პრევენციის კონკრეტული რეკომენდაციები. საზოგადოების მხრიდან, ამ რეკომენდაციების გათვალისწინება ნიშანი იქნება იმისა, რომ საზოგადოება მზად არის ცივილური და ჰუმანური მეთოდებით, მეცნიერულად დასაბუთებულ სოციალურ ურთიერთობათა ისეთი პროგრესული გარდაქმნებისათვის, რომლებიც შეესაბამებიან სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მაღალ სტანდარტებს.

კრიმინოლოგიის პროფესია

კრიმინოლოგებს აქვთ მაღალი სოციალური სტატუსი. მათი დასაქმების სფერო საკამაოდ ფართოა. დიპლომირებულ კრიმინოლოგს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითზე შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, პოლიციასა და პენიტენციურ დაწესებულებებში, სასამართლოში, უსაფრთხოების სამსახურებში. ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც აწარმოებენ საქმიანობას არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის კუთხით, სახალხო დამცველის ოფისში, კერძო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურებში, საადვოკატო კომპანიებში.¹⁹ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კრიმინოლოგის წლიური საშუალო ხელფასი შეადგენს 30.000 აშშ დოლარს (თვეში 2.500 აშშ დოლარი), მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კრიმინოლოგის წლიური საშუალო ხელფასი 55.000 აშშ დოლარია (თვეში 4583 აშშ დოლარი), ხოლო გამოცდილების მქონე კრიმინოლოგის ხელფასი საკმაოდ მაღალია.²⁰

კრიმინოლოგია საქართველოში

საქართველოში კრიმინოლოგია სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის ახალი დარგია. საბჭოთა პერიოდში, მეცნიერების მიერ იგი სისხლის სამართლის ერთ-ერთ განყოფილებად იყო მიჩნეული და მის განვითარებას მწირი ყურადღება ეთმობოდა. ამ მხრივ, საყურადღებოა დიდი ქართველი მეცნიერის, სისხლის სამართლის მსოფლიო დონის აღიარებული მკვლევარის, პროფესორ გურამ ნაჭყებუას შეხედულება კრიმინოლოგიის შესახებ. კერძოდ, მეცნიერი განმარტავს, რომ „კრიმინოლოგია სიტყვასიტყვით ნიშნავს მოძღვრებას დანაშაულზე, ხოლო შინაარსობრივად იგი აღნიშნავს მეცნიერებას დანაშაულთა მიზეზებისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ. კრიმინოლოგია „ფაქტის“ მეცნიერებაა და არა „ნორმის,“ კრიმინოლოგიას თავის საგანთან მისასვლელად წინ არაფერი უძღვის, გარდა ფილოსოფიური და ლოგიკური საფუძვლებისა. ამიტომ ტერმინის „კრიმინოლოგიის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მონიშვნა იმ სინამდვილისა, რომელსაც კრიმინოლოგია შეისწავლის.“²¹ შესაბამისად, საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ (1990 წელი), ქართული კრიმინოლოგია ყოველგვარი მეთოდოლოგიური საფუძვლების გარეშე აღმოჩნდა და აქედან გამომდინარე, გამოცდილება და ტრადიციები ამ მხრივ, არ არსებობს. „...იმხანად კრიმინოლოგია უგულებელყოფილი იყო, რის გამოც სისხლის სამართლის მეცნიერების საგანში შეტანილი იყო დანაშაულობა და მისი მიზეზები.“²²

საქართველოში კრიმინოლოგიის მეცნიერების აღორძინება 21-ე საუკუნის დამდეგიდან იწყება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N120/1 ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ საფუძველზე კრიმინოლოგიას როგორც მეცნიერებას მიენიჭა უპირატესობა და აღიარებულ იქნა სამართლის მიმართულების სისხლის სამართლის სპეციალობის ქვედარგად (სპეციალიზაციად), რაც დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოში კრიმინოლოგიის მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების გზაზე. დღეისათვის ქართული კრიმინოლოგიის მეცნიერებაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი მისი საგანი – დანაშაულობა და მიზანი – დანაშაულობის სოციალური კონტროლი. ქართული კრიმინოლოგიის დანაშაულობის ცნებაში საერთო ადგილი უკავიათ ერთი მხრივ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულობებს, ხოლო მეორე მხრივ, ისეთ განსაკუთრებით საშიშ ასოციალურ მოვლენებს, როგორც არის ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აზარტული თამაშები და თვითმკვლელობანი. მეცნიერული კვლევები ამ მოვლენათა გამომწვევი მიზეზებისა და მათი სოციალური კონტროლის ღონისძიებათა შემუშავების კუთხით მიმდინარეობს. დანაშაულობის გამომწვევ მიზეზთაგან აღსანიშნავია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, საკანონმდებლო და ზნეობის დისფუნქციის ფაქტორები. საზღვარგარეთის კრიმინოლოგიის ისტორიის ანალიზი საფუძველს იძლევა დავადგინოთ, რომ საზოგადოების მაღალი ეკონომიკური დონე, თუ საზოგადოებაში არ არის შენარჩუნებული ისტორიული ტრადიციები და მაღალი მორალური პრინციპები, არ აბრკოლებს დანაშაულთა ზრდას. ამიტომ, დანაშაულობათა პრევენციის კუთხით, უმნიშვნელოვანესი ყურადღება არასრულწოვანთა მართლმსაჯულების, განათლებისა და ზნეობრივი აღზრდის საკითხებს ეთმობა. ამ მხრივ, კრიმინოლოგიისა და კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებამ მოიტანა საქართველოში არასრულწოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა, დაინერგა განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტები, საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა სისხლის საპროცესო და სასჯელაღსრულების კანონმდებლობაში. თანამედროვე კრიმინოლოგიის საგანი მოიცავს 4 მთავარ მოვლენას: 1. დანაშაულობას, როგორც სოციოლოგიურ-სამართლებრივ მოვლენას, რომელიც შედგება ყველა ჩადენილი დანაშაულის რაოდენობისაგან განსაზღვრულ სახელმწიფოში განსაზღვრული დროის მონაკვეთში და ისეთ ასოციალურ მოვლენებს, რომლებიც საზოგადოებრივი საშიშროების უმაღლესი ხარისხით გამოირჩევიან: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აზარტული თამაშები და თვითმკვლელობანი; 2. დანაშავის პიროვნებას, აქ შევისწავლით დანაშაულის ჩამდენი პირის სოციალურ-დემოგრაფიულ, სოციალურ-ფუნქციურ, მორალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს, იმ მიზნით, რომ მოვახდინოთ ეფექტიანი რესოციალიზაცია; 3. დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების კვლევას (კრიმინოგენურ დეტერმინანტებს); 4. დანაშაულობის სოციალურ კონტროლს, რომელიც მოიცავს – სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ზომების სისტემას, მიმართულს დანაშაულობის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრაზე, ნეიტრალიზებასა და შესუსტებაზე.

კრიმინოლოგიის საგანში შემავალი ყველა აღნიშნული კომპონენტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. პირველი სამი მოვლენის შესწავლა და კვლევა გვჭირდება იმისათვის, რომ მოვახდინოთ მეოთხე მოვლენის – დანაშაულობის პრევენცია. კრიმინოლოგია იყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად. ზოგადი ნაწილი შეისწავლის კრიმინოლოგიის ცნებას, საგანს, მიზანსა და ამოცანებს,

კრიმინოლოგიის კვლევის მეთოდებს, კრიმინოლოგიურ თეორიებს, დამნაშავეს პიროვნებას, ვიქტი-
მოლოგიას, სასჯელის ცნებას, დანაშაულობის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების
ცნებას, კრიმინოლოგიურ პოლიტიკასა და დანაშაულობის პრევენციას. კერძო ნაწილი შეისწავლის:
ტერორიზმის ცნებას, მიზეზებსა და პრევენციას, კორუფციულ დანაშაულობას, ძალადობრივ დანა-
შაულობას, არასრულწლოვანთა დანაშაულობას, ორგანიზებულ დანაშაულობასა და პროფესიულ
დანაშაულობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც ზოგადი ნაწილის, ისე კერძო ნაწილის
შესწავლის სფერო არ შეიძლება რომ ზღვარდადებული იყოს, დასაშვებია მათში შემავალ საკითხთა
სპექტრის გაფართოება. ამოსავალი წერტილი აქ არის თემის აქტუალობა კონკრეტულ, მოცემულ
პერიოდში და მისი კავშირი დანაშაულობასთან.

თანამედროვე კრიმინოლოგიის ამოცანები 5 მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. შემეცნებითი,
რაც გულისხმობს კრიმინოლოგიის საგანში შემავალი მოვლენების შესახებ მუდმივი, თანამედროვე
სტანდარტების შესაბამის კვლევას, ანალიზსა და სრულყოფას. თავად სიტყვა შემეცნება მომდინა-
რეობს ლათ. „Cognare“–დან და ნიშნავს ცოდნას, ცოდნის შეძენის პროცესს, რომელიც მოიცავს აზროვ-
ნებას, გახსენებას, ყურადღების მიქცევას და ასევე, როგორც კოგნიტურ შინაარსებს, ისე პროცესებს.
შინაარსში მოიაზრება – ცნებები, ფაქტები, წესები, მოგონებები – ის, რაც ინდივიდმა იცის. კოგნიტური
პროცესებით კი, ინდივიდი მანიპულირებს იმ ფსიქიკური შინაარსებით, რომლებიც გარესამყაროს
ინტერპრეტაციისა და ცხოვრებისეული დილემების დროს რაციონალური გადაწყვეტილების მიღების
საშუალებას აძლევს. ტერმინი „შემეცნება“ აერთიანებს შემეცნებითი პროცესების ყველა ფორმას,
მოიცავს ცნობიერების ყველა პროცესს, რომლის საშუალებითაც ცოდნის აკუმულირება ხდება. სხვა
სიტყვებით რომ ვთქვათ, შემეცნება ესაა გამოცდილება, რომელიც განსხვავდება ემოციებთან და-
კავშირებული გამოცდილებისაგან;²³ 2. რეკომენდაციული, როდესაც კრიმინოლოგია შეიმუშავებს
მეცნიერულ რეკომენდაციებს დანაშაულობის პრევენციასთან და პროგნოზირებასთან მიმართებით;
3. საექსპერტო, რაც უპირველეს ყოვლისა, კანონპროექტებისა და კანონების კრიმინოლოგიურ ექს-
პერტიზებს უკავშირდება; 4. სამართლებრივი კულტურის ამაღლება საზოგადოებაში, რომლის გან-
ხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ დანაშაულობის პრევენციაში სწორედ მას მიუძღვის
გადამწყვეტი როლი. მოსახლეობამ კანონთა პატივისცემა უნდა ისწავლოს და არა მისი შიში. შიშის
ქვეშ მყოფი ადამიანი ვერაფერს შექმნის ღირებულს; 5. დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო
გამოცდილების შესწავლა – ცნობილია, რომ ჯერ კიდევ, ძვ. წ. V საუკუნეში, რომაელებმა დანაშაულო-
ბის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესასწავლად დელეგაცია გააგზავნეს ძველ საბერძნეთში,
რათა შეესწავლათ იქ არსებული დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდები. დღეისათვის, შედეგების
მისაღწევად მნიშვნელოვანია სისტემატური, აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებზე და
კონფერენციებზე, კრიმინოლოგიის თემატიკაზე საქართველოში რეგულარული კონფერენციების
ჩატარება, კრიმინოლოგიური პრობლემების შესახებ ჟურნალისტებისა და მოსახლეობის ინფორ-
მირება და სტატისტიკის ხელმისაწვდომობა.

შენიშვნები:

- ¹ <https://en.wikipedia.org/wiki/Criminology>
- ² თუკიდიდე, ისტორია, თბ., 2013, გვ. 76.
- ³ law.wikireading.ru
- ⁴ უმჯობესი იქნებოდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ნაცვლად გამოგვეყენებინა ტერმინი კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლა, ვინაიდან ის იდეები, რაც ამ სკოლის მიერ არის შემუშავებული, კრიმინოლოგიის მეცნიერებისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე სისხლის სამართლისათვის. აქ ერთგვარ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რაც განპირობებულია იმით, რომ კრიმინოლოგიას, როგორც მეცნიერებას ამ პერიოდისათვის არ ჰქონდა მიღებული თავისი დასახელება. ცნობილია, რომ კრიმინოლოგია ხმარებაში შემოვიდა და ფართოდ გავრცელდა 1885 წლიდან, მას შემდეგ, რაც იტალიელმა და ფრანგმა მეცნიერებმა პ. ტოპინარდმა და რ. გაროფალომ გამოსცეს ამავე სახელწოდების მონოგრაფია.
- ⁵ <https://ka.wikipedia.org>
- ⁶ <https://lawbook.online>
- ⁷ <http://www.brocgaus.ru>
- ⁸ პამფლეტი – სარკაზმით გამსჭვალული პუბლიცისტური ნაწარმოები, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ პირის, პოლიტიკური მოვლენისა და სხვათა წინააღმდეგ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989.
- ⁹ ატავიზმი ნიშნავს ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშნის გამოვლენას, რაც დამახასიათებელია მისი შორეული წინაპრებისათვის, <http://www.nplg.gov.ge>
- ¹⁰ ბრაქიციფალია: ბერძნ. brachys მოკლე, kephae თავი – თავის ქალას განივი ზომის გადიდება, გასწვრივი ზომის შემცირებასთან ერთად. <http://www.nplg.gov.ge>.
- ¹¹ თავის გრძივი ზომის უპირატესობა განივ ზომასთან შედარებით, www.medgeo.net; <https://lawbook.online>
- ¹² www.lawbook.online
- ¹³ www.zakon.kz
- ¹⁴ www.studme.org
- ¹⁵ www.studme.org
- ¹⁶ <http://4motivi.com>
- ¹⁷ უეინ ა. პეტერიკი, ბრენტ ე. ტიორვი, კლერ ფერგუსონი, სასამართლო კრიმინოლოგია, თბ., გვ. 5-41.
- ¹⁸ უილიამსი, 1995, გვ. 179.
- ¹⁹ www.prospects.ac.uk
- ²⁰ წულაია დ., კრიმინოლოგიის მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, მართლმსაჯულება და კანონი, N3, თბ., 2010, გვ. 130.
- ²¹ ნაჭყებია გ., სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბ., 2002, გვ. 3.
- ²² ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბ., 1998, გვ. 28.
- ²³ <http://dictionary.css.ge/content/cognition>

PERSPECTIVES OF THE DEVELOPMENT OF CRIMINOLOGY IN GEORGIA

MIKHEIL GABUNIA

Doctor of Law, Georgian Technical University Associate Professor of the Faculty of Law and International Relations, Member of the European Criminology Society

In the course of preparation of the article, we aimed at promoting and further development of criminology in Georgia. The fact is that today, in our country, in the field of criminology, there is a lack of specialists, textbooks and monographs. Staff is insufficient at this particular stage. Master and Doctoral programs are not announced in the direction of criminology. That's why one of our tasks should be the development of the criminology course and scientific research activities at the legal faculties of higher education institutions.

The article discusses the origin, development and modern conditions of the science of criminology, its place between the sciences, the notion of modern criminology, goals, objectives and basic research methods. Without the science of criminology it is impossible to study the crime in the state and prevent it, to improve legislative activities. Criminological expertise of draft laws is of utmost importance to conduct legislative activities. More precisely, without the use of criminological knowledge we can not determine what will be the results of an adoption of a concrete law, especially in criminal and administrative fields – preventing, reducing or provoking of a crime. The importance and contribution of criminology in the study of complex causes of crime and prevention of crime, planning and predictability of crime is huge. Without the criminological studies, investigations and rehabilitation of victims of crime can not be achieved, offenders cannot be re-socialized, and most importantly, legal culture cannot be improved in society. Thus, one of the tasks of modern criminology should be the development of the criminology course and scientific research activities at the legal faculties of higher education institutions.

პროკურორის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია

ხათია თანდილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

პროკურორის საჯარო განცხადება პოტენციურად რისკის შემცველია, ვინაიდან პროკურატურას, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს, ადვილად შეუძლია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. მას საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრა შეუძლია არა მხოლოდ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, არამედ ბრალდებულების მიმართაც. თუ გავითვალისწინებთ მედია პოლიტიკას, რომელიც მიმართულია, მუდმივ რეჟიმში მიაწოდოს საზოგადოებას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე შემზარავი, მძაფრი და ამალეღვებელი სიახლეები, პროკურორის საჯარო განცხადებამ შეიძლება წინასწარი განწყობა შეუქმნას საქმის განმხილველ ნაფიც მსაჯულებს და ხელყოს ბრალდებულის უფლებები. მართლაც, პროკურორის საჯარო განცხადებას შეუძლია შელახოს ადამიანის რეპუტაცია, ხელყოს მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება, საზოგადოებაში დამნაშავედ წარმოაჩინოს ბრალდებული და ამავე დროს საზოგადოებას დააკარგვინოს ნდობა და პატივისცემა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართ. რაც ყველაზე მთავარია, პროკურორის საჯარო განცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს უდანაშაულო ადამიანის მსჯავრდება.¹

რა თქმა უნდა, პროკურორის საჯარო განცხადების თანმდევი რისკები პროკურორს არ ართმევს საჯარო განცხადების გაკეთების

უფლებას. პირიქით, იგი ვალდებულია საზოგადოებას მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ემსახურება საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებას.² საზოგადოება დაინტერესებულია ქვეყანაში მიმდინარე სოციალური თუ პოლიტიკური საკითხებით და მას უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო უწყებებისგან ინფორმაცია, როდესაც მისი უსაფრთხოება და კეთილდღეობა ამას მოითხოვს. ამასთან, პროკურატურას ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული კომუნიკაციის თავისუფლებებიც³ ავალდებულებს.⁴ სწორედ მათი მეშვეობით შეუძლია საზოგადოებას სახელმწიფოზე კონტროლის განხორციელება.⁵ გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით, გამოძიება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ეფექტიანად, თუ მასზე inter alia ხორციელდება საზოგადოებრივი კონტროლი, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საზოგადოების ნდობის შენარჩუნება. საზოგადოების ინფორმირება განსაკუთრებით მაშინ არის მნიშვნელოვანი, თუ დანაშაულის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი (მაგალითად, თუ ჩადენილია დანაშაული პოლიციის ან მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ). გამჭვირვალობის დეფიციტი კი პირიქით, აძლიერებს საზოგადოების ეჭვებსა და უნდობლობას.⁶

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, პროკურატურის ან მისი მუშაკის საჯარო განცხადებიდან მომდინარე სამართლებრივი რისკებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა. როგორც წესი, საქართველოს პროკურატურა სასამართლოს სხდომის გამართვამდე საზოგადოებას არა მხოლოდ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ აწვდის ზოგად ინფორმაციას, არამედ ასაჯაროებს მოპოვებულ მტკიცებულებებსაც. ამასთან, პროკურატურა დანაშაულის შესახებ საკუთარ ვერსიას გადმოსცემს მტკიცებით ტონში და იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „გამოძიებით დადგინდა, რომ“⁷ „აღნიშნული გარემოება დადგენილია ჩვენებით,“ „ხსენებული ჩანაწერის ანალიზი ცხადყოფს, რომ ...წინასწარ ჰქონდა განზრახული მეუღლისა და შვილის მკვლელობა.“⁸ აღსანიშნავია, რომ ამგვარი იმპერატიული განცხადებების შემდეგ პროკურატურა არ აკეთებს მითითებას უდანაშაულობის პრეზუმციაზე, ანუ იგი საზოგადოებას გამოხატულად არ აცნობებს, რომ მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს და რომ ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. აღნიშნულმა მიდგომამ კი შეიძლება საზოგადოებაში ჩამოაყალიბოს განცდა, რომ მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეიძლება ბრალდებული მიჩნეული იქნეს დამნაშავედ.

შესაბამისად, ისმის კითხვა, თუ რა სახის ინფორმაციის გასაჯაროება და რა ფორმით გაკეთებული საჯარო განცხადება იქნება უდანაშაულობის პრინციპთან შესაბამისობაში, შეიძლება თუ რა პროკურატურამ საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების მოტივით გამოძიების ეტაპზე გაასაჯაროოს მტკიცებულებები და ილაპარაკოს იმპერატიულ ტონში, უდანაშაულობის პრეზუმციაზე მითითების გარეშე?

ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, სტატიაში განხილული იქნება უდანაშაულობის პრეზუმციის არსი და მნიშვნელობა, წარმოდგენილი იქნება საჯარო განცხადების მიმართ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტი, გაანალიზებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრეცედენტული სამართალი. ამასთან, განხილული იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც შეჯიბრებითი სისტემის ქვეყანაში, პროკურატურის მიერ საჯარო განცხადების გაკეთებისთვის დადგენილი ნორმები და პრაქტიკა, სულ ბოლოს კი, გაანალიზებული იქნება საქართველოში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციები და პრაქტიკა.

I. უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი და მნიშვნელობა

1. უდანაშაულობის პრეზუმფციის ნორმატიული რეგულირება

უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმად, ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.⁹

უდანაშაულობის პრეზუმფციის განსაკუთრებული ბუნება იმაში ვლინდება, რომ იგი ერთდროულად წარმოადგენს როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს გარანტს, ისე ბრალდებულის უფლებას.¹⁰ იგი როგორც უფლება გამომდინარეობს ღირსების უფლებიდან და აღნიშნული აბსოლუტურად დაცული უფლების კონკრეტიზაციად მიიჩნევა.¹¹ სისხლის სამართლის პროცესში იგი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომლის დარღვევის შემთხვევაში, პროცესის შემდგომი ეტაპების კანონით დადგენილი წესით წარმართვას აზრი ეკარგება.¹² ამასთან, უდანაშაულობის პრეზუმფცია ემსახურება საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას და სწორედ ამიტომ მოითხოვს, რომ ბრალი დადგინდეს საყოველთაოდ აღიარებული სავალდებულო წესით.¹³

ჯერ კიდევ, ანტიკურ ხანაში აღიარებულ იქნა, რომ უდანაშაულო ადამიანის დასჯა გაცილებით უფრო უარესი იყო, ვიდრე დამნაშავისათვის თავისუფლების მინიჭება. ხამურაბის კანონების თანახმად, თუ ბრალმდებელი ვერ დაამტკიცებდა პირის დამნაშავეობას, მაშინ მას უბრალო სასჯელის შეფარდება ან სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. უდანაშაულობის პრეზუმფცია ანტიკურ საბერძნეთშიც მოქმედებდა. საზოგადოებას არ ჰქონდა უფლება ბრალდებულს ისე მოქცეოდა, როგორც დამნაშავეს. ბერძენი ორატორები მიიჩნევდნენ, რომ სასჯელის შეფარდება მხოლოდ საქმის სასამართლოში განხილვის დამთავრებისა და პირის მსჯავრდების შემდეგ იყო დასაშვები, რადგანაც მათ სინდისი არ აძლევდათ უფლებას, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე დაესაჯათ ადამიანი. რომაული სამართალიც მტკიცების ტვირთს ბრალდების მხარეს აკისრებდა და თვლიდა, რომ უმჯობესი იყო დამნაშავე დასხლტომოდა სასჯელს, ვიდრე უდანაშაულოსათვის შეეფარდებინათ სიკვდილით დასჯა. 212 წლით დათარიღებულ რომის კონსტიტუციის თანახმად, ბრალმდებელს უნდა ჰქონოდა მტკიცებულებები. თავისუფლების დიდი ქარტიის (Magna Carta) თანახმად კი, პირის გასამართლების უფლებამოსილება არა მეფეს, არამედ მხოლოდ სამართლიან სასამართლოს შეეძლო.¹⁴

თანამედროვე სამართალში უდანაშაულობის პრინციპმა კიდევ უფრო ფართო რეგულირება ჰპოვა და იგი განმტკიცებულია არა ერთ საერთაშორისო თუ ნაციონალურ ნორმატიულ აქტში. მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მე-11 მუხლი), საერთაშორისო

პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-14 მუხლი), სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებაში (66-ე მუხლი), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში¹⁵ (მე-6 მუხლი), ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში (48-ე მუხლი), საქართველოს კონსტიტუციაში (მე-40 მუხლი), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მე-5 მუხლი). ევროკავშირმა კი, 2016 წლის 9 მარტს მიიღო ცალკე დირექტივა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სისხლის სამართალში მის მნიშვნელობას.¹⁶

2. უდანაშაულობის პრეზუმფციის ადრესატები

უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე. იგი მოქმედებას იწყებს პირის ბრალდებულად ცნობისთანავე. თუმცა, ბრალდებულად ცნობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია არა ცნება „ბრალდებულის“ სამართლებრივ-ტექნიკური განმარტება, არამედ ის თუ ფაქტობრივად, როდიდან შეიძლება პირის ბრალდებულად მიჩნევა. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედების დაწყება უშუალოდ უკავშირდება იმ დროს, როდესაც ხდება დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდის კონკრეტული პირის მიმართ კონკრეტიზაცია.¹⁷

აქედან გამომდინარე, ფართოა სუბიექტთა წრე, რომლებსაც ევალებათ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა. იგი მოიცავს არა მხოლოდ საგამოძიებო, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს¹⁸ და სასამართლოებს,¹⁹ რომლებსაც ევალებათ დამაჯერებელი და ერთმანეთთან თანხვედრი მტკიცებულებების წარმოდგენა, არამედ სხვა ნებისმიერ საჯარო პირსა თუ ორგანოს, განურჩევლად იმისა, მონაწილეობს თუ არა იგი სისხლის სამართლის პროცესში.²⁰ მათში იგულისხმება როგორც ადმინისტრაციული, ისე საკანონმდებლო ორგანოები და ის პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ფუნქციებს.²¹ აღსანიშნავია, რომ აუცილებელი არ არის, რომ „საჯარო პირი“ განცხადების გაკეთების დროს იყოს სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებული, ცნება „საჯარო პირი“ მოიცავს იმ პირებსაც, რომლებსაც წარსულში ეკავათ სახელმწიფო ორგანოებში მაღალი თანამდებობები და საზოგადოებისათვის ცნობილი არიან.²² შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ორგანოსა თუ პირისათვის უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს ქცევის ზოგადი პრინციპები, რომლებმაც ასახვა უნდა ჰპოვონ ქცევის წესების სახით. ქცევის წესები კი, არ უნდა იყოს აბსტრაქტული, პირიქით, მათი განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თითოეული ორგანოს ფუნქციები და პროცესები.²³

პროკურატურაც, როგორც სახელმწიფო უწყება და სისხლის სამართლის პროცესში კი, სახელმწიფო ბრალმძებელი, ვალდებულია დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამასთან, აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ უშუალოდ სასამართლო სხდომებზე, არამედ სასამართლოს გარეთ, საზოგადოებასთან (მედიასთან) ურთიერთობისას. საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, „პროკურატურის მუშაკი პატივს უნდა სცემდეს უდანაშაულობის პრეზუმფციისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს, როგორც უზენაეს

სამართლებრივ ღირებულებებს,“ კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ სისხლის სამართლის მიზნებისათვის რამხელა მნიშვნელობა ენიჭება პროკურატურის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას.

II. პროკურატურის საჯარო განცხადება

1. საჯარო განცხადების გაკეთების მიმართ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტი

უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს არ უკრძალავს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოების ინფორმირებას, მაგრამ იგი მოითხოვს, რომ აღნიშნული გაკეთდეს დიდი სიფრთხილითა და ზომიერებით.²⁴ დანაშაულის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას პოლიცია, საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები ვალდებული არიან ერთი მხრივ, დააკმაყოფილონ საჯარო ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყონ ბრალდებულის უფლებების დაცვა. სწორედ ამიტომ, საჯარო პირებმა უნდა შეარჩიონ ისეთი სიტყვები, რომ არ მოხდეს მათი მცდარი ინტერპრეტაცია²⁵ და საზოგადოებას არ დაუტოვოს განცდა პირის დამნაშავეობის შესახებ.²⁶ შესაბამისად, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ კომენტარის გაკეთებისას, ისინი უნდა იყვნენ თავშეკავებულნი და მიუთითონ, რომ მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდს.²⁷

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის დადგენისათვის მნიშვნელოვანია გაკეთდეს განსხვავება განცხადებებს შორის, სადაც პირი წარმოდგენილია როგორც სავარაუდო დამნაშავე და იმ განცხადებებს შორის, რომლებშიც პირი დახასიათებულია პირდაპირ დამნაშავედ (clear declaration).²⁸ უდანაშაულობის პრეზუმფცია დარღვეულად ჩაითვლება, თუ გაკეთებულია დამნაშავეობაზე პირდაპირი განცხადება. ასევე, ადგილი ექნება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, თუ საჯარო პირის მიერ ბრალდებულთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში ასახულია აზრი, რომ ბრალდებული დამნაშავეა და აღნიშნული მოსაზრება ჯერ არ არის დადასტურებული კანონით დადგენილი წესით. ამასთან, დარღვევის დადგენისათვის საკმარისია იმ ფაქტის არსებობა, რომ თანამდებობის პირი ბრალდებულს დამნაშავედ მიიჩნევს.²⁹ შესაბამისად, იმის დადგენა, დაირღვა თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფცია დამოკიდებულია წარმოთქმულ ფრაზეოლოგიასა და იმ გარემოებებზე, რომლის პირობებშიც გაკეთდა განცხადება.³⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ. მათ არა აქვთ დარღვევის დადგენასთან დაკავშირებით ერთიანი დადგენილი კრიტერიუმი. ისინი ყოველ საქმეში აფასებენ ფაქტობრივ გარემოებებს და ამგვარად ადგენენ, ადგილი ჰქონდა თუ არა კონვენციის მე-1 მუხლის მე-2 პუნქტის ან პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

კონვენციის მე-1 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით შემოსული საჩივრების განხილვა პირველად, ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას მოუწია და პირველი საქმე, რომელშიც მან

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა დაადგინა იყო პეტრა კრაუსი შვეიცარიის წინააღმდეგ (Petra Krause gegen die Schweiz).³¹ მოცემულ საქმეში შვეიცარიის იუსტიციის მინისტრმა ტერორიზმში ბრალდებული პეტრა კრაუსის შესახებ ტელევიზიით განაცხადა, რომ „მან ჩაიდინა დანაშაული“ და „ამისთვის მან უნდა აგოს პასუხი.“³² კომისიამ კონვენციის დარღვევის ფაქტთან ერთად აღნიშნა, რომ ბრალდებულის დამნაშავედ წარმოჩინებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სისხლის სამართლის პროცესის შემდგომ სტადიებზე. ამასთან, თუ კომისია წინა გადაწყვეტილებებში მომჩივანისაგან ითხოვდა დაესაბუთებინა, რომ საჯარო განცხადების გაკეთებით ხელყოფილ იქნა პროცესის შემდგომი ეტაპები,³³ მან მიდგომა შეცვალა წინამდებარე საქმეში და მიიჩნია, რომ კონვენციის დარღვევის დადგენისათვის საკმარისი იყო მხოლოდ თეორიულად იმის ალბათობაც, რომ საჯარო განცხადება უარყოფით გავლენას მოახდენდა პროცესის შემდგომ მიმდინარეობაზე.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მას უდანაშაულობის პრეზუმფციის განმარტება 1995 წლის საქმეში – ალენე დე რიბენო საფრანგეთის წინააღმდეგ (Allenet de Ribbent v. France)³⁴ – მოუწია, რომელშიც შინაგან საქმეთა მინისტრმა და სხვა ორმა პოლიციელმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ დაკავებულ იქნა ყველა პირი, რომელიც მონაწილეობდა მკვლელობაში. დაკავებულთა შორის ალენე დე რიბენო კი, წარმოადგენდა დანაშაულის წამქეზებელს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული საჯარო განცხადება მომჩივანს წარმოადგენდა დამნაშავედ და შესაბამისად, დაადგინა კონვენციის დარღვევა. ასევე, დარღვევად მიიჩნია პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში გენერალური პროკურორის სიტყვები – „ბრალის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები“ და „თაღლითობის მცდელობა“;³⁵ გაზეთის სტატიებში პოლიციის სიტყვები „წინასწარ განზრახული თაღლითური ქმედება“;³⁶ ექსტრადირების შესახებ დადგენილებაში ექსტრადირების საფუძვლად იმის მითითება, რომ მათ „ჩაიდინეს“ ტერორისტული აქტი და სხვა დანაშაულები;³⁷ ასევე, გენერალური პროკურორის სიტყვები „შეიცავდა ტერორიზმის მუქარას“ და „ეს ინფორმაცია აფუძნებს ტერორიზმის მუქარას.“³⁸

თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ კონვენციის დარღვევად არ დაადგინა პოლიციის განაცხადი, რომ „ნმ წლის ბებია ალბათობის მაღალი ხარისხით მოკლა შვილიშვილი.“³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არც საქმეში – დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ – არ დაადგინა დარღვევა,⁴⁰ რომელშიც პროკურორმა სიტყვები „დადგენილია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით,“ გამოიყენა არა პირის დამნაშავეობის აღსანიშნავად, არამედ იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა პირის ბრალეულობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები, რათა გამართლებულიყო საქმის სასამართლოში განსახილველად გადაცემა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის შესაბამის საჯარო განცხადებად მიიჩნია საქმეში – ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ – რეგიონის გამგებლის მიერ გაკეთებული განცხადება: „სახელმწიფოს მიზანია, რომ განახორციელოს დევნა და გამოავლინოს ყველა, ვინც უკანონოდ მიითვისა სახელმწიფო ქონება.“⁴¹

3. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავსად, უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხზე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმაც შეიმუშავა თავისი სტანდარტი, რომელიც შემდეგ

რამდენიმე საქმეში გამოიყენა. იგი აღნიშნავს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც უმნიშვნელოვანესი ასპექტია ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, პროკურატურას აკისრებს პირის ბრალეულობის მტკიცების ტვირთს. უდანაშაულობის პრეზუმფციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ვიდრე გონივრულ ეჭვს მიღმა პირის ბრალეულობა არ დამტკიცდება, იგი არ იქნას დამნაშავედ მიჩნეული. ასევე, ყველა ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და მის მიმართ განხორციელდეს ისეთი მოპყრობა, როგორცაც მოითხოვს უდანაშაულობის პრეზუმფცია. ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია, თავი შეიკავოს სასამართლო შედეგის წინასწარ დადგენისაგან მაგალითად, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებების გაკეთებისაგან, რომელიც ადასტურებს პირის ბრალეულობას.⁴²

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა უდანაშაულობის პრეზუმფციის განმარტება საქმეში – გრიდინი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (*Gridin v. Russian Federation*)⁴³ გამოიყენა. აღნიშნულში საქმე შეეხებოდა პირის გაუპატიურების, მკვლელობის მცდელობასა და სხვა ეჭვს დანაშაულში ბრალდებულ გრიდინს. გამოძიების პერიოდში რადიოსა და გაზეთებში ბრალდებული დახასიათებულ იქნა როგორც „ლიფტის შემკეთებელი მკვლეელი.“ პოლიციის უფროსისა და გამოძიებლების მიერ იგი არაერთხელ იქნა „მკვლელად“ მოხსენიებული, სასამართლო სხდომებიც მიმდინარეობდა დარბაზში მყოფების მიერ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მოთხოვნით გაკეთებული განცხადებებისა და შეძახილების ფონზე.⁴⁴ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ როდესაც მაღალი თანამდებობის მქონე პოლიციელი ტელევიზიით გაკეთებულ საჯარო განცხადებაში ბრალდებულს წარმოაჩენს დამნაშავედ, ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. სახელმწიფო ორგანოებს აკისრიათ ვალდებულება, თავი შეიკავონ სასამართლო შედეგის წინასწარ დადგენისაგან (It is therefore, a duty for all public authorities to refrain from prejudging the outcome of a trial).⁴⁵ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის დარღვევა დაადგინა საქმეში – მარინიჩი ბელორუსის წინააღმდეგ (*Marinich v. Belarus*), სადაც მომჩივანის დაკითხვა იწერებოდა ფარული კამერით და შემდეგ მოცემული ჩანაწერი გაშუქდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტელეარხზე, ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ მიმათითებელი მცდარი და დამამცირებელი კომენტარების თანხლებით.⁴⁶

III. ამერიკის შეერთებულ შტატებში საჯარო განცხადების გაკეთების სტანდარტი

1. სამართლებრივი რეგულაციები ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ

ამერიკის შეერთებულ შტატებში,⁴⁷ როგორც შეჯიბრებითი სისტემის ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროცესის ორივე მხარის თანაბარ პირობებში ჩაყენებას. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რომ პროკურატურის საჯარო განცხადებით არ მოხდეს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.

აშშ-ში პროკურორს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში შეუძლია საჯარო განცხადების გაკეთება.⁴⁸ დაუშვებელია პროკურორმა გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც დიდი ალბათობით არსებით ზიანს მოუტანს სისხლის სამართლის პროცესს.⁴⁹

პროკურორი ვალდებულია თავი შეიკავოს ისეთი საჯარო განცხადების გაკეთებისაგან, რომელსაც არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და მხოლოდ საზოგადოებაში ბრალდებულის დამნაშავედ წარმოიჩინას ემსახურება.⁵⁰

აქედან გამომდინარე, აშშ-ში განსაზღვრულია, თუ რის შესახებ შეუძლია ან არ შეუძლია პროკურორს საჯარო განცხადების გაკეთება. მაგალითად, პროკურორს შეუძლია საზოგადოებას გააცნოს შემდეგი ინფორმაცია: ბრალდებულის სახელი და გვარი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, წარდგენილი ბრალის არსი ან საბრალდებო დასკვნის ტექსტი. ასევე, მას შეუძლია საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიებისა და დაკავების ორგანოს, გამოძიების ხანგრძლივობისა და მასშტაბის შესახებ. ასევე, შეიძლება ბრალდებულის დაკავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროება. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია დაკავების დროის, ადგილის, დაკავებაში მონაწილე სამართალდამცავი პირების ვინაობის შესახებ ან ინფორმაცია წინააღმდეგობის გაწევის, დადევნებისა, იარაღის ფლობისა და გამოყენების, დაკავებისა ან ჩხრეკის შედეგად ჩამორთმეული ნივთების აღწერილობის შესახებ. ასევე, საჯარო სახელმწიფო ორგანოებში ბრალდებულის შესახებ არსებული ინფორმაცია, რომელთა გავრცელებაც ემსახურება საჯარო ინტერესს.⁵¹

პროკურატურა ვალდებულია თავი შეიკავოს ბრალდებულის კრიმინალური წარსულის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთებისაგან და არ შეუძლია საჯაროდ დაახასიათოს ბრალდებული. ასევე, დაუშვებელია ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების ან ჩვენების მიცემაზე ბრალდებულის უარის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთება. ამასთან, პროკურორმა არ უნდა გაასაჯაროს ექსპერტიზის შედეგები, რომლებიც *inter alia* შეიძლება ეხებოდეს თითის ანაბეჭდებს, პოლიგრაფიულ კვლევას, ბალისტიკურ ან ლაბორატორიულ ტესტს. ასევე, დაუშვებელია განცხადებები გაკეთდეს ექსპერტიზაში მონაწილეობაზე ბრალდებულის უარის შესახებ. პროკურატურამ ასევე, თავი უნდა შეიკავოს ისეთი განცხადებებისაგან, რომლებიც ეხება სავარაუდო მოწმეების ვინაობასა და სანდოობას ან საქმეში არსებულ მტკიცებულებებსა და მხარეთა არგუმენტაციას და პროკურატურამ არ უნდა გამოხატოს მოსაზრებები ბრალდებულის დამნაშავეობისა და ბრალის აღიარების შესახებ.⁵²

თუ პროკურორი დაარღვევს საჯარო განცხადებისთვის დადგენილ ზემოაღნიშნულ ეთიკის წესებს, რომლებიც დადგენილია ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) მიერ, მის მიმართ შეიძლება დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება, სახდელად კი, შეიძლება განესაზღვროს როგორც პირადი საყვედური, ისე პროკურორის საქმიანობის განხორციელების აკრძალვა და სხვა.⁵³ მაგალითად, დისციპლინური სამართალწარმოების გზით პროკურორის საქმიანობის განხორციელების აკრძალვას ადგილი ჰქონდა დიუკ ლაკროსის საქმის ხელმძღვანელი რაიონული პროკურორის, მაიკ ნაიფონგის (Mike Nifong) მიმართ. მოცემული საქმე ეხებოდა დიუკის უნივერსიტეტის ლაკროსის⁵⁴ გუნდის სამ მოთამაშეს, რომლებსაც ბრალი ედებოდათ, მათ მიერ მოწყობილ წვეულებაზე მოწვეული ფერადკანიანი სტრიპტიზორი ქალის გაუპატიურებაში.⁵⁵ პროკურორი მაიკ ნაიფონგი მედიაში არაერთხელ გამოვიდა ბრალდებულების მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი განცხადებებით. ბრალდებულებს პროკურორმა საჯაროდ უწოდა „ხულიგნების დაჯგუფება“, რომლებმაც ჩაიდინეს „ჯგუფური გაუპატიურება“ „რასისტული შეუწყნარებლობის“ მოტივით. ნაიფონგმა ისინი დაადანაშაულა იმაში, რომ „არ უნდოდათ ელიარებიანთ ის საშინელება, რაც მათ ჩაიდინეს“, ამასთან,

მათი ქმედებები მიიჩნია „შეურაცხმყოფელ, ამორალურ, დასჯად და შემაშფოთებელ“ ქმედებებად. ნაიფონგი ამტკიცებდა, რომ ბრალდებულები „არ ამბობდნენ სიმართლეს,“ იგი დარწმუნებული იყო, რომ „ადგილი ჰქონდა გაუპატიურებას,“ ვინაიდან დაზარალებულის ქცევა და მიღებული ტრავმები „დანამდვილებით მიუთითებდნენ სექსუალური დანაშაულის ჩადენაზე.“ გამოძიებისას გამოვლინდა, რომ დაზარალებულს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები და რომ იგი იტყუებოდა გაუპატიურების ჩადენის შესახებ. შედეგად, სამივე ბრალდებულის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.⁵⁶

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის წესების გარდა, პროკურორის მიერ საჯარო განცხადების გაკეთებაზე შეზღუდვა დაწესებულია უმეტესი ფედერალური რაიონული სასამართლოს მიერ. სასამართლოს წესებში მოცემულია გარკვეული საკითხები, რომლებზეც საჯარო განცხადების გაკეთება ივარაუდება, რომ ზიანს მოუტანს ბრალდებულს. მაგალითად, მოცემულ კატეგორიაში ხვდება საჯარო განცხადება ბრალდებულის კრიმინალურ წარსულზე ან ბრალდებულის აღიარებით ჩვენებაზე.⁵⁷

სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადების რეგულირების კიდევ ერთ სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს სასამართლოს მიერ კომუნიკაციის აკრძალვის ბრძანება (Gag order). კომუნიკაციის აკრძალვის ბრძანება წარმოადგენს კომუნიკაციის წინასწარი შეზღუდვის ფორმას, რომელიც მხარეებს, ადვოკატებს, პროკურორებს, მოწმეებს, სამართალდამცავ პირებს, ნაფიც მსაჯულებს ან სხვა პირებს უკრძალავს პრესასთან ურთიერთობას. ძირითადად, მოცემული ბრძანების გამოცემის შუამდგომლობას აყენებს პროცესის მხარე, მაგრამ შეიძლება მოსამართლემ საკუთარი ინიციატივითაც გამოსცეს ბრძანება. მოსამართლეები კომუნიკაციის აკრძალვის ბრძანებას ხშირად „დამცავ ბრძანებას“ უწოდებენ და ამბობენ, რომ იგი საჭიროა როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების დასაცავად, ისე სწორი მართლმსაჯულების განხორციელებისა და ნაფიცი მსაჯულების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. მათი მოსაზრებით, კომუნიკაციის აკრძალვის ბრძანება შესაბამისობაში მოდის კონსტიტუციასთან, რადგან იგი ეფუძნება მაღალ ალბათობას, რომ გაკეთებული განცხადება ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესს. კომუნიკაციის აკრძალვის ბრძანებით შესაძლებელია პოლიციას, რომელიც იძიებდა საქმეს, აეკრძალოს მოპოვებული მტკიცებულების შესახებ განცხადების გაკეთება. მხარეს ასევე, შეიძლება აეკრძალოს სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების შესახებ, მოწმეების მოსალოდნელ ჩვენებებსა ან მოწინააღმდეგე მხარის საქმის დასაბუთებულობაზე განცხადების გაკეთება. თუმცა, დაუშვებელია მხარისათვის ყველა საკითხზე კომუნიკაციის აკრძალვა, ვინაიდან იგი იქნება არაკონსტიტუციური.⁵⁸

2. საჯარო განცხადებებში გამოყენებული ტერმინოლოგია

გარდა იმისა, თუ რომელ საკითხზე შეიძლება გაკეთდეს განცხადება და რომელზე არა, – მნიშვნელოვანია, უშუალოდ პროკურატურის მიერ მომზადებულ პრესრელიზებში გამოყენებული ტერმინოლოგიის განხილვა.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერზე განთავსებულ ყველა პრესრელიზში დანაშაულის ჩადენის შესახებ პროკურატურის ვარაუდი იწყება სიტყვებით – „საბრალდებო დასკვნის შესაბამისად“ (according to the charging document) და გრძელდება ფაქტების გადმოცემა, მაგალითად:

„საბრალდებო დასკვნის შესაბამისად, 2018 წლის 23 სექტემბერს გემი, კაპიტან ბილი ჰეივერის მეთაურობით, მიცურავდა...“ შემდეგ, როდესაც ბრალდებულის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე იწყება საუბარი, გამოყენებულია ტერმინი „ივარაუდება, რომ“ (It is alleged). ასე მაგალითად: „ივარაუდება, რომ შუადღისას, კაზკები, რომელსაც ერთ ხელში ეჭირა ჩაქური და მეორე ხელში დანა, თავს დაესხა ერთ-ერთ მეზღვაურს.⁵⁹ აშშ-ის პროკურატურის არცერთ პრესრელიზში არ არის გამოყენებული ტერმინები „გამოძიებით დადგენილია“ ან „მოცემული მტკიცებულება ცხადყოფს.“ ამასთან, ყველა პრესრელიზი, რომელიც ეხება პირისათვის ბრალის წაყენებას, მთავრდება უდანაშაულობის პრეზუმფციამე მიმართებული წინადადებით, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ბრალდება წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს. ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინდება სასამართლოს წესით.“ ამასთან, პრესრელიზები არ შეიცავს მოპოვებულ მტკიცებულებებს და არ ხდება ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებებისა, დაზარალებულისა თუ მოსალოდნელი მოწმეების ჩვენებების გასაჯაროება.⁶⁰

IV. საქართველოში საჯარო განცხადების გაკეთების სტანდარტი

1. საქართველოს პროკურატურის საინფორმაცია პოლიტიკა

როგორც უკვე შესავალში აღინიშნა, საქართველოს პროკურატურა მუდმივ რეჟიმში აქვეყნებს პრესრელიზებს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. იგი დანაშაულის ჩადენის შესახებ საკუთარი ვერსიის გადმოცემას ძირითადად, იწყებს სიტყვებით, „გამოძიებით დადგინდა, რომ“ და შემდეგ იმპერატიულ, მტკიცებით ტონში აგრძელებს ინფორმაციის მოწოდებას. მაგალითად, „გამოძიებით დადგინდა, რომ ...მ. კ.-მ ...ორჯერ გასროლით მოკლა რ. მ. ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, მ.კ.-მ ლ.ჯ.-ს და მისი მცირეწლოვანი შვილის – ქ. ი.-ს მკვლელობა გადაწყვიტა. ...მ. კ.-მ, 4 წლის ქ. ი. ასევე თოფიდან გასროლით მოკლა, რ.მ.-ს გვაში და გასროლილი მასრები მდინარეში გადააგდო, ხოლო ქ. ი.-ს ცხედარი, მათ კუთვნილ ნივთებთან ერთად შემთხვევის ადგილის მიმდებარედ არსებულ თოვლის ზვავის ქვეშ ბუნებრივად წარმოშობილ მცირე ზომის ქვაბულში გადამალა და შემთხვევის ადგილი დატოვა.“⁶¹

პროკურატურის პრაქტიკის ამსახველ განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს მ. პ.-ის საქმე, სადაც მ. პ.-ს ბრალად ედებოდა საკუთარი შვილისა და მეუღლის განზრახ მკვლელობა. პროკურატურამ გამოძიების ეტაპზევე, საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა გამოძიების შუალედური ანგარიში, რომლითაც გაასაჯაროვა მოპოვებული მტკიცებულებები, მათ შორის, სავარაუდო მოწმეების ჩვენებები და მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საზოგადოებას მტკიცებითი ფორმით ამცნო დანაშაულის ჩადენის შესახებ მისი ვერსიის დეტალები. აღსანიშნავია, რომ მოცემული დროისათვის სასამართლოში საქმის განხილვა ჯერ არ იყო დაწყებული. შესაბამისად, ე. წ. მტკიცებულებებს არ ჰქონდათ წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებობის ეტაპი გავლილი და უცნობი იყო, დაერთვებოდა თუ არა საქმეს მოპოვებული ინფორმაცია მტკიცებულებების სახით. შუალედურ ანგარიშში იკითხებოდა შემდეგი ინფორმაცია: „გამოძიების დაწყებიდან მალევე დადგინდა, რომ დანაშაულის იარაღი – ურო მ. პ.-მ მალაზიაში სწორედ დანაშაულის ჩადენის დღეს შეიძინა, რასაც ადასტურებს

როგორც მაღაზიის გამყიდველის ჩვენება და ამოცნობის ოქმი, ასევე ამოღებული ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს თუ როგორ გადაადგილდება მაღაზიიდან გამოსული მ. პ. უროთი ხელში, შვილთან ერთად. (იხ. ვიდეოჩანაწერი);“ „მეუღლისა და შვილის მკვლელობის ჩადენის შემდეგ, მ. პ. შეეცადა კვალის წაშლას, კერძოდ, გაწმინდა იატაკი, ავეჯი, ნაგვის ურნაში გადაყარა სისხლიანი ნივთები და გვერდით მცხოვრები დედამთილის საცხოვრებელ ოთახში არსებულ სარეცხის მანქანაში გარეცხა სისხლით დასვრილი იმ დივანის გადასაფარებელი, რომელზეც თავში უროს ჩარტყმით მოკლა მწოლიარე მეუღლე. აღნიშნული გარემოება დადგენილია ჩვენებით (იხ.: ჩვენება 1, ჩვენება 2);“ ის ფაქტი, რომ მ. პ.-მ მეუღლე მათსავე საცხოვრებელ ოთახში მოკლა, ასევე დადასტურებულია ო. ქ-ის დედის, დ.მ-ის ჩვენებითაც;“ „ხსენებული ჩანაწერის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ მ. პ.-ს წინასწარ ჰქონდა განზრახული მეუღლისა და შვილის მკვლელობა, გეგმავდა თუ როგორ უნდა განეხორციელებინა აღნიშნული და წაეშალა დანაშაულის კვალი.“ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილია...“⁶²

მოცემულ შუალედურ ანგარიშში არსად არის მითითებული, რომ აღნიშნული ინფორმაცია, მხოლოდ პროკურატურის ვარაუდია და რომ ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

შუალედური ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, პროკურორმა ჟურნალისტებთან საუბრისას არაერთ-ხელ წარმოთქვა ისეთ ფრაზები, როგორიცაა „სწორად იმიტომაც აქვს ბრალად წარდგენილი ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა მათ შორის, ერთი არასრულწლოვანის, რომ (...) მან განზრახ ჩაიდინა ეს დანაშაული, არანაირ გაუფრთხილებლობას აქ ადგილი არ ჰქონია.“⁶³ ამასთან, პროკურორმა ტელეკომპანია „პირველი არხისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბრალდება გადმოსცა შემდეგი სიტყვებით: „ჩანაწერში მ. პ. მიუთითებს და გარკვეულწილად, ჩამოწერილი აქვს ის გეგმა, თუ როგორ უნდა განეხორციელოს მკვლელობა და შემდეგ როგორ უნდა იმოქმედოს კვალის წაშლის მიზნით. კვალის დაფარვასთან დაკავშირებით, მას შემდგომ, რაც მოხდა დანაშაული, მ. პ.-მ მოასუფთავა დანაშაულის ადგილი, ანუ მათი საცხოვრებელი ოთახი, ოთახიდან ყველა ის ნივთი, რომელზეც აღინიშნებოდა სისხლის კვალი, გადაყარა მიმდებარე ტერიტორიაზე... მ. პ.-ს ჰყავდა მეგობარი მამაკაცი, ქმართან არ ჰქონდა ურთიერთობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჰქონდა აგრესიული დამოკიდებულება მეუღლისა და შვილის მიმართ, სწორედ ეს გახდა დანაშაულის ჩადენის მოტივი.“⁶⁴ პროკურორმა ასევე, ისაუბრა სასამართლოს დახურულ სხდომაზე მიცემულ იმ ჩვენებაზე, რომელიც ბრალდებულის სექსუალურ ცხოვრებას ეხებოდა.⁶⁵

პროკურატურის მიერ მტკიცებულებების გასაჯაროებასა და იმპერატიულ ტონში საუბარს ასევე, ჰქონდა ადგილი 2018 წლის მ. კ.-ს გახმაურებულ საქმეში, სადაც 19 წლის მ. კ.-ს ბრალად ედებოდა არასრულწლოვანისა და ორი პირის განზრახ მკვლელობა. პროკურატურამ გაასაჯაროვა ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება და პრესრელიზებშიც გამოიყენა სიტყვები „გამოძიებით დადგენილია, რომ ორჯერ გასროლით მოკლა რ. მ“ „ამის შემდეგ, მ. კ.-მ, 4 წლის ქ. ი. ასევე, თოფიდან გასროლით მოკლა.“⁶⁶

2. საქართველოს პროკურატურის საინფორმაციო პოლიტიკის მომწესრიგებელი ნორმები

პროკურატურის მუშაკთა ურთიერთობას მედიასთან და საზოგადოებასთან აწესრიგებს საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი.⁶⁷ კოდექსის მე-6 მუხლი არეგულირებს პროკურორის

საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხს. აღნიშნულის თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობისას, პროკურორი ვალდებულია „ტაქტიანად“ გამოხატოს დასაბუთებული კრიტიკა, პატივი სცეს სხვისი აზრის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები.“ აღნიშნული ნორმა ხარვეზიანია რამდენიმე მიზეზთა გამო. უპირველესად ყურადღება უნდა გამახვილდეს სიტყვებზე „თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები“ სამართლებრივ ტრილში გაუგებარია, თუ როგორ უნდა შეილახოს ადამიანის უფლებები, როდესაც პროკურორი პატივს სცემს სხვის უფლებებს და როცა იგი ტაქტიანად საუბრობს. ამავე დროს მოცემული ნორმა პროკურორს ავალდებულებს საზოგადოებასთან ურთიერთობისას პატივი სცეს მხოლოდ ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს და არა მართლმსაჯულებისა და ბრალდებულის ინტერესებს.

კოდექსით ასევე, მოწესრიგებულია სისხლის სამართლის საქმეზე კომენტარის გაკეთების საკითხიც. კოდექსის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ მისი ან პროკურატურის სხვა მუშაკის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეზე კომენტარის გაკეთება, თუ ეს ზიანს მიაყენებს გამოძიების ინტერესებს. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ასევე დაუშვებელია კომენტარის გაკეთება, თუ ეს ზიანს მიაყენებს პროცესის რომელიმე მონაწილეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჯარო ინტერესი მოითხოვს საზოგადოების ინფორმირებას მოცემულ საკითხზე ან ინფორმაციის გამოქვეყნება ემსახურება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მიზანს.

აღნიშნული ნორმაც ასევე, იმსახურებს კრიტიკას. უპირველესად აღსანიშნავია, რომ ნორმა ბრალდებულისათვის სამართლიანი სასამართლოს პროცესის უზრუნველყოფის ნაცვლად, უპირატესობას ანიჭებს პროკურატურის ინტერესების დაცვას. კერძოდ, კომენტარის გაკეთება დაუშვებელია და არ იცნობს საგამონაკლისო შემთხვევას, თუ ეს ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, მაგრამ თუ კომენტარი ზიანს მიაყენებს ბრალდებულს, მაგრამ იგი „მოემსახურება“ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას, მაშინ პროკურორს შეუძლია ბრალდებულის საზიანო კომენტარის გაკეთება. რა თქმა უნდა, ზიანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად ჩაითვლება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურის ეთიკის მუშაკთა კოდექსი უშვებს პროკურატურის ინტერესების დაცვის სანაცვლოდ ბრალდებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის შესაძლებლობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურის ინტერესში ასევე, უნდა შედიოდეს საზოგადოების ნდობა, რომელიც ვერ იქნება მოპოვებული პროცესის მონაწილეების უფლებების დარღვევის ფონზე.

გარდა ამისა, კოდექსის მე-18 მუხლი არეგულირებს საჯარო განცხადებების გაკეთების წესს. მოცემული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და საჯარო გამოსვლების დროს გაკეთებული ოფიციალური წერილობითი ან სიტყვიერი განცხადებები უნდა იყოს საქმიანი და კარგად გააზრებული. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ ეს განცხადებები შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც საქართველოს პროკურატურის პოზიცია.“

მოცემული მუხლი პრობლემურია რამდენიმე გარემოების გამო: პირველი, ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება სიტყვა „საქმიანში“. სავარაუდოდ, მასში მოაზრება ისეთი განცხადებები, რომლებიც

საქმესთან არის დაკავშირებული თუმცა, აღნიშნული მხოლოდ ვარაუდია და სიტყვა „საქმიანის“ ერთგვაროვანი განმარტება სირთულეს წარმოადგენს. ასევე, გაურკვეველი და სამართლებრივად ფართო განმარტების საგანია სიტყვები „კარგად გააზრებული.“ შეიძლება პროკურორმა კარგად გაიაზროს ესა თუ ის წინადადება, მაგრამ ამავდროულად, ბრალდებული დამნაშავედ წარმოაჩინოს. მ. პ-ის საქმეში სიტყვები – „გამოძიებით დადგენილია,....განზრახ ჩაიდინა დანაშაული“ არაერთხელ იქნა გამოყენებული როგორც პროკურატურის ვებგვერდზე გაკეთებულ შუალედურ დასკვნაში, ისე პროკურორის ინტერვიუებში. პროკურატურის მტკიცებითი პოზიცია საქმის დასრულებამდე და განაჩენის გამოტანის შემდეგ იგივე დარჩა. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროკურატურის პრესრელიზებში სიტყვებს „ნაჩქარევად და გაუაზრებლად“ კი არ იყენებს, არამედ მიზანმიმართულად აქვს შერჩეული და ამ ფორმით ინფორმაციის მოწოდება პროკურატურის პოლიტიკის ნაწილია.

დასკვნა

სტატიაში განხილული საკითხებიდან იკვეთება, პროკურატურის საინფორმაციო პოლიტიკა ვერ პასუხობს უდანაშაულობის პრეზუმციის მოთხოვნებს. იგი აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, საჯარო განცხადებები უნდა გაკეთდეს დიდი სიფრთხილით და თავშეკავებით. თუმცა, პროკურატურის პრესრელიზებში (განსაკუთრებით გახმაურებულ საქმეებში) გამოყენებული სიტყვები – „გამოძიებით დადგენილია,“ „დადასტურებულია ჩვენებით,“ „ანალიზი ცხადყოფს,“ „აღნიშნული გარემოება დადგენილია“ და პროკურატურის მუშაკთა მიერ ნათქვამი სიტყვები – „მოკლა მეუღლე და გაგუდა მცირეწლოვანი შვილი,“ „განზრახ ჩაიდინა დანაშაული,“ „გაუფრთხილებლობას ადგილი არ ჰქონია“ – ვერ ჩაითვლება ფრთხილ და თავშეკავებულ განცხადებებად, ვინაიდან ისინი პირდაპირ მიუთითებენ პირის ბრალეულობაზე და არ ტოვებენ სივრცეს, რომ მიწოდებული ინფორმაცია საზოგადოებამ აღიქვას როგორც ვარაუდი დანაშაულის ჩადენის შესახებ. ამასთან, საქართველოს პროკურატურის მიერ გაკეთებული განცხადებები ემსგავსება იმ განცხადებებს, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უწოდებს „პირდაპირ განცხადებას“ (clear declaration), სადაც პირი პირდაპირ დახასიათებულია როგორც დამნაშავე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურა ამგვარი საინფორმაციო პოლიტიკით უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპს არღვევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ პროკურატურამ გაითვალისწინოს საერთაშორისო დონეზე მოქმედი სტანდარტები და თავისი საქმიანობა მათ შესაბამისად წარმართოს. აუცილებელია, რომ პროკურატურამ პრესრელიზებში შეცვალოს ტერმინოლოგია და სიტყვების – „დადგენილია, დადასტურებულია, ანალიზი ცხადყოფს და სხვა“ გამოიყენოს – „საბრალდებო დასკვნის შესაბამისად“ ან მსგავსი ტერმინოლოგია, რომელიც წარმოდგენილ ინფორმაციას არ წარმოაჩენს დამტკიცებულ და უტყუარ ინფორმაციად. ამასთან აუცილებელია, რომ პრესრელიზებსა და ნებისმიერ სხვა საჯარო განცხადებაში გაკეთდეს მითითება უდანაშაულობის პრეზუმციაზე, რათა საზოგადოებაში არ მოხდეს ბრალდებულის სტიგმატიზაცია. გარდა ამისა, მნიშველოვანია, რომ პროკურატურის

მუშაკებმა სისხლის სამართლის საქმეზე კომენტარიის გაკეთებისას, მიუთითონ, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია და სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ. ამასთან აუცილებელია, პროკურატურის ეთიკის კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არეგულირებს პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობას, მოვიდეს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

ასევე, მიუღებელია პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გასაჯაროების პრაქტიკა. სტატიაში აშშ-ის რეგულაციებისა და პრაქტიკის გაანალიზებით ცხადი გახდა, რომ შეჯიბრებითობის სისტემა არ ამართლებს ნებისმიერი ინფორმაციის გასაჯაროებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შემუშავდეს სამართლებრივი რეგულაციები და დადგინდეს, თუ რა სახის ინფორმაცია შეიძლება ან არ შეიძლება გასაჯაროვდეს პროკურატურის მიერ.

შენიშვნები:

- ¹ Gershman, Bennett L., The Prosecutor's Duty of Silence, Pace University, DigitalCommons@Pace, Pace Law Faculty Publications School of Law, 2016, p. 1183-1184 (ობ.: <https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2014&context=lawfaculty>); Matheson, Scott, Jr. M., The Prosecutor, The Press, and Free Speech, Fordham Law Review, Volume 58 | Issue 5 Article 1, 1990, p. 868 (ობ.: <https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2878&context=fldr>).
- ² Matheson, Scott, Jr. M., The Prosecutor, The Press, and Free Speech, Fordham Law Review, Volume 58 | Issue 5 Article 1, 1990, p. 879 (ობ.: <https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2878&context=fldr>).
- ³ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულია ადამიანის სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ხოლო 24-ე მუხლით ინფორმაციის თავისუფლება. მოცემულ თავისუფლებებს ერთად შეიძლება ეწოდოს კომუნიკაციის თავისუფლებები.
- ⁴ Reike, Anne, Die Rolle der Staatsanwaltschaft in der Mediengesellschaft, Verlag Dr. Kovač, 2012, S. 5-6.
- ⁵ Kettner, Peter, Der Informationsvorsprung der Staatsanwaltschaft im Ermittlungsverfahren, Verlag Tenea, Band 7, 2002, S. 163 (ობ.: http://www.jurawelt.com/sunrise/media/mediafiles/13830/tenea_juraweltbd7.pdf).
- ⁶ ECtHR, McKerr v. the United Kingdom, N 28883/95, 04/05/2001.
- ⁷ საქართველოს პროკურატურის პრესრელიზები (ობ.: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1695; http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1137).
- ⁸ საქართველოს პროკურატურის შუალედური ანგარიში მ. პ.-ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, 19/02/2016 (ობ.: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=871).
- ⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.
- ¹⁰ Meyer, Jürgen, Charte der Grundrechte der Europäischen Union, Verlag Nomos, 4. Auflage, 2014, Rn. 10, 6.
- ¹¹ Stukenberg, Carl Friedrich, Untersuchungen zur Unschuldsvermutung, Verlag Walter de Gruyter, 1998, S. 367.
- ¹² ECtHR: Allenet de Ribemont v. France, N15175/89, 10/02/1995, § 35; Butkevicius v. Lithuania, N. 48297/99, 26/03/2002, § 49; Ismoilov and others v. Russia, N 2947/06, 24/04/2008, § 161.

- ¹³ Stukenberg, Carl Friedrich, Untersuchungen zur Unschuldsvermutung, Verlag Walter de Gruyter, 1998, S.367, Rn.18c.
- ¹⁴ Tanos, Ariana, Shelding the presumption of innocence from pretrial media coverage, Indiana Law review, Vol 50:997, p. 999 (ობ: <https://mckinneylaw.iu.edu/ilr/pdf/vol50p997.pdf>).
- ¹⁵ შემდგომში – კონვენცია.
- ¹⁶ Directive (EU) 2016/343 of the European Parliament and of the Council of 9 March 2016 on the strengthening of certain aspects of the presumption of innocence and of the right to be present at the trial in criminal proceedings.
- ¹⁷ Beck'scher Online-Kommentar stop mir RiStBV und MiStra, Graf, EMRKArt.6 Recht auf ein faires Verfahren, 27. Edition, 2017, Rn. 11.
- ¹⁸ Beck-Online: Calliess/Ruffert, EUV/AEUV und Europäischer Grundrechtscharta (Kommentar), EU-GR Charta Art. 48 Unschuldsvermutung und Verteidigungsrechte. 5. Auflage, 2016, Rn.4.
- ¹⁹ Beck-Online: Jarass, Hans D., Charta der Grundrechte der EU (Kommentar), EU-Grundrechte-Charta Art.48 Unschuldsvermutung und Verteidigungsrechte, 3. Auflage 2016, Rn.10; ECtHR, Daktaras v. Lithuania, N 42095/98, 10/10/2000, § 42.
- ²⁰ ECtHR, Khuzhin and Others v. Russia, N 13470/02, 23/10/2008, 93, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (ავტორთა კოლექტივი), 2015, გვ. 50.
- ²¹ Beck-Online: Grabenwarter/Pabel, Europäische Menschenrechtskonvention, § 24. Verfahrens- und Justizgarantien, 6. Auflage 2016, Rn.142.
- ²² ECtHR, Kouzmin c. Russie, N 58939/00, 18/03/2010, §§ 59-62, Council of Europe, Dovydas Vitkauskas Grigoriy Dikov, Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights, 2012, p. 78 (ობ: <https://rm.coe.int/16806f15fa>)
- ²⁴ Esser, Robert, Europäisches und Internationales Strafrecht, 2. Auflage, C.H.Beck, S. 228, Rn. 276.
- ²⁵ Esser, Robert, Europäisches und Internationales Strafrecht, 2. Auflage, C.H.Beck, S. 228, Rn. 276; ECtHR, Fatullayev v. Azerbaijan, N 40984/07, 22/04/2010 § 159; Allenet de Ribemont v. France, N15175/89, 10/02/1995, § 38; Garycki v. Poland, N 14348/02 , 06/02/2007, § 69.
- ²⁶ Klenk, Florian, Pressefreiheit und Unschuldsvermutung, Dissertation an der Universität Wien, 2010, S. 85 (ობ: <http://docplayer.org/8939305-Pressefreiheit-unschuldsvermutung-und-rechtsprobleme-der-kriminalberichterstattung-dissertation.html>)
- ²⁷ Beck'scher Online-Kommentar stop mir RiStBV und MiStra, Graf, EMRKArt.6 Recht auf ein faires Verfahren, 27. Edition, 2017, Rn. 32
- ²⁸ Esser, Robert, Europäisches und Internationales Strafrecht, 2. Auflage, C.H.Beck, S. 228, Rn. 276.
- ²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (ავტორთა კოლექტივი), 2015, გვ. 51.
- ³⁰ ECtHR, Daktaras v. Lithuania, N 42095/98, 10/10/2000, § 41; Fatullayev v. Azerbaijan, N 40984/07, 22/04/2010, §13, 2010; Borovsky v. Slovakia, N 24528/02, 02/06/2009, § 46.
- ³¹ Beck-Online: Grabenwarter/Pabel, Europäische Menschenrechtskonvention, § 24. Verfahrens- und Justizgarantien, 6. Auflage 2016, Rn.142.
- ³² Klenk, Florian, Pressefreiheit und Unschuldsvermutung, Dissertation an der Universität Wien, 2010, S. 84 (ობ: <http://docplayer.org/8939305-Pressefreiheit-unschuldsvermutung-und-rechtsprobleme-der-kriminalberichterstattung-dissertation.html>).
- ³³ Klenk, Florian, Pressefreiheit und Unschuldsvermutung, Dissertation an der Universität Wien, 2010, S. 84 (ობ: <http://docplayer.org/8939305-Pressefreiheit-unschuldsvermutung-und-rechtsprobleme-der-kriminalberichterstattung-dissertation.html>).

- ³⁴ Klenk, Florian, Pressefreiheit und Unschuldsvermutung, Dissertation an der Universität Wien, 2010, S. 82 (ობ.: <http://docplayer.org/8939305-Pressefreiheit-unschuldsvermutung-und-rechtsprobleme-der-kriminalberichterstattung-dissertation.html>).
- ³⁵ ECtHR: *Allenet de Ribemont v. France*, N15175/89, 10/02/1995.
- ³⁶ Beck-Online: Grabenwarter/Pabel, Europäische Menschenrechtskonvention, § 24. Verfahrens- und Justizgarantien, 6. Auflage 2016, Rn.142.
- ³⁷ ECtHR, *Borovský v. Slovakia*, N 24528/02, 02/06/2009, §§ 48-54.
- ³⁸ ECtHR, *Ismoilov and others v. Russia*, N 2947/06, 24/04/2008, §§ 9-11.
- ³⁹ ECtHR, *Fatullayev v. Azerbaijan*, N 40984/07, 22/04/2010, §§ 15-16.
- ⁴⁰ Klenk, Florian, Pressefreiheit und Unschuldsvermutung, Dissertation an der Universität Wien, 2010, S. 82 (ობ.: <http://docplayer.org/8939305-Pressefreiheit-unschuldsvermutung-und-rechtsprobleme-der-kriminalberichterstattung-dissertation.html>).
- ⁴¹ ECtHR, *Daktaras v. Lithuania*, N 42095/98, 10/10/2000, §§ 40-45.
- ⁴² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, N 9043/05 29/04/2014, §§103-106.
- ⁴³ Schabas, William A.; *The European Convention on Human Rights – A Commentary*, Oxford University Press, 2015, p. 298.
- ⁴⁴ OSCE, ODIHR, *Legal Digest of International Fair Trial Rights*, 2012, p. 95-96 (ობ.: <https://www.osce.org/odihr/94214?download=true>); UN Doc CCPR/C/69/D/770/1997 (2000) (ობ.: <https://lovdata.no/static/UNHR/ccpr-1997-0770.pdf>).
- ⁴⁵ UN Doc CCPR/C/69/D/770/1997 (2000) par. 3.5 (ობ.: <https://lovdata.no/static/UNHR/ccpr-1997-0770.pdf>).
- ⁴⁶ UN Doc CCPR/C/69/D/770/1997 (2000) par. 8.3 (ობ.: <https://lovdata.no/static/UNHR/ccpr-1997-0770.pdf>).
- ⁴⁷ OSCE, ODIHR, *Legal Digest of International Fair Trial Rights*, 2012, p. 96 (ობ.: <https://www.osce.org/odihr/94214?download=true>).
- ⁴⁸ შემდგომში – აშშ.
- ⁴⁹ Gershman, Bennett L., *The Prosecutor’s Duty of Silence*, Pace University, DigitalCommons@Pace, Pace Law Faculty Publications School of Law, 2016, p. 1203 (ობ.: <https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2014&context=lawfaculty>); ABA, *Model Rules of Professional Conduct*, Rule 3.6 (a), Rule 3.8 (f) (ობ.: https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html); 28 C.F.R § 50.2 (b) (ობ.: <https://www.law.cornell.edu/cfr/text/28/50.2>).
- ⁵⁰ ABA, *Model Rules of Professional Conduct*, Rule 3.6 (a) (ობ.: https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html); ABA, *Criminal Justice Standards for the Prosecution Function*, 4th edition, Standard 3-1.10(c) (ობ.: https://www.americanbar.org/groups/criminal_justice/standards/ProsecutionFunctionFourthEdition-TableofContents.html).
- ⁵¹ ABA, *Model Rules of Professional Conduct*, Rule 3.8 (f) (ობ.: https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html); National District Attorneys Association, *National Prosecution Standards*, 3rd edition, 2-14.2 (ობ.: <https://ndaa.org/wp-content/uploads/NDAA-NPS-3rd-Ed.-w-Revised-Commentary.pdf>).
- ⁵² National District Attorneys Association, *National Prosecution Standards*, 3rd edition, 2-14.3 (ობ.: <https://ndaa.org/wp-content/uploads/NDAA-NPS-3rd-Ed.-w-Revised-Commentary.pdf>); Gershman, Bennett L., *The Prosecutor’s Duty of Silence*, Pace University, DigitalCommons@Pace, Pace Law Faculty Publications School of Law, 2016, p. 1203 (ობ.: <https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2014&context=lawfaculty>).

- ⁵³ 28 C.F.R. § 50.2(4) (6) (იხ.: <https://www.law.cornell.edu/cfr/text/28/50.2>); Gershman, Bennett L., The Prosecutor’s Duty of Silence, Pace University, DigitalCommons@Pace, Pace Law Faculty Publications School of Law, 2016, p. 1204 (იხ.: <https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2014&context=lawfaculty>).
- ⁵⁴ Matheson, Scott, Jr. M., The Prosecutor, The Press, and Free Speech, Fordham Law Review, Volume 58 | Issue 5 Article 1, 1990, p. 872-873 (იხ.: <https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2878&context=f1r>).
- ⁵⁵ ლაკროსი არის სპორტული გუნდური თამაში, რომელსაც ხელვობები და ტყავის ბურთით თამაშობენ ბალახის საფარით დაფარულ მოედანზე.
- ⁵⁶ Mosteller, Robert P., Exculpatory Evidence, Ethics, and the Road to the Disbarment of Mike Nifong: The Critical Importance of Full Open-File Discovery, Faculty Publications Faculty Scholarship, University of North Carolina School of Law Carolina Law Scholarship Repository, 2008. p. 285-287 (იხ.: https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2486&context=faculty_scholarship)
- ⁵⁷ Gershman, Bennett L., The Prosecutor’s Duty of Silence, Pace University, DigitalCommons@Pace, Pace Law Faculty Publications School of Law, 2016, p. 1204 (იხ.: <https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2014&context=lawfaculty>); Mosteller, Robert P., The Duke Lacrosse Case, Innocence, and False Identifications: A Fundamental Failure to “Do Justice” 1337, . 76 Fordham Law Review , 2007, p. 1338, 1372, 1376 (იხ.: https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2345&context=faculty_scholarship).
- ⁵⁸ Matheson, Scott, Jr. M., The Prosecutor, The Press, and Free Speech, Fordham Law Review, Volume 58 | Issue 5 Article 1, 1990, p. 877 (იხ.: <https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2878&context=f1r>).
- ⁵⁹ The Reporters Committee for Freedom of the Press, The First Amendment Handbook Seventh Edition, 2011, p. 47-49 (იხ.: <https://www.rcfp.org/rcfp/orders/docs/FAHB.pdf>).
- ⁶⁰ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული პრესრელიზები (იხ.: <https://www.justice.gov/usao-ma/pr/mexican-national-charged-murder-aboard-fishing-vessel-55-miles-massachusetts-coast>; <https://www.justice.gov/usao-nj/pr/six-paterson-new-jersey-men-charged-stealing-300000-checks-dozens-mail-collection-boxes>; <https://www.justice.gov/usao-cdca/pr/four-inmates-charged-first-degree-murder-beating-death-fellow-inmate-federal-prison>).
- ⁶¹ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული პრესრელიზები (იხ.: <https://www.justice.gov/usao-cdca/pr/four-inmates-charged-first-degree-murder-beating-death-fellow-inmate-federal-prison>; <https://www.justice.gov/usao-mdpa/pr/juniata-county-business-man-charged-1-million-loan-fraud>; <https://www.justice.gov/usao-cdca/pr/inland-empire-man-surrenders-face-charges-filing-bankruptcy-petitions-after-being-order>; <https://www.justice.gov/usao-ma/pr/mexican-national-charged-murder-aboard-fishing-vessel-55-miles-massachusetts-coast>; <https://www.justice.gov/usao-dc/pr/former-non-profit-president-charged-scheme-conceal-foreign-funding-2013-congressional>; <https://www.justice.gov/usao-nj/pr/six-paterson-new-jersey-men-charged-stealing-300000-checks-dozens-mail-collection-boxes>).
- ⁶² საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული პრესრელიზები (იხ.: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1695; http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1137).

- ⁶³ საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული შუალედური ანგარიში მ. პ-ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, 19/02/2016 (იხ.: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=871).
- ⁶⁴ ტელეკომპანია „იმედი“, გადაცემა „იმედის დრო“, 19/06/2016 (იხ.: http://old.imeri.ge/index.php?pg=shs&id_pr=8436&id=63; <https://www.youtube.com/watch?v=Gg7vWzbska0>).
- ⁶⁵ ტელეკომპანია „პირველი არხი“, გადაცემა „მომბე“, 19/02/2016 (იხ.: <https://www.youtube.com/watch?v=mCQBmt1t3b8>).
- ⁶⁶ ტელეკომპანია „იმედი“, გადაცემა „იმედის დრო“, 19/06/2016 (იხ.: http://old.imeri.ge/index.php?pg=shs&id_pr=8436&id=63; <https://www.youtube.com/watch?v=Gg7vWzbska0>).
- ⁶⁷ UNIPRESS.Ge უნივერსალური ინფორმაცია, სტატია: მოვიმარჯვე თოფი გამოკარი და ვესროლე, რ. გასაქცევად უკვე გამზადებული იყო – მწყემსის აღიარებითი ჩვენება, 13/07/2018 (იხ.: <http://unipress.ge/index.php?newsid=6685>).
- ⁶⁸ დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 25 მაისის N234 ბრძანებით. შემდგომში – კოდექსი.

PUBLIC ANNOUNCEMENT OF PROSECUTOR'S OFFICE AND PRESUMPTION OF INNOCENCE

KHATIA TANDILASHVILI


Doctoral student of Faculty of Law

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Prosecutor's Office, as an organ of criminal prosecution, is accountable to society. It is obliged to provide society with information that serves satisfying public interests and is useful for their security and well-being. Also, efficient investigative standards request control of society over investigation. Accordingly, the Prosecutor's Office of Georgia is obliged to inform society about ongoing criminal law cases. The latter is performed by public announcements.

Besides the abovementioned legitimate goal, a public announcement of Prosecutor's Office contains a big risk. It may form public opinion, it may damage reputation of accused and, most importantly it may show the accused as a criminal, and violate a right of accused, guaranteed by the Constitution of Georgia and many other international acts, to be considered innocent until the commission of an offence by him/her is not proved under a final judgment of conviction. This is why in science, as well as in practice, it is an important issue to define what is the form and volume of public announcement that causes violation of Presumption of Innocence.

It is extremely important in Georgian reality to define the scale of public announcement, because as a rule, Prosecutor's Office of Georgia



spreads its own version of crime in imperative tone and discloses a big part of evidences. Abovementioned puts in danger the action of Presumption of Innocence.

Accordingly, the goal of the present article is to answer the question about what form of public announcement and what kind of information would be in compliance with the Presumption of Innocence. In the article the essence and value of innocence are discussed, the international standards set out for the public announcement are presented, the case law of European Court of Human Rights and United Nations High Commissioner of Human Rights are analyzed, also, the norms and practice set out for the public announcement of Prosecutor's Office in United States of America, as a country of competitive system, are discussed, lastly the legal regulations and practice existing in Georgia are discussed.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90, +995 599 51 97 36

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01



9 773126 590021